

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

რომანული ფილოლოგია

ეკატერინე გაჩეჩილაძე

გრამატიკული ნიშნის ასიმეტრიული კონტექსტები

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ფილოლოგიის დოქტორის (Ph. D) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

ია ფხაკაძე

ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი



თბილისის
უნივერსიტეტის
გამომცემლობა

2009

შესავალი

ენაში სიმეტრიის ცნება კანონიკური ფორმების იდენტურობით გამოიხატება. კანონიკური ფორმა ისეთი ფორმაა, რომელიც უშუალოდ წესის გამოყენებით მიიღება და ნორმას, სტანდარტს შეესაბამება. კანონიკურ ფორმათა შორის სიმეტრიის მიმართების წესი შემდეგნაირად გამოიხატება:

$$\begin{array}{ll} a = b \in A & A=B \\ b = a \in A & B=A \end{array}$$

ტერმინთან “სიმეტრია” დაკავშირებით წამოჭრილი საკითხები ენასთან მიმართებაში, შემდეგი სახისაა:

1. არის თუ არა ბუნებრივი ენა სიმეტრიული ფენომენი;
2. ენის როგორი ტიპი შეიძლება იქნას მიჩნეული სიმეტრიულ სისტემად;
3. რა პარამეტრებით გამოიხატება ენაში სიმეტრიულობა:
 - ა) როგორ იბრძვის ენა სიმეტრიულობის შესანარჩუნებლად;
 - ბ) არის თუ არა რაიმე კავშირი სიმეტრიულობასა და ენის ტიპს შორის (ანალიზური, ფლექსიური, აგლუტინაციური);
4. სიმეტრია/ასიმეტრიის განხილვა მორფოფონოლოგიის დონეზე;
5. სიმეტრია/ასიმეტრიის განხილვა სინტაქსის დონეზე;
6. სიმეტრია/ასიმეტრიის განხილვა მნიშვნელობის დონეზე – პრაგმატულ განზომილებაში.

აღნიშნული საკითხები რადიკალურად განსხვავდება ენათმეცნიერებაში სიმეტრიის მიმართ არსებული თვალსაზრისისაგან, რაც განაპირობებს კიდევ ჩვენი გამოკვლევის თეორიულ სიახლეს. უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ მოცემულ თემაზე ქართველ ლინგვისტთა ნაშრომები თუ გამოკვლევები შედარებით ნაკლებად მოიპოვება. ყოველივე ზემოთქმულმა განაპირობა ამ პრობლემით ჩემი დაინტერესება საკითხის აქტუალურობიდან გამომდინარე.

უნდა აღინიშნოს, რომ აქამდე არსებული ყველა თვალსაზრისი დაიყვანებოდა ენობრივი ნიშნის ასიმეტრიამდე, ე.ი. ურთიერთცალსახა მიმართების არარსებობამდე აღსანიშნა და აღმნიშვნელს შორის. ენობრივი ნიშნის ორივე კომპონენტი საკუთარ ფუნქციურ რეალიზაციათა ვარიაციულ სისტემას ფლობს, ხოლო განსაზღვრულ მომენტში მათ შორის ურთიერთკავშირი ქრება, რაც ომონიმით სრულდება. ამრიგად, ასიმეტრიულობა დაიყვანება ენობრივი ნიშნის მრავალმნიშვნელობისა და სინონიმის პარამეტრებამდე.

ენობრივი ნიშანი თითქმის არასოდეს არ არის ერთმნიშვნელოვანი. ნიშნის ორივე კომპონენტის მრავალმნიშვნელოვნება გამოიხატება რეალიზებულ ერთეულთა (ნებისმიერი დონის) შორის სინონიმურ მიმართებათა ქსელში.

მოცემულ გამოკვლევაში წარმოდგენილი კონცეფცია ითვალისწინებს ბუნებრივი ენის დამახასიათებელ ასიმეტრიულობას მნიშვნელობის თვალსაზრისით და ეყრდნობა ლოგიკური ენის პრინციპებს, რათა ნათელყოს თუ რომელია ბუნებრივი ენის ყველაზე წინააღმდეგობრივი (ლოგიკური თვალსაზრისით) ნაწილი. ცხადია, ენაში არსებულ დონეთა გამოყოფა შესაძლებელია მათ შორის არსებული იერარქიის საფუძველზე; ასევე შესაძლებელია ენის იმ დონის დემონსტრირება, სადაც სიმეტრიის პრინციპი შენარჩუნებულია. ამ დონეს ბუნებრივ ენაში, რა თქმა უნდა, მოსდევს ენის ისეთი დონეები, სადაც სიმეტრიულობა უცილობლად ირღვევა.

სიმეტრია/ასიმეტრიის ერთ-ერთ გამოვლენას მორფოფონოლოგიურ დონეზე წარმოადგენს დროის ფორმათა ოპოზიციური სისტემა, სადაც წესთა მთელი სისტემაა თავმოყრილი სიმეტრიის შესანარჩუნებლად. თუმცა სწორედ აქ ხდება ცნობილი “ნეიტრალიზაცია”, რაც მოასწავებს ფორმასა და მნიშვნელობას შორის ურთიერთცალსახა მიმართების ანუღირებას.

ტრანსფორმაციული და გენერაციული გრამატიკის წესები მიზნად ისახავს გამონათქვამთა მრავალმნიშვნელობის დეკოდირებასა და ადეკვატური, ექსპლიციტური, კომპაქტური და სავსე სინტაქსური სისტემების ჩამოყალიბებას. აქვე ხშირად ვაწყდებით მსგავსი სისტემების უნივერსალურობას.

ე.წ. ახალი სინტაქსის პრინციპები ახლებურად განიხილავს ენის კომპონენტთა მნიშვნელობის მოდიფიკაციებს.

პრესუპოზიციებისა და იმპლიკაციების ცნებები, მეტყველების აქტების აგებისა და ინტერპრეტაციის წესები სწორედ ამოსავალ, კანონიკურ ფორმათა და მათ პოტენციურ გარდაქმნათა შორის არსებულ მიმართებებს არეგულირებს.

ამრიგად, ასეთია ის ძირითადი მიმართულება, რომელსაც იღებს სიმეტრია/ასიმეტრიის პრობლემატიკის კვლევა მოცემულ გამოკვლევაში.

ამ პრობლემათა სიმრავლე და სირთულე განაპირობებს ჩვენი გამოკვლევის აქტუალურობას, მიზანსა და მეთოდოლოგიურ საფუძვლებს.

სადისერტაციო თემის პრობლემატიკის აქტუალურობა განპირობებულია ენობრივი ანალიზის პროცესში ენობრივი ნიშნის ასიმეტრიული კონტექსტების გამოყოფით და ენობრივი ნიშნის ასიმეტრიის, როგორც ენის განვითარების ერთ-ერთი ძირითადი საშუალების, წარმოჩენით.

ნიშანთა სისტემის ფუნქციონირებით ძირითადად სემიოტიკაა დაინტერესებული. სემიოტიკა ცდილობს მოიცვას ნიშანთა სისტემების, ინდივიდუალური ნიშნების, ნიშანთა სიმრავლეების არსებობისა და სახეცვლილების ძირითადი სივრცე, ხოლო ნიშანთა დენოტაცია უპირატესად სემიოლოგიის საქმეა. თანამედროვე სემიოტიკური ანალიზი ადამიანის საქმიანობის ყველა სფეროს უკავშირდება, რაც შესაბამისი დაინტერესებულობის მიმართულებით წარიმართება. სემიოტიკური ანალიზი აუცილებლად მოიცავს ვიზუალურ-შემოქმედებით, ვერბალურ-აზროვნებით და კონკრეტული მოქმედებების სფეროებს.

ენობრივი ანალიზის თანამედროვე გაგება უკვე კარგა ხანია გაცდა ნიშანთა სისტემისა და მის კომპონენტთა შორის მიმართების საზღვრებს და ისეთ სტრუქტურებში გადაინაცვლა, რომლებიც ჯერ კიდევ სტრუქტურულ და გენერაციულ კონცეფციებში ეყრდნობოდა კომპოზიციის ანალიტიკურ, იერარქიულ პრინციპს: მორფემა-სიტყვა-პროპოზიცია-ფრაზა [გამონათქვამი]. შემდეგი საფეხური კი ანალიზისათვის მოუხმობს დიდ სტრუქტურებს, რომლებიც აღემატება პროპოზიციას და ღებულობს ტექსტის, მოდელის, სქემის, სცენარის, ფრეიმის სახეს. ეს ის სტრუქტურებია, რომლებიც ინფორმაციის ძიებასთან ერთად შეიცავს ძიების პროცედურებს, მონაცემთა ბაზას და ინდივიდის ცნობიერ (გაუცნობიერებელ) მონაწილეობას ამგვარ პროცესებში. ამგვარად, ენობრივი ანალიზის მთავარი მიზანი ხდება ინფორმაციის მნიშვნელობის დაკავშირება გონისმიერ, ენობრივ და მოქმედების პროცედურებთან.

შეცვლილი ვითარების შესაბამისად, დაისმის საკითხი სიმეტრიის შესახებ. რა ვითარება გვაქვს ამ მხრივ – ინარჩუნებს თუ არა ენა სიმეტრიულობას? სიმეტრიულობის გაგებაც, თავის მხრივ, იფართოებს მნიშვნელობას. სიმეტრიულობა ამ ეტაპზე შეიძლება განმარტებულ იქნას, როგორც ინფორმაციის მიღწევადობა ენობრივი ქმედების ყველა დონეზე, განსაზღვრული კოორდინატებისა და ავტომატიზმის გარემოცვაში. ურთიერთცალსახა და ურთიერთმრავალსახა მიმართება “ნიშნის” კომპონენტთა შორის გარდაიქმნება მიმართებათა (ფუნქციათა) სისტემად ინფორმაციის ულუფასა და მის დერძს შორის. დერძად ინფორმაციის თავმოყრის ადგილი (სიღრმე) იგულისხმება, სადაც გროვდება მრავალი მიმართულებიდან მომდინარე ინფორმაცია (ე.წ. “მენტალური სახე” სიტუაციისა). ენობრივი ანალიზის ეს სფეროებიც მკაცრად არის შეზღუდული მარეგულირებელი წესებით, რომლებიც განსაზღვრავს გრამატიკის, ფონეტიკისა და ლოგიკის წილს ინფორმაციის შექმნის, ძიებისა და დეკოდირების პროცესში: ეს წესები, ცხადია, განსხვავდება კანონიკური წესებისაგან, მაგრამ შეცვლილი რეალობიდან გამომდინარე, ისინიც სიტუაციის შესაბამის კანონიკურ წესებადაა მიჩნეული.

წინამდებარე ნაშრომის მიზანს წარმოადგენს გრამატიკული ნიშნის ასიმეტრიული კონტექსტების დადგენა, კანონიკურ ფორმათა და მათ პოტენციურ გარდაქმნათა შორის არსებული მიმართებების დარეგულირება. ენობრივი ნიშნის ასიმეტრიულობის კვლევამ განაპირობა ნაშრომის კერძო საკითხების განხილვის აუცილებლობა. ეს საკითხებია:

1. გრამატიკული ომონიმის კვლევა, რაც ენობრივი ნიშნის ასიმეტრიულობის კონკრეტულ გამოვლინებას წარმოადგენს. ომონიმთა დიფერენცირება საშუალებას იძლევა თავიდან ავიცილოთ გამოთქმათა ორაზროვნება.

2. ფრანგულ ენაში პასიური ფორმის წარმოების კვლევა, რაც თვალსაჩინოს ხდის გრამატიკული ნიშნის ასიმეტრიულობას.

3. უკუქცევითი ზმნების კვლევა მათთვის დამახასიათებელი მრავალმნიშვნელობის დემონსტრირების მიზნით.

4. ენათა მორფოლოგიური ტიპების განხილვა მათი სიმეტრიულობა/ასიმეტრიულობის თვალსაზრისით; ანალიზურ ენებში ყველაზე უკეთ ჩანს ურთიერთმიმართება ერთ ფორმასა და ერთ მნიშვნელობას შორის, ამდენად, ისინი სიმეტრიულ ენებად შეგვიძლია მივიჩნიოთ.

5. ტრანსფორმაციული გრამატიკის დებულებების განხილვა, როგორც გამონათქვამთა მრავალმნიშვნელობის დეკოდირების ერთ-ერთი მცდელობა, რამდენადაც ტრანსფორმაციები წარმოადგენს ერთგვარ საშუალებას სიმეტრიულ ფორმათა არარსებობის კომპენსაციისათვის.

6. ფრანგული ენის სინტაქსური დონის კვლევა, სადაც ხშირად თავს იჩენს ასიმეტრიული მოვლენები. მარეგულირებელი წესები კი აწესრიგებს ურთიერთმიმართებებს კანონიკურ ფორმათა და მათ პოტენციურ გარდაქმნათა შორის.

7. პრესუპოზიციებისა და იმპლიკაციების ცნებების განხილვა, როგორც გამონათქვამთა ერთმნიშვნელობის დამკვიდრებისაკენ სწრაფვა.

8. ირიბი მეტყველების აქტების განხილვა, როგორც ენობრივი ნიშნის ასიმეტრიის გამოვლინება ანუ ენის ასისტემობის შედეგი. მეტყველების ნებისმიერი აქტის მიმდინარეობა აერთიანებს ინდივიდის ენობრივი ქმედების ყოველი დონიდან მომდინარე ინფორმაციას, რომელიც განაზოგადებს და თავს უყრის ენობრივი მნიშვნელობის გარდასახვებსა და მრავალსახეობას ენობრივი ქმედების ნებისმიერ დონეზე.

ნაშრომის სიახლე შემდეგ დებულებებში აისახა:

პირველად დაისვა საკითხი იმის შესახებ, რომ გრამატიკული ნიშნის ასიმეტრიული ბუნების ჩვენებისათვის, აუცილებელია ენობრივი კონტექსტების განხილვა.

პირველად დაუკავშირდა სიმეტრიის ცნება ბუნებრივი ენის ლოგიკურ ანალიზს, სადაც ლოგიკურ პრინციპთა დაცვის პარალელურად, თავს იჩენს მრავალი ასიმეტრიული მოვლენა.

დადგინდა, რომ ტრანსფორმაციები ძირითადად სიმყარეს სძენენ სიმეტრიულობას და მიისწრაფვიან კომპაქტური სინტაქსური სისტემების ჩამოყალიბებისაკენ.

ხაზი გაესვა მეტყველების აქტებისაგან მომდინარე ინფორმაციის კავშირს სიმეტრიის პრინციპებთან და აღინიშნა, რომ რამდენიმე ილოკუციური ძალა რეალიზდება ინდივიდთა კომუნიკაციის პროცესში ერთი პროპოზიციული მნიშვნელობის ფონზე და რომ ინდივიდთა სამეტყველო აქტიურობა ძირითადად სწორედ ირიბი კონტექსტების საშუალებით ხორციელდება.

ენობრივი ნიშნის ასიმეტრიულობასთან დაკავშირებულ ელემენტთა კვლევას ვრცელი შრომები მიექდვნა როგორც ტრადიციულ, ასევე თანამედროვე

ენათმეცნიერებაში, მაგრამ დღემდე არსებულ შრომებში უშუალო კონტექსტებზე დაყრდნობით არ განხილულა გრამატიკული ნიშნის ასიმეტრია მორფოფონოლოგიურ და სინტაქსურ დონეებზე, ასევე პრაგმატული განზომილების კუთხით.

ნაშრომის სიახლეს წარმოადგენს მრავალი ადრე არსებული შეხედულების ხელახალი გააზრება, ახლებურად ფორმულირება და მთელი ის ცნებითი აპარატი, რაც დამახასიათებელია ყოველი ახალი თეორიისათვის.

შესაბამისად, ეს არის ქართულ ენაზე წარმოდგენილი პირველი ნაშრომი, რომელიც ყველა ზემოთ დასახელებულ საკითხს შექმნებისდაგეარად სრულად აანალიზებს.

გამოკვლევის მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს ტრანსფორმაციული და გენერაციული გრამატიკის ძირითადი კონცეფციები, ს.კარცევსკის მიერ დამუშავებული ენობრივი ნიშნის ასიმეტრიის თეორია. ასევე გამოყენებულია მრავალი დებულება ახალი სინტაქსის, პრაგმატიკის, ფორმალური ლოგიკის და ლოგიკური სემანტიკის სფეროდან. ჩვენი მეთოდოლოგიური საფუძველი ძირითადად ცნებათა და ტერმინთა ზომიერ ინტერპრეტაციაზეა დამყარებული, ისევე როგორც თვით გამოკვლევა.

გამოკვლევის თეორიული მნიშვნელობა მდგომარეობს შემდეგში:

დადგენილია ლოგიკური ანალიზის პრინციპების გავლენა ბუნებრივ ენაზე, სადაც მუდმივად შეიმჩნევა ბრძოლა სიმეტრიულობის ძიების მიმართულებით.

დადგენილია, რომ სინტაქსურ დონეზე არსებული მრავალი ასიმეტრიული გამოვლენის მიუხედავად, აქ მთელი რიგი წესები ისწრაფვის დაამყაროს სიმეტრიული მიმართებები კანონიკურ ფორმათა და მათ მოდიფიკაციათა შორის.

შესწავლილია ომონიმის გავლენა ორაზროვანი ფრაზების წარმოქმნაზე, რომელთა დიფერენცირებაში ძირითად როლს კონტექსტი ასრულებს.

დადგენილია ფრანგულ ენაში გვარის წარმოების სისტემაში არსებული ასიმეტრია, კერძოდ, განხილულია პასიური და უკუქცევითი ფორმების მნიშვნელობათა ცვლილებები.

სიმეტრიულობა/ასიმეტრიულობის ცნების ანალიზი გადატანილია პრაგმატიკის სფეროში და ხაზგასმულია ირიბი მეტყველების აქტებისათვის დამახასიათებელი მრავალმნიშვნელობა.

სადისერტაციო ნაშრომის პრაქტიკული ღირებულება შემდეგში მდგომარეობს:

სიმეტრიულობა/ასიმეტრიულობის არსის მკაფიოდ წარმოჩენა და მისი გავლენის შესწავლა გრამატიკული ნიშნის კონტექსტებზე აუცილებელია ფრანგული ენის პრაქტიკული გრამატიკის სწავლებისას.

კვლევის შედეგების გამოყენება შესაძლებელია ფრანგული ენის თეორიული გრამატიკის კურსში ჩასართველად იმ ნაწილში, რომელიც ეძღვნება ნიშნის თეორიის, სემიოტიკის, გენერაციული გრამატიკის, პრაგმატიკისა და ახალი სინტაქსის პრობლემებს. მიღებული შედეგები ხელს შეუწყობს რომანისტიკის სპეციალობის სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევით მუშაობას მოხსენებათა და სამაგისტრო თემატიკის სახით.

ნაშრომში განხილულია ენობრივ არქიტექტონიკაში სიმეტრიისა და ასიმეტრიის გამოვლენის ცალკეული ფორმები მთელი რიგი ლინგვისტიკის გამოკვლევებში, რომლებიც ადასტურებენ, რომ ასიმეტრია, რომელიც არსებობს როგორც გამოხატულების, ასევე შინაარსის პლანში, განაპირობებს ენობრივი სისტემების კომპაქტურობასა და ეკონომიას.

ენობრივ ერთეულთა ასიმეტრიული დუალიზმის ცნება შემოტანილ იქნა ს.კარცევსკის მიერ. ენის მკვლევართა შორის, მან პირველმა თავის სტატიაში “ენობრივი ნიშნის ასიმეტრიული დუალიზმის შესახებ” (1929) გამოიყენა ტერმინები სიმეტრია და ასიმეტრია ენობრივ მოვლენებთან დაკავშირებით. მკვლევარმა ყურადღება გაამახვილა ენობრივ მოვლენათა “მრავალმნიშვნელობასა” და “სინონიმიაზე”, რაც წარმოიქმნება შინაარსისა და გამოხატულების პლანის შეუთავსებლობის შედეგად.

გ. გაკმა შემოგვთავაზა ნიშნის ასიმეტრიის ახალი, გაფართოებული განმარტება, რომელიც არ არის შემოფარგლული მხოლოდ პარადიგმატული ასპექტით და ასიმეტრიას განიხილავს სინტაგმატურ და სემიოტიკურ ასპექტებშიც.

ენა მოძრაობს არამარტო სიმეტრიის დადგენის მიმართულებით, არამედ ასიმეტრიის მიმართულებითაც. მაგ. ენაში მუდმივად შეიმჩნევა ომონიმების გაქრობა, მრავალმნიშვნელობის რედუქცია და სხვა მსგავსი მოვლენები, რომლებიც ქმნის სიმეტრიას. თუმცა აქვე ფიქსირდება გამოხატვის საშუალებათა ფართო ვარირება, ახალი ომონიმების, ანალიტიკური კონსტრუქციებისა და გამოხატვის საშუალებათა წარმოქმნა და ენობრივი სისტემის ასიმეტრიის დანარჩენი ფაქტები.

ფრანგულ ენაში ზოგიერთი მორფოლოგიური და სინტაქსური თავისებურება წარმოქმნის ლექსიკურ თუ გრამატიკულ ომონიმებს. როდესაც ერთი ლექსემის ცალკეული ლექსები ერთმანეთს ემთხვევა გამოხატულების პლანში (ფონეტიკურად), შეიძლება ვილაპარაკოთ გრამატიკული ომონიმის შესახებ. გრამატიკულ ომონიმიაში იგულისხმება:

ა) განსხვავებული ფორმებით წარმოდგენილ გრამატიკულ სიტყვათა ლექსიკური ომონიმია

ბ) გრამატიკულ ფორმათა ომონიმია.

გ) მეტყველების ნაწილთა ომონიმია.

დ) სეგმენტაციის შემდეგ წარმოქმნილი ომონიმები.

განსახილველ ელემენტთა გრამატიკული ბუნება განისაზღვრება სინტაგმატურ დონეზე, მხედველობაში მიიღება რა კონტექსტი; და პარადიგმატურ დონეზე, განსახილველ ელემენტს ჩაენაცვლება რა იმავე სიტყვის სხვა ფორმა ან სხვა სიტყვა, რომელიც მისი ომონიმი არ არის.

ფრანგულ ენაში გრამატიკული ომონიმის მრავალი შემთხვევა არსებობს; ნაშრომში განხილულია მხოლოდ ზოგიერთი მათგანი. აუცილებელია ომონიმთა დიფერენცირება, რათა თავიდან ავიცილოთ არასწორი ფრაზების წარმოქმნა.

მოცემულ გამოკვლევაში წარმოდგენილია ენათა ენისმიერი და ლოგიკური იერარქია. ლოგიკური ენები შეიძლება განვიხილოთ არა როგორც ბუნებრივი ენისაგან შორს მდგომი და განყენებული სისტემები, არამედ როგორც ბუნებრივ ენათაგან აბსტრაგირებული სისტემები.

ფორმალური ლოგიკური ენების აგებისა და ინტერპრეტაციის პრინციპებზე დაყრდნობით გამოიყოფა და მკაცრ სისტემებად ლაგდება ფორმალური და ბუნებრივი ენების შეხების ის არეები, რომლებიც განსაკუთრებით წინააღმდეგობრივი და არაკანონზომიერია ლოგიკური ანალიზის თვალსაზრისით, მაგრამ სრულიად ბუნებრივი და დასაშვები ჩვეულებრივი ენისათვის. სრულფასოვანი ლინგვისტური ანალიზი იყენებს ლოგიკური ფორმალიზაციისა და განსჯის სოლიდურ აპარატს საფუძვლიანი დასკვნების მისაღებად. ენობრივი ანალიზის სისტემებს სწორედ ლოგიკური ანალიზი კარნახობს იმ გლობალურ კანონებს, რომლებიც წმინდა ენობრივ კანონებთან ერთად წარმართავენ ბუნებრივი ენის მოქმედებას.

ბუნებრივ ენაში ლოგიკური ანალიზის პრინციპები გამოიყენება, მაგრამ იგი არ ხასიათდება ლოგიკურ პრინციპთა დაცვის სიმკაცრით. ლოგიკურ და

ბუნებრივ ენათა წიაღში არსებობს ენის შემოქმედებითი აქტივობის ის სფეროები, რომლებიც ყველაზე ნაკლებად ემორჩილება ლოგიკურ ანალიზს. თუ ლოგიკოსებს სასოწარკვეთილებას გვრის ლოგიკურ პრინციპთა ხშირი დარღვევა, ბუნებრივი ენა, პირიქით, ცოცხლობს და მდიდრდება ასეთ დარღვევათა ხარჯზე.

ბუნებრივი ენის ძირითადი პრინციპებია გამონათქვამთა სწორად აგება, გააზრება და მნიშვნელობის ცალსახოვნება, რაც უაზრო წინადადებათა უკუგდებას გულისხმობს. ამასთან, ბუნებრივ ენას ახასიათებს გამოთქმათა ორაზროვნება, მრავალმნიშვნელობა, რაც ბუნებრივი ენისათვის დამახასიათებელ ასიმეტრიულობაზე მიუთითებს.

ენათა კლასიფიკაციის ერთი ტიპი მორფემათა ტიპების მიხედვით წარმოებს და მას ტიპოლოგიურ კლასიფიკაციას უწოდებენ. იგი შემუშავებულ იქნა XIX საუკუნეში და აღგენდა ენათა სამ ტიპს: 1. ანალიზური ანუ იზოლირებადი (მაიზოლირებადი) 2. სინთეზურ-ფლექსიური 3. აგლუტინაციური. თანამედროვე ენათმეცნიერება დიდ ყურადღებას არ აქცევს ენათა ასეთ კლასიფიკაციას, მაგრამ არც მთლიანად მისი უგულვებელყოფა იქნებოდა მიზანშეწონილი.

დასახელებული ტიპებიდან რომელია ყველაზე სიმეტრიული? – ამ კითხვაზე ერთმნიშვნელოვანი პასუხის გაცემა ძნელია. რა თქმა უნდა, აბსოლუტურად სიმეტრიული ენა არ არსებობს; თუმცა ენათა დასახელებული მორფოლოგიური ტიპებიდან შედარებით სიმეტრიულად ანალიზური ენები უნდა მივიჩნიოთ, ვინაიდან აქ ყველაზე უკეთ ჩანს ურთიერთმიმართება ერთ ფორმასა და ერთ მნიშვნელობას შორის.

ფრანგული ანალიზური ე.ი. სიმეტრიული ენაა; აქედან ყოველი გადახვევა კომპენსირდება ტრანსფორმაციით. ტრანსფორმაციები ძირითადად სიმყარეს სძენენ სიმეტრიულობას. სწორედ ტრანსფორმაციებს შეუძლია გადაჭრას ენობრივ ერთეულთა ორაზროვნების საკითხი. გარდა ამისა, ტრანსფორმაციების საშუალებით შეგვიძლია თავიდან ავიცილოთ გრამატიკულად არასწორი ფრაზების წარმოქმნა, რაც აღემატება სინტაგმატური გრამატიკის ძალას, იმდენად, რამდენადაც იგი კონტექსტიდან დამოუკიდებელი გრამატიკაა. ტრანსფორმაცია ისეთი ოპერაციაა, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს წინადადების მნიშვნელობასა და მის ბგერით რეალიზაციას. (დიუბუა 1969: 15-19)

გენერაციული გრამატიკის წესები ერთგვარი ცდაა იმისა, რომ სისტემური, სიმეტრიული სახე მისცეს ენის ასიმეტრიულ განზომილებას.

რამდენად სწორხაზოვნად დალაგებულად შეიძლება ჩაითვალოს ფრანგული ენის სინტაქსი? ფრანგული ენის სინტაქსი, მიუხედავად წესებით მოწესრიგებული ხასიათისა, არ შეიძლება ჩაითვალოს სრულიად მოწესრიგებულად ე.ი. სიმეტრიულად. ფრანგული ენა წინადადებაში სიტყვათა განლაგებისას მისდევს ბუნებრივ და ლოგიკურ რიგს, თუმცა ხშირია ქვემდებარეს ინვერსიის შემთხვევებიც. ასევე ქვემდებარეს მდებარეობის შემცვლელი ტრანსფორმაციებია: პასივიზაცია (ვნებითი წინადადებების დერივაცია), უპირო ტრანსფორმაცია, განკერძოება (ექსტრაპოზიცია).

დამატება-ობიექტები, ჩვეულებრივ, ზმნის შემდეგ არის მოთავსებული, თუმცა ზოგჯერ ირღვევა ლოგიკური და გრამატიკული რიგი. დამატებათა მიმართ განიხილება ძირითადად წაშლის (effacement) და ამაღლების (raising – montée) ტრანსფორმაციები. ორივე შემთხვევაში საქმე ეხება სხვადასხვა სახელადი ფრაზების (ეკვივალენტური, სუბიექტი, ობიექტი) გადაადგილებას.

ფრანგულ ენაში სინტაქსურ დონეზე თავს იჩენს მრავალი ასიმეტრიული მოვლენა. იმისათვის, რათა თავიდან ავიცილოთ გრამატიკულად არასწორი ფრაზების წარმოქმნა და მივიღოთ სწორად აგებული სტრუქტურა, ვიყენებთ მარეგულირებელ წესებს, რომლებიც აწესრიგებს ენობრივი სისტემის კანონიკურ ფორმებსა და მათ სახეცვლილებებს შორის არსებულ ასიმეტრიულ მიმართებებს.

წინადადების სინტაქსური ანალიზისათვის ძლიერ ეფექტური აღმოჩნდა ახალი სინტაქსური თეორია, რომელიც მიმართებათა ქსელს სისტემის შემადგენელ ნაწილთა, მოდულთა ურთიერთმიმართებაში ასახავს. “ახალი სინტაქსის”-ის პრინციპები, თეორიები და პარამეტრები წარმოადგენს სიმეტრიული სისტემის შექმნის ერთ-ერთ ცდას. თუმცა ბუნებრივი ენა არ არის არც სიმეტრიული და არც მონოტონური სისტემა, რასაც ცხადყოფს ახალი სინტაქსის ანალიზის შედეგები.

ფრანგულ ენაში ასიმეტრიული მოვლენები თავს იჩენს გვარის წარმოების სისტემაშიც.

I. აქტიური კონსტრუქცია გამოხატავს: 1. აქტიურ მნიშვნელობას; 2. საშუალო მნიშვნელობას; 3. პასიურ მნიშვნელობას.

II. პასიური კონსტრუქცია გამოხატავს: 1. პასიურ მნიშვნელობას; 2. ფსევდო-პასიურ მნიშვნელობას; 3. ზოგად მნიშვნელობას.

III. უკუქცევითი კონსტრუქცია გამოხატავს: 1. პირდაპირ-უკუქცევით მნიშვნელობას; 2. ირიბ-უკუქცევით მნიშვნელობას; 3. საურთიერთო მნიშვნელობას; 4. საშუალო-უკუქცევით მნიშვნელობას; 5. პასიურ მნიშვნელობას.

ნაშრომში წარმოდგენილია პრაგმატულ დონეზე არსებული სიმეტრიული და ასიმეტრიული გამოვლინებები. პრაგმატიკას განსაზღვრული ადგილი უჭირავს ენის ერთიან თეორიაში, იგი კრებს ენის ყოველი დონიდან მომდინარე საჭირო ინფორმაციას კომუნიკაციის განხორციელების პროცესში.

პრესუპოზიცია პრაგმატული დასკვნის განსხვავებულ ტიპს წარმოადგენს; იგი ემყარება იმ წინადადების ენობრივ სტრუქტურას, რომელზედაც თავად აღმოცენდება. პრესუპოზიციის კვლევას ვრცელი ნაშრომები მიეძღვნა ფილოსოფიაში, ლოგიკასა და ენათმეცნიერებაში. პრესუპოზიციათა თეორიებში თითქმის ყველა პრობლემის ირგვლივ არსებობს განსხვავებული თვალსაზრისი. აღინიშნება ამ თეორიების როგორც დადებითი, ასევე მანკიერი, არაადეკვატური მხარეები, რაც შეუძლებელს ხდის ერთიანი თვალსაზრისის არსებობას. პრესუპოზიციები აწესრიგებს კანონიკურ ფორმათა და მათ გარდაქმნათა შორის არსებულ მიმართებებს. ასეთია პრესუპოზიციის ჯერ კიდევ დაუსრულებელი და სადაო თეორია. (ლევინსონი 1983: 219-226)

კომუნიკაციის პროცესი იმდენად მრავალფეროვანია, რომ თითქმის შეუძლებელი ხდება მისი ანალიზის მოქცევა რომელიმე პირობითი ფორმალური სისტემის ფარგლებში, სწორედ ამიტომ მიმართეს ლინგვისტებმა იმპლიკატურის ცნებას, ვინაიდან იგი მოქმედების ვრცელ თავისუფალ არეს ტოვებს. ამასთანავე, იმპლიკატურები ცდილობს თავიდან აიცილოს კანონიკურ ენობრივ ფორმათათვის დამახასიათებელი ასიმეტრია, გამონათქვამთა ორაზროვნება, მრავალმნიშვნელობა; ასევე მოაწესრიგოს წესებით დასაშვებ, სტანდარტულ ფორმათა და მათ შესაძლო მოდიფიკაციათა ურთიერთმიმართებები.

მეტყველების აქტები პრესუპოზიციებთან და იმპლიკატურებთან ერთად ლინგვისტური პრაგმატიკის ერთ-ერთ ძირითად ფენომენს წარმოადგენს. შესაბამისად, მეტყველების აქტების ანალიზს უზარმაზარი ლიტერატურა მიეძღვნა.

მეტყველების აქტების თეორიაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ირიბი მეტყველების აქტებს. ეს ისეთი გამონათქვამებია, რომლებიც რამდენიმე ილოკუციურ ძალას ფლობს, რომელთაგან ერთი ძირითადია, ხოლო დანარჩენი პირველის საფუძველზე მიღებული. (ლევინსონი 1983: 265-277). ირიბი

მეტყველების აქტები ფლობენ სხვადასხვა ირიბი რეპრეზენტაციების ფართო შესაძლებლობებს, მაგ: დაპატიუების რეალიზაცია შეკითხვის სახით; თხოვნა, რეალიზებული როგორც შეტყობინება; შეტყობინება-შეურაცხყოფა; შეტყობინება-გაკიცხვა; შეტყობინება-ბრძანება; მტკიცება-საყვედური. არსებობს მოსაზრება, რომ ირიბი მეტყველების აქტები განვიხილოთ, როგორც ენობრივი პოლისემიის გამოვლინება.

ასეთია ის ძირითადი საკითხები, რომლებიც განხილულია მოცემულ გამოკვლევაში სიმეტრია/ასიმეტრიის პრობლემატიკის კუთხით.

თავი I. სიმეტრიისა და ასიმეტრიის კატეგორიები თანამედროვე საენათმეცნიერო დონეზე

ენათმეცნიერებაში ენის სისტემურ-სტრუქტურულ შესწავლას თან ახლდა სიმეტრიისა და ასიმეტრიის კატეგორიების აღმოჩენა და კვალიფიკაცია. სისტემურ-სტრუქტურული მიდგომა აღნიშნავს ენის, როგორც სისტემათა სისტემის განხილვას, ხოლო თავად სისტემის ცნება ვარაუდობს სიმეტრიის ცნებას. ვ. ბგაშევი აღნიშნავს, რომ ორგანიზებული სისტემა ელემენტთა უბრალო შეერთებისაგან იმით განსხვავდება, რომ იგი ხასიათდება მის შემადგენელ ნაწილთა ურთიერთდამოკიდებულების რეგულარობითა და კანონზომიერებით, ანუ სიმეტრიით. (ბგაშევი 1990: 21-25)

XX საუკუნის 30-იან წლებში, ეს კატეგორიები დამკვიდრდა რა ლინგვისტიკაში, აღმოჩნდა, რომ სიმეტრია და ასიმეტრია სხვადასხვაგვარად ვლინდება ენის ზოგად სისტემასა და მის სხვადასხვა ქვესისტემაში. “საკითხს ენის სისტემაში მათი გამოვლენის ფორმების შესახებ აქვს არამარტო კონკრეტული, პრაქტიკული მნიშვნელობა, არამედ ზოგადლინგვისტური, თეორიული მნიშვნელობაც, ვინაიდან ამ საკითხის გადაჭრა დაკავშირებულია ენის იმანენტურ თვისებებთან და ენის განვითარების დინამიკური ფაქტორების დადგენასთან”. (შაპკინი 1967: 6)

ვ. კარპოვის მიხედვით, “ასიმეტრია არსებობს, როგორც გამოვლენის ერთი მხარე და გულისხმობს შესაბამის სიმეტრიას, და პირიქით, – სწორედ ისე, როგორც მოწესრიგებულობა/მოუწესრიგებლობა და განმეორებითობა/არაგანმეორებითობა წარმოდგენელია ერთი მეორის გარეშე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ როგორი სისწრაფითაც პოულობენ მკვლევარები ტვინის მოქმედებაში ფუნქციონალურ პარამეტრებს სიმეტრია/ასიმეტრიის თვალსაზრისით, ასევე სწრაფად და აუცილებლად უნდა იქნას აღმოჩენილი ეს დახასიათებები ენა-სისტემის ფუნქციონირებისას”. (კარპოვი 2003: 23). მისივე

თქმით: “ასიმეტრია არის სიმეტრიის აუცილებელი დამატება და მისი საპირისპირო ცნება” .

ასიმეტრია მნიშვნელოვან როლს თამაშობს ენის განვითარებაში და თეორიულად საკმაოდ რთული გასაზრებელია. ვ. გაკი თვლის, რომ თუ არა ენობრივი ასიმეტრია, მნიშვნელოვნად შემცირდებოდა მოთხოვნილება თეორიული ენათმეცნიერებისადმი და კამათი მინიმუმამდე იქნებოდა დაყვანილი. (გაკი 1998: 106)

ენობრივ ერთეულთა ასიმეტრიული დუალიზმის ცნება შემოტანილ იქნა ს.კარცევსკის მიერ. ენის მკვლევართა შორის, მან პირველმა თავის სტატიაში “ენობრივი ნიშნის ასიმეტრიული დუალიზმის შესახებ” (1929) გამოიყენა ტერმინები სიმეტრია და ასიმეტრია ენობრივ მოვლენებთან დაკავშირებით. მკვლევარმა ყურადღება გაამახვილა ენობრივ მოვლენათა “მრავალმნიშვნელობასა” და “სინონიმიაზე”, რაც წარმოიქმნება შინაარსისა და გამოსატყულების პლანის შეუთავსებლობის შედეგად. ს. კარცევსკი აღნიშნავს: “ნიშნის ასიმეტრიული ბუნების ილუსტრირებისათვის შეგვიძლია მივმართოთ შემდეგ სქემას: აღმნიშვნელი (ქდერადობა) და აღსანიშნი (ფუნქცია) ყოველთვის დაცურავს “რეალობის დაქანებულ სიბრტყეზე”. თითოეული გამოდის იმ ჩარჩოდან, რომელიც მისთვის პარტნიორმა განსაზღვრა, დაადგინა; აღმნიშვნელი ცდილობს ჰქონდეს სხვა ფუნქციები, საკუთარი ფუნქციისაგან განსხვავებული; აღსანიშნი ცდილობს საკუთარი თავი გამოსატოს სხვა საშუალებებით და არა საკუთარი ნიშნით. ისინი ასიმეტრიულნი არიან; არიან რა შეწყვილებულნი, აღსანიშნი და აღმნიშვნელი იმყოფებიან არამყარი წონასწორობის მდგომარეობაში. სწორედ ნიშანთა სტრუქტურის ამ ასიმეტრიული დუალიზმის შედეგად, ლინგვისტური სისტემა შეიძლება შეიცვალოს; ნიშნის “ადეკვატური” პოზიცია კი ყოველთვის აირევა კონკრეტული სიტუაციების მოთხოვნების შესაბამისად”. (კარცევსკი 1929 [1956]: 24)

ვ. გაკი აღნიშნავს, რომ თუკი 50-იან წლებში ტერმინის “ასიმეტრია” გამოყენებას ენობრივი არქიტექტონიკის გაგებისათვის უფრო მეტაფორული სახე ჰქონდა, მოგვიანებით ლინგვისტიკის ევოლუციასთან ერთად, ეს ტერმინოლოგიური წყვილი “სიმეტრია/ასიმეტრია” არამარტო ფართოდ გამოიყენება, არამედ მოიაზრება, როგორც ენის აგებისა და ფუნქციონირების ფუნდამენტური კატეგორია. გაკის კონცეფციის თანახმად, XX საუკუნის ფილოლოგიურ მეცნიერებაში სიმეტრიის ცნება ხდება მეცნიერული თეორიის

აგების პრინციპებისა და კვლევის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მეთოდოლოგიური ელემენტი. როგორც აკადემიკოსი ვ. ვერნადსკი აღნიშნავს, აღნიშნულმა პრინციპმა მოიცვა და კვლავაც მოიცავს მეცნიერების ახალ-ახალ დარგებს.

სიმეტრიას წამყვანი როლი უჭირავს თანამედროვე მეცნიერებაში, ხელოვნებაში, ტექნიკაში და, ზოგადად, ჩვენს გარემომცველ სამყაროში. სიმეტრია ამყარებს საოცარ კავშირს საგნებს, მოვლენებს, თეორიებს შორის, რომლებიც გარეგნულად თითქმის არაფრით არ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული. სიმეტრიისა და ასიმეტრიის ცნებები იქცა შეცნობის საყოველთაო კატეგორიებად და ახალ სფეროებში გადასვლასთან ერთად იცვლებოდა და ღრმავდებოდა მათი შემადგენლობა.

უნდა აღინიშნოს, რომ სიმეტრიის ცნებას ვხვდებით ჯერ კიდევ ანტიკურ ეპოქაში. ადამიანებმა ადრიდანვე მიაქციეს ყურადღება ბუნებაში არსებულ ფორმათა სისწორეს, თანმიმდევრობასა და განმეორებითობას. მათ ნიმუშად გამოიყენეს ეს მოწესრიგებულობა თავიანთ პრაქტიკულ საქმიანობაში, აზროვნებაში, ხელოვნებაში, არქიტექტურაში, მათემატიკასა და ფილოსოფიაში.

აკადემიკოსი ა. შუბნიკოვი თავისი წიგნის “სიმეტრია” წინასიტყვაობაში წერს: “არქეოლოგიური ძეგლების შესწავლამ გვიჩვენა, რომ კაცობრიობას უძველესი დროიდან ჰქონდა წარმოდგენა სიმეტრიაზე, რაც თვალსაჩინოდაა წარმოდგენილი ნახატებსა და საყოფაცხოვრებო ნივთებში. უნდა ვივარაუდოთ, რომ პირველყოფილ წარმოებაში სიმეტრიის გაჩენა გამოწვეული იყო არამარტო ესთეტიკური მოტივებით, არამედ იმითაც, რომ პირველყოფილ ადამიანს სწამდა სწორი ფორმების ვარგისიანობისა პრაქტიკაში. ეს რწმენა დღესაც არსებობს, რაც გამოიხატება სხვადასხვა სფეროს საქმიანობაში: ხელოვნება, მეცნიერება, ტექნიკა და ა. შ.” (შუბნიკოვი 1940: 3)

უფრო მოგვიანებით, აკადემიკოსი ვ. ვერნადსკი თავის ნაშრომში “დედამიწის ბიოსფეროსა და მისი გარესსამყაროს ქიმიური აგებულება”, მიყვება რა ა. შუბნიკოვის მოსაზრებას, წერს: “სიმეტრიის გრძნობა და ყოფაცხოვრებაში მისი გამოხატვისადმი რეალური სწრაფვა არსებობდა პალეოლითის და თვით ეოლითის პერიოდიდან მოყოლებული. სიმეტრიის შესახებ წარმოდგენა იცვლებოდა ათწლეულების, ასწლეულების, ათასწლეულების მანძილზე. სიმეტრიის არსებობა დამოწმებულია კაცობრიობის ასეული თაობების მიერ. ამასთანავე, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სიმეტრია ჩანს ადამიანის სხეულის

აგებულებაში. იგი ასევე ვლინდება ადამიანის მოძრაობის ჰარმონიულობაშიც”. (ვერნადსკი 1965: 176-177). ვ. ვერნადსკის მიხედვით, სიმეტრიის ცნება, რომელიც უკავშირდება სილამაზისა და ჰარმონიის ცნებას, კარგად ჩანს დიდ ბერძენ მოქანდაკეებთან, ხოლო სიტყვას “სიმეტრია” მიაკუთვნებენ სკულპტორ პითაგორას რეგიუმიდან (სამხრეთ იტალია), რომელიც ცხოვრობდა ჩვ. წ. აღ-მდე V საუკუნეში.

სიმეტრია, როგორც საკუთრივ მეცნიერული ცნება, პირველად განხილულ იქნა XIX საუკუნეში კრისტალოგრაფიის მასალებზე. სწორედ აქ მოხდა მისი მეცნიერული გააზრება და გამოიყო კიდევ სიმეტრიის ტიპები. 1890 წელს რუსმა მეკვლევარმა ფედოროვმა დაადგინა, რომ სივრცეში სიმეტრიის ელემენტთა ყველა შესაძლო შეთანხმება იყოფა 230 ჯგუფად.

ვ. გაკი აღნიშნავს, რომ ამგვარი მიდგომის შედეგად, შედარებით-ტიპოლოგიური კვლევა-ძიებისას ენათმეცნიერები გამოყოფენ ათეულობით და ასეულობით შესაბამისობებს ამა თუ იმ ენაში. კრისტალურ გისოსში მიმდინარე ცვლილებების მსგავსად, რომლის შენძრევის დროს შეიმჩნევა სიმეტრიისაგან განსხვავებული ორი ტიპი – ვაკანტური ადგილების გაჩენა და გადაადგილება (დისლოკაცია), – ენაში ასიმეტრიული მოვლენები იწვევს ელემენტთა მოცილებას ან ცვლილებას და ხარისხობრივ ან რაოდენობრივ გარდაქმნებს. ეს შეიმჩნევა როგორც პარადიგმატულ, ასევე სინტაგმატურ დონეზე. (გაკი 1998: 108). წესრიგში შეიმჩნევა უწესრიგობის ელემენტები, ხოლო უწესრიგობაში არსებობს გარკვეული წესრიგი. კრისტალების სიმეტრია შეიძლება ჩაითვალოს სტატიკურ სიმეტრიად, რომელიც მხოლოდ ერთ ობიექტს ეხება. ამას ეწოდება სტრუქტურული სიმეტრია, როდესაც შეიმჩნევა მოცემული ობიექტის შემადგენელ ნაწილთა ერთგვარი შესაბამისობა.

გეომეტრიაში სიმეტრია არის იმ ფიგურათა მსგავსება, რომლებიც წარმოქმნილია ერთ-ერთი მათგანის მეორედ გარდაქმნის შედეგად. ამ შემთხვევაში, სიმეტრია გამოავლენს ორი განსხვავებული ობიექტის შესაბამისობას და მიუთითებს ნიშანთა უცვლელობაზე. ფიზიკაში სიმეტრიამ და ასიმეტრიამ დინამიკური განმარტება შეიძინა, რამდენადაც ფიზიკა მეცნიერებაა დინამიკური პროცესების შესახებ. პ.კიური იყენებდა ამ ცნებებს მოვლენათა მიზეზ-შედეგობრივი დამოკიდებულებების გამოსავლენად – მოძრაობის დროს მათი შენარჩუნება თუ ცვლილება. იგივე ხდება ლინგვისტიკაშიც.

სიმეტრია/ასიმეტრიის გამოვლენის ტენდენცია შეინიშნება მეცნიერების სხვადასხვა სფეროში. ზემოთაღნიშნულის გარდა, აღსანიშნავია აგრეთვე ბიოლოგია, ფსიქოლოგია, ხელოვნებათმცოდნეობა.

ვ. გოტი, განიხილავს რა სიმეტრიასა და ასიმეტრიას არაცოცხალ და ცოცხალ ბუნებაში, გვაძლევს სიმეტრიისა და ასიმეტრიის კატეგორიების შემდეგ დეფინიციას: “სიმეტრია – ესაა ცნება, რომელიც ასახავს ობიექტურ სინამდვილეში არსებულ წესრიგს, მთელის შემადგენელ ნაწილებს შორის არსებულ პროპორციულობას, გარკვეულ გაწონასწორებულ მდგომარეობას, სიმტკიცეს; ხოლო ასიმეტრია – სიმეტრიის საპირისპირო ცნებაა, რომელიც ასახავს სამყაროში არსებული წონასწორობის დარღვევებს, რაც დაკავშირებულია ცვლილებებთან, განვითარებასთან. ვ. გოტი შემდგომ აღნიშნავს: “ასიმეტრია ეწოდება სიმეტრიის ელემენტების არარსებობას ობიექტში. ასეთი ობიექტი (ფიგურა) არ იყოფა თანაბარ ნაწილებად.” (გოტი 1965: 29-30)

ასიმეტრია ცვლილებების სტრუქტურის და სამყაროს მოვლენების ურთიერთდამოკიდებულების ისეთივე აუცილებელი თვისებაა, როგორც სიმეტრია. სიმეტრიისა და ასიმეტრიის მრავალი თვისება დაკავშირებულია სიმშვიდისა და მოქმედების ერთიანობასთან.

ანტისიმეტრია ასიმეტრიის კერძო შემთხვევაა. ანტისიმეტრიული ოპერაცია მოიცავს სიმეტრიის გარკვეულ ოპერაციას, რომელიც დაკავშირებულია ფიგურის ნიშნის ცვლილების ოპერაციასთან. ფიგურის ნიშანში იგულისხმება ობიექტის სხვადასხვა დამახასიათებელი ნიშანი.

ა. შუბნიკოვის მიხედვით, შეუძლებელია სიმეტრიის განხილვა მისი ანტიპოდის – დისიმეტრიის გარეშე. იგი თვლის, რომ სიმეტრია შეესაბამება სიმტკიცეს, მდგრადობას, ხოლო დისიმეტრიაში (ასიმეტრიაში) აისახება მოვლენათა ის მხარე, რომელიც შეესაბამება მოქმედებას, ცვლილებას და რომ ერთიანი ცნება – სიმეტრია/დისიმეტრია – ამოუწურავია. (შუბნიკოვი 1946: 162)

მიუხედავად იმისა, რომ სიმეტრიის ცნება მოიცავს სიმშვიდის, წონასწორობის მომენტს, ხოლო ასიმეტრია – მოძრაობის, ცვლილებების მომენტს, – ვ. გოტის მიხედვით, სიმეტრიის ცნებამ შეიძლება მოიცავს მოვლენათა ისეთი მხარეებიც, რომელთაც არ ახასიათებს სიმშვიდე. ასეთია, მაგ. მოძრაობის ამა თუ იმ მდგომარეობის მუდმივი განმეორებითობა, მათი

პერიოდულობა. ისინი სიმეტრიულია, თუმცა ეს არ არის სიმშვიდის მდგომარეობა.

კ. გოტი იყენებს ტერმინს “დისიმეტრია”, რომლითაც იგი აღნიშნავს ობიექტში სიმეტრიის ზოგიერთი ელემენტის არარსებობას. “დისიმეტრიის” ცნება ფართოდ არის გაგრძელებული კრისტალოგრაფიულ, ბიოლოგიურ, ქიმიურ და ფიზიკურ ლიტერატურაში. მეცნიერებაში იგი დაამკვიდრა ლუი პასტერმა, ხოლო პიერ კიურიმ ის უფრო განავრცო და მიანიჭა მას ფილოსოფიური ჟღერადობა. იგი დისიმეტრიას განსაზღვრავს, როგორც სიმეტრიის ყველა იმ ელემენტის ერთობლიობას, რომელიც არ არის მოცემული ფიგურაში. პიერ კიურის აზრით, დისიმეტრია უფრო მნიშვნელოვან როლს თამაშობს ახალი მოვლენების წინასწარმეტყველებისას, ვიდრე სიმეტრია. ამგვარად, იგი თვლის, რომ სწორედ დისიმეტრია ქმნის მოვლენას და რამდენადაც სიმეტრიის არარსებულ ელემენტთა რიცხვი უსასრულოდ დიდია, ამიტომ უფრო იოლია გადავთვალოთ სიმეტრიის (არსებული) ელემენტები, ვიდრე დისიმეტრიის (სიმეტრიის არარსებული) ელემენტები. მისი სიტყვებით, მართალია დისიმეტრია სიმეტრიის ჩრდილში რჩება, მაგრამ ამავე დროს სიმეტრია და დისიმეტრია (სხვა ტერმინოლოგიით ასიმეტრია) ნებისმიერი გამოვლენისას იმყოფებიან შედარებით ერთიანობასა და უწყვეტ “ბრძოლაში”. (გოტი 1965: 11)

სამყარო არის დაპირისპირებულობის სიმეტრიულ-ასიმეტრიული სისტემა. მატერიალურ სამყაროში ადგილი აქვს სიმეტრიის პრინციპს, რომელსაც ფილოსოფიაში შეესაბამება ერთიანობის დიალექტიკური კანონი და წინააღმდეგობრიობის ბრძოლა. ეს კანონი შესაძლებელია ორ შემადგენელ ნაწილად დაიყოს:

1. ყოველგვარ საწყისს შეესაბამება საწინააღმდეგო, საპირისპირო საწყისი.
2. ყოველ ქმედებას აქვს უკუქმედება.

სიმეტრია და ასიმეტრია შედარებითი ცნებებია, ვინაიდან სიმეტრიის მნიშვნელობა აიხსნება ასიმეტრიით, რომელიც წარმოადგენს სიმეტრიის ცვლილების, დარღვევის შედეგს. სიმეტრია/ასიმეტრია არის დიალექტიკის ზოგადი კანონის გამოვლენის ერთ-ერთი ფორმა; ეს არის ერთიანობისა და ურთიერთდაპირისპირებულობის ბრძოლის კანონი, რაც განაპირობებს ცვლილებასა და ევოლუციას ცოცხალ და არაცოცხალ ბუნებაში. მოცემული კატეგორიები დაკავშირებულია ისეთ კატეგორიებთან, როგორცაა სივრცე და დრო, ფორმა და შინაარსი, რაოდენობა და თვისება და ა.შ. აქედან

გამომდინარეობს, რომ საკუთრივ სიმეტრიისა და ასიმეტრიის კატეგორიები გვევლინება საყოველთაო კატეგორიებად. განსხვავებულ პროცესებსა და კატეგორიებში მსგავსი მახასიათებლებისა და ნიშნების გამოყოფა არის ახალი კატეგორიების წარმოქმნის ერთ-ერთი საშუალება. (გოტი 1965: 31)

ამგვარად, სიმეტრია არის მოწესრიგებულობა, რეგულარობა, საგანთა ერთგვაროვნება, სიმყარის, წონასწორობის, ობიექტური სამყაროს გამოხატულება. ასიმეტრია კი საპირისპირო ცნებაა. მასში ვლინდება მოწესრიგებულობის, რეგულარობის, ერთგვაროვნების, სიმყარისა და წონასწორობის დარღვევა, რაც დაკავშირებულია სისტემის ორგანიზაციულ ცვლილებებთან.

სიმეტრიისა და ასიმეტრიის კატეგორიები პირდაპირ კავშირშია მარადიულობასთან, მოძრაობასა და მატერიასთან, სივრცესა და დროსთან, როგორც მატერიის არსებობის ფორმებთან. მივიჩნით რა სიმეტრია სისტემურობის უპირველეს ნიშნად, ხოლო ასიმეტრია – ასისტემურობის უპირველეს ნიშნად, დროა განვიხილოთ ენაში არსებული სიმეტრიული და ასიმეტრიული მოვლენები მთელი რიგი ლინგვისტების გამოკვლევებში.

ლინგვისტები, რომლებიც იკვლევენ ენობრივ არქიტექტონიკაში სიმეტრიისა და ასიმეტრიის გამოვლენის ცალკეულ ფორმებს, ადასტურებენ, რომ ასიმეტრია, რომელიც არსებობს როგორც გამოხატულების, ასევე შინაარსის პლანში, განაპირობებს ენობრივი სისტემების კომპაქტურობასა და ეკონომიას.

ს.კარცვესკი შესანიშნავად ახდენს ნიშანსა და მნიშვნელობას შორის არსებული შეუთავსებლობის დემონსტრირებას:

“ნიშანი და მნიშვნელობა მთლიანად არ ფარავს ერთმანეთს. მათი საზღვრები ერთმანეთს არ ემთხვევა ყველა წერტილში: ერთსა და იმავე ნიშანს აქვს რამდენიმე ფუნქცია, ასევე ერთი და იგივე მნიშვნელობა გამოიხატება სხვადასხვა ნიშნით. ყოველი ნიშანი ერთდროულად გვევლინება პოტენციურ “ომონიმადაც” და “სინონიმადაც”, ანუ იგი იწარმოება ამ ორი რიგის აზრობრივი მოვლენის ურთიერთგადაკვეთით”. (კარცვესკი 1929 [1956]: 18)

ენობრივი ნიშანი რომ უძრავი იყოს და მხოლოდ ერთ ფუნქციას ასრულებდეს, ენა იქნებოდა ეტიკეტების უბრალო კრებული. ასევე შეუძლებელია წარმოვიდგინოთ ისეთი ენა, რომლის ნიშნები იმდენად მოძრავი იყოს, რომ არაფერს აღნიშნავდეს კონკრეტული სიტუაციების გარეშე. ამგვარად, ლინგვისტური ნიშნის ბუნება ერთდროულად უცვლელიც უნდა იყოს და

მოძრავიც. შეუძლია რა შეეწიოს კონკრეტულ სიტუაციას, ნიშანი მხოლოდ ნაწილობრივ შეიძლება შეიცვალოს და აუცილებელია, რომ მეორე ნაწილის უძრავობის წყალობით, ნიშანი დარჩეს თავისი თავის მსგავსი.

ახალი ელემენტი, ს. კარცევსკის მიხედვით, ყოველთვის ჩართულია ძველ ჩარჩოებში. მოვლენის შეცნობა ნიშნავს მის ჩართვას ჩვენი ცოდნის მთლიანობაში, კოორდინატების დადგენას, რომელთა ურთიერთგადაკვეთისას შესაძლებელია მისი პოვნა. მართლაც, სინამდვილეში ახლებად გვევლინება არა თვით კოორდინატები, არამედ მათი ურთიერთდამოკიდებულება და ურთიერთგადაკვეთა. თავისი შინაგანი სტრუქტურით, ლინგვისტური ნიშანი შეესატყვისება განზოგადების სხვადასხვა დონის კოორდინატთა ურთიერთგადაკვეთას, რაც უკავშირდება სემასიოლოგიურ პლანს, რომელსაც ის ეკუთვნის. ჭეშმარიტად ახალი – მაგ. სიტყვაში, რომელიც ახლახან შეიქმნა – არის კოორდინატთა ურთიერთგადაკვეთა და არა თვით კოორდინატები. სხვაგვარად არც შეიძლება მოხდეს, ვინაიდან ნებისმიერი სიტყვა გაჩენისთანავე აღნიშნავს სახეობას და არა ინდივიდს.

როგორც ს. კარცევსკი აღნიშნავს, ზოგადი და ინდივიდუალური მოცემულია სემიოლოგიურ სისტემაში არა როგორც არსი, არამედ როგორც ორი კოორდინატის ანდა სემიოლოგიურ მნიშვნელობათა ორი რიგის ურთიერთდამოკიდებულება, რომელთაგან ერთი ახდენს მეორის დიფერენციაციას. თუმცა დაუინებით არ უნდა მივსდით ლინგვისტური ნიშნის დიფერენციაციას, რამდენადაც წმინდა ურთიერთდაპირისპირებას მივყავართ ერთგვარ ქაოსამდე, რაც ვერ იქნება სისტემის საფუძველი. ჭეშმარიტი დიფერენციაცია ერთდროულად ვარაუდობს მსგავსებასა და განსხვავებას; აზრობრივი მოვლენები აწარმოებენ მწკრივებს, რიგებს, რომლებიც ეფუძნება ზოგად ელემენტს და ერთმანეთს უპირისპირდება მხოლოდ ამ რიგებს შიგნით.

ერთი და იგივე ბგერითი ნიშანი სხვადასხვა რიგში შეიძლება გამოვიყენოთ სხვადასხვა მნიშვნელობის გადმოსაცემად და პირიქით: ერთი და იგივე მნიშვნელობა სხვადასხვა რიგებს შიგნით შესაძლოა წარმოდგენილი იქნეს სხვადასხვა ნიშნით. ს. კარცევსკი ომოფონიას განიხილავს, როგორც ზოგად მოვლენას, ხოლო ომონიმიას, როგორც მის კერძო შემთხვევას, რომელიც ენის ცნებით ასპექტებში ვლინდება. ომონიმიის საპირისპირო მოვლენა (ჰეტეროფონია) ცნებით ასპექტებში ვლინდება, როგორც სინონიმია. “თუმცა ეს სხვა არაფერია, თუ არა ერთი და იგივე ზოგადი პრინციპის ორი მხარე, რომელიც შეიძლება

შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს: ყველა ლინგვისტური ერთეული პოტენციურად გვევლინება ომონიმადაც და სინონიმადაც. სხვაგვარად რომ ვთქვათ, იგი ერთდროულად განეკუთვნება როგორც ერთი და იგივე ნიშნის გადატანით, ტრანსპონირებული მნიშვნელობების რიგს, ასევე მსგავსი მნიშვნელობების რიგს, რომლებიც გამოხატულია სხვადასხვა ნიშნით. ეს ლოგიკური შედეგი ნიშნის დიფერენციალური ხასიათიდან გამომდინარეობს; ყველა ლინგვისტური ნიშანი აუცილებლად უნდა იყოს დიფერენციალური, სხვაგვარად იგი არაფრით არ იქნება განსხვავებული ჩვეულებრივი სიგნალისაგან”. (კარცევსკი 1929 [1956]: 20)

ს.კარცევსკი განიხილავს ომონიმიასა და სინონიმიას, როგორც შედარებით კოორდინატებს, რომლებსაც ყველაზე მეტად შეუძლია შეეხონ კონკრეტულ რეალობას. ომონიმური რიგი ბუნებით უფრო ფსიქოლოგიურია და ასოციაციებს ეყრდნობა. სინონიმურ რიგს კი უფრო ლოგიკური ხასიათი აქვს, ვინაიდან მისი წევრები მოვლენათა ერთი და იგივე კლასის სახესხვაობებია და ამ რიგის წევრთა რიცხვი განსაზღვრული არ არის, რიგი ყოველთვის ღიაა: პოტენციურად რომც არსებობდეს, მოცემული მნიშვნელობის შესვლა ამ კლასში დასაშვებია.

თავის მხრივ, ომონიმური რიგიც გარკვეულწილად გახსნილია, რამდენადაც შეუძლებელია წინასწარ განვსაზღვროთ, თუ სად ჩაერთვება ესა თუ ის ნიშანი ასოციაციური თამაშის მიხედვით. თუმცა, ს. კარცევსკის თანახმად, ყოველ მოცემულ მომენტში გვაქვს მხოლოდ ორი რგოლი, რომლებიც ერთმანეთისკენ მიემართება, როგორც ტრანსპონირებული ნიშანი მიემართება “ადეკვატურ” ნიშანს, რომელიც კონტექსტში შენარჩუნებულია *tertium comparationis* (მესამე შესადარებელი) პრინციპით.

“სრულ” ნიშანში ს. კარცევსკი გამოყოფს სემიოლოგიური ფუნქციების ორ ურთიერთდაპირისპირებულ ცენტრს: ერთი მათგანი თავის ირგვლივ აჯგუფებს ფორმალურ მნიშვნელობებს, ხოლო მეორე – სემანტიკურ მნიშვნელობებს. სიტყვის ფორმალური მნიშვნელობები (სქესი, რიცხვი, ბრუნვა, ასპექტი, დრო და ა.შ.) წარმოადგენს მნიშვნელობის, შინაარსის ელემენტებს, რომელიც ცნობილია ყველა მოსაუბრისათვის; ეს ელემენტები არ ექვემდებარება, შეიძლება ითქვას, სუბიექტური განმარტების საშიშროებას მოსაუბრის მხრიდან; მიჩნეულია, რომ ისინი საკუთარი თავის მსგავსია ნებისმიერ სიტუაციაში. სიტყვის სემანტიკური ნაწილი კი, პირიქით, წარმოადგენს ერთგვარი სახის გადმონაშთს, რომელიც უპირისპირდება ყოველგვარ მცდელობას გაიყოს ეს ელემენტები ისეთ “ობიექტურ” ელემენტებად, როგორებადაც გვევლინება ფორმალური

მნიშვნელობები. სიტყვის ზუსტი სემანტიკური მნიშვნელობა შეიძლება დადგინდეს კონკრეტულ სიტუაციასთან კავშირში. “ყოველთვის, როცა ჩვენ განვიხილავთ სიტყვას, როგორც სემანტიკური მნიშვნელობის მიმართებას რეალურ სინამდვილესთან, ჩვენ ვფარავთ წარმოდგენათა მეტნაკლებად ახალ ერთობლიობას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მუდმივად ვახდენთ ტრანსპონირებას და ვიყენებთ ნიშნის გადატანით სემანტიკურ ღირებულებას. თუმცა ამას მხოლოდ მაშინ ვაკეთებთ, როდესაც ნიშნის “ადეკვატურ” და შემთხვევით ღირებულებას შორის სხვაობა იმდენად დიდია, რომ ეს ჩვენზე გარკვეულ შთაბეჭდილებას ახდენს. ნიშნის მსგავსება მეტნაკლებად შენარჩუნებულია: პირველ შემთხვევაში ნიშანი განაგრძობს არსებობას, ვინაიდან, ვიხრებით რა ინტეგრაციისაკენ, არ ვითვალისწინებთ იმ ცვლილებებს, რომელიც ხდება წარმოდგენათა ერთობლიობაში; მეორე შემთხვევაში კი, როგორც ჩანს, ნიშანი აგრძელებს არსებობას, რამდენადაც *tertium comparationis* შემოყვანით ერთგვარი წინაპირობა შევუქმენით ძველი ნიშნის ახალ ღირებულებას”. (კარცევსკი 1929 [1956]: 22)

სიტყვის სემიოლოგიური მნიშვნელობების მეორე ცენტრი, კერძოდ კი ფორმალური მნიშვნელობების დაჯგუფება, ს. კარცევსკის მიხედვით, შეიძლება ასევე იქნეს ტრანსპონირებული, ე.ი. გამოყენებული იქნეს გადატანითი მნიშვნელობით. გრამატიკული ტრანსპოზიცია, ძირითადი ნიშნებით, სემანტიკური ტრანსპოზიციის მსგავსია. ორივე მათგანი ხორციელდება კონკრეტულ რეალობასთან კავშირში. მათ შორის ძირითადი სხვაობა ის არის, რომ ფორმალური მნიშვნელობები, ბუნებრივია, უფრო ზოგადი ხასიათისაა სემანტიკურ მნიშვნელობებთან შედარებით. ამიტომაც გრამატიკული მნიშვნელობები შედარებით მტკიცეა, მყარია, ხოლო მათი ტრანსპოზიციები – მეტნაკლებად “რეგულარული”.

ს.კარცევსკის აზრით, სასურველი იქნებოდა სინტაქსში შეგვესწავლა არამარტო თითოეული ფორმის ომონიმური და სინონიმური ცვლილებები (რაც, პრინციპში, ერთადერთი საშუალებაა ნებისმიერი ფორმის ფუნქციის დასადგენად), არამედ განგვესაზღვრა კიდევ თუ რომელ კონკრეტულ სიტუაციაში და რომელ ცნებებთან კავშირში შეიძლება ნიშნის მნიშვნელობა დაუპირისპირდეს საკუთარ თავს.

აღსანიშნავია, რომ ს. კარცევსკის მიერ დამუშავებული ენობრივი ნიშნის ასიმეტრიის თეორია მოიცავდა ასიმეტრიას მხოლოდ პარადიგმატულ დერძზე,

რომელიც ორი სახით ვლინდება: აღსანიშნის ვარიატულობა უცვლელ აღმნიშვნელთან (პოლისემია) და აღმნიშვნელის ვარიატულობა უცვლელ აღსანიშნთან (ალომორფია). ვ. გაკმა კი შემოგვთავაზა ნიშნის ასიმეტრიის ახალი, გაფართოებული განმარტება, რომელიც არ არის შემოფარგლული მხოლოდ პარადიგმატული ასპექტით. ასიმეტრია ვლინდება სინტაგმატურ და სემიოტიკურ ასპექტშიც. ასიმეტრიის სინტაგმატური ასპექტი მოიცავს: ა) ერთი აზრობრივი ერთეულის გამოსატყვას ორი ან მეტი ფორმალური ერთეულის კომბინაციით (ფართო მნიშვნელობა, ანალიტიკური კონსტრუქციები, ფრაზეოლოგიზმები) და ბ) ერთი ფორმალური ერთეულის გამოსატყვას ორი ან მეტი აზრობრივი ერთეულის კომბინაციით (კონდენსაცია, შემცირებული მნიშვნელობა, ამაღვამირება, კუმულაცია და ა.შ). ასიმეტრია სემიოტიკურ პლანში მოიცავს ისეთ მოვლენებს, როგორიცაა: ა) მოსალოდნელი ფორმალური ერთეულის არარსებობა შესაბამისი აზრობრივი ერთეულის არსებობის შემთხვევაში (გამარტივებული მნიშვნელობა, ნულოვანი ნიშანი, ელიპსისი) და ბ) მოსალოდნელი აზრობრივი ერთეულის არარსებობა შესაბამისი ფორმალური ერთეულის არსებობის შემთხვევაში (დესემანტიზაცია, ცარიელი და გამოცარიელებული ნიშნების გამოყენება, ნიშნის სემიოტიკური სიჭარბე).

ვ. გაკი ასევე გამოყოფს ენობრივი სიმეტრიის სამ ტიპს:

1. ცალკეული ობიექტის სტატიკური სიმეტრია: A- ცალკეულ ენაში
2. ამგვარი ელემენტის განვითარების დინამიკური სიმეტრია :A→A
3. ორი ობიექტის შესაბამისობა – ჰომოლოგიური სიმეტრია : A↔B

ცალკეული ობიექტის სტატიკური სიმეტრია, ვ. გაკის მიხედვით, აღნიშნავს ცალკეული ენის სისტემათა რგოლებში ანალოგიური ნიშნებისა და ელემენტების შენარჩუნებას, მათი შესაბამისობის რეგულარობას. ამასთან, ასეთი სახის ანალიზი მოითხოვს არამარტო ენის აგებულების, არამედ ენის ფუნქციონირების კვლევასაც.

მკვლევარი თვლის, რომ სინქრონულ ასპექტში ცალკეული ობიექტის სტატიკური ასიმეტრია ვლინდება სისტემის, სტრუქტურისა და ფუნქციონირების პლანში. ამრიგად, ასიმეტრიის ცნება მჭიდროდ უკავშირდება ენაში ბირთვისა და პერიფერიის ცნებას. ენობრივი ფაქტების დაყოფას ბირთვულ და პერიფერიულ ფაქტებად ადგილი აქვს მხოლოდ ენის არქიტექტონიკაში ასიმეტრიის არსებობისას.

დაპირისპირებულ ობიექტთა ჰომოლოგიური ასიმეტრია ვლინდება ენათა შედარების დროს, რაც ვ. გაკის კონცეფციის თანახმად, შეგვიძლია შევადაროთ გეომეტრიული ფიგურების ასახვას. იმ შემთხვევაში, როცა პროპორციები არ ირღვევა, საქმე გვაქვს ჰომომორფიზმთან. ენათა შედარებისას შეგვიძლია დავადგინოთ ჰომომორფიზმის მეტნაკლები ხარისხი ანუ თანაფარდობის სიმეტრია. სიმეტრია ირღვევა სინტაგმატურ დონეზე იმ შემთხვევაში, თუ ერთი ენის მარტივ სიტყვას მეორე ენაში შეესატყვისება აფიქსალური ან იმავე ფუძის მქონე რთული სიტყვა. უფრო ხშირად გვხვდება პარადიგმატული ასიმეტრია, როდესაც ერთი და იგივე ეტიმოლოგიური კავშირის მქონე სიტყვა სხვადასხვა მნიშვნელობას იღებს ამა თუ იმ ენაში და პირიქით, როდესაც ერთი და იგივე მნიშვნელობა გამოიხატება სხვადასხვა სიტყვით. ენათმეცნიერებაში შესაძლებელია ერთმანეთს შევადაროთ ერთი ენის სხვადასხვა სინქრონული ჭრილი, მონათესავე ენები და არამონათესავე ენები.

დინამიკური სიმეტრია ვლინდება მნიშვნელობათა და ფორმათა შენარჩუნებისას ენის ევოლუციის პროცესში, ასევე სიტყვათწარმოების დროს და ენის ერთი ფორმიდან მეორის მიღების დანარჩენ შემთხვევებში. ასიმეტრია კი ვლინდება აღნიშნული შესაბამისობების დარღვევისას. ასიმეტრია მჟღავნდება როგორც ლათინური ენიდან თანამედროვე რომანული ენების ჩამოყალიბების პროცესში (ენობრივი კონტაქტების პრობლემა), ასევე შიდაენობრივი დინამიკის სხვადასხვა სფეროს ანალიზის დროს. (აქ იგულისხმება ფრაზეოლოგიზმების წარმოქმნა, გრამატიკალიზაცია, ლექსიკალიზაცია, სიტყვათა და გრამატიკულ ფორმათა გადატანითი მნიშვნელობის ფორმირება და სხვა ენისმიერი მოვლენები). დინამიკური სიმეტრია ვლინდება ენის ცალკეული მოვლენების განვითარების პროცესში და ორიენტირებულია დროით კოორდინატზე.

ენა მოძრაობს არამარტო სიმეტრიის დადგენის მიმართულებით, არამედ ასიმეტრიის მიმართულებითაც. მაგ. ენაში მუდმივად შეიმჩნევა ომონიმების გაქრობა, მრავალმნიშვნელობის რედუქცია და სხვა მსგავსი მოვლენები, რომლებიც ქმნის სიმეტრიას. თუმცა აქვე ფიქსირდება გამოხატვის საშუალებათა ფართო ვარირება, ახალი ომონიმების, ანალიტიკური კონსტრუქციებისა და გამოხატვის საშუალებათა წარმოქმნა და ენობრივი სისტემის ასიმეტრიის დანარჩენი ფაქტები.

სტატიკურ სიმეტრიას ადგილი აქვს სინქრონულ პლანში ენის ნებისმიერი დონის ნებისმიერი გამოვლენისას. მის საფუძველზე ყალიბდება შემდეგი ორი ტიპი:

ჰომოლოგიური სიმეტრია (გადატანის სიმეტრია) ეხება ორ ენას მათი კონტრასტული განხილვის დროს ან ერთი ენიდან მეორე ენაზე თარგმანის პროცესში. სიმეტრიის აღნიშნული ტიპი ვლინდება ერთი და იმავე ენის ორი დროითი ჭრილის დაპირისპირებისას, ენის ტერიტორიალური თუ ფუნქციონალური სახესხვაობების შედარების დროს. ამგვარი სიმეტრია ორიენტირებულია სივრცით კოორდინატზე ერთი ენის სხვადასხვა დროითი ჭრილის შესწავლის შემთხვევაშიც კი, ვინაიდან ამ შემთხვევაში ისინი განიხილება, როგორც სინქრონულად განლაგებული ორი ენობრივი მდგომარეობა.

ნაწილობრივ სიმეტრია/ასიმეტრიას ადგილი აქვს, როდესაც ენაში შეიმჩნევა ისეთი უბნები, რომლებშიც შესადარებელი ელემენტებიდან ერთ-ერთი ერთი ნაწილით არის მეორე ელემენტის სიმეტრიული, ხოლო მეორე ნაწილით – მესამე ელემენტის სიმეტრიული. მსგავს მოვლენებს ვხვდებით სამმაგი სიმეტრია/ასიმეტრიის შემთხვევებში.

ნაწილობრივი სიმეტრია შეიძლება იყოს არასრული იმ შემთხვევაში, თუკი “სიმეტრიული სამკუთხედი” არ შეიკვრება და სამიდან ორი ელემენტი არ შეერთდება განსაკუთრებული ნიშნით. ენის სტრუქტურაში გვხვდება არაერთი კატეგორია, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულია ნაწილობრივი სიმეტრიის (სრული ან არასრული) ამგვარი დამოკიდებულებებით.

ასიმეტრია მუდმივი და ამავედროულად უნივერსალური მოვლენაა. იგი უნდა განვიხილოთ არა როგორც ენის “ავადმყოფობა”, ენის “უკმარისობა”, არამედ როგორც ენობრივი სისტემის უმნიშვნელოვანესი კომპონენტი, რომელიც დაკავშირებულია ენის აგებულებასა და ფუნქციონირებასთან. ამიტომაც განსაკუთრებული ყურადღების ღირსია სიმეტრია თავად ასიმეტრიაში.

ასიმეტრია, რომელიც წარმოადგენს ენის განვითარების მამოძრავებელ ძალას, უპირველეს ყოვლისა, ეყრდნობა ადამიანის ფსიქოლოგიისა და აზროვნების თავისებურებას. ამასთან დაკავშირებით ვ. ივანოვი მიიჩნევს, რომ ადამიანის მისწრაფება ასიმეტრიისაკენ აისახება თავის ტვინის ნახევარსფეროს ასიმეტრიულობით.

სიმეტრია და ასიმეტრია ენაში არსებობს არამყარი წონასწორობის მდგომარეობაში. მუდმივად ადგილი აქვს მოძრაობას ერთი მოვლენიდან მეორისაკენ და პირიქით. სიმეტრია მოსახერხებელია თავისი ერთგვაროვნებით, რასაც ხელს უწყობს გათანაბრება ანალოგიების მიხედვით და რასაც მივყავართ ასიმეტრიულ ფორმათა უარყოფასთან. როგორც წესი, სიმეტრიული ფორმები უფრო მოტივირებულია, ისინი იოლად აღიქმება და გამოიყენება, გამოდევნის რა არამოტივირებულ ასიმეტრიულ ფორმებს, რომლებიც ატარებს არა კვალიფიციურ, არამედ ინდივიდუალიზებულ ხასიათს. მიუხედავად ამისა, სიმეტრიამ შესაძლოა მაინც დაუთმოს ადგილი ასიმეტრიას.

ყოველ ცოცხალ ენაში არსებობს სიმეტრიულ ფორმათა არარსებობის კომპენსაციის გარკვეული საშუალება. სწორედ ასიმეტრიულობის უკუგდების ტენდენციებში მუდმივდება სიმეტრიულობის ანუ ენის სისტემურობის შენარჩუნების სურვილი.

ასიმეტრიული და სიმეტრიული მოვლენები არსებობს ენის სხვადასხვა დონეზე: ფონოლოგიურ, სინტაქსურ თუ მორფოლოგიურ დონეებზე.

მორფოლოგიურ დონეზე სიმეტრიისა და ასიმეტრიის საკითხი ძირითადად ენის გრამატიკული წყობის დადგენისას ბინარული ოპოზიციების არსებობასა და მათ უარყოფას უკავშირდება.

ამასთან დაკავშირებით ვ. ბგაშევი აღნიშნავს, რომ მკვლევარები, რომლებიც შეისწავლიან ენობრივი სტრუქტურის სიმეტრიასა და ასიმეტრიას მორფოლოგიურ დონეზე, ხშირად განიხილავენ მხოლოდ სიმეტრიას და მთლიანად ივიწყებენ მის საპირისპირო ცნებას – ასიმეტრიას, რომელსაც მიიჩნევენ ექსტრალინგვისტური სუბსტანციების ზემოქმედების შედეგად ენის სტრუქტურაში წარმოქმნილ მოვლენად.

სიმეტრია მორფოლოგიურ დონეზე განიხილება, როგორც “ენის სისტემის აგების განსაზღვრული რეგულარობა, ამ აგების ზოგადი პრინციპების განმეორებითობა მის ცალკეულ ნაწილებსა და ქვესისტემებში”.

ასიმეტრია წარმოადგენს “ენობრივი სისტემის ზომიერების, წონასწორობის რღვევას, რაც განპირობებულია ენისთვის დამახასიათებელი ცვლილებებითა და განვითარებით და რომელიც, თავის მხრივ, იწვევს მთელი სისტემის გარდაქმნას”. (ბგაშევი 1990: 23)

ასიმეტრიული მოვლენები ხორციელდება ენის კონსტრუქციული მახასიათებლების წრეში და სემანტიკის სფეროში, ე. ი. როგორც გამოსატყულების, ისე შინაარსის პლანში.

ვ. ბგაშვილი მიუთითებს, რომ ენის სტრუქტურაში არ არსებობს “წმინდა” სიმეტრია და ასიმეტრია და მეცნიერულ განზომილებებში ადგილი აქვს მათი ერთიანობის განსაზღვრულ ფორმებს.

სიმეტრიული ენობრივი სტრუქტურა ასევე მოიცავს ასიმეტრიის ამა თუ იმ ნიშნებს. ამით შეიძლება აიხსნას ენობრივი სისტემის დინამიკური მდგრადობა.

სტრუქტურის ასიმეტრია წარმოიქმნება ახალი თვისებების მქონე ელემენტების წარმოქმნისა და ძველი თვისებების მქონე ელემენტების გაქრობისას. მათი შეჯახებისა და ურთიერთზემოქმედების შედეგად ირღვევა სისტემის სიმეტრიულობა და ამავდროულად იზრდება მისი ასიმეტრიულობა. სიმეტრიისა და ასიმეტრიის ბრძოლას მივყავართ სისტემის ცვლილებებთან და მის გარდაქმნასთან, რაც განაპირობებს ახალი ასისტემური და ანტისისტემური მოვლენების წარმოქმნას.

ამგვარად, ენაში სისტემის ასიმეტრიის ცნება ემთხვევა სისტემაში ასისტემური მოვლენების არსებობის ცნებას.

ფ. მაულერი თავის სტატიაში “ასიმეტრიის სახეები ენობრივი ნიშნის მხარეებს შორის” აღნიშნავს, რომ “ზედსართავი სახელის – “ასიმეტრიული” – გამოყენება გულისხმობს, რომ ნიშნის ერთი ნაწილი არის სიმეტრიული, ჰარმონიული, ხოლო მისი მეორე ნაწილი არის “დეფექტური”, ანუ სიმეტრიას, წონასწორობას მოკლებული”. (მაულერი 1987: 13). ფ. მაულერის მიხედვით, ენობრივი ნიშნის მხარეებს – აღსანიშნა და აღმნიშვნელს – შორის, ყველაზე იდეალურ შემთხვევაშიც კი, არ არსებობს არანაირი სიმეტრია. ენობრივი ნიშანი წარმოადგენს კონვენციურ გაერთიანებას, მატერიალური ერთეულებისა (უღერადობა) და გონებრივი მოქმედების ერთეულების (გაგება, განსჯა) ერთიანობას. ნიშნის ამ ორ მხარეს ერთმანეთთან საერთო ნაკლებად აქვთ. თუ ამ შემთხვევაში ვისაუბრებთ სიმეტრიაზე, იგი იქნება სულ სხვა სახის სიმეტრია და მოგვაგონებს ცნობილ ბალანსს, სიმტკიცეს ნიშნის მხარეებს შორის. ფ. მაულერი გამოყოფს თვისობრივ და რაოდენობრივ ასიმეტრიას. თვისობრივ ასიმეტრიაში იგი გულისხმობს “ყველა იმ შეუსაბამობას, რომელიც აღინიშნება ენობრივი ნიშნის მხარეებს შორის მათი ურღვევი ერთიანობის მიუხედავად:

1. გამოსატყვის პლანის სწორხაზოვნება ვერ პოულობს შესაბამისობას შინაარსის პლანში, რომელიც გლობალურ ხასიათს ატარებს.

2. შეუთანხმებლობა შინაარსისა და ფორმის ერთეულთა შორის.

3. წინააღმდეგობათა მთელი კომპლექსი ენობრივ ერთეულთა ფორმასა და შინაარსს შორის”. (მაულერი 1987: 14)

შეუსაბამობა და წინააღმდეგობა ენობრივი ნიშნის მხარეებს შორის მთლიანობაში ქმნის თვისობრივ ასიმეტრიას, რომელიც, ფ.მაულერის მიხედვით, განისაზღვრება თავად ენის ბუნებით და იგი აუცილებელია.

მოვლენათა მეორე კომპლექსი ქმნის რაოდენობრივ ასიმეტრიას, რომელიც ხორციელდება მხოლოდ თვისობრივი ასიმეტრიის წყალობით. რაოდენობრივი ასიმეტრია, როგორც წესი, განისაზღვრება გარეგანი ფაქტორებით ენასთან მიმართებაში და იგი არ არის აუცილებელი.

ასიმეტრიის ეს ტიპი იყოფა ორ ერთმანეთის საპირისპირო მოვლენად, რომლებიც ცნობილია, როგორც მრავალმნიშვნელობა და სინონიმია.

ი.ლიუტკინა ასიმეტრიას განიხილავს, როგორც აღსანიშნისა და აღმნიშვნელის შეუთანხმებლობას, შეუსაბამობას. იგი გამოყოფს ასიმეტრიის ორ ტიპს: 1) ასიმეტრია, რომელიც ელემენტთა არსებობისას ავლენს შუალედურ, გარდამავალ ბუნებას და 2) სხვადასხვა დონეებს შორის არსებული ასიმეტრია, რომელიც გამოიხატება კონკრეტული ლექსიკური და სინტაქსური ერთეულების ფორმალური (ლექსიკურ-გრამატიკული) და შინაარსობრივი (სემანტიკურ-პრაგმატული) დონეების შეუსაბამობისას. ისინი განსხვავდებიან რეალიზაციის ფორმებით, თუმცა აქვთ საერთო საფუძველი – ენობრივ მოვლენათა გამოსატყველებისა და შინაარსის პლანის შეუთანხმებლობა, რაც მათ აერთიანებს არაკონგრუენტობის ცნების ქვეშ. (ლიუტკინა 1992: 104)

არაკონგრუენტობა წარმოდგენილია ისეთი ენობრივი ერთეულებით, “რომლებიც თავიანთი ბუნებით ან შორდება კანონიკურ სტერეოტიპულ ფორმას, ან ამოვარდება ერთეულთა განსაზღვრული კლასიდან; მათ ახასიათებს აზრობრივი არაერთგვაროვნება და ფორმალური და შინაარსობრივი მხარის ასიმეტრიული აგებულება”. (ვარშავსკაია 1988: 180)

ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ სიმეტრია/ასიმეტრიის დიალექტიკურ ერთიანობაში წამყვანი ადგილი უკავია სიმეტრიას, იმდენად, რამდენადაც ენის სისტემის ნებისმიერი ცვლილებისას მის სტრუქტურაში უცვლელია ელემენტთა გარკვეული ერთიანობა, რაც ხელს უწყობს

მემკვიდრეობითობას ენობრივი სისტემის განვითარებაში. მეორეს მხრივ, ენის სტრუქტურის დინამიკურობა და ცვალებადობა წარმოადგენს სტრუქტურის წინააღმდეგობრიობის შინაგან მარკერს და მიუთითებს მის ასიმეტრიაზე.

ამრიგად, სიმეტრიისა და ასიმეტრიის ზოგადფილოსოფიური კატეგორიები დიალექტიკურ ერთიანობაშია, რაც ენათმეცნიერებაში ურთიერთკავშირში შეისწავლება. ენობრივი არქიტექტონიკის ამ ორი მოვლენის განხილვისადმი ამგვარი მიდგომა ხელს უწყობს ენის სტრუქტურის შედარებით ღრმა შეცნობას და საშუალებას იძლევა ავსსნათ მოცემული სტრუქტურის დინამიკური სტაბილურობა თუ მისი მზადყოფნა ნებისმიერი ცვლილებისათვის.

1.1 გრამატიკული ომონიმია

ცნობილია, რომ ენობრივი ნიშანი ასიმეტრიულია, ე.ი. არ არსებობს ურთიერთცალსახა მიმართება ენობრივი ნიშნის მხარეებს – აღსანიშნსა და აღმნიშვნელს – შორის. ერთი და იგივე ბგერითი ნიშანი სხვადასხვა რიგში შეგვიძლია გამოვიყენოთ სხვადასხვა მნიშვნელობის გადმოსაცემად.

ერთნაირი ბგერითი ფორმის მქონე ერთეულებს, რომლებიც ერთმანეთთან მნიშვნელობებით არ არის დაკავშირებული, ომონიმები ეწოდება. მათ ერთნაირი აღმნიშვნელი, მაგრამ განსხვავებული აღსანიშნი აქვთ.

ფრანგულ ენაში ზოგიერთი მორფოლოგიური და სინტაქსური თავისებურება წარმოქმნის ლექსიკურ თუ გრამატიკულ ომონიმებს. როდესაც ერთი ლექსემის ცალკეული ლექსები ერთმანეთს ემთხვევა გამოსატყულების პლანში (ფონეტიკურად), შეიძლება ვილაპარაკოთ გრამატიკული ომონიმის შესახებ. გრამატიკულ ომონიმიაში იგულისხმება:

ა) განსხვავებული ფორმებით წარმოდგენილ გრამატიკულ სიტყვათა ლექსიკური ომონიმია.

მაგ. ce, se; ou, où; a, à; ce, ceux; des, dès; et, est, es, (que tu) aies და ა.შ.

Il a mal à la tête.

მას თავი ტკივა.

Au moment **où** il tomba, il rêvait **ou** réfléchissait.

როცა დაეცა, ის ოცნებობდა ან ფიქრობდა.

Il **est gentil et agréable**.

ის თავაზიანი და სანდომიანია.

ბ) გრამატიკულ ფორმათა ომონიმია.

უნდა აღინიშნოს, რომ ხშირად გრამატიკული კატეგორიების დიფერენცირებაში გადამწყვეტ როლს ორთოგრაფია ასრულებს. მაგ.

რიცხვის შემთხვევაში:

Il parle. — ils parlent.

ის ლაპარაკობს. — ისინი ლაპარაკობენ.

სქესის შემთხვევაში:

Mon ami — ჩემი მეგობარი ბიჭი

Mon amie — ჩემი მეგობარი გოგონა

დროის ან მოდალობის შემთხვევაში:

Qu'il parla (p. simple) — qu'il parlât (imp. du subj.)

Parler (inf.) — parlez ! (imp.) — parlé (participle passé)

პირის შემთხვევაში:

Tu parlais (შენ ლაპარაკობდი) — il parlait (ის ლაპარაკობდა)

Nous parlerons (ჩვენ ვილაპარაკებთ) — ils parleront (ისინი ილაპარაკებენ)

გ) მეტყველების ნაწილთა ომონიმია.

ფრანგულ ენაში ხშირად ესა თუ ის სიტყვა უცვლელი ფორმით გადადის მეტყველების ერთი ნაწილიდან მეორეში; ამ სიტყვის ფუნქცია და მნიშვნელობა კი მიუთითებს, თუ რომელ მეტყველების ნაწილს მიეკუთვნება იგი კონკრეტულ შემთხვევაში. მაგ. ბგერათა ერთი და იგივე კომპლექსი [ferm] შეიძლება იყოს:

არსებითი სახელი:

Il possède une ferme.

მას ფერმა აქვს.

ზედსართავი სახელი:

Le sol ferme

მყარი, მაგარი ნიადაგი

ზმნა: Il ferme la porte.

ის კარს ხურავს.

ზმნიზედა:

Il travaille ferme.

ის ბევრს მუშაობს.

ასევე dur შეიძლება იყოს:

ზედსართავი სახელი:

Une pierre dure

მაგარი ქვა

არსებითი სახელი:

C'est un dur.

დიდი უდრეკი ვინმეა.

ზმნიზედა:

Il travaille dur.

ის შეუპოვრად მუშაობს.

ისეთი ომონიმების ორთოგრაფია, როგორიცაა tout, même, quelque ძირითადად ეფუძნება ფლექსიურ მეტყველების ნაწილებსა და ფორმაუცვლელ სიტყვებს შორის არსებულ განსხვავებებს. ეს ომონიმები ფორმას იცვლის იმის მიხედვით, თუ რომელ ფუნქციას ასრულებს: ზედსართავის, ნაცვალსახელისა თუ ზმნიზედის.

დ) სეგმენტაციის შემდეგ წარმოქმნილი ომონიმები.

ბევრი გრამატიკული ომონიმის წარმოქმნას ის ფაქტი განაპირობებს, რომ ზოგჯერ ბგერათა ერთი და იგივე კომპლექსი ორი სხვადასხვა ფორმით გვხვდება; ერთი არის შეერთებული ფორმა (soudée), ხოლო მეორე – ელიდირებული, განცალკევებული ფორმა (disjointe). შეკვეცის შედეგად წარმოიქმნება ისეთი ომონიმები, როგორიცაა:

c'est, s'est — ces, ses;

qu'il — qui l';

non — n'ont;

qui — qu'y;

quand — qu'en;

si — s'y;

s'en — sans;

la (là) — l'a (l'as) და ა.შ.

ზედსართავი სახელები, ნაცვალსახელები, წინდებულები, კავშირები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან შეერთებული თუ განცალკევებული ფორმებით, მაგ.

parce que – par ce que;

quoique – quoi que;

tout ce – tous;

plutôt – plus tôt და ა.შ.

განსახილველ ელემენტთა გრამატიკული ბუნება განისაზღვრება სინტაგმატურ დონეზე, მხედველობაში მიიღება რა კონტექსტი; და პარადიგმატულ დონეზე, განსახილველ ელემენტს ჩაენაცვლება რა იმავე სიტყვის სხვა ფორმა ან სხვა სიტყვა, რომელიც მისი ომონიმი არ არის. ამგვარად, განსხვავება des არტიკლსა და dès წინდებულს შორის განიხილება როგორც სინტაგმატურ, ასევე პარადიგმატულ დონეზე.

სინტაგმატურ დონეზე: dès წინდებული გამოიყენება ისეთი სიტყვების წინ, რომელთაც ახლავს სხვა დეტერმინანტიც:

Vous viendrez me voir dès mon retour.

ჩემი დაბრუნებისთანავე მოხვალთ ჩემთან.

არტიკლი des კი უშუალოდ სიტყვას უსწრებს წინ:

Des enfants jouent dans la cour.

ბავშვები ეზოში თამაშობენ.

პარადიგმატულ დონეზე: dès წინდებულს სხვა წინდებული (მაგ. depuis) ჩაენაცვლება, ხოლო des არტიკლს – სხვა დეტერმინანტი (მაგ. ces).

ფრანგულ ენაში გრამატიკული ომონიმიის მრავალი მაგალითი არსებობს. ჩვენ შევჩერდებით მხოლოდ ზოგიერთ მათგანზე:

1. Tout – ზმნიზედა, ზედსართავი სახელი და ნაცვალსახელი.

ზმნიზედა tout ძირითადად ფორმაუცვლელია. იგი ფორმას იცვლის მხოლოდ თანხმოვნით ან ფშვინვიერი h-ით დაწყებული მდებდრობითი სქესის ზედსართავი სახელების წინ.

შევ. Elle est toute contente, elles sont toutes contentes.

ის ძალიან კმაყოფილია, ისინი ძალიან კმაყოფილები არიან.

მაგრამ

Elle est tout émue.

ის ძალიან აღელვებულია.

ზედსართავი სახელი tout სქესსა და რიცხვში უთანხმდება იმ არსებით სახელს, რომელსაც თან ახლავს. მაგ.

Toute la ville a brûlé.

ქალაქი მოლიანად დაიწვა.

Toutes les mères désirent la paix.

ყველა დედას სურს მშვიდობა.

Tout აქვს ასევე ნაცვალსახელის მნიშვნელობა:

Tous ont passé l'examen.

ყველამ ჩააბარა გამოცდა.

2. Même – ზმნიზედა, ნაცვალსახელი და ზედსართავი სახელი.

ზმნიზედა même ფორმაუცვლელია:

Il n'est même pas fatigué.

ის არც კი დაღლილა.

ზედსართავი სახელი même მოსდევს ან წინ უსწრებს არსებით სახელს:

Elle est la bonté-même.

ის თვით სიკეთის განსახიერებაა.

Il était dans la même classe que moi.

ის იმავე კლასში იყო, რომელშიც მე.

Même – განუსაზღვრელი ნაცვალსახელი (როცა წინ უსწრებს le, la, les):

Anne, tu es toujours la même!

ანა, შენ არ იცვლები!

3. Quelque – ზედსართავი სახელი, ზმნიზედა.

ზედსართავი სახელი quelque გვხვდება «რამდენიმეს» მნიშვნელობით და რიცხვში უთანხმდება იმ სახელს, რომელსაც განსაზღვრავს:

J'ai lu quelques livres français.

მე წავიკითხე რამდენიმე ფრანგული წიგნი.

ზმნიზედა quelque ფორმაუცვლელია. იგი ძირითადად გამოიყენება რიცხვითი სახელების წინ:

J'ai lu quelque dix livres.

მე დაახლოებით ათი წიგნი წავიკითხე.

Quelque გამოიყენება დათმობით დაქვემდებარებულ წინადადებაში quelque ... que გამოთქმაში:

Quelques (bons) livres qu'il ait lus . . .

რამდენიმე (კარგი) წიგნი, რომელიც მას წაუკითხავს . . .

Quelque bon que soit ce livre, je ne l'achète pas.

როგორც კარგიც არ უნდა იყოს ეს წიგნი, მე მას არ ვყიდულობ.

ასევე აღსანიშნავია Quel que + être კონსტრუქცია, რომელშიც quel-ს აქვს მსაზღვრელის ფუნქცია და უთანხმდება ფრაზის ქვემდებარეს.

Quelles que soient ces fleurs, elles ne me plaisent pas.

როგორც არ უნდა იყოს ეს ყვავილები, ისინი მე არ მომწონს.

4. Quoique – Quoi que.

Quoique არის მაქვემდებარებელი კავშირი (დათმობითი მნიშვნელობის).

Quoi que არის დათმობითი მნიშვნელობის გამოთქმა, რომელიც ასრულებს პირდაპირი ობიექტის ფუნქციას.

Quoique შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც გარდაუვალ, ასევე გარდამავალ ზმნასთან:

Quoiqu'il se sente soutenu par ses amis, il hésite encore.

მეგობრების მხარდაჭერის მიუხედავად, ის კიდევ ყოყმანობს.

Quoi que გვხვდება მხოლოდ გარდამავალი ზმნის ან მაერთი ზმნის წინ, თუკი არა გვაქვს სხვა პირდაპირი დამატება ან მსაზღვრელი.

Quoi qu'elle fasse, elle réussit tout.

რაც არ უნდა გააკეთოს, ყველაფერი გამოუდის.

Il est en retard; quoi qu'il en soit, commençons sans lui!

ის იგვიანებს; რაც არ უნდა იყოს, მის გარეშე დავიწყეთ!

5. Quelquefois – Quelques fois

Quelquefois არის ზმნიზედა, თუმცა Quelques fois გამოთქმაში Quelques არის ზედსართავი სახელი.

Quelquefois je le rencontrais.

ზოგჯერ მე მას ვხვდებოდი.

Quelques fois il se promenait.

ის ხშირად დასეირნობდა.

6. Parce que – Par ce que

Parce que არის კავშირი, რომელიც გამოიყენება მიზეზით დაქვემდებარებულ წინადადებაში:

Il a été étonné parce qu'on lui avait dit cette nouvelle.

ის გაოცებული იყო იმიტომ, რომ ეს ახალი ამბავი უთხრეს.

Par ce que გვხვდება მიმართებით დამოკიდებულ წინადადებაში, სადაც ce ასრულებს პირდაპირი დამატების ფუნქციას:

Il a été étonné par ce qu'on lui avait dit.

ის გაოცებული იყო იმით, რაც უთხრეს.

7. Quelle – Qu'elle

Quelle (კითხვითი ან ძახილის) ზედსართავი სახელი. იგი გამოიყენება être ზმნასთან ან ისეთ სახელებთან, რომელთაც წინ ეპითეტი უძღვის:

Quelle est votre opinion?

თქვენ რა აზრის ხართ?

Quelles belles fleurs!

რა ლამაზი ყვავილებია!

Qu'elle კონსტრუქციაში elle არის პირის ნაცვალსახელი, რომელსაც შეიძლება ჩაენაცვლოს il, lui . . ., ხოლო que შეიძლება იყოს:

კავშირი: Je sais qu'elle réussira.

ვიცი, რომ წარმატებებს მიაღწევს.

მიმართებითი ნაცვალსახელი:

L'idée qu'elle a eue est la meilleure.

მას საუკეთესო იდეა მოუვიდა თავში.

ძახილის ზმნიზება:

Qu'elle est belle!

რა ლამაზია!

ყველა ამ შემთხვევაში qu'elle წინ უსწრებს ზმნას.

8. Plutôt – Plus tôt

Plutôt არის კავშირი:

Plutôt la mort que l'esclavage!

მონობას სიკვდილი სჯობს!

Plus tôt – არის ზმნიზების tôt შედარების ხარისხი:

Il est venu plus tôt que d'habitude.

ის ჩვეულებრივზე ადრე მოვიდა.

9. Bientôt – Bien tôt

Bientôt – ზმნიზება:

Bientôt finira la guerre.

ომი მალე დამთავრდება.

Bien tôt (ძალიან ადრე, ადრინადად):

Il s'est levé bien tôt.

ის ადრე ადგა.

10. Ce – Se

Ce – ზედსართავი სახელი ან ნაცვალსახელი.

Ce გამოიყენება არსებითი სახელის წინ (ce livre – ეს წიგნი); être ზმნის წინ (ce sont – ესენია); მიმართებითი ნაცვალსახელების qui, que-ს წინ:

C'est tout ce que je veux.

სულ ეს არის, რაც მე მინდა.

se უკუქცევითი ნაცვალსახელი გამოიყენება მხოლოდ ნაცვალსახელოვანი ზმნების წინ.

Il se mouche bruyamment.

ის ცხვირს ხმაურით იხოცავს.

11. c'est, ces, ses, s'est ფორმები ერთმანეთისაგან განსხვავდება თავიანთი ფუნქციებით.

Ces paroles furent ses derniers mots.

ეს მისი უკანასკნელი სიტყვები იყო.

C'est lui qui a menti!

მან მოიტყუა!

12. Qu'il – Qui l'

Qu'il, (ce) qu'il – არის პირდაპირი დამატება მიმართებით წინადადებაში:

Je sais ce qu'il a dit.

მე ვიცი, მან რაც თქვა.

Pierre a une sœur qu'il aime bien.

პიერს ჰყავს და, რომელიც მას ძალიან უყვარს.

Qui l', (ce) qui l' (le, la) – აქ (ce) qui არის ქვემდებარე:

Qui l'a dit?

ეს ვინ თქვა?

Je sais ce qui l'a charmé.

მე ვიცი, ის რამაც მოაჯადოვა.

Pierre a une soeur qui l'aime.

პიერს ჰყავს და, რომელსაც იგი უყვარს.

ყოველგვარი ორაზროვნება ქრება, როდესაც ქვემდებარე მრავლობით რიცხვშია:

Pierre et Paul ont une sœur qui les aime.

პიერს და პოლს ჰყავთ და, რომელსაც ისინი უყვარს.

Je sais ce qui les a charmés.

მე ვიცი, ისინი რამაც მოაჯადოვა.

13. Ma-m'a; ta-t'a; mon-m'on; ton-t'ont; non-n'ont ფორმები ერთმანეთისაგან თავიანთი ფუნქციებით განსხვავდება:

Mon père travaille.

მამაჩემი მუშაობს.

Ils m'ont dit la vérité.

მათ სიმართლე მითხრეს.

14. Ce qui — Ceux qui

Ce qui (que) — მხოლოდით რიცხვშია:

Ce qui m'étonne, c'est cette nouvelle.

ეს ახალი ამბავი მაკვირვებს.

Ceux qui (que) არის celui qui (que)-ის მრავლობითი რიცხვის ფორმა:

Ceux qui m'étonnent, ce sont mes amis.

ჩემი მეგობრები მაკვირვებენ.

15. S'en – Sans

S'en (უკუქცევითი ნაცვალსახელი + en) გვხვდება მხოლოდ ნაცვალსახელოვან ზმნებთან, მას წინ უსწრებს ქვემდებარე ნაცვალსახელი:

L'argent s'en va facilement.

ფული სწრაფად იხარჯება.

Sans – წინდებული

Il déchira la lettre sans l'avoir lue.

მან წაუკითხავად დახია წერილი.

ფრანგულ ენაში გრამატიკული ომონიმის მრავალი შემთხვევა არსებობს; ჩვენ განვიხილეთ მხოლოდ ზოგიერთი მათგანი. როგორც ვნახეთ, ომონიმები ხშირად ორაზროვნების წყაროა. მათი დიფერენცირებისათვის შეგვიძლია გამოვიყენოთ გრაფიკული, გრამატიკული, ფონემური და ა. შ. საშუალებები. გრამატიკულ ომონიმებს განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მივუდგეთ, რათა თავიდან ავიცილოთ არასწორი ფრაზების წარმოქმნა.

თავი II. სიმეტრია და ლოგიკური ენები

2.1. ენათა იერარქიზაცია

ინდივიდი ურთიერთობას სამყაროსთან ენის, კონკრეტულად მნიშვნელობის საშუალებით ამყარებს. რამდენი სახისაცაა ასეთი ურთიერთობა, იმდენად იცვლება მნიშვნელობის გამოხატულება, რეპრეზენტაცია. სემანტიკა შეისწავლის მნიშვნელობას ენის ხმარების ყველა დონეზე. მნიშვნელობა გამოიხატება ენის ხმარების იმ დონის შესაბამისად, რომელზედაც კონკრეტულად ლაპარაკია დროის კონკრეტულ მომენტში. ყველა ლინგვისტური მიმდინარეობა მნიშვნელობას განსაზღვრავდა მის ხელთ არსებული ცოდნისა და კონკრეტული საჭიროების მიხედვით. მნიშვნელობების განსაზღვრებებში პერიოდულად თავს იჩენდა გადაჭარბებული ლოგიკური, ფილოსოფიური და ფსიქოლოგიური მისწრაფებანი. თანამედროვე ენათმეცნიერება არ ფლობს მნიშვნელობის ერთგვარ შეთანხმებულ განსაზღვრას, ასეთი მდგომარეობა იყო ყოველთვის; მნიშვნელობა მუდამ იწვევდა ყველა დაინტერესებული მკვლევარის აზრთა სხვადასხვაობას.

ენის ნიშანთა სისტემად აღიარების შემდეგ გაძლიერდა მნიშვნელობის სისტემად ჩამოყალიბების და ამ სისტემის მარეგულირებელი და წარმომქმნელი წესების აღმოჩენისა და ანალიზის ტენდენცია. თანამედროვე ენათმეცნიერების თითქმის ყველა მიმდინარეობა ქმნიდა მნიშვნელობის სპეციფიკურ სისტემებს; შეიმჩნეოდა მიდრეკილება ერთგვარი განზოგადებისა, ერთიანი შეხედულების შექმნისა. მაგრამ ეს გვიანდელი მოვლენაა, სტრუქტურალიზმის წარმოქმნის ადრეულ საფეხურზე კი მნიშვნელობა ძირითადად ნიშნის ორი პლანისა და სოსიურისეული ღირებულების ცნების საფუძველზე ყალიბდებოდა. ამას ემყარებოდა მნიშვნელობის გაგება გლოსემატიკის, პრადის ლინგვისტიკის, ამერიკელი დისტრიბუციონალისტების და ა.შ. კონცეფციებში.

იმის მიხედვით თუ ენის ფუნქციონირების რომელ მხარეს ენიჭებოდა უპირატესობა ლინგვისტურ კონცეფციებში, მნიშვნელობაც შესაბამის შინაარსს

იძენდა, რაც დღესაც გრძელდება. მნიშვნელობის სისტემატიზაციის ლოგიკური საფუძველი იქმნება მას შემდეგ, რაც ლოგიკური განსჯის ფორმალიზმი გამოყენებულ იქნა ბუნებრივ ენათა მიმართ. ცხადია, ლოგიკურ განსჯასა და ენობრივ ანალიზს განსხვავებული მიზნები და ამოცანები გააჩნდათ, მაგრამ ლოგიკური სისტემისმაგარი მსჯელობის შეტანამ ენობრივი ანალიზის პროცესებში ზუსტად გამოყო და დაადგინა ის საკითხები, რომლებიც აუცილებელი იქნებოდა ენის სისტემის კვლევისათვის ობიექტურობის, ადეკვატურობის, სისტემატიზაციისა და ეფექტურობის თვალსაზრისით.

ფორმალური ლოგიკის მეთოდები თავდაპირველად გ. ფრეგემ გამოიყენა. მას მიაჩნდა, რომ ბუნებრივი ენა და მისი გამოყენება არსებულ ლოგიკურ სისტემებში მრავალი წინააღმდეგობრივი და არასწორი დასკვნის გამოტანის მიზეზი ხდებოდა. ფრეგეს მიხედვით, საჭირო იყო ლოგიკური განსჯის ისეთი სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც თავისუფალი იქნებოდა ბუნებრივი ენის წინააღმდეგობრივი და ხშირად არასწორი, ყალბი მონაცემებისაგან. (ფრეგე 1997: 122)

გ. ფრეგემ პირველმა გამოყო ერთმანეთისაგან მნიშვნელობა და აღნიშვნა (დენოტაცია), თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მოცემულ ტერმინთა (Sinn und Bedeutung) თარგმნა ყველა ენაში ერთგვარ ბუნდოვანებას წარმოქმნის. დღეს Bedeutung იხმარება როგორც “რეფერენცია”, ხოლო Sinn – როგორც მნიშვნელობა; Bedeutung – რეფერენცია, ანუ ის ობიექტი, რომელიც ენაში გამოიხატება, ხოლო Sinn აღნიშნავს, თუ როგორ გამოიხატება ობიექტი, თუ როგორ ინფორმაციას შეიცავს ეს გამოხატულება. პირველად გ.ფრეგემ იხმარა ინდივიდის კონცეპტი, ირიბი გაუმჭირვალე კონტექსტი, ჩვეულებრივი მნიშვნელობა და წინადადების მნიშვნელობად – მოცემული წინადადების ჭეშმარიტების ღირებულება, ფუნქცია და მისი განსაზღვრის არე. პროპოზიციათა ფუნქციური ანალიზი.

გ. ფრეგეს ორი სიმბოლიკისა და ლოგიკურ ძიებათა მიმოხილვა გვიჩვენებს ბუნებრივ ენასა და ლოგიკას შორის არსებულ წინააღმდეგობებს, რომელთა დაძლევის გზების ძიებამ დიდად შეუწყო ხელი შემდგომში ლოგიკურ-სემანტიკურ კვლევათა მიმართულებას.

რ. კარნაპის ლოგიკურ ენებსა და კლიუისის ინტენსიონალურ ენას უპირისპირდება უ. ქუაინის კონცეფცია, მისი კანონიკური ენა.

რ. კარნაპმა შექმნა მოდალური ლოგიკის, ექსტენსიონალისა და ინტენსიონალის მოცულობის (კომპრეჰენზიის), ენათა იერარქიის, პრაგმატიკის, მდგომარეობათა აღწერის, დესკრიფციისა და რეფერენტულად გაუმჭირვალე კონტექსტების ცნებები, რომლებიც ფართოდ გამოიყენება ენის ლოგიკური ანალიზის სისტემებში.

ცნობილი ამერიკელი ლოგიკოსი და ფილოსოფოსი უ. ქუაინი “კანონიკური ენის” შექმნის ძირითად პრინციპად აღიარებდა მხოლოდ ხილულ დაკვირვებებზე დაყრდნობას. მისი აზრით, მნიშვნელობა გამოიხატება კონკრეტული ქმედების ანალიზით და არა რაღაც იდეის ან მენტალური ერთეულის ანალიზით. ინდივიდის ნერვულ დაბოლოებებზე მოქმედი სტიმულების შესწავლა მნიშვნელობის ანალიზის ძირითადი წერტილია. საყოველთაოდ ცნობილია, რომ იგი ეწინააღმდეგებოდა სამყაროს უნივერსალურად ინდო-ევროპული პოზიციიდან აღქმას. თუ ველური უყურებს კურდღელს და აღიქვამს მას, როგორც gauagai, – ეს ნიშნავს, რომ იგი სამყაროსაც თავისი იდეოლოგიის მიხედვით ანაწევრებს და ჭეშმარიტების ღირებულებასაც ამის მიხედვით ანიჭებს გამონათქვამს; ხოლო ინდოევროპულად მოაზროვნე ადამიანის ენაზე ზემოაღნიშნული განსხვავებულად უნდა ითარგმნოს. სწორედ ამაში მდგომარეობს ქუაინისეული დებულება ენობრივი ფარდობითობისა და თარგმანის შეუძლებლობის შესახებ.

უ.ქუაინის მიერ შექმნილ სისტემას ქოლისტურს უწოდებენ, ვინაიდან აქ ყველაფერი ურთიერთდაკავშირებულია და ყველა ცვლილება აისახება პერიფერიიდან ცენტრში. უ.ქუაინი მკვეთრად გამოხატული ბიჰევიორისტული ორიენტაციის მკვლევარია. ამიტომ მის კანონიკურ ენაში არ არსებობს ინტენსიონალური არსებები, არ ხდება ქვანტიფიკაცია მოდალურ კონტექსტში და საერთოდ არ დაიშვება მოდალობები. მოდალური კონტექსტების ანალიზმა მკვეთრად გამოაჩინა ის ადგილები, რომლებიც ყველაზე სუსტი იყო ლოგიკური ანალიზის თვალსაზრისით.

ლოგიკურ და ენისმიერ მოდალობათა ურთიერთშესამება შესაძლო ობიექტის ცნების მისაღებად განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ენათა ენისმიერ და ლოგიკურ იერარქიად დალაგების თვალსაზრისით.

ლოგიკური ენები შეიძლება განვიხილოთ არა როგორც ბუნებრივი ენისაგან შორს მდგომი და განყენებული სისტემები, არამედ როგორც ბუნებრივ ენათაგან აბსტრაგირებული სისტემები. სწორედ აღნიშნული განცალკევების,

აბსტრაგირების პროცესში ხდება შესაძლებელი იმ კანონზომიერებათა დადგენა, რომლებიც წმინდა ენობრივ პროცესებთან ერთად ადამიანის სამეტყველო-აზროვნებითი მექანიზმის საფუძველს წარმოადგენს.

თანამედროვე ლოგიკური ხელოვნური ენების სემანტიკაში შეიმჩნევა ამ ენების მდიდარი გამოხატვითი საშუალებებით აღჭურვის ტენდენცია; იზრდება ლოგიკურ ენათა სისტემების ანალიზის მეთოდების ბუნებრივ ენათა მიმართ გამოყენებისა და ზოგჯერ შერწყმისადმი მისწრაფება. ასეთი დაახლოება რთული, მაგრამ ნაყოფიერი პროცესია. ლოგიკურ მეთოდთა გამოყენება ბუნებრივ ენათა მიმართ ხელს უწყობს ბუნებრივი ენის გარეგნულად მოუწესრიგებელი და ზოგჯერ წინააღმდეგობრივი (ცხადია ლოგიკის თვალსაზრისით) მექანიზმის ახსნასა და სისტემატიზირებას. ყოველივე ეს ამომწურავადაა აღწერილი ი. ფხაკაძის მონოგრაფიაში «მიღწევადი მიუღწევადი სამყაროები» და ჩვენც ძირითადად მის თეორიულ მოსაზრებებს ვემხრობით.

ლოგიკურ ენათა საფეხურებრივად განხორციელებულმა გამოცალკევებამ და მათმა იერარქიულმა განლაგებამ ბიძგი მისცა ანალოგიური მოვლენების აღმოჩენას ბუნებრივ ენებში.

ბუნებრივ ენაში მოდალობა გამოიხატება კილოთი, მოდალური ზმნებითა და ზმნიზედებით. მოდალური მნიშვნელობის ჩამოყალიბებაში აქტიურად მონაწილეობენ დროის ფორმები, კონტექსტი (რეალური დროისეული მიმართების განსაზღვრის თვალსაზრისით), წინადადების სინტაქსი, კავშირის მნიშვნელობა და ა. შ. კითხვითი და უარყოფითი ფორმა დროის ფორმებთან ერთად ხშირად გადამწყვეტია კილოს ხმარებისას. მოდალობა განსაზღვრავს ენის იერარქიულ დონეს. პირველი ხარისხისა და პირველი საფეხურის ენა შეიძლება მიჩნეულ იქნას ე. წ. ობიექტთა ენად (კარნაპის ტერმინოლოგიით) ანუ ექსტენსიონალურ ენად, მისი მოდალობა – თხრობითი კილოა. სხვა მოდალობის მატარებელი ენები მეორე საფეხურის ინტენსიონალური ენებია (კონტრაქტუალური სიტუაციები – გამოხატული კავშირებითი და პირობითი კილოებით). შესაძლო ინდივიდები სწორედ კონტრაქტუალურ კონტექსტებში სახელით ან დესკრიფციით აღჭურვილები ჩნდებიან.

ბუნებრივ ენაში სპეციალური ლოგიკური ანალიზის გარეშე ენათა საფეხურები თვალსაჩინოდ არ გამოიყოფა. გარდა ამისა, ბუნებრივი ენის ნებისმიერი სფერო არ შეიძლება ქმნიდეს იმდენად ჩაკეტილ სისტემას, რომ მასში არ შეაღწიოს ამ სისტემებისათვის არადამახასიათებელმა ერთეულებმა.

ენის ჩვეულებრივი, რიგითი გამოყენებელი სპეციალური განწყობის გარეშე იშვიათად აცნობიერებს თუ რომელი საფეხურის ენის ელემენტებთან აქვს საქმე; აღნიშნული მოვლენა განსაკუთრებით მტკივნეულად აღიქმება უცხო ენასთან მიმართებით, როდესაც ენის გამოყენება მკვეთრად დიფერენცირებულია. ენის ჩვეულებრივი, რიგითი გამოყენებელი ყველაზე ხშირად სიტყვათა მრავალმნიშვნელობას ხვდება, რაც გამოთქმის ორაზროვნების, კონტექსტის შერჩევის შეფერხებისა და გაგების დაბრკოლების მიზეზი ხდება. მშობლიურ ენაზე ყველა ეს პრობლემა თავისთავად, განსაკუთრებული დაძაბულობის გარეშე, ავტომატურად გადაიჭრება, თუმცა ზოგჯერ ერთსა და იმავე ენაზე მოლაპარაკენი “სხვადასხვა ენაზე” საუბრობენ.

ბუნებრივი ენის ძირითადი პრინციპებია გამონათქვამთა სწორად აგება, გააზრება და მნიშვნელობის ცალსახოვნება, რაც უაზრო წინადადებათა უკუგდებას გულისხმობს. ამასთან, ბუნებრივ ენას ახასიათებს გამოთქმათა ორაზროვნება, მრავალმნიშვნელობა. ენისმიერი სწორად აგების, გააზრებისა და ერთმნიშვნელობის პრინციპები უკავშირდება ჭეშმარიტების ღირებულების, აღსრულებადობისა და შედეგობრიობის პრინციპებს. ნებისმიერ შემთხვევაში ენისმიერ პრინციპთა დაცვას საფუძვლად უდევს კონკრეტულ ენაზე მოლაპარაკეთა ენობრივი კომპეტენცია, მეტყველების აქტის განხორციელება, სემანტიკა (მნიშვნელობა, შინაარსი და რეფერენცია) და მოლაპარაკეთა ცოდნა.

2. 2. ენობრივი ნიშნის მნიშვნელობა

მნიშვნელობა, შინაარსი, აღსანიშნი, დენოტაცია, კონოტაცია, ინტენსიონალი, რეფერენცია – ამ ტერმინებით თანამედროვე ლინგვისტური, ფილოსოფიური და სემიოტიკური ტრადიცია მოიხსენიებს იმ მნიშვნელობას, რომელიც მოლაპარაკე სუბიექტს აქვს მხედველობაში და რომელსაც იგი იყენებს მეტყველების კონკრეტული აქტის აღსრულებისას. ტერმინი “მნიშვნელობა” იხმარება ადამიანის ქმედების ნებისმიერ სფეროში. როდესაც

მოლაპარაკე სუბიექტი მეტყველების რომელიმე კონკრეტულ აქტს ახორციელებს, იგი რაღაცას გადასცემს იმ სუბიექტს, ვისთვისაც მეტყველების ეს აქტია გამიზნული; ეს რაღაც კონკრეტული, ფიზიკური ფორმით გამოიხატება და გამოხატვის კონკრეტულ ტიპს ან ტიპთა განსაზღვრულ კლასს განეკუთვნება. გამოხატვის ეს ტიპი აუცილებლად მიუთითებს რაღაცას, რაც მის მიღმა იმყოფება. ეს რაღაც თანამედროვე ენათმეცნიერებასა და ფილოსოფიაში ინდივიდის ან ობიექტის სახელით აღინიშნება. მასზე მითითებას გამოხატვის ტიპის საშუალებით რეფერენციას უწოდებენ, ხოლო სამყაროს, ან საქმეთა თუ გარემოებათა მდგომარეობას – შესაძლო სამყაროს. შესაძლო სამყაროს იმ გამონათქვამთა სიმრავლე ასახავს, რომელიც მოცემულ ინდივიდს და ინდივიდთა კლასს მიეწერება. მიწერის ამ სახეს ქვანტიფიკაცია ეწოდება, ხოლო გამონათქვამთა სიმრავლე ძირითადად არსებობის ქვანტორისა და ზოგადობის ქვანტორის გამოხატვით შეიძლება ამოიწუროს.

არსებობის ქვანტორი მოცემული ინდივიდის არსებობას აღნიშნავს, ხოლო ზოგადობის ქვანტორი განაზოგადებს არსებული თვისებებიდან გამომდინარე ინდივიდს, როგორც ამ თვისების აუცილებლად მატარებელს. ფილოსოფოსებში დიდი დავაა იმის თაობაზე, შეიძლება თუ არა არსებობის ანუ ეგზისტენციალური ქვანტორის სუბიექტი ისეთი ინდივიდი იყოს, რომელიც არ არსებობს, მაგალითად პეგასი: “არსებობს ისეთი X (პეგასი) და X მფრინავი ცხენია”. მაგრამ ასეთი საკითხები ძირითადად ფილოსოფიური განსჯის საგანია და იგი ენათმეცნიერებას არ აინტერესებს. ენათმეცნიერებისათვის მისაღებია ისეთი ვარიანტი, რომელიც არსებობის ქვანტორის პრედიკატს, არსებობას მისი მატერიალური რეალობიდან არ განიხილავს; მას აინტერესებს ამ ინდივიდის შესახებ ისეთი წინადადების არსებობა, რომელიც ცვლადს შეიძლება ჩაენაცვლოს, მაგალითად: X=პეგასი, X=მფრინავი ცხენი; “არსებობს ისეთი ცხენი, რომელიც ფრენს”. პეგასის შესახებ გამონათქვამთა სიმრავლეს შეადგენს ყველა ის გამონათქვამი პეგასის შესახებ, რომლებითაც პეგასს მიეწერება მფრინავ ცხენტა კლასისათვის დამახასიათებელი თვისებები, მაგალითად: ა) პეგასი ფრთოსანი ცხენია; ბ) ფრთოსანი ცხენი ფრენს; გ) ფრთოსანი ცხენი მითიური ცხოველია; დ) პეგასი ორფრთიანი მფრინავი ცხენია და ა.შ. ყველა ამ გამონათქვამის სიმრავლე ქმნის იმ შესაძლო სამყაროთა სიმრავლეს, რომელშიც პეგასის შესახებ გამონათქვამთა n განუსაზღვრელი ან სასრული რაოდენობა არსებობს. იმ სამყაროსათვის, რომელსაც ჩვენ წარმოვადგენთ,


ჭეშმარიტი იქნება შემდეგ გამონათქვამთა სიმრავლე: ა) ფრთოსანი ცხენი არ არსებობს; ბ) ფრთოსანი ცხენი მითებში არსებობს; გ) პეგასი არ არსებობს.

ამგვარად, იმ შესაძლო სამყაროსათვის, სადაც მოცემულ წინადადებათა სიმრავლე განიხილება, ჭეშმარიტია მხოლოდ ის გამონათქვამები, რომლებშიც პეგასის მეტაფიზიკური არსებობა მცდარია. ჭეშმარიტი იქნება ის მტკიცებანი, რომლებშიც ორივე ქვანტორი პეგასის მიმართ ცარიელია, არარსებული, ნულოვანი. მაგრამ ეს საკითხისადმი ფილოსოფიური მიდგომაა, ვინაიდან ფრთოსანი ცხენი არ არსებობს და შესაბამისად, პეგასიც არ არსებობს. ჩვენს შესაძლო სამყაროსა და იმ სამყაროს შორის, სადაც პეგასი არსებობს, ე.წ. წვდომის მიმართებაა; ეს მიმართება საშუალებას აძლევს მოაზროვნე სუბიექტს ყველა შესაძლო სამყაროში, თავის სამყაროდან გამომდინარე, განსაჯოს და ერთმანეთისაგან გამოარჩიოს ყალბი და ჭეშმარიტი გამონათქვამები. მაგრამ მნიშვნელობის საკითხისადმი ამგვარი მიდგომა მნიშვნელობის აღნიშვნის ისეთ ფორმებს თხოულობს, რაც ჩვეულებრივი აღსანიშნის მოცულობას აღემატება და აქ მისი განხილვა ზედმეტად გვეჩვენება. ზოგადად შეგვიძლია ვთქვათ, რომ პეგასის შესახებ არსებული წინადადებები სემანტიკური აღნაგობისაა და ჩანაცვლების თვალსაზრისით სწორადაა მოხსენიებული ორი ქვანტორის მიმართ. თვისების მიწერა ინდივიდის ანუ ობიექტისადმი (რომელიც როგორც ცვლადი, X-ით აღინიშნება) ინტერპრეტაციის ფუნქციით არის ცნობილი.

განსხვავება აღსანიშნსა და მითითებულ ობიექტს, ინდივიდს შორის, ანუ განსხვავება აღსანიშნსა და რეფერენციას შორის (მითითების ამ მიმართებას სწორედ რეფერენცია ეწოდება) ნათლად განსაზღვრა წარმოშობით ავსტრიელმა ფილოსოფოსმა და ლოგიკოსმა ლუდვიგ ვიტგენშტეინმა. ტერმინი “მნიშვნელობა” არასწორად იხმარება, როცა ამ ტერმინით იმ საგანს აღნიშნავენ, რომელიც მოცემულ სიტყვას შეესაბამება. ეს მოასწავებს სახელის მნიშვნელობის აღრევას მასთან, ვინც ან რაც ამ სახელს ატარებს. თუ ბატონი X კვდება, ჩვენ ვამბობთ, რომ ამ სახელის მატარებელი კვდება და არა სახელის მნიშვნელობა, ვინაიდან თუ სახელს მნიშვნელობა აღარ ექნება, ჩვენც არ გვექნება უფლება ვთქვათ: “ბატონი X..... გარდაიცვალა”.

ნიშნის განსაზღვრისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა გერმანელი ფილოსოფოსის, ლოგიკოსისა და მათემატიკოსის გოტლობ ფრეგეს კონცეფციას, რაც კონკრეტულად სწორედ სემიოტიკური სამკუთხედით გამოიხატება:

(sinn) მნიშვნელობა



ტერმინის Bedeutung თარგმანი სხვადასხვა ენაზე სხვადასხვაგვარად ხდება, ე.ი. იგი გარკვეულწილად ორაზროვანია. მაგ. გ.ფრეგეს მიაჩნია, რომ მარტივი საგანი და წინადადება (პროპოზიცია) სხვადასხვა რამეს მიუთითება: მარტივი საგნის Bedeutung – თვით საგანია, ხოლო წინადადებისა – მისი ჭეშმარიტების ღირებულება, ე.ი. იგი ან ჭეშმარიტია ან ყალბი. საკუთარი სახელების შემთხვევაში ეს ტერმინი (ფრანგულად dénotation, désignation) ნამდვილად აღნიშნავს იმ საგანს, რომელზედაც ამ საგნის სახელი მიუთითებს; ამ შემთხვევაში Sinn (მნიშვნელობა) ნამდვილად იქნებოდა ის სახე ანუ მოდუსი, რომლითაც ეს საგანი იქნებოდა წარმოდგენილი. მაგ. ერთ ფიზიკურ საგანს, რომელიც კონკრეტულია და ჰქვია ვენერა, შეესაბამებოდა ორი მნიშვნელობა ანუ დესკრიფცია: “დილის ვარსკვლავი” და “სალამოს ვარსკვლავი”. ლოგიკური თვალსაზრისით, გ. ფრეგე საგანს განსაზღვრავს, როგორც ყოველივე ისეთს, რაც თავსდება ცნების ფარგლებში. მიმართება საგანსა და ცნებას შორის შეუქცევადია. ამგვარად, ამ ტერმინის მიმართ დამოკიდებულება დღესაც საფრთხილია; იგი შემდეგი დასახელებებით გადმოიცემა: désignation-référence-extension.

დღეს მიღებული თვალთახედვის თანახმად, რეფერენცია ორგვარ კონტექსტში იხმარება: ექსტენსიურ (საგანთა და ინდივიდთა) კონტექსტში და მაშინ იგი ობიექტზე მიუთითებს მიმართებაა, და ინტენსიურ კონტექსტში – ამ შემთხვევაში იგი ობიექტის აღნიშვნის ანუ წარმოდგენის საშუალებაა სხვადასხვა შესაძლო სამყაროში: მტკიცებითში, კითხვითში, უარყოფითში, საგარაუდოში, სასურველში და ა.შ. სიტუაციური აღსანიშნი განისაზღვრება გაგონილი აღსანიშნის ყველა ხმარების (a,h) –ის ფონზე; ყველა ხმარება განსაზღვრავს აღსანიშნის, დაგუშვათ y-ის გამოყენებას ყველა იმ სიტუაციაში [S] –ში, რომელიც მოიცავს E-émetteur-ის (მოლაპარაკე სუბიექტი) და D-destinataire-ის (ვისთვისაც გამოიზრუნულია მეტყველების აქტი) ყოველი კომუნიკაციის

პროცესს. ასეთი სიტუაციები შეიძლება მოიცავდეს: ა) D კარგად იცნობს E-ს პიროვნებას; ბ) მან იცის, რომ E სარკასტული პიროვნებაა ე.ი. კარგად იყენებს სარკაზმს; გ) D-მ იცის როგორ წარმოთქვამს E ამა თუ იმ გამონათქვამს და ა.შ. ამგვარად, ცხადია, რომ D-ს დამოკიდებულება E-ს მიერ წარმოთქმულ გამონათქვამებთან პრაგმატულია, რამდენადაც სწორედ პრაგმატიკა შეისწავლის ბუნებრივ ენაში კომუნიკაციის არსს, ურთიერთმიმართებებს მოლაპარაკე სუბიექტსა და მსმენელს შორის, ლინგვისტურ და ექსტრალინგვისტურ (არაენისმიერ) კონტექსტებს, ფონისმიერი ცოდნის არსებობასა და მისი გამოყენების ტემპს, საკომუნიკაციო აქტის მონაწილეთა განწყობილებას, ურთიერთთანამშრომლობას და ა.შ. ცხადია, რომ აღსანიშნის თეორია უნდა მოიცავდეს როგორც სემანტიკას, ასევე პრაგმატიკას.

ამგვარად, ბუნებრივი ენა წარმოგვიდგება, როგორც ენციკლოპედიური კომპეტენტურობის რთული სისტემა; ეს ენციკლოპედიური სისტემა მოიცავს ყველა ზემოთხამოთვლილ ფაქტორს, სახელდობრ, ყველა იმ წესსა და ჩვევას, რომელიც ქმნის ენა L –ს და გადმოსცემს მათ სცენარების (ფრეიმების, სკრიპტების) სახით. ეს სცენარები ის წინასწარდადგენილი სქემებია, რომელთა მიხედვით ხდება კომუნიკანტთა ქცევებისა და მოქმედებების განვითარება შესაბამისი ენისმიერი უზრუნველყოფით. გარდა ჩვეულებრივი ზოგადი სცენარებისა, არსებობს ე.წ. ტექსტთაშორისი სცენარებიც. ეს ის სცენარებია, რომლებიც კომუნიკაციის დროს წარმოიქმნება და შესაძლოა გააგრძელოს არსებობა, როგორც ახალმა სცენარებმა. ახლა კი მეტი ნათელი უნდა მოეფინოს აღსანიშნს წარმოდგენილს როგორც მნიშვნელობა.

თანამედროვე ენათმეცნიერება აღსანიშნს გამოხატავს ე.წ. სემანტიკური პრიმიტივებით, რომელთა რიცხვი სასრული უნდა იყოს. (ეს პრიმიტივები სხვადასხვა სახელითაა ცნობილი: უნივერსალიები, სემანტიკური კომპონენტები, მარკერები, თვისებები და ა.შ.). თუმცა თანამედროვე ენათმეცნიერები გაუთავებლად დაობენ პრიმიტივთა რაობის განსაზღვრასა და მათ დასაშვებ რაოდენობაზე. არსებობს სემანტიკურ პრიმიტივთა გამოხატვა-გადმოცემის რამდენიმე ცნობილი საშუალება: მაგალითად, ბერძენი ნეო-პლატონიკოს პორფირიოსის ხე, არისტოტელეს კატეგორიები, სტოელების, ენციკლოპედისტების დეფინიციები, ვეჟბიცკას სემანტიკური პრიმიტივები, გენერატივისტების სემანტიკური ლექსიკონები, სელექციური და კატეგორიული მახასიათებლები და სხვა. დღემდე არსებული პრიმიტივების განსაზღვრა და

მათი წარმოდგენა ლექსიკური რუბრიკებისა და ლექსიკონის საშუალებით ძირითადად ეყრდნობა დიზიუნქციებს – უარყოფას და კონიუნქციებს – მტკიცებებს. გარდა ამისა, მნიშვნელობის მქონე ერთეულის ხმარების წესები განსაკუთრებული წესებით რეგულირდება, რომლებიც სხვადასხვანაირად იწოდება თანამედროვე ენათმეცნიერებაში (მაგ. ლექსიკური ერთეულის შემოყვანის წესი, პოსტულატთა სისტემა, ლექსიკური ტრანსფორმაცია და სხვა). პრიმიტივთა (ანუ კომპონენტთა) სიმრავლე თავს იყრის ამ ერთეულის ქვეშ, ან ლექსიკონის (ანუ ამ ერთეულის ლექსიკური რუბრიკის) ქვეშ, ან ენციკლოპედიური სტატიის სახით; ამ თავმოყრის რამდენიმე ფორმა არსებობს, მაგ. კომპონენტთა ან მარკერთა ხეები, ან ფრჩხილებით გამოხატვა. სემანტიკური სისტემის გამოხატვის სირთულე განპირობებულია სამყაროს აღწერის სირთულით, ადამიანის დამოკიდებულებით სამყაროსთან და ამ დამოკიდებულების რთული ხასიათით, ვინაიდან ეს დამოკიდებულება სწორედ მნიშვნელობის პლანია.

გენერაციული სემანტიკის წარმომადგენელი ჟ. კაცი იძლევა ლექსემის [სკამი] შემდეგ ანალიზს:

(საგანი) (ფიზიკური) (არაცოცხალი) (ხელოვნური)

(ავეჯი) (გადაადგილებადი) (ფეხით) (ზურგით) (საჯდომით)

(ადამიანისათვის).

ასეთი წარმოდგენა უზღუდვებელყოფს მარკერთა იერარქიის პრინციპით განლაგებას (მაგ. რომელია ძირითადი ნიშნის აღმნიშვნელი პრიმიტივი) და უშვებს თანაკვეთი საკლასიფიკაციო სისტემის გამოყენებას; იერარქიის პრინციპის უარყოფა კი მოასწავებს პრიმიტივთა რიცხვის უსაზღვრო ზრდას. თანამედროვე სემიოტიკური და სემანტიკური კონცეფციების თანახმად, მნიშვნელობის ერთეულის განსაზღვრა ლექსიკონზე რამდენიმე დამატებითი პარამეტრის შევსებით ამ სალექსიკონო სტატიას გადააქცევს ენციკლოპედიურ სტატიად; ეს დამატებითი პარამეტრები მნიშვნელობის მქონე ერთეულის უკვე ინტერპრეტანტას, ანუ ინტერპრეტაციის უწყვეტი პროცესის შედეგად მიღებული ერთეულის დეფინიციების სიმრავლეს წარმოადგენს.

ინტერპრეტაციის უწყვეტი პროცესი მოიცავს როგორც ვიზუალურ, ასევე მენტალურ (გონისმიერ) ხატს სიტყვისას (ანუ მნიშვნელობის მქონე ერთეულის). იგი ეყრდნობა არამარტო მოლაპარაკე სუბიექტიდან მომდინარე სუბიექტურ

ინფორმაციას ამ ერთეულის შესახებ, არამედ ობიექტურ, კოლექტიურად კონტროლირებად, უნივერსალურად აღიარებულ მონაცემებსა და ინფორმაციას.

ინტერპრეტაცია მტკიცდება მოცემული ერთეულის გამოჩენით ყველა შესაძლო კონტექსტში. მაგ. სიტყვა “კატა” – უპირველეს ყოვლისა წარმოგვიდგება დეფინიცია-დასკვნის სახით: “თუ ეს კატაა, მაშინ იგი [ცხოველია] [რომელიც კნავის], [შინაური ცხოველი] [ოთხი ფეხით] [კატების ჯიშისა], [ცხოველი, რომელსაც ეგვიპტელები აღმერთებდნენ], [ცხოველი, რომელიც გამოხატულია მანეს “ოლიმპიაზე”], [ცხოველი, რომელსაც პრუსიელებით გარშემორტყმული პარიზელები ჭამდნენ], [ცხოველი, რომელსაც უმღერა ბოდლერმა], [ცხოველი, იტალიელი მწერლის კოლოდის მიერ წარმოდგენილი კატა ალისიას სახით], [ზარმაცი ცხოველი], [ცხოველი, რომელიც თავისთვის დადის – კიპლინგის მიერ წარმოდგენილი], [ცხოველი, რომელიც ერთ რომელიმე ადგილს ეჩვევა, მაგრამ თავს არ იკლავს პატრონის საფლავზე], [ჯადოქართა საყვარელი ცხოველი]” – ყველა ეს განსაზღვრება წარმოადგენს იმ ინტერპრეტაციას შესაძლო სიმრავლეს, რასაც კატის შესახებ ცოდნათა სიმრავლე მოიცავს, ე.ი. მეტნაკლებად სრულ ინფორმაციას იმ [ისტორიულ-ენციკლოპედიურ-დარგობრივ-წარმოსახვითი] ცოდნიდან მომდინარეს, რაც კაცობრიობამ დააგროვა კატის შესახებ. ამ სიმრავლიდან ყოველ შესაძლო სამყაროში, ანუ ყოველ შესაძლო კონტექსტში, განსაზღვრულ დროში, განსაზღვრული მოლაპარაკე სუბიექტის მიერ განსაზღვრული საკომუნიკაციო აქტის შესრულებისას ამოღებულ იქნება იმ დეფინიციას სიმრავლე, რაც გამიზნული და განსაზღვრული იქნება მოლაპარაკე სუბიექტის მიერ და რომლის საფუძველსაც ამ უკანასკნელის ცოდნა, მისი კულტურული გარემო და მსოფლმხედველობა წარმოადგენს. ენციკლოპედიურ განსაზღვრათა სიმრავლე შეიძლება უსასრულოდ გაგრძელდეს, ვინაიდან ხშირად საჭირო ხდება ყოველი ახლად შემოსული ერთეულის ინტერპრეტაცია, შემდეგ კვლავ ინტერპრეტაცია და ასე უსასრულოდ.

რეფერენცია, საგანზე მითითება მხოლოდ კომუნიკაციის პროცესში ხორციელდება, როდესაც მოლაპარაკე სუბიექტი წარმოთქვამს მსმენელისათვის განკუთვნილ გამონათქვამს. კომუნიკაცია ძირითადად გამონათქვამებით, უფრო ზუსტად ტექსტებით ხორციელდება. ტექსტში გადმოიცემა როგორც უშუალო, ასევე ირიბი აღსანიშნები. ერთმანეთისაგან უნდა განვასხვაოთ ლექსიკური აღსანიშნები და ტექსტობრივი აღსანიშნები, უშუალო აღსანიშნები და ირიბი

აღსანიშნები. თანამედროვე ენათმეცნიერება განასხვავებს ასევე პირობით და სიტუაციურ აღსანიშნებს. პირობითი აღსანიშნები ეს ის მითითებანია, რომელთაც მოლაპარაკე სუბიექტი ფლობს და რომელთა მიხედვითაც იგი გამონათქვამს ხმარობს განსხვავებულ კონტექსტებში. ე.ი. მოლაპარაკე სუბიექტი პირობითად, ამ ენაზე მიღებული შეთანხმებით ამა თუ იმ გამონათქვამს უკავშირებს ამა თუ იმ მნიშვნელობას. ამ შემთხვევაში წინადადებათა სწორი აგება აუცილებელია საგანთა მდგომარეობის სწორად აღწერის მიზნით.

მნიშვნელობის მქონე ერთეულის ანუ აღსანიშნის რეპრეზენტირება-წარმოდგენა შეიძლება ასე გამოიყურებოდეს:

ა) აღსანიშნის ფიზიკური (ფონეტიკური) სახე – [კატა]

ბ) აღსანიშნის შესახებ ენისმიერი ცოდნა – ამ აღსანიშნის მორფო-სინტაქსურ და კატეგორიულ მახასიათებელთა რუბრიკა, გამოხატული რომელიმე არჩეული ფორმით (მაგ. ± ოპოზიციებით, ფრჩხილებით ან ხეებით).

გ) აღსანიშნის შესახებ ენციკლოპედიური ანუ ფონისმიერი ცოდნა – ყველა ის ლექსიკური მახასიათებელი, რომელიც მას, როგორც განსაზღვრული სისტემის ლექსიკურ ერთეულს, გააჩნია.

ეს მონაცემები შეიძლება წარმოდგენილი იქნას გამოსატვის იმ საშუალებით, რომელსაც ამოვიჩვენოთ (ან ლექსიკური სტატიით ან ენციკლოპედიური სიტუაციის გათვალისწინებით). თუმცა ლოგიკოსებსა და ფილოსოფოსებს ჯერაც არ გადაუწყვეტიათ, თუ რომელი დეფინიციაა აღსანიშნის ერთმნიშვნელოვნად განმსაზღვრელი.

[კატის] შესახებ ზემოთმოყვანილ განსაზღვრებას შევავსებთ:

[± animal] [±animé] [±quadrupède] [±domestique] [±miaulant]

ამ ნიშანთაგან ყველას ერთნაირი ღირებულება როდი აქვს [კატის] განსაზღვრისას. ალბათ ბოლო დეფინიცია [რომელიც კნავის ან არ კნავის] ყველაზე მნიშვნელოვანია.

სინტაქსურ-მორფოლოგიური მახასიათებლები:

[± N—] [± — N] [± N] [± pluriel] [± féminin] [± abstrait]

სინტაქსური მახასიათებლები მიუთითებს, რომ ეს სიტყვა განეკუთვნება არსებით სახელთა კატეგორიას.

[კატა] განისაზღვრება როგორც ლექსიკური ერთეული, ასევე განისაზღვრება მისი ადგილი ლექსიკაში, მისი სინონიმები, პარაფრაზები, იდიომები და მეტაფორული ხმარებები, რაც შედეგია ზუსტად იმ

ენციკლოპედიური განხილვისა, რომელიც ზემოთაა წარმოდგენილი. ყველა ამ მონაცემის ერთობლიობა განაპირობებს ამ სიტყვის ადგილს, განსაზღვრას, პირდაპირ და გადატანით მნიშვნელობებს კონკრეტული ენის სისტემაში.

უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს გამოხატულების ისეთი ერთეულები, რომელთა მნიშვნელობის ანალიზი არ ემორჩილება ანალიზის ჩვეულებრივ სემანტიკურ პროცედურას და რომელთა ხმარება თითქოს მხოლოდ რეფერენციის სფეროთი შემოისაზღვრება. ასეთებია ე.წ. ინდექსები ანუ დეიქტიკური ნიშნები. ისინი რეფერენტულ ფუნქციას იძენენ მხოლოდ მაშინ, როდესაც უშუალოდ მიუთითებენ ფიზიკურ საგანზე ან სამყაროში საქმეთა მდგომარეობაზე (მაგ. ჩვენებითი ნაცვალსახელები); ასევე აღსანიშნავია საკუთარი სახელები ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით.

საკუთარი სახელები თავის ქვეშ აერთიანებს დესკრიფციათა განსაზღვრულ რიცხვს. აქაც გადაუჭრელია საკითხი იმის შესახებ ეს დესკრიფცია საკუთარი სახელის მატარებელ ობიექტს (საგანს ან ინდივიდს) აუცილებლად მიეწერება თუ შემთხვევით. მაგ. არისტოტელეს განსაზღვრის დროს იგი აუცილებლად უნდა იქნას მიჩნეული “პოეტიკის” ავტორად თუ არა. საკუთარი სახელი არისტოტელე თავის ქვეშ იკრებს შემდეგ დესკრიფციებს (ანუ განსაზღვრებას): “მეტაფიზიკის ავტორი”, “ალექსანდრე მაკედონელის მასწავლებელი”, “პლატონის საუკეთესო მოსწავლე”, “პოეტიკის ავტორი”. ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული კონცეფციის თანახმად, საკუთარი სახელი არასოდეს კარგავს იდენტურობას თავისი არსებობის მანძილზე და ამიტომ მას “მკაცრი აღმნიშვნელი”, “მკაცრი დესიგნატორი” (კრიპკე) ეწოდება. იგი ყოველ დროისეულ და სივრცობრივ ჭრილში აღნიშნავს ყოველთვის ერთსა და იმავე ობიექტს, რომელსაც თავდაპირველად სახელი ინტუიციის საფუძველზე დაერქვა; შემდგომში, ეპოქათა მანძილზე ეს სახელი თავის ირგვლივ იკრებდა სხვადასხვა განსაზღვრებას ანუ ქმნიდა დესკრიფციათა ჯაჭვს, ე.წ. «კაუზალურ ჯაჭვს», რომელიც ყოველთვის ერთსა და იმავე აღსანიშნზე (ობიექტზე, საგანზე ან ინდივიდზე) მიუთითებდა. დესკრიფციათა ეს სიმრავლე ალბათ ენციკლოპედიურ ცოდნაში ჰპოვებს ბინას და ყოველ შესაძლო სამყაროში ის დესკრიფცია ან დესკრიფციათა სიმრავლე იქნება აღებული, რასაც კომუნიკაციის განზრახვა მოითხოვს.

2.3. ენის ლოგიკური ანალიზი და სიმეტრიის ცნება

ფორმალური ლოგიკური ენების აგებისა და ინტერპრეტაციის პრინციპებზე დაყრდნობით გამოიყოფა და მკაცრ სისტემებად ლაგდება ფორმალური და ბუნებრივი ენების შეხების ის არეები, რომლებიც განსაკუთრებით წინააღმდეგობრივი და არაკანონზომიერია ლოგიკური ანალიზის თვალსაზრისით, მაგრამ სრულიად ბუნებრივი და დასაშვები ჩვეულებრივი ენისათვის. სრულფასოვანი ლინგვისტური ანალიზი იყენებს ლოგიკური ფორმალიზაციისა და განსჯის სოლიდურ აპარატს საფუძვლიანი დასკვნების მისაღებად. ენობრივი ანალიზის სისტემებს სწორედ ლოგიკური ანალიზი კარნახობს იმ გლობალურ კანონებს, რომლებიც წმინდა ენობრივ კანონებთან ერთად წარმართავენ ბუნებრივი ენის მოქმედებას. ლოგიკურ ენებში გარდასახული ლოგიკური ცოდნა, რა თქმა უნდა, მთლიანად არ ასახავს ადამიანის ენობრივი ქმედების ყველა მხარეს, მაგრამ მათი საშუალებით აიგება ის ორიენტირები ანუ იმ შესაძლებლობათა ჰორიზონტები, რომლებიც მიუთითებენ, თუ რა მიმართულებითაა საჭირო ენობრივი (და არა მხოლოდ ენობრივი) მოვლენების განსაკუთრებით ინტენსიური კვლევა. უკანასკნელ ხანამდე არსებული ლოგიკურ-სემანტიკური პრობლემების შესწავლა ძირითადად გლობალურად, ფართო ლოგიკური სისტემების მეშვეობით ხორციელდებოდა. დღეს იმავე პრობლემების კვლევა შედარებით დიფერენცირებული და კონკრეტული ხასიათისაა. მსგავსი ცვლილებების გზაზე დგას ლინგვისტური აზროვნებაც: ენობრივი ანალიზის სისტემები ყალიბდება კლასიკური ლინგვისტური მეთოდების ახლებური გააზრებით თანამედროვე ლოგიკური ანალიზის მეთოდების ათვისების საფუძველზე; ამავე დროს, თანამედროვე ენათმეცნიერების დონეზე ჩნდება ახალი პრობლემები.

თანამედროვე ენათმეცნიერების მდგომარეობის ერთმნიშვნელოვნად წარმოდგენა შეუძლებელია, ვინაიდან ანალიზის ახალ მეთოდებთან თანაარსებობს ტრადიციული, კლასიკური, სტანდარტული მოსაზრებანი. ასევე ძნელდება განისაზღვროს იმ საწინააღმდეგო შეხედულებათა არე, რომელსაც მოიცავს განსხვავებული ლინგვისტური კონცეფციები. ერთი რამ კი შეიძლება დანამდვილებით ითქვას: ლინგვისტური აზროვნება გ.ფრეგედან და ჩ.პირსიდან დაწყებული კომპიუტერულ ენათმეცნიერებამდე მიზნად ისახავდა ადამიანის ენობრივი ქმედების ყოველმხრივ კვლევას. განყენებული, გონისმიერი ლოგიკური

სისტემების გვერდით განიხილებოდა უჩვეულო, ხატოვანი, დინამიკური, ენისმიერი მოვლენები; ენობრივი ქმედება მიიჩნევა ადამიანის ქცევისა და პრაქტიკის ერთ-ერთ მხარედ; ენობრივი ფარდობითობა წარმოადგენს ზოგადადამიანური კონცეპტუალური აზროვნების უნარისა და ურთიერთგაგების საფუძველს. ინტერპრეტირებული ლოგიკური ენებისა და ბუნებრივი ენის თანკვეთის არეები “ენა-აზროვნება-სამყარო” მიმართებათა სისტემაში ასახავს ამ მიმართებათა მრავალსახოვან ხასიათს.

უნდა აღინიშნოს, რომ მიმართებათა სისტემის “ენა-აზროვნება-სამყაროს” სამივე წევრის ამოსავალ წერტილად მიიჩნევა “ადამიანი”, ვინაიდან იგი ცხადად თუ ფარულად, ყოველთვის იგულისხმება ანალიზის ნებისმიერ დონეზე. არ შეიძლება აგრეთვე ყურადღება არ მიექცეს იმ გარემოებას, რომ თანამედროვე ლოგიკურ-სემანტიკურ კონცეფციებში შეიმჩნევა ენის, როგორც ნიშანთა სისტემის, კვლევის შესუსტება და ფართო, მრავალსაფეხურიანი სტრუქტურებისადმი სწრაფვა. საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ თანამედროვე ლოგიკურ-სემანტიკურ აზროვნებას უძნელდება ერთიან ფსიქოლოგიურ საფუძველს დაეყრდნოს.

ენობრივი ანალიზი ფართო მასშტაბური პროცესია, რომელიც მთლიანად მოიცავს ადამიანის მეტყველების, აზროვნებისა და ქცევის პროცესებს. იგი უპირატესობას ანიჭებს იმ სტრუქტურებსა თუ მოდელებს, რომლებიც მოიცავს სხვადასხვა მოვლენებს და მართავს მათ ნაგულისხმევი ერთიანობის საფუძველზე.

ახალი პრობლემების გადაწყვეტისაკენ სწრაფვა დაედო საფუძვლად სემანტიკის ახალი კონცეფციის – შესაძლო სამყაროთა სემანტიკის და, შესაბამისად, მოდელური სიმრავლეებისა და კონსტიტუენტების გაჩენას. ლოგიკური სისტემების სემანტიკის ახალ საფეხურს მოასწავებს პრაგმატიკის ჩართვა ამ სისტემებში; შესაბამისად, ლოგიკური ცნებები და სემანტიკური დებულებები ახლებურად ფორმულირდება და აიხსნება; ჩნდება დროის, მოდალური (ახალი ვარიანტი), ეპისტემური, დეონტიკური და მეტყველების აქტების ლოგიკა.

პრაგმატიკის ფორმალიზაცია და ინტერპრეტაცია ძირითადად წარმოდგენილია რ. მონტეგიუს, დ. სკოტის, ს. კრიპკეს და ი. ჰინტიკას გამოკვლევებში.

ს.კრიპკემ შექმნა მოდალური ლოგიკის სემანტიკა, შემოიღო მოდელური სტრუქტურის ცნება და მოახდინა სისტემის ფორმალიზება.

იჰინტიკამ შეიმუშავა მოდელური სიმრავლეების ცნება და შეეცადა პასუხი გაეცა ამ სიმრავლეებიდან გამომდინარე ფორმალურ, ლოგიკურ, სემანტიკურ და ფილოსოფიურ საკითხებზე. ი. ჰინტიკას კონცეფციები იმავე საკითხებს ეხება, რომლებსაც განიხილავდნენ უ. ქუაინი, ბ. რასელი, ლ.ვიტგენშტეინი, გ. ფრეგე და სხვები. იგი იზიარებს ამ მკვლევართა მთელ რიგ შეხედულებებს, თუმცა ზოგჯერ სრულიად ემიჯნება მათ, ზოგჯერ კი კომპრომისსაც პოულობს.

იჰინტიკას კონცეფციაში განხილულია შესაძლო სამყაროს ეპისტემური თუ ონტოლოგიური სტატუსი, ინდივიდთა იდენტიფიკაციის საკითხები შესაძლო სამყაროებში, ინდივიდუალური ფუნქციები. აღნიშნული კონცეფცია ლოგიკოსთა და ფილოსოფოსთა მკაცრი კრიტიკის საგანია. მკვლევარს ხშირად საყვედურობენ ფაქტთა თავისუფალი არაარგუმენტირებული ინტერპრეტაციების გამო და მისი მრავალი მოსაზრება მიუღებელია.

დ.სკოტმა და ს.მონტეგიუმ შეიმუშავეს შესაძლო სამყაროთა ზოგადი სემანტიკა, რომელიც ცნობილია “შემოგარენთა სემანტიკის” სახელით, ის რეფერენტული თეორიაა. ს.მონტეგიუ ცდილობს ბუნებრივი ენის ფორმალური ლოგიკის მოდელებით აღწერას. დ.სკოტის მოდალური ლოგიკის სემანტიკა მოიცავს შესაძლო სამყაროთა ცნების განზოგადებას, სამყაროთა და ინდივიდთა შორის მიმართებებს და ასევე ყველა ოპერატორს, რომელიც საჭიროა ინდივიდთა ჯვარედინი იდენტიფიკაციისათვის.

აღსანიშნავია, რომ შესაძლო სამყაროთა სემანტიკამ, თუნდაც ნებისმიერი ფორმით გამოსატულმა, შეარყია ენობრივი სემანტიკის აქამდე შემუშავებული თითქმის ყველა პრინციპი. იგი სულ უფრო და უფრო იკიდებს ფეხს, როგორც სემანტიკური კონცეფცია, განსაკუთრებით საქმეთა (სამყაროს) მდგომარეობის აღწერის თვალსაზრისით და თანდათან ენაცვლება გენერაციული კონცეფციების სემანტიკურ კომპონენტს, თუმცა ზოგჯერ მათთან თანაარსებობს კიდევ.

რა შესძინა ამ სემანტიკამ ენობრივ ანალიზს?

უპირველეს ყოვლისა, ეს არის სემანტიკის საზღვრებს გარეთ გასვლა და უფრო ვრცელი პარამეტრების ძიება.

ლოგიკურ აღრიცხვათა გამოყენება ხელს უწყობს არამარტო მრავალმნიშვნელობის პრობლემების დაყენებასა და გადაჭრას (რაც ენობრივი სემანტიკის ძირითად მიზანს წარმოადგენდა), არამედ მრავალი ისეთი

საკითხის გამოყოფასა და წინ წამოწევას, რომლებიც ერთნაირად აინტერესებს ლინგვისტებს, ლოგიკოსებსა და ფილოსოფოსებს.

ქვანტიფიკაციის ჩართვა მოასწავებდა რეალობის ფაქტორის, როგორც სემანტიკური ანალიზის აუცილებელი პარამეტრის, შემოტანას; სისტემათა რეფერენტულობის პრინციპმა კი ერთმანეთთან დააკავშირა ენა და სამყარო.

პრაგმატული ფაქტორების ჩართვამ გააფართოვა გამონათქვამების ლოგიკური ჭეშმარიტების, აღსრულებადობის, დასკვნის გამოტანისა და საყოველთაობის პრინციპები. პრაგმატულმა ფაქტორებმა ხელი შეუწყო მოდალური, დროისა და სხვა სისტემათა წარმოქმნას, არსებული ცნებების ხელახალ გააზრებასა და ახალი მნიშვნელობით გამდიდრებას.

ინტენსიონალურმა ენამ შექმნა ინდივიდის კონცეპტების, თვისებების მიმართებათა და განსჯათა ლოგიკური ანალიზისა და ფორმალიზაციის საფუძვლები, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ენობრივი გამონათქვამებისათვის.

ლოგიკურ ენათა გამოყოფამ და იერარქიზაციამ მსგავსი პროცესები გამოიწვია ბუნებრივ ენაში. შესაძლო სამყაროთა სემანტიკიდან მომდინარე ლოგიკური სისტემები მკაცრად აღრიცხავს ენობრივ გამონათქვამთა წინააღმდეგობრივ და ნებისმიერ მოდიფიკაციას; მნიშვნელობა ფიქსირდება და ამოიცნობა ანალიზის ყოველ წერტილში.

შესაძლო სამყაროთა სემანტიკამ ძირფესვიანად შეცვალა ინტერპრეტაციის, ე.ი. ენობრივი გამონათქვამებისათვის მნიშვნელობის მიწერის პრინციპები. ინტერპრეტაცია ხორციელდება პრაგმატული ფაქტორებისა და ენობრივ გამონათქვამთა მნიშვნელობის რთული ფუნქციონალური ურთიერთმოქმედების შედეგად. ინტერპრეტაცია განუყრელად უკავშირდება კონცეპტუალურ სისტემებს, ინფორმაციას, ინდივიდთა ცოდნასა და რწმენებს.

შესაძლო სამყაროთა სემანტიკის ძირითადი პარამეტრები ისე აიგება და ისეთ ინტერპრეტაციას იძენს, რომ შესაძლებელი ხდება სამყაროს ნებისმიერ ნაწილში, ნებისმიერ დროში, ნებისმიერი ლოგიკური ოპერაციის პირობებში თვალყური ადევნოს, მკაცრად აკონტროლოს და თავიდან აიცილოს მრავალმნიშვნელობა (სახელდების მიმართებიდან მომდინარე), ქვანტიფიკაციის პრინციპების დარღვევა (არსებობის პარადოქსების შედეგი), ეგზისტენციური განზოგადებისა და იგივეობათა ჩანაცვლების პრინციპების (მოდალურ და ირიბ კონტექსტებში) ხელყოფა. ცხადია, რომ ყველა ლოგიკური

სისტემა, რომელიც შესაძლო სამყაროთა სემანტიკას იყენებს, მიზნად ისახავს ენისმიერ გამონათქვამთა მნიშვნელობის მკაცრ ფორმალიზებას.

ამრიგად, შესაძლო სამყაროთა სემანტიკამ ბევრი რამ შესძინა ენობრივ ანალიზს, შეავსო იგი რთული, ფუნქციური მეთოდებით, რომელთა მიზანია ენის დრმა, ლოგიკური მექანიზმის ნათლად წარმოდგენა. შესაძლო სამყაროთა სემანტიკაში ინფორმაციისა და ცოდნის პრობლემები სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს. ენის შესახებ ლოგიკურ მსჯელობაში შესაძლო სამყაროების შემოღება მიზნად ისახავს ბუნებრივი ენის გამონათქვამთა მნიშვნელობის ცვალებადობის ფიქსირებას, ანალიზსა და ფორმალიზებას. შესაძლო სამყაროთა კანონიერ (წესებით დასაშვებ) და უჩვეულო მანიპულირების ჩვეულებრივ, მოსალოდნელ შედეგებს თან ახლავს მნიშვნელობის სრულიად უჩვეულო, მოულოდნელი და თავისუფალი გარდასახვები. უნდა აღინიშნოს, რომ ბუნებრივი ენისათვის დამახასიათებელია ასიმეტრიულობა მნიშვნელობის თვალსაზრისით. ლოგიკურ და ბუნებრივ ენათა წიაღში არსებობს ენის შემოქმედებითი აქტივობის ის სფეროები, რომლებიც ყველაზე ნაკლებად ემორჩილება ლოგიკურ ანალიზს. თუ ლოგიკოსებს სასოწარკვეთილებას გვრის ლოგიკურ პრინციპთა ხშირი დარღვევა, ბუნებრივი ენა, პირიქით, ცოცხლობს და მდიდრდება ასეთ დარღვევათა ხარჯზე. ლოგიკურ განსჯაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს სიმეტრია, მაშინ, როცა ბუნებრივ ენაში მუდმივად იჩენს ხოლმე თავს ასიმეტრიული მოვლენები.

ბუნებრივ ენაში ლოგიკური ანალიზის პრინციპები გამოიყენება, მაგრამ იგი არ ხასიათდება ლოგიკურ პრინციპთა დაცვის სიმკაცრით. ყველა ის პრობლემა, რომელიც ლოგიკაში ერთმნიშვნელოვან პასუხს მოითხოვს, ბუნებრივ ენაში “შერბილებულია” ენის მოთხოვნილებათა და ფუნქციონირების შესაბამისად. ამ შემთხვევაში ლოგიკური პრინციპების დაცვისა და ანალიზის პარალელურად, სხვა მრავალი ფაქტორი მოქმედებს, რაც, თავის მხრივ, განსაზღვრავს ბუნებრივი ენის არსსა და დანიშნულებას. კვანტიფიკაციის, ესენციალიზმის, სახელდების და სხვა პრინციპები ენაში არ გამოირჩევა ისეთი სიმკაცრით წინააღმდეგობებისა და პარადოქსების დაძლევის თვალსაზრისით, როგორც ეს ლოგიკური ანალიზის დროს გვხვდება. ენას ისინი აინტერესებს ფილოსოფიური განსჯის, ან მიზანმიმართული ლინგვისტური კვლევის პოზიციიდან, როდესაც საჭირო ხდება ამა თუ იმ კერძო საკითხის წინ წამოწევა. სწორედ ასეთი მდგომარეობაა დღეს ენათმეცნიერებაში. მნიშვნელობის მიმართ

დამოკიდებულება ხშირად ყალიბდება ცალკეული კონკრეტული კონცეფციის, ან თუნდაც ცალკეულ დარგში დაგროვილი ცოდნის საფუძველზე. ეს არის ბრძოლა ენის სისტემის სიმეტრიულობის ძიების მიმართულებით (რაც განსაკუთრებით შესამჩნევია ენობრივი პროგრამირების პროცესში).

თავი III. სიმეტრია გენერაციულ თეორიაში

3.1. სიმეტრია მორფოლოგიაში

თანამედროვე ენათმეცნიერებამ შეიმუშავა ენობრივი ანალიზის ისეთი პროცედურები და ერთეულები, რომლებიც გამოიყენება ენისმიერი ქმედების ნებისმიერ დონეზე (ფონოლოგია, სინტაქსი, მორფოლოგია, სემანტიკა და მეტყველების აქტები). აღნიშნულ ენობრივ დონეთა მინიმალური ერთეულები ლაგდება სისტემებად მათ შორის არსებულ მიმართებათა საფუძველზე; დგინდება მათი ხმარების წესები როგორც მოლაპარაკე სუბიექტის, ასევე ენის სისტემის პოზიციებიდან გამომდინარე.

ამრიგად, თითოეულ ენობრივ დონეს შესაბამისი პროცედურა, ერთეულთა სიმრავლე და მათი ხმარების წესები გააჩნია.

ლოგიკურად, რა თქმა უნდა, ყველაზე გამართლებულია ენობრივი ანალიზის გამონათქვამიდან დაწყება, მაგრამ ვინაიდან გამონათქვამის ანალიზის შედეგად მიღებული სტრუქტურის შევსება ხდება მორფოფონოლოგიური წესებით, ხოლო მორფემის თეორიის შორს გადაწევა არცოდნის ვაკუუმს წარმოქმნის, ამიტომ მიზანშეწონილად მივიჩნიეთ გამონათქვამთა თეორიას წინ გაუსწროს დებულებებმა მორფემათა შესახებ.

ტრადიციული ენათმეცნიერება ენობრივი ანალიზის ძირითად ერთეულად სიტყვას და ფრაზას მიიჩნევდა და უგულვებელყოფდა ამ ერთეულთა უმცირეს ელემენტებად, შემადგენელ ნაწილებად დაშლის შესაძლებლობას. ეს უმცირესი ელემენტები კი არსებობს თითქმის ყველა ენაში და მათ მინიმალურ ერთეულებსაც უწოდებენ იმის გათვალისწინებით, რომ ისინი მეტად აღარ დაიშლება. ასეთ ერთეულს ენათმეცნიერებმა მორფემა ანუ უმცირესი გრამატიკული (მორფოლოგიური) ერთეული უწოდეს. მორფემები ქმნიან სიტყვებს და ისეთ ენობრივ ერთეულთა იერარქიულ მწკრივებში, როგორცაა ფრაზა, წინადადება, სინტაგმა და სიტყვა, მორფემას სულ დაბალი, პირველი საფეხური

უჭირავს, ყოველი მომდევნო ერთეული კი წინამავალს შეიცავს. ამგვარად, გრამატიკული ანალიზის არსებულ ერთეულთა შორის მოქმედებს კომპოზიციური და იერარქიული მიმართებანი. ფრაზა უმაღლესი ერთეულია, ხოლო მორფემა უმდაბლესი და უმცირესი. მათ შორის განლაგებულია წინადადება (პროპოზიცია), სინტაგმა და სიტყვა. როდესაც სიტყვა ადვილად იშლება შემადგენელ ნაწილებად, იგი ადვილად სეგმენტირებადი; ცნობილია, რომ არსებობს ისეთი სიტყვებიც, რომელთა დაშლა შემადგენელ ნაწილებად ძნელია, ზოგჯერ კი – შეუძლებელიც, რაც განაპირობებს კიდევ ენათა მორფოლოგიურ ტიპს. თავად მორფემა არ გვეძლევა უშუალოდ ანალიზის დროს. მის ფიზიკურ, კონკრეტულ ანუ უშუალო გამოხატულებას მორფი (ალომორფი, ვარიანტი) ანუ მორფემის ფონეტიკური ფორმა წარმოადგენს. ზოგჯერ ერთი მორფემა რამდენიმე სხვადასხვა სახის მორფს (ფონეტიკურად განპირობებული ალომორფები, ისტორიული ვარიანტები და ა.შ.) შეიცავს. ფონეტიკური ვარიანტები ძირითადად ფონეტიკური კონტექსტის გავლენით სახეცვლილი ფორმებია, ისტორიული ალომორფები კი ისტორიული ევოლუციის შედეგად დამკვიდრებული ფორმებია. ალომორფთა გაერთიანება ერთ მორფემად მნიშვნელობის მინიმალურ იგივეობას და ფონეტიკური ფორმის ვარიაციის კანონზომიერებას (კონტროლებადობას) ემყარება.

მორფემათა სიმრავლეები ქმნიან სიტყვათა კლასებს, რომელთაც ტრადიციული ენათმეცნიერება მეტყველების ნაწილებს ან გრამატიკულ კატეგორიებს უწოდებდა. მორფემათა გამოყოფა და კლასებად გაერთიანება დისტრიბუციის, ოპოზიციათა და მიმართებათა ტიპების ცნებებს ემყარება.

ნებისმიერი ენობრივი ერთეული იხმარება იმ კონტექსტში, რომელიც მისთვის არის განზრახული. ასეთ შეზღუდულ კონტექსტთა სიმრავლეს ამ ენობრივი ერთეულის დისტრიბუცია ანუ ყველა ის შესაძლო კონტექსტი ეწოდება, რომელშიც ეს ერთეული შეიძლება იხმარებოდეს. თუ ენობრივი ერთეულები ერთსა და იმავე კონტექსტში გვხვდება, მაშინ მათ ერთი და იგივე დისტრიბუცია გააჩნიათ. თუ ენობრივი ერთეულები არასოდეს არ იხმარება ერთსა და იმავე კონტექსტში, მაშინ მათ შორის დამატებითი დისტრიბუციის მიმართება არსებობს. ამ ორ უკიდურეს განსაზღვრას შორის თავსდება ერთი ენობრივი ერთეულის დისტრიბუციაში მეორე ერთეულის დისტრიბუციის ჩართვა და ამ ერთეულების დისტრიბუციათა შესაძლო თანაკვეთა. (ლაიონზი 1978ა: 86-97)

ნებისმიერი ენობრივი მოვლენა აღიწერება ორი მიმართულებით, ან როგორც ამბობენ ორ პლანში (სიბრტყეში): მნიშვნელობისა და ფორმის (გამოსატყულების) პლანში. შესაბამისად ყოველი დონის ყოველ სამანიპულაციო ერთეულს გააჩნია როგორც გამოსატყულების, ასევე მნიშვნელობის სიბრტყე და ნებისმიერი მათგანი ფლობს 1) კომბინატორულ ანუ სხვა ერთეულებთან შეხამება-შეერთებისა და 2) დისტინქტურ ანუ მაპირისპირებელ (განმასხვავებელ) ფუნქციას. მეორე ფუნქცია განიხილება მხოლოდ ტოლფასი დისტრიბუციის მქონე ერთეულთა მიმართ და ხორციელდება სხვადასხვა სახის (კონტრარული ან კონტრადიქტორული) ოპოზიციათა საშუალებით.

ოპოზიციათა სისტემა ის ძირითადი სიმრავლეა, რომელშიც მორფოლოგიური ერთეული, მორფემა ამჟღავნებს თავის დისტრიბუციას ე. ი. იმ კონტექსტებს, რომელშიც იგი სხვა მორფემებთან ერთად გვხვდება. ამასთანავე, იგი ამტკიცებს თავის არსს და უპირისპირდება თავის მოწინააღმდეგეს, რომელიც მისგან მინიმალურად, მხოლოდ ერთი მახასიათებელი ნიშნით განსხვავდება. თანამედროვე ფილოსოფოსები და ლოგიკოსები ბევრს დაობენ, თუ რა უნდა იყოს ეს ნიშანი, ან უფრო ზუსტად როგორი უნდა იყოს იგი; მას რომ ძირითადი მახასიათებელი ნიშანი უწოდონ, ამით შეიძლება მნიშვნელობის პლანის ზედმეტად მოშველიება დააბრალონ. ჩვენ თავისუფლად შეგვიძლია ამ ნიშანს დისტინქტური ანუ განმასხვავებელი ნიშანი ვუწოდოთ, ხოლო მის არსზე მსჯელობა ფილოსოფოსთ მივანდოთ. ოპოზიციათა თეორია საფუძვლიანად დაამუშავა პრადის ლინგვისტურმა სკოლამ, ხოლო ბოლო ხანებში ოპოზიციათა სისტემა ყველაზე ამომწურავად ჟ. კანტინომ დაახასიათა. ჟ. დიუბუამ ფრანგული ზმნის უღლების პარადიგმათა საფუძველზე გამოყო უღლების შვიდი ტიპი ზმნათა ფუძეების მიხედვით და განსაზღვრა დისტრიბუციათა სქემები. მორფოფონოლოგიურ დონეზე სიმეტრია/ასიმეტრიის ერთ-ერთ გამოვლენას წარმოადგენს დროის ფორმათა ოპოზიციური სისტემა, თუმცა აქ მთელი რიგი წესები მოქმედებს სიმეტრიის შესანარჩუნებლად; მაგ. დროის ფორმათა მნიშვნელობების რეალიზაციისას განსაკუთრებულ როლს ასრულებს დროის გარემოებები, რაც დროის ფორმებს სემანტიკურ კონკრეტიზაციას მატებს. თუმცა, სწორედ მორფოფონოლოგიურ დონეზე ხდება ცნობილი ნეიტრალიზაცია, რაც მოასწავებს ფორმასა და მნიშვნელობას შორის ურთიერთცალსახა მიმართების ანუღირებას.

ენობრივი ანალიზისას ყველაზე მოხერხებულად კონტრარული და კონტრადიქტორული ოპოზიციები იხმარება. ხშირად უპირატესობა კონტრადიქტორულ ოპოზიციას ენიჭება, რომელიც უფრო ინფორმაციულია. ოპოზიციები მეტწილად ბინარულია, რომელთაგან ერთი დადებითია ანუ მარკირებული, ნიშანდებული, ხოლო მეორე – ან საპირისპირო ნიშნის მატარებელი ან ამ საპირისპირო ნიშნის არგამომხატველი, კმაყოფილდება რა დადებითი ნიშნის უარყოფით. ამ მეორე წევრს ჩვეულებრივ არამარკირებულს, არანიშანდებულს უწოდებენ; პირველი სახის ოპოზიცია კონტრარულია, მაგ. მსოფლობითი → მრავლობითი, ხოლო მეორე: მრავლობითი → არა-მრავლობითი – კონტრადიქტორული. სხვანაირად, ოპოზიციაში მყოფ ერთეულთა შესახებ შეიძლება ითქვას, რომ მოცემულ კონტექსტში ერთეულის ხმარება უპირისპირდება მის არხმარებას ამავე კონტექსტში. ზოგადად მიჩნეულია, რომ არანიშანდებულ ფორმას შედარებით ზოგადი მნიშვნელობა და უფრო ვრცელი დისტრიბუცია აქვს, ვიდრე ნიშანდებულ ერთეულს. მაგ. ფრანგული *le chien – la chienne*. ამ წყვილში წევრები ერთმანეთს სქესის ნიშნით უპირისპირდებიან, მდებარეობითი სქესი მხოლოდ ძუს აღნიშნავს, მაშინ როდესაც მამრობითი ხვადის გარდა საერთოდ ძაღლსაც ნიშნავს; ასე, რომ მამრობითის ფორმას უფრო ფართო და ერთგვარად ნეიტრალური სემანტიკური მნიშვნელობა გააჩნია.

ასევე აღსანიშნავია ფრანგული ზმნის პირიან ფორმათა ბინარული ოპოზიციები, რომელთა მარკირებული ფორმები უფრო მეტი ფონური მასით და ნაკლები გამოყენებით ხასიათდება. გამოვეყნოთ შემდეგი წყვილები:

que –იანი ფორმები (*subjonctif*) / ფორმები *que* –ს გარეშე (*indicatif et conditionnel*), სადაც მარკირებულ წევრად გვევლინება *subjonctif*.

Conditionnel/ indicatif, სადაც მარკირებულ წევრად გვევლინება *r*-იანი ფორმები ე.ი. *conditionnel*-ის ფორმები.

ოპოზიციებს ადგილი აქვს ასევე *que* –იან ფორმათა შიგნით (*subjonctif*); *r*-იან ფორმათა შიგნით (*conditionnel*) და *r*-ის გარეშე ფორმათა შიგნით (*indicatif*).

Subjonctif- ის ფორმებში გვაქვს ოპოზიცია:

qu'il chantât / qu'il chante

სადაც მარკირებული წევრია *qu'il chantât* (*imparfait du subjonctif*).

r-იან ფორმებში აღინიშნება ოპოზიცია:

r-იანი ფორმა / *rait*-იანი ფორმა

მოცემულ ოპოზიციაში, ფონური მასის თვალსაზრისით, ორივე ფორმა იდენტურია, მაგრამ გამოყენების თვალსაზრისით მარკირებულია -rait-იანი ფორმა.

Indicatif- ის ფორმებში გვაქვს ოპოზიცია:

ფორმები ფლექსიით [a], [i], [y], [ɛ] / ფორმები ნულოვანი ფლექსიით:

chanta (finit, connut), chantait / chante

ოპოზიციური წყვილში – მარტივი ფორმები/რთული ფორმები:

il chante, il chantait, il chanta, il chantera, il chanterait, chantant, qu'il

chante, qu'il chantât / il a chanté, il avait chanté, il eut chanté, il aura

chanté, il aurait chanté, ayant chanté, qu'il ait chanté, qu'il eût chanté

მარკირებული წევრია რთული ფორმა და ა.შ. გამოყოფილი ოპოზიციები გამოხატავენ დამოკიდებულებას ლაპარაკის მომენტისადმი (დროის კატეგორია).

ენობრივი ერთეულები ერთმანეთის მიმართ ორგვარ მიმართებას ამყარებენ. ენობრივი ერთეული პარადიგმატულ მიმართებაში იმყოფება ყველა იმ ერთეულთან, რომელიც იმავე კონტექსტში იხმარება, რომელშიც ეს ერთეული (მისი საპირისპირო ან თავისუფალ ვარიაციაში მყოფ სხვა ერთეულთა მიმართ); ენობრივი ერთეული სინტაგმატურ მიმართებებს ამყარებს იმ ერთეულთან, რომლებიც მისი თანაბარი დონისაა, მის გვერდით იხმარება და მას კონტექსტს უქმნის. კონტექსტი ანუ დისტრიბუცია სწორედ სინტაგმატურ მიმართებათა საფუძველზე განისაზღვრება. მიმართებათა ეს ორი ტიპი ენის ყველა დონეზე მოქმედებს. სინტაგმატურ მიმართებათა სწორხაზოვანი განლაგება ძირითადად შეთანხმებადია, მიმართებითი, მაგრამ ზოგჯერ მას გადამწყვეტი გრამატიკული ფუნქცია ენიჭება. მაგ. ლათინური ენის ე.წ. თავისუფალ სიტყვათწყობას რომანულ ენათა ფიქსირებული სიტყვათწყობა უპირისპირდება, როგორც გრამატიკული მნიშვნელობის მქონე. რომანულ ენებში წინადადებათა წევრებს ფიქსირებული სინტაქსური ადგილი უჭირავთ მტკიცებით, კითხვით და უარყოფით ფორმებში.

მორფემათა სიმრავლეები შეადგენენ ამა თუ იმ ენის კონკრეტულ მორფოლოგიურ ინვენტარს. იმ წესებს, რომლებითაც ეს მორფემები გამოიხატება და შეიყვანება ე.წ. ტერმინალურ მწკრივებში, მორფო-ფონოლოგიური წესები ეწოდება.

ენათა კლასიფიკაციის ერთი ტიპი მორფემათა ტიპების მიხედვით წარმოებს და მას ტიპოლოგიურ კლასიფიკაციას უწოდებენ. იგი შემუშავებულ იქნა XIX

საუკუნეში და ადგენდა ენათა სამ ტიპს: 1. ანალიზური ანუ იზოლირებადი (მაიზოლირებადი) 2. სინთეზურ-ფლექსიური 3. აგლუტინაციური. თანამედროვე ენათმეცნიერება დიდ ყურადღებას არ აქცევს ენათა ასეთ კლასიფიკაციას, მაგრამ არც მთლიანად მისი უგულებელყოფა იქნებოდა მიზანშეწონილი.

ენათა პირველი მორფოლოგიური ტიპი მორფემებს ათავსებს და განიხილავს ცალ-ცალკე, ერთმანეთისაგან იზოლირებულად და თავისთავად ყოველი იზოლირებული სიტყვა მორფემას წარმოადგენს. ამრიგად, თითოეული იზოლირებული სიტყვა გრამატიკული მნიშვნელობის მატარებელი აფიქსია. ასეთი ენები ანალიზური ე.ი. სიმეტრიულია. მათ კლასიკურ ტიპს ჩინური, იაპონური და ვიეტნამური ენები წარმოადგენს.

სინთეზური ენებისათვის დამახასიათებელია გრამატიკული მნიშვნელობის ფლექსიით გამოხატვა. ფლექსია გრამატიკული ფორმაა, მაგრამ იგი ძირითადად სიტყვის ფორმის შინაგან ცვალებადობას ეყრდნობა და არ პასუხობს ფორმასა და მნიშვნელობას შორის ურთიერთცალსახა მიმართების პრინციპს. ფლექსიას, გარდა შიდაფორმალური ცვალებადობისა, ახასიათებს მრავალი მნიშვნელობის გაერთიანება ერთი ფორმის ქვეშ, ან ერთი და იმავე სიტყვის ფორმათხანაცვლება სხვადასხვა გრამატიკული მნიშვნელობის გამოსახატავად (ე.წ. სუბლექტივიზმი). ძლიერ სინთეზური ანუ ფლექსიური იყო არქაული ენები: სანსკრიტი, ლათინური, ბერძნული, თუმცა დღესაც არსებულ ენათაგან მრავალს მოეპოვება გრამატიკული მნიშვნელობის გამოხატვის როგორც სინთეზური, ასევე ანალიტიკური ფორმები. განსხვავებით სინთეზურისაგან, ანალიტიკურ ენებში ფართოდ გამოიყენება დამხმარე სიტყვები, წარმოებული ფორმები, გრამატიკული აფიქსების სიტყვის გარეთ გატანა და სხვა.

ენათა მესამე ტიპში – აგლუტინაციურ ენებში – ყოველი გრამატიკული მნიშვნელობა ერთი ფონეტიკური ფორმით გამოიხატება, მორფემები ფუძის შემდეგ ერთიმეორის გვერდითაა განლაგებული და სიტყვა ადვილად იშლება შემადგენელ ნაწილებად. აგლუტინაციურ ენათა კლასიკურ მაგალითს თურქული წარმოადგენს, რომელშიც ერთი სიტყვის ფარგლებში მრავალი მორფემის თავმოყრაა შესაძლებელი. (ლაიონზი 1978ა: 200-206)

როგორც ენათმეცნიერების ისტორიამ ცხადყო, არ არსებობს ენის რომელიმე სუფთა ტიპი, ან მხოლოდ ფლექსიური, ან მხოლოდ აგლუტინაციური, ან მხოლოდ ანალიზური. ყოველ კონკრეტულ ენაში ჭარბობს ერთ-ერთი ზემოთდასახელებულ ტიპთაგან, სხვა მხრივ, ყოველთვის მოქმედებს სხვა

ენათათვის დამახასიათებელი მორფოლოგიური ერთეულები: მაგ. რომანული ენები მიჩნეულია ანალიზური ტიპის ენებად, თუმცა მათი დიდი წინაპარი ლათინური ფლექსიური იყო, მაგრამ უშუალო წინაპარი ხალხური ლათინური უპირატესობას ანალიზურ საშუალებებს ანიჭებდა. რომანულ ენათა დღევანდელი მდგომარეობა ერთ-ერთი საფეხურია რომანულ ენათა ევოლუციისა, მაგრამ, როგორც ცნობილია, ეს დიაქრონიის საქმეა; ჩვენ კი გვაინტერესებს აღვწეროთ თანამედროვე ფრანგული ენის პრობლემატიკა მისი სიმეტრიულობა-არასიმეტრიულობის თვალსაზრისით. დასახელებული ტიპებიდან რომელია ყველაზე სიმეტრიული? – ამ კითხვაზე ერთმნიშვნელოვანი პასუხის გაცემა ძნელია. რა თქმა უნდა, აბსოლუტურად სიმეტრიული ენა არ არსებობს; თუმცა ენათა დასახელებული მორფოლოგიური ტიპებიდან შედარებით სიმეტრიულად ანალიზური ენები უნდა მივიჩნიოთ, ვინაიდან აქ ყველაზე უკეთ ჩანს ურთიერთმიმართება ერთ ფორმასა და ერთ მნიშვნელობას შორის; ყოველ იზოლირებულ სიტყვას გრამატიკული მნიშვნელობა გააჩნია.

ფრანგული ანალიზური ენაა, რაც გამოიხატება რთული დროების არსებობით (j'ai pris, j'aurais pris, j'aurai pris, je vais prendre . . .); კავშირებითი გამოთქმების სიმრავლით (parce que, après que, pendant que, en même temps que . . .); წინდებულთა სიუხვით (à, de, en, par, pour, avec . . .) და ა.შ; თუმცა იგი ამავდროულად ინარჩუნებს ფლექსიური ენებისათვის დამახასიათებელ ნიშნებსაც (მაგ. ზმნათა უღლება).

3. 2. სინტაქსი გენერაციულ გრამატიკაში

ენობრივ ერთეულთა იერარქიული რანგის დადგენისას ნახსენები იქნა ე.წ. შემადგენელთა პრინციპი ანუ ენობრივ ერთეულთა შემადგენელ ნაწილებად დაშლის პრინციპი, რომელიც ენის ნებისმიერი დონის ანალიზის პროცესში შეიძლება იქნას გამოყენებული. როცა საქმე მორფოლოგიური ერთეულის დადგენას ეხებოდა, სიძნელე არ წამოჭრილა, ვინაიდან ასეთ ერთეულად მეტნაკლებად ერთმნიშვნელოვნად მორფემა იქნა აღიარებული. ძირეული

სინტაქსური ერთეულის დადგენამ კი დიდი დავა და აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია, რომელიც დღესაც გრძელდება. უმთავრესად ფრაზა, გამონათქვამი და უშუალო შემადგენელი მიიჩნევა ძირითად სინტაქსურ ერთეულად. ცხადია, რომ უშუალო შემადგენელთა მიხედვით წინადადების ანალიზი გამონათქვამთა სინტაქსური ანალიზის უმარტივესი პროცედურაა, ყველაზე ელემენტარული ოპერაციაა; იგი დისტრიბუციული მეთოდის გავრცობა და გაფართოებაა. მას ხშირად ფორმალური მოდელების სახეს აძლევენ და სინტაგმატურ გრამატიკასაც უწოდებენ (ასე უწოდა მას ამერიკელმა ენათმეცნიერმა ნოემ ჩომსკიმ). სინტაქსურ დონეზე უშუალო შემადგენელთა მეთოდის გამოყენება ნიშნავს წინადადების რეალური სტრუქტურის დადგენას, თუკი მას ასეთი სტრუქტურა საერთოდ გააჩნია. (ნიკი 1970: 40-60)

უშუალო შემადგენლების ანალიზი, სინტაგმატური ღერძიდან გამომდინარე, აღწერს წინადადებას; თუმცა ეს ანალიზი არამარტო აღწერს ფრაზას (პირობითად ვუწოდებთ ასე), არამედ წარმოქმნის კიდევ მას. ამისთვის უშუალო შემადგენელთა ანალიზი ფლობს ისეთ წესებს, რომლებიც საშუალებას იძლევა გადაიწეროს ერთი სიმბოლო სიმბოლოთა მწკრივის სახით. ასეთ წესებს გადაწერის ანუ სინტაგმატური წესები ეწოდება. მიღებული სტრუქტურა წარმოადგენს არა რომელიმე კონკრეტულ ფრაზას, არამედ ყველა შესაძლებელ ფრაზას უსასრულო რაოდენობით; ამდენად გადაწერის წესები რეკურენტული ანუ უსასრულოდ განმეორებადია. გადაწერის წესთა სიმრავლე თანმიმდევრულია, ვინაიდან საწყისი სიმბოლოდან, ფრაზიდან (S ან P) ყოველ ერთ საფეხურზე მხოლოდ ერთი სიმბოლო გადაიწერება; გადაწერის წესთა თანმიმდევრული რიგი ქმნის ე. წ. დერივაციას (წარმოებულთა რიგს), რომლის თითოეულ წინადადებას მწკრივი ეწოდება, ხოლო ბოლო მწკრივს – ტერმინალური მწკრივი. გადაწერის წესები სრულდება ე. წ. ლექსიკური წესებით, რომელთა საშუალებითაც ლექსიკონიდან ამოირჩევა ლექსიკური ერთეული ტერმინალური ანუ საბოლოო მწკრივის შესავსებად. იმისათვის, რომ ფრაზას სათანადო სახე მიეცეს, გადაწერისა და ლექსიკური წესები შეივსება ე. წ. მორფოფონოლოგიური წესებით, რომელთა თანახმადაც საბოლოო მწკრივში ჩაისმის ფონეტიკურად სათანადოდ გაფორმებული მორფემათა მწკრივები. ამრიგად, ამ სამი სახის წესთა მიხედვით მიიღება სტრუქტურათა რამდენიმე ძირითადი მოდელი (სინტაგმატური მაჩვენებელი, ინდიკატორი), რომელთა

საშუალებითაც წარმოიქმნება კონკრეტული ენის წინადადებათა უსასრულო სიმრავლე.

უშუალო შემადგენელთა მოდელით მიღებული სტრუქტურები ყველა ენაში გავრცელებული ძირითადი სტრუქტურებია. მართლაც, ყველა ენაში არსებობს SN + SV, რომელიც ფრაზის გადაწერის ძირითად წესს წარმოადგენს და რომელიც შეიძლება ასე ჩამოყალიბდეს: თუ გადასაწერია სიმბოლო P, გადავწეროთ იგი, როგორც SN + SV ანუ

$$P \rightarrow SN + SV \quad (P \text{ გადაწერილია } SN + SV)$$

გადაწერის დანარჩენ წესთა სიმრავლე (მათ შებგვიძლია ვუწოდოთ დამატებითი სინტაგმატური წესები) შესაძლოა შემდეგი სახით იქნას წარმოდგენილი:


1. $P \rightarrow SN + SV$
2. $SN \rightarrow N_o + GN$
3. $GN \rightarrow Art + N$
4. $SV \rightarrow Tps + GV$
5. $GV \rightarrow V + SN$
6. $N_o \rightarrow \{sing. plur$
7. $Tps \rightarrow 3pers. sing. prés.$

იმისათვის, რომ წინადადებას ენისმიერი სახე მიეცეს, გადაწერის წესებს უნდა ასრულებდეს ლექსიკური წესები და ბოლოს მორფოფონოლოგიური წესები, რომლებიც ტერმინალურ მწკრივს ენისმიერ წინადადებად აქცევს.

სინტაგმატური ანუ უშუალო შემადგენელთა გრამატიკა, რომელიც მხოლოდ გადაწერის წესებს ეყრდნობა, ვერ ხსნის ენობრივ ერთეულთა (მათი მოცულობის მიუხედავად) ორაზროვნების ფენომენს და ერთმნიშვნელოვნად ვერ წყვეტს მნიშვნელობის საკითხს. მოვლენები დაიყვანება ენობრივი ერთეულის მრავალმნიშვნელობიანობამდე, ასიმეტრიამდე. უფრო კონკრეტულად შეიძლება ითქვას, რომ ერთსა და იმავე ერთეულს მრავალი მნიშვნელობა აქვს ანუ მრავალნაირად აიხსნება, მრავალნაირად იკითხება. მრავალმნიშვნელობა ენის ნებისმიერი დონისთვისაა დამახასიათებელი, მაგ. იგი ხშირად ლექსიკურია და სიტყვის პოლისემიურობის შედეგია. მაგალითად, სიტყვას “Pièce” ფრანგულ ენაში შემდეგი მნიშვნელობები აქვს: 1) დრამატული ნაწარმოები 2) ფულის

ერთეული 3) ცალი; სიტყვის ლექსიკური კონტექსტი უმრავლეს შემთხვევაში საკმარისია ამ სიტყვის კონკრეტული მნიშვნელობის ამოსაცნობად.

უფრო რთულია გამონათქვამთა მრავალმნიშვნელობის საკითხი, თუმცა აქაც ზოგჯერ გამონათქვამის სტრუქტურის მარტივი განსაზღვრა საკმარისი კონკრეტული მნიშვნელობის დასადგენად; მაგ. სახელადი ჯგუფის მნიშვნელობის დასადგენად საკმარისია ორი განსხვავებული სტრუქტურის წარმოდგენა, რომლებშიც დეტერმინატივი (უფრო კონკრეტულად – ზედსართავი) უსწრებს ან მოსდევს არსებით სახელს. ამ პოზიციათა მიხედვით სახელად ჯგუფს – un pauvre idiot (საბრალო ბოგანო – ღარიბი ბოგანო) ექნება შემდეგი მნიშვნელობები: საბრალო და ღარიბი.



ამ ორი სტრუქტურის ფარგლებში შემადგენელთა გადასმა-ადგილის შეცვლის წესები უშუალო შემადგენელთა გრამატიკას არ გააჩნია.

კიდევ უფრო რთული გადასაწყვეტია სტრუქტურული მრავალმნიშვნელობის საკითხი, რაც ესოდენ დამახასიათებელია ბუნებრივი ენისათვის, მაგ.

1. L'amour de Dieu est une belle chose.
 ღმერთის სიყვარული კარგი რამ არის.
 - a) L'amour de Dieu pour les hommes est une belle chose.
 ღმერთის სიყვარული ადამიანებისადმი კარგი რამ არის.
 - b) L'amour des hommes pour Dieu est une belle chose.
 ადამიანების სიყვარული ღმერთის მიმართ კარგი რამ არის.
2. Je regarde manger les cannibales.
 ვხედავ კანიბალების ჭამას.
 - a) Je regarde les cannibales qui mangent.
 ვხედავ კანიბალებს, რომლებიც ჭამენ.

b) Je regarde les cannibales qui se font manger.

ვხედავ კანიბალებს, რომელთაც ჭამენ.

3. J'aime beaucoup le portrait de Buffet.

მე ძალიან მიყვარს ბუფეს პორტრეტი.

a) J'aime beaucoup le portrait peint par Buffet.

მე ძალიან მიყვარს ბუფეს მიერ დახატული პორტრეტი.

b) J'aime beaucoup le portrait qui représente Buffet.

მე ძალიან მიყვარს პორტრეტი, რომელზეც ბუფეა გამოსახული.

c) J'aime beaucoup le portrait que possède Buffet.

მე ძალიან მიყვარს პორტრეტი, რომელიც ბუფეს აქვს.

ცხადია, უშუალო შემადგენელთა პროცედურა ვერანაირად ვერ ხსნის მოცემულ მოვლენას, რამდენადაც არ შეუძლია ყოველი კონკრეტული მნიშვნელობის რომელიმე ძირითადი სტრუქტურიდან გამომდინარე სტრუქტურისათვის მიწერა. ლოგიკური იქნება, თუ ამ გამონათქვამებს განვიხილავთ, როგორც უშუალოდ მოსმენილ ზედაპირულ სტრუქტურებს. ეს უკანასკნელნი, თავის მხრივ, უკავშირდებიან ერთ ან რამდენიმე სიღრმის სტრუქტურას, რომელიც მათი საფუძველია. როცა ზედაპირული სტრუქტურა ერთი სიღრმის სტრუქტურიდან მომდინარეობს, მაშინ მოცემული გამონათქვამი არ არის ორაზროვანი, მაგრამ თუ იგი უკავშირდება რამდენიმე სიღრმის სტრუქტურას, მაშინ ასეთი გამონათქვამი მრავალმნიშვნელოვანია და ასეთ შემთხვევაში მნიშვნელობის საკითხზე მსჯელობა უკვე სემანტიკის კომპეტენციას ეკუთვნის.

როგორც ვიცით, უშუალო შემადგენელთა გრამატიკა მხოლოდ ერთი სინტაგმის ფარგლებში მოქმედებს და, მისი წესების თანახმად, გადაიწერება მხოლოდ ერთი სინტაგმა. ასე რომ, ამ გრამატიკის აღწერითი და წარმოქმნითი მექანიზმი ძლიერ შეზღუდულია. გარდა სტრუქტურული მრავალმნიშვნელობისა, სინტაგმატური გრამატიკის ძალას აღემატება კომპონენტთა გადასმის, შეკვეცის, გაუქმებისა და ისეთი მარტივი გრამატიკული მოვლენის აღწერა, როგორცაა წყვეტილი მორფემები. მას არ გააჩნია ის აუცილებელი წესები, რომელთა საშუალებითაც უნდა წარმოიქმნას ენის მთელი ის სტრუქტურა და მექანიზმი, რომელიც სცდება სინტაგმატური, სწორხაზოვანი გამონათქვამებისა და სტრუქტურების საზღვრებს. სწორედ ამიტომ სინტაგმატურ

გრამატიკას დაემატა გარკვეულ წესთა სისტემა, რომელსაც ეწოდა ტრანსფორმაციული გრამატიკა. ტრანსფორმაციულ გრამატიკაში ნებისმიერი ფრაზის წარმოქმნა წარმოებს ორ საფეხურად: ფრაზა წარმოიქმნება ზედაპირული და შესაბამისი სიღრმის სტრუქტურიდან, ანუ იმ სტრუქტურიდან, რომელიც ამ ზედაპირულ სტრუქტურას უდევს საფუძვლად.

ამგვარად, ტრანსფორმაციული გრამატიკა პასუხს სცემს იმ კითხვებს, რომელთაც უშუალო შემადგენელთა გრამატიკა ვერ პასუხობს, სახელდობრ:

1. შესაძლოა მრავალმნიშვნელიანობა უკავშირდებოდეს იმ ფაქტს, რომ ერთსა და იმავე ზედაპირულ სტრუქტურას შეესაბამება ორი განსხვავებული სიღრმის სტრუქტურა.

2. შესაძლოა სიღრმის სტრუქტურა შეიცავდეს ისეთ წყვეტილ უშუალო შემადგენლებს და წყვეტილ მორფემებს, რომელთა გადაადგილება აუცილებელია ზედაპირული სტრუქტურის მისაღებად.

3. თუ ორ წინადადებას აქვს ერთი და იგივე მნიშვნელობა ე.ი. თუ ისინი სინონიმები არიან, მაშინ მათი სიღრმის სტრუქტურები იდენტურია, ხოლო ზედაპირული სტრუქტურები – განსხვავებული.

4. უარყოფითი და კითხვითი წინადადებები შეიძლება განხილულ იქნას, როგორც ტრანსფორმები.

იმ ოპერაციას, რომლის საშუალებითაც ზედაპირული და სიღრმის სტრუქტურები ერთმანეთს უერთდება, ტრანსფორმაცია ეწოდება, ხოლო გრამატიკას, რომელსაც მოქმედებაში მოჰყავს ეს ოპერაციები – ტრანსფორმაციული გრამატიკა. ამ გრამატიკამ მრავალნაირად იცვალა სახე და საგრძნობლად გადააჭარბა თავის პირვანდელ მიზნებსა და ამოცანებს; იგი დღესაც სიცოცხლისუნარიანია და ფართოდ და ნაყოფიერად გამოიყენება. ვინაიდან ტრანსფორმაციული გრამატიკის წესები ძირითადად ფრაზათა გარდაქმნა-წარმოქმნას აწარმოებს, სხვანაირად და უფრო ზუსტად მას გენერაციული, წარმომშობი გრამატიკა უწოდეს. ამ გრამატიკის პირველი ფორმულირების მიხედვით, გრამატიკა განიხილება როგორც ისეთი მექანიზმი, რომელიც ფრაზას წარმოქმნის რამდენიმე საფეხურის გავლით: (ჩომსკი 1971: 176-201)

1. ენის საფუძველს წარმოადგენს ე.წ. ბაზისური კომპონენტი, რომელშიც უშუალო შემადგენლებისა და ამ უკანასკნელთა ლექსიკური შევსების

საფუძველზე წარმოიქმნება სიღრმის სტრუქტურები ანუ მორფემათა განსაზღვრული მწკრივები.

2. სიღრმის სტრუქტურები განსაკუთრებული წესების ანუ გრამატიკული ტრანსფორმაციების საშუალებით გარდაიქმნება ზედაპირულ სტრუქტურებად.

3. ზედაპირული სტრუქტურები, რომლებიც მორფემათა მწკრივებს წარმოადგენს, გარდაიქმნება ფონემათა მწკრივებად.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე პასიურ ტრანსფორმაციას შემდეგი სახე შეიძლება მიეცეს:

$$P \rightarrow SN + SV$$

$$SN \rightarrow N_o + GN$$

$$GN \rightarrow Dét (adj) + N$$

$$SV \rightarrow Aux + GV$$

$$GV \rightarrow V + SV$$

სიღრმის სტრუქტურა, თავის მხრივ, წარმოშობს ორ წინადადებას:

ა) წინადადებას, რომელშიც ზმნა მოქმედებით გვარშია

ბ) წინადადებას, რომელშიც ზმნა ვნებით გვარშია

ამ ორი ფრაზის მისაღებად საჭიროა სიღრმის სტრუქტურაზე შემდეგი ოპერაციების განხორციელება:

1. პირველი წინადადების მისაღებად საჭიროა ორივე სახელად ჯგუფში SN შეთანხმების ტრანსფორმაციის გატარება და აფიქსური ტრანსფორმაციის განხორციელება ზმნურ სინტაგმაში ანუ SV –ში.

2. მეორე წინადადების მისაღებად საჭიროა ორივე სახელადი ჯგუფის ადგილის შეცვლა, შემდეგ დამხმარე ზმნისა და ნამყო დროის მიმდევობის მორფემათა შემოყვანა (რაც სიმბოლურად აღინიშნება P.P.), ბოლოს, წინდებულის შემოყვანა იმ სახელადი ჯგუფის წინ, რომელიც ამჟამად უკვე მარჯვნივ მდებარეობს. ამრიგად, ვნებითი გვარის ტრანსფორმაცია (სიმბოლურად TP) ფორმალურად შემდეგნაირად ჩამოყალიბდება:

$$TP: SN_1 + Aux + V + SN_2 \rightarrow SN_2 + Aux + être + P.P. + V + par + SN_1.$$

შეთანხმების პრობლემა სახელად ჯგუფსა და ზმნის ჯგუფს შორის შემდეგი წესით შეიძლება გადაიჭრას:

$$T \text{ accord sujet/verbe: } N_o + GN + tps + y \rightarrow N_o + GN + tps + N_o + y$$

ეს ტრანსფორმაცია ასე წაიკითხება: თუ რომელიმე სახელადი სინტაგმა (SN) განსაზღვრულ რიცხვშია, მაშინ მორფემა, რომელიც მას მოსდევს, იმავე რიცხვში უნდა ჩაისვას, ხოლო y იმ ცვლადს გამოხატავს, რომლის ადგილზე უნდა ჩაისვას ტერმინალური ზმნური ჯგუფი. ე.ი. être +V + SN.

უშუალო შემადგენელთა წესების საპირისპიროდ, ტრანსფორმაციები ისეთი ოპერაციებია, რომლებიც სიმბოლოთა მწკრივს გარდაქმნის სიმბოლოთა სხვა მწკრივად, სხვა სტრუქტურად ანუ სხვა კონსტრუქციად. ფორმალურ ენაზე ამას შემდეგნაირი ფორმულირება ექნება: ტრანსფორმაციები ერთ სინტაგმატურ მაჩვენებელს გარდაქმნის მეორე სინტაგმატურ მაჩვენებლად.

თუ უშუალო შემადგენელთა წესებს გავრცობის ანუ ექსპანსიის წესებად მივიჩნევთ, ტრანსფორმაციული წესები გადაადგილების, ადგილშენაცვლების, კოპირების, ამოღების ან ახალ ელემენტთა შემოყვანის წესებია. ფრანგული ანალიზური ე.ი. სიმეტრიული ენაა; აქედან ყოველი გადახვევა კომპენსირდება ტრანსფორმაციით. ტრანსფორმაციები ძირითადად სიმყარეს სძენენ სიმეტრიულობას. როგორც ცნობილია, სწორედ ტრანსფორმაციებს შეუძლია გადაჭრას ენობრივ ერთეულთა ორაზროვნების საკითხი; ტრანსფორმაციების საშუალებით შეგვიძლია თავიდან ავიცილოთ გრამატიკულად არასწორი ფრაზების წარმოქმნა, რაც აღემატება სინტაგმატური გრამატიკის ძალას, იმდენად, რამდენადაც იგი კონტექსტიდან დამოუკიდებელი გრამატიკაა.

გენერაციული გრამატიკის კონცეფციის თანახმად, გამონათქვამის მთელი მნიშვნელობა სიღრმის სტრუქტურაშია მოქცეული, ამიტომ ტრანსფორმაციები ინარჩუნებენ იმავე მნიშვნელობას, რაც გააჩნია ამოსავალ წინადადებებს, რამდენადაც მათ ერთი და იგივე სიღრმის სტრუქტურა უდევთ საფუძვლად. ასევე აიხსნება ის მოვლენაც, რომ ზოგჯერ არაერთმნიშვნელოვან იდენტურ ზედაპირულ სტრუქტურებს სხვადასხვა სიღრმის სტრუქტურა გააჩნია. ამრიგად, ტრანსფორმაცია, კიდევ ერთხელ, განისაზღვრება როგორც ისეთი ოპერაცია, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს წინადადების მნიშვნელობასა და მის ბგერით რეალიზაციას. (დიუბუა 1969: 15-19)

ტრანსფორმაციათაგან ზოგიერთი აუცილებელია, მაგ. აფიქსური ტრანსფორმაცია; ზოგიერთი ტრანსფორმაციის გამოყენება არ არის აუცილებელი და მას ფაკულტატიური ტრანსფორმაცია ეწოდება: მაგ. პასიური ტრანსფორმაცია. ეს უკანასკნელი ოპერირებს მხოლოდ სიმბოლოთა ერთ მწკრივზე, ერთ გამონათქვამზე; თუმცა არსებობს ისეთი ტრანსფორმაციებიც,

რომლებიც სიმბოლოთა რამდენიმე მწკრივზე მოქმედებს: მაგ. რელატივიზაცია, ნომინალიზაცია და ადვერბიალიზაცია. ასეთი ტრანსფორმაციები აუცილებლად გულისხმობს განსაზღვრული სტრუქტურების ერთმანეთში ჩასმას, ე.ი. არსებობს მთავარი სტრუქტურა, რომელიც შეიერთებს დანარჩენ ჩასასმელ სტრუქტურებს, წინააღმდეგ შემთხვევაში გამონათქვამის მნიშვნელობა სრული არ იქნება. ასეთ მთავარ კომპონენტს მატრიცა ეწოდება. ისეთ ტრანსფორმაციას, რომელიც ერთ ტერმინალურ მწკრივს მეორე ტერმინალურ მწკრივად აქცევს, ზოგადი (განმაზოგადებელი) ტრანსფორმაცია ეწოდება. მათ ხშირად უნარულ ანუ ერთშემადგენლიან ტრანსფორმაციებს უწოდებენ. ე.წ. მარტივი ტრანსფორმაციები მხოლოდ ერთი მწკრივის ფარგლებში მოქმედებს, ხოლო რთული ტრანსფორმაციების მოქმედების არე ერთზე მეტი მწკრივია. მაგ. რამდენიმე ტერმინალურ მწკრივზე მოქმედ ტრანსფორმაციას ე.წ. რელატივიზაცია ანუ მიმართებით დამოკიდებული წინადადების წარმოქმნა წარმოადგენს:

განვიხილოთ ორი მწკრივი:

1) sing. + le + homme + prés. IIIp. + être + grand

2) sing. + le + homme + prés. IIIp. + passer

ამ ორ მწკრივს ერთი და იგივე SN აქვთ. მეორე მწკრივი შესაძლოა ჩავრთოთ პირველში ჩართვის მარკერის « Qu » საშუალებით.

sing. + le + homme + Qu + sing. + le + homme + prés. IIIp.+ passer +
prés. IIIp.+ être + grand

მოცემულ მწკრივზე განხორციელდება შემდეგი ტრანსფორმაციები: SN-ის წაშლა ჩასმულ წინადადებაში; SN-ის შეცვლა ნიშნით “ i ” (i –ქვემდებარისათვის, e –ობიექტისათვის) და მისი დამატება « Qu » მარკერისათვის. ამ მწკრივზე მრავალი სხვადასხვა აუცილებელი ტრანსფორმაციის გამოყენების შედეგად, მიიღება ზედაპირული სტრუქტურა; მორფოფონოლოგიურ წესთა გამოყენების შემდეგ კი ვღებულობთ შემდეგ ფრაზას:

L’homme qui passe est grand.

ტრანსფორმაციული ოპერაციები მეტწილად ინომრება მათი გამოყენების რიგის მიხედვით, წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება გრამატიკულად გაუმართავი, არასწორი წინადადება მივიღოთ. მაგ. აფიქსური ტრანსფორმაცია აუცილებლად უნდა მოსდევდეს პასიურ ტრანსფორმაციას და შეთანხმების

ტრანსფორმაცია მხოლოდ აფიქსური ტრანსფორმაციის შემდეგ უნდა მოხდეს. ასეთ პროცედურებს ტრანსფორმაციათა ციკლურობის პრინციპი განსაზღვრავს.

ამგვარად აგებული გრამატიკა წარმოიხინდება როგორც წარმომქმნელი ანუ გენერაციული მექანიზმი. მისი ძირითადი დამახასიათებელი თვისებაა ექსპლიციტურობა და განფენილობა; ასეთ გრამატიკას შეუძლია ახსნას და აღწეროს ფრანგული ფრაზების სიღრმის და ზედაპირული სტრუქტურები და ჩამოაყალიბოს ისეთი წესები, რომელთაც შესწევთ უნარი წარმოქმნან უსასრულო რაოდენობით გრამატიკულად სწორი წინადადებები. ამ თვალსაზრისით გრამატიკა რეკურსიულია, ე.ი. ეს წესები შეიძლება გამოყენებულ იქნას უსასრულოდ. ამგვარად, გრამატიკა, რომელსაც გენერაციულს ვუწოდებთ, სამი ტიპის წესებისაგან შედგება:

I. გადაწერის წესები, რომლებიც ერთ სიმბოლოს გადაწერენ სიმბოლოთა მწკრივად. მათ ემატება ლექსიკური წესები, რომლებიც ტერმინალურ სიმბოლოს გადაწერენ ლექსიკურ ერთეულად.

II. ტრანსფორმაციული წესები, რომლებიც ტერმინალურ მწკრივს სხვა მწკრივად გარდაქმნის.

III. მორფოფონოლოგიური წესები, რომლებიც ზედაპირულ სტრუქტურებს ფონეტიკურად სათანადოდ გაფორმებულ მორფემათა მწკრივებად გარდაქმნის.

აუცილებელი ტრანსფორმაციებით მიღებული ფრაზები ბევრად უფრო მარტივია, ვიდრე ფაკულტატიური ტრანსფორმაციებით მიღებული ფრაზები. პირველი სახის ფრაზებს ბირთვული ფრაზები ეწოდება და მათი რიცხვი სასრულია. მეორე სახის ფრაზებს “წარმოქმნილი ფრაზები” ეწოდება, ვინაიდან თითოეული მათგანი მიიღება პირველთა სიღრმის სტრუქტურებიდან.

დასაშვებია მორფოფონოლოგიური წესების შევსება სხვა წესებით. მაგ. შეიძლება გამოყენებულ იქნას სპეციალური წესები ისეთი მინიმალური ჯგუფებისათვის, რომლებიც შედგება საკუთარი სახელისა ან ნაცვალსახელისაგან. სპეციალური წესები გამოიყენება აგრეთვე სახელადი ჯგუფის წარმოსადგენად და გადასაწერად, რომელიც შედგება სახელისა და დეტერმინატივისაგან (არტიკლი და ნაცვალსახელოვანი ზედსართავეები). გარდა ამისა, არსებობს კითხვის, უარყოფის და ა.შ. ტრანსფორმაციების შეზღუდული რაოდენობა.

ამგვარად, გენერაციულ გრამატიკას მთლიანობაში შემდეგნაირად წარმოვადგენთ: 1. გადაწერის წესები და ლექსიკური წესები 2.

ტრანსფორმაციები 3. მორფოფონოლოგიური წესები, რომლებიც ძალიან დიდი მოცულობისაა და მათი წარმოდგენა სიმპტომატურად, საჭიროებისდა მიხედვით წარმოებს.

ტრანსფორმაციული და გენერაციული გრამატიკის წესები მიზნად ისახავს გამონათქვამთა მრავალმნიშვნელობის დეკოდირებასა და კომპაქტური და საესე სინტაქსური სისტემების ჩამოყალიბებას. ის ერთგვარი ცდაა იმისა, რომ სისტემური, სიმეტრიული სახე მისცეს ენის ასიმეტრიულ განზომილებას. როგორც ცნობილია, ენის სისტემის ასიმეტრიულობა უნივერსალური მახასიათებელია. სავარაუდოა, რომ სიმეტრიული მხოლოდ ბაზისური კომპონენტია, ვინაიდან აქ კომპონენტები სწორხაზოვნადაა განლაგებული და მოქმედებს მართვის წესები, მაგრამ ამოსავალი მონაცემები და მიღებული შედეგები ურთიერთშექცევადია და სისტემა არ ქმნის იერარქიულად დალაგებულ ქვესისტემათა სიმრავლეს. სიმეტრიული ენების შექმნას ცდილობს მრავალი კომპიუტერული პროგრამა და ხელოვნური გონის სფეროში მომუშავე პროგრამისტები. ბუნებრივი ენის მიმართ შემდეგი უნივერსალური პრინციპი შეიძლება ჩამოყალიბდეს: ბუნებრივი ენა თავისი ბუნებით ასიმეტრიულია, მიუხედავად მისი ტიპოლოგიური მახასიათებლებისა.

3. 3. სიმეტრია და მნიშვნელობა

მას შემდეგ, რაც ფერდინანდ დე სოსიურმა ენა ნიშანთა სისტემად გამოაცხადა, “ნიშანი” კვლავ აღმოჩნდა ენათმეცნიერების ყურადღების არეში, თუმცა იგი არც სოსიურამდე ჩანდა ინტერესმოკლებული.

XIX საუკუნის ორი დიდი მათემატიკოსი, ლოგიკოსი და ფილოსოფოსი ჩარლზ პირსი (ამერიკელი) და გოტლობ ფრეგე (გერმანელი) ითვლებიან თანამედროვე სემიოტიკის (ანუ ნიშანთა შესახებ მეცნიერების) ფუძემდებლებად. ორივე მეცნიერი, – ცდილობდა რა შეექმნა ახალი ფორმალური ენები, ვინაიდან

აკამდე არსებული ყველა ფორმალური ენა მათ არასრულყოფილად მიაჩნდათ – ამავდროულად აყალიბებდა ახალ მეტა-ენას ანუ ენას ენათა შესახებ. ამ ახალ მეტა-ენაში განსხვავებულად გაიაზრებოდა მის შემადგენელ ერთეულთა ანუ ნიშანთა არსი. სწორედ ჩ. პირსი და გ.ფრეგე უნდა ჩაითვალოს ახალი ერის ფუძემდებლებად თანამედროვე ფორმალურ ლოგიკათა წარმოქმნის საქმეში; სწორედ ჩ.პირსმა იხმარა პირველმა სიტყვა სემიოტიკა და ჩამოაყალიბა სემიოზისის, სიმბოლოს, ინდექსის, ინტერპრეტაციისა და სხვა მრავალი ტერმინის განსაზღვრა. ნიშანი, მისი არსი და მასზე დამოკიდებულ სხვა ცნებათა სიმრავლე მუდამ შეისწავლებოდა და გამოიკვლეოდა სხვადასხვა სფეროს სპეციალისტთა მიერ დაწეული ანტიკური ხანიდან დღემდე, სულ უახლეს გამოკვლევებამდე; ყოველ ეპოქას თავისი წვლილი შეჰქონდა ნიშნისა და მასთან დაკავშირებული ცნებების განსაზღვრა-ჩამოყალიბებაში; გ. ფრეგესა და ჩ. პირსის დამსახურებას იმიტომ ვაქცევთ საგანგებო ყურადღებას, რომ ნიშანთან დაკავშირებულ ცნებათა თანამედროვე მდგომარეობა სწორედ მათმა კონცეფციებმა განსაზღვრა.

დღეს ფართოდ გამოიყენება ნიშნის, სემიოტიკის, სემიოზისისა და სხვა ცნებათა ის განსაზღვრებანი, რომლებიც თანამედროვედ მიიჩნევა და რომლებიც სწორედ ჩ. პირსისა და გ. ფრეგეს ნაშრომთა მიხედვით ჩამოაყალიბეს შემდგომი პერიოდის მეცნიერებმა სხვადასხვა დარგში: ჩ. მორისმა, ფ. სოსიურმა, ე.ბენვენისტმა, რ. მონტეგიუმ, ლ. ვიტგენშტეინმა და სხვებმა.

თანამედროვე სემიოტიკა ანუ მეცნიერება ნიშანთა სისტემის შესახებ, უდაოა, თავის ძირითად ერთეულად ნიშანს აღიარებს, მაგრამ თითქმის თანაბარ მნიშვნელობას ანიჭებს ნიშნადქცევის ანუ განიშნინების პროცესს, სემიოზისს. ეს უკანასკნელი მოიცავს ტექსტთა წარმოქმნის (გენერაციის) და მათი ინტერპრეტაციის საკითხებს. რა თქმა უნდა, თავისი ჩამოყალიბების საწყის პერიოდში სემიოტიკას ნიშანი და მასთან დაკავშირებული საკითხები უფრო აინტერესებდა, სემიოზისი და მისი საზღვრების გაფართოება შედარებით გვიანდელი ეპოქის საქმეა.

მას შემდეგ, რაც სემიოტიკა და ნიშანი “სემეიონ” ხმარებაში შემოვიდა, იგი სხვადასხვანაირად განისაზღვრებოდა, ვინაიდან ნიშანი, როგორც ასეთი, შეიძლება ყველაფერი ყოფილიყო: მაგ. ეესტი, დიაგრამა, ემბლემა, მიზანი, ნახატი, სიმბოლო, ენობრივი ნიშანი და ა.შ. მის ძირითად თვისებებად

აღნიშნებოდა ის, რომ ნიშანი იხმარებოდა რაღაცის ნაცვლად, ჰქონდა მნიშვნელობა და გამოხატულების ფორმა.

ენათმეცნიერებს, რა თქმა უნდა, პირველ რიგში ენობრივი ნიშანი აინტერესებდათ და ყოველ საენათმეცნიერო სკოლას და შესაბამისად, ენათმეცნიერულ კონცეფციას ნიშნის თავისებური განმარტება ჰქონდა. ენობრივი ნიშნის თავისებური ხასიათი კარგად ესმოდათ როგორც ანტიკური ხანის, ასევე შუა საუკუნეებისა და თანამედროვე მკვლევარებს. სახელდობრ, ისინი აღნიშნავდნენ ნიშნის მნიშვნელობასა და გამოხატულებას შორის არსებულ ასიმეტრიას, ნიშნის საკომუნიკაციო ხასიათს, ნიშნის მნიშვნელობის დადგენის კრიტერიუმს მხოლოდ ოპოზიციებზე ე.ი. განსხვავებებზე დაყრდნობით. ყველა ეს პარამეტრი დღესაც ძალაშია ნიშნის რაობის დადგენისას, მაგრამ არც ერთი მათგანი არ მიიჩნევა ძირითადად და გადამწყვეტად თანამედროვე კონცეფციებში.

თანამედროვე ენათმეცნიერებაში დამკვიდრებული მოსაზრების თანახმად, სემიოტიკის ორი სახე არსებობს: ზოგადი სემიოტიკა და სპეციფიკური, პრაქტიკული სემიოტიკა. ზოგადი სემიოტიკის მიზანია აღმოაჩინოს სიღრმის ის ერთიანი ფორმალური სტრუქტურა, რომელიც საფუძვლად უდევს კოდირებიდან (ანუ ნიშნით აღნიშვნიდან) მომდინარე ყველა ფენომენს, ე.ი. მისი მიზანია აღმოაჩინოს იმპლიკაციების ის სტრუქტურა (დანასკვის გამოტანის სისტემა), რომელიც ახდენს ნიშანთა ინტერპრეტაციას, ახსნას. სპეციფიკური სემიოტიკა შესწავლილ ნიშანთა სისტემაზე დაყრდნობით შეიმუშავებს იმპლიკაციათა მეტნაკლებად აუცილებელ წესებს.

ორგვარი სემიოტიკის არსებობის კანონიერება ნიშნის ბუნებიდან მომდინარეობს, ვინაიდან ნიშანი თვით იძლევა მისი საკუთარი ინტერპრეტაციის ინსტრუქციას; იგი წარმოადგენს ისეთ მექანიზმს, რომელიც ერთად უყრის თავს საწყისი სტიმულიდან მომდინარე ყველა შემდგომ (თუნდაც მაქსიმალურად დაშორებულ) გამომდინარე შედეგს. ნიშანი ის საწყისი წერტილია, საიდანაც დასაბამს იღებს სემიოზისი და საიდანაც იწყება ის გზა, რომელიც ნიშანმა უნდა გაიაროს, ვიდრე თავის საწინააღმდეგო ნიშანს არ მისცემს დასაბამს ამ გზის ბოლოში. ნიშანში მოცემულია წინადადების ჩანასახი, მაგრამ მანამდე ნიშანმა თავისი არსებობის მთელი გზა, მთელი ისტორია უნდა გაიაროს.

ნიშანს რომ ორი მხარე აქვს – გამოხატულება, მისი ფონეტიკური სახე და მნიშვნელობა, ცნება, რომელსაც იგი გამოხატავს ამ ფონეტიკური სახით – ეჭვს არ იწვევს. მაგრამ მნიშვნელობისა და ფორმის (ფონეტიკური გამოხატულების)

ურთიერთშესაბამისობაში მოყვანა, მათი ურთიერთკორექტირება რთული პროცესია და დამოკიდებულია ნიშანტწარმოქმნის მრავალსახეობასთან; ეს უკანასკნელნი ასე შეიძლება განვაზოგადოთ, ანუ შესაძლებელია მათ შემდეგი სახელები მივანიჭოთ: კვალი, რომელსაც ნიშანი ტოვებს; სიმპტომი, რომელიც მიუთითებს იმ მიზეზებზე, რომელთანაც ნიშანი რაღაც ხანგრძლივობით იყო დაკავშირებული (იგი სუნთქავს ე.ი. იგი ცოცხალია); ინდექსი, რომელიც საგნის ყოფნა-არყოფნით ამ საგნის მფლობელის ქცევაზე მიუთითებს (ფეხსაცმელზე აყალო მიწა წითელ მიწაზე ნასიარულებს ნიშნავს); მაგალითი, ნიმუში ან ყალბი ნიმუში (ძირითადად მეტონიმით გამოხატული) – სიგარეტის ყუთი ნიშნავს, რომ ეწვეიან ან რომ იგი საქონელია, ან რომ მას ვინმეს სთავაზობენ და ა.შ.; ფაქტორები (მიმართულებათა ან სხვა ლოკალიზაციათა გამომხატველი ნიშნები, მაგ. ქუჩის მიმართულების აღმნიშვნელი ისარი მეტროში); სტილიზაცია (მოიცავს ემბლემებს, გერბებს, სათამაშო კარტებს და ასეთ ნიშნებს); ერთეულთა კომბინაციები (მოიცავს ყველანაირ სიგნალს: საზღვაოს, საჰაეროს, საგზაოს და სხვა); პროგრამირებული სტიმულები და გამოგონებები.

ნიშნის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელია ის, რომ იგი იხმარება რაღაცის ნაცვლად (*aliquid stat pro aliquo* – რაღაც დგას რაღაცის ნაცვლად). ერთ-ერთ ძირითად მახასიათებელს წარმოადგენს აგრეთვე ის, რომ ნიშანი შესაძლოა რაღაცნაირად აიხსნას; სხვანაირად რომ ვთქვათ, ნიშანს ახასიათებს შესაძლო ინტერპრეტაცია. ინტერპრეტაცია გადმოსცემს ნიშნის შინაარსს და ამის საშუალებით აფართოებს ნიშნის გაგების არეს. განსაზღვრული ინტერპრეტაციის კრიტერიუმი საშუალებას გვაძლევს თანდათან, ანუ ეტაპობრივად გავიაროთ სემიოზისის მთელი გზა. ნიშნის ინტერპრეტაცია განსაზღვრავს მის მიერ გადმოცემული მნიშვნელობის წილს იმ სხვა მნიშვნელობათა წილებთან მიმართებაში, რომელიც მიიღება მთლიანი მნიშვნელობის დანაწევრების შედეგად.

თანამედროვე, სულ ბოლო წლების კონცეფციათა მიხედვით, სემიოტიკური ფუნქციის მოდელი შეიძლება შემდეგნაირად გამოიხატოს. იმის გათვალისწინებით, რომ არსებობს გამოხატულებისა და მნიშვნელობის კონტინუუმი (უწყვეტი მწკრივი ანუ უწყვეტი სივრცე), ამდენად:



მატერია ანუ კონტინუუმი, რომლის შესახებაც ნიშანი ლაპარაკობს, ის დინამიკური ობიექტია, რომელიც განსაზღვრავს ობიექტს, მის მოტივაციას, ანუ წარმოადგენს დასაბუთებას. ნიშანი მას უშუალოდ ვერ გადმოსცემს, ვინაიდან აღმნიშვნელი (ფონეტიკური ფორმა) მხოლოდ უშუალო საგანს ხატავს (ანუ მნიშვნელობას). ყოველი კონკრეტული ცივილიზაცია მნიშვნელობის მოწყობა-დალაგებას ველების, დერძების, ქვე- და ნაწილობრივი სისტემების საშუალებით ახერხებს.

დასახელებული განზომილებანი ყოველთვის არ ქმნის ერთიან, შეკრულ სისტემას. ისინი ე.წ. პერსპექტიული კონტექსტების მიხედვით აირჩევა და შეესაბამება არამარტო კონკრეტულ და აბსტრაქტულ ერთეულებს, არამედ მიმართებებს და მიმართულებებსაც კი. ურთიერთშესაბამისობაში მოყვანილი გამოსატულებისა და მნიშვნელობის პლანში განლაგდება დანასკოთა გამოტანის სისტემის ურთიერთდაკავშირებული მიმართებები; ყოველივე ეს გამოიხატება აღსანიშნსა და აღმნიშვნელს შორის არსებული არასიმეტრიული (არაცალსახა) მიმართებით. როგორც ვიცით, ნიშნის მხარეებს –აღსანიშნსა და აღმნიშვნელს– შორის ყველაზე იდეალურ შემთხვევაშიც კი არ არის სიმეტრია.

მოლაპარაკე სუბიექტის მდგომარეობა განსაზღვრულია კონკრეტული ენის სემიოტიკური ფუნქციების სიმრავლით. მოლაპარაკე სუბიექტი ისეთია, როგორადაც მას ნიშნებით აღნიშნული და გამოსატული სამყარო ქმნის. მხოლოდ ნიშანთა ის სისტემა ე.ი. მნიშვნელობათა სისტემა, რომელიც მოქმედებს და კომუნიკაცია, რომლის დროსაც ეს სისტემა გამოიყენება,

განსაზღვრავს მოლაპარაკე სუბიექტის აწმყოს, წარსულსა და მომავალს. მეცნიერება ნიშანთა შესახებ ადამიანთა ისტორიულად ჩამოყალიბების შესახებ მეცნიერებაა. ნიშანი, რომელსაც ადამიანი ხმარობს, თვით ეს ადამიანია. ყველანაირი აზრი ნიშანია, ცხოვრება აზრთა ნაკადია; ვინაიდან აზრი გარეგანი ნიშანია, ამდენად, ადამიანიც გარეგანი ნიშანია. ამრიგად, ჩემი ენა ეს მე ვარ მთლიანად, ვინაიდან ადამიანი აზროვნებაა, – ამბობდა ჩარლზ პირსი.

სემიოტიკა ნიშანს იკვლევს თავისი პარამეტრებით, ენათმეცნიერება ამავე მიზნისათვის საკუთარ ენას მიმართავს. ამიტომ ნიშნის კვლევის ორივე სფერო სხვადასხვა მიმართულებით წარიმართება და ზოგჯერ ერთმანეთს ძლიერ ცილდება; ეს ბუნებრივიცაა, ვინაიდან ნიშნის ინტერპრეტაციის სემიოტიკური განზომილება ლინგვისტური განზომილებისაგან განსხვავებულ ენაზე ყალიბდება. თუმცა ინტერპრეტაციის პროცესი თითქმის ყოველთვის მრავალმნიშვნელობისაკენ მიისწრაფვის.

თავი IV. სიმეტრია სინტაქსში

4. 1. სისტემის მარეგულირებელი წესები

რამდენად სწორხაზოვნად დალაგებულად შეიძლება ჩაითვალოს ფრანგული ენის სინტაქსი? ფრანგული ენის სინტაქსი, მიუხედავად წესებით მოწესრიგებული ხასიათისა, არ შეიძლება ჩაითვალოს სრულიად მოწესრიგებულად ე.ი. სიმეტრიულად; ყველა მოყვანილი წესი ისწრაფვის დაამყაროს ურთიერთმიმართება კანონიკურ და ტრანსფორმირებულ ფორმებს შორის. ყოველ ენობრივ სისტემაში კანონიკურ ფორმათა და მათ მოდიფიკაციათა შორის არსებულ ურთიერთმიმართებებს სწორედ მარეგულირებელი წესები აწესრიგებს.

ახალი სინტაქსური პარადიგმის გაჩენამ, რომელსაც დღეს სულ უფრო ხშირად უწოდებენ ახალ სინტაქსს, შესაძლებელი გახადა სისტემების შემადგენელ ნაწილთა გაერთიანება და ვრცელ სისტემათა აგება-ანალიზი. წინადადების სინტაქსური ანალიზისათვის ძლიერ ეფექტური აღმოჩნდა ახალი სინტაქსური თეორია, რომელიც მიმართებათა ქსელს სისტემის შემადგენელ ნაწილთა, მოდულთა ურთიერთმიმართებაში ასახავს.

ფრანგული ენა წინადადებაში სიტყვათა განლაგებისას მისდევს ბუნებრივ და ლოგიკურ რიგს. რივაროლმა ამ პრინციპზე დააფუძნა თავისი ნაშრომი “Discours sur l’Universalité de la langue française”: ” რაც ჩვენს ენას განასხვავებს ყველა ძველი თუ თანამედროვე ენისაგან, ეს არის ფრაზის წყობა. ფრანგული ენა თავდაპირველად ასახელებს მეტყველების სუბიექტს, შემდეგ ზმნას, რომელიც მოქმედებას გამოხატავს, და, ბოლოს, ამ მოქმედების ობიექტს. აი, ეს არის ყველასათვის ბუნებრივი ლოგიკა; აი, ეს ქმნის ზოგად მნიშვნელობას მხოლოდ ფრანგული ენა დარჩა ამ წყობის ერთგული სწორედ აქედან გამომდინარეობს ის სიცხადე, რომელსაც ეფუძნება ჩვენი ენა. რაც ცხადი არ არის, ფრანგული არ არის”. (Disc. sur l’Université de la langue française, éd. Suran).

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სამწერლობო ფრანგულში ქვემდებარეს ინვერსია სულ უფრო და უფრო ხშირია. ტერივის მიხედვით, ფრაზის ბოლოს თავსდება მნიშვნელოვანი სიტყვა, ერთგვარი ლოგიკური გამეორების წყალობით. მისი, როგორც ქვემდებარესა თუ დამატების ფუნქცია, ნაკლებ მნიშვნელოვანია. მთავარია, რომ მასზე მოდის ფრაზის ძირითადი მახვილი. მაგალითად:

Quand cela a-t-il passé, pour toi, LA FOLIE?

(Duras, *Hiroshima mon amour*, p. 59).

Elle est blanche, ELLE, fatiguée, nerveuse.

(Philippe Sollers, *Le secret*, p. 231)

ბრუნვის გაუქმებასთან ერთად თანდათანობით ჩამოყალიბდა შემდეგი რივი: ქვემდებარე + ზმნა + დამატება, ანუ, ჩვეულებრივ, ქვემდებარე წინ უსწრებს ზმნას, თუმცა ხშირია ქვემდებარეს ინვერსიის შემთხვევებიც. (გრევისი 1993: 134-155). მაგ. ქვემდებარე ზმნის შემდეგ თავსდება:

1. კითხვით წინადადებაში, თუკი იგი გადმოცემულია პირის ნაცვალსახელით ან ce თუ on ნაცვალსახელით:

As-TU compris? – გაიგე?

Où est-IL? – სად არის?

Est-CE possible? – შესაძლებელია?

Part-ON? – წავედით?

Fallait-IL le laisser vivre ou pas?

(Philippe Sollers, *Le secret*, p. 58)

Comment dites-VOUS cela?

(Marcel Proust, *A l'ombre des jeunes filles en fleurs*, p.142)

2. კავშირებითი კილოს საშუალებით გადმოცემულ ზოგიერთ წინადადებაში, რომელიც გამოხატავს სურვილს, ვარაუდს:

Vive LE ROI!

მეფეს გაუმარჯოს!

Soit LE TRIANGLE ABC !

იყოს ABC სამკუთხედი!

Vive CARLINI ! - s'écrièrent les brigands

(Alexandre Dumas, *Le Comte de Monte-Cristo*, v. I, p.355)

3. ჩართულ წინადადებათა უმეტესობაში:

– “Ton épée!” s'écria-t-IL; “je veux le tuer!”

(Flaubert, *Salammbô*, p. 53)

– Alors, fit MADAME MARGUERITE, appelez le Philibert !

(Marguerite Yourcenar, *L'Oeuvre au Noir*, p. 57)

– En vérité, dit LA DAME en se détournant avec dégoût, - je croyais

qu'on n'exposait ici que des enfants

(Victor Hugo, *Notre-Dame de Paris*, p.87)

4. წინადადებაში, სადაც გვაქვს განსაზღვრება-ზედსართავის ინვერსია:

Vierge est CETTE FORÊT !

ეს ტყე უსიერია!

Rares sont LES JOURS sans nuages.

იშვიათია უღრუბლო დღეები.

5. ძახილის წინადადებებში, რომლებშიც არა გვაქვს ზმნიზედა თუ ძახილის ზედსართავი და სადაც ქვემდებარე არის პირის ნაცვალსახელი, ან კიდევ ჩვენებითი ce თუ განუსაზღვრელი on ნაცვალსახელი.

Est-IL aimable!

რა თავაზიანია!

L'ai-JE assez dit!

საკმარისად ვთქვი!

ასევე ქვემდებარეს მდებარეობის შემცვლელი ტრანსფორმაციებია: პასივიზაცია (ვნებითი წინადადებების დერივაცია), უპირო ტრანსფორმაცია, განკერძოება (ექსტრაპოზიცია). (სომსი, პერლმუტერი: I. 36-37, 95, 119-188; მაკკოლი 1988: 75-89. 152-175, 319, 138, 168-175).

ვნებითი გვარის წარმოება თხოულობს ზმნას être და მთავარი ზმნის ნამყოფს მიმდებარეს (participe passé).

აქტიურ და პასიურ კონსტრუქციებს იდენტური სიღრმის სტრუქტურა და ტრანსფორმაციის განსაზღვრული წესები აქვთ:

La leçon est expliquée par le professeur.

გაკვეთილი ახსნილია მასწავლებლის მიერ.

ასევე პასივის გამოხატვის ერთ-ერთი საშუალებაა უკუქცევითი ნაცვალსახელი ვნებითი გვარის მნიშვნელობით.

Se vendent peu de journaux en Italie.

ცოტა გაზეთი იყიდება იტალიაში.

Là, au ras du trottoir, s'ouvrait une cage vitrée.

(Emile Zola, *Au Bonheur des Dames*, p.42)

Au centre du côté oriental de la place, s'élevait une lourde construction.

(Victor Hugo, *Notre-Dame de Paris*, p.43)

შეკვეცილ პასივში არ არის PNP (par, de —NP) ფრაზა; აქ სიღრმის სტრუქტურაში დაიშვება განუსაზღვრელი ქვემდებარე, რომელიც შემდეგ ტრანსფორმაციით იკვეცება.

Quelqu'un a attaqué Jean.

Jean a été attaqué par qn.

ვილაც თავს დაესხა ჟანს.

Jean a été attaqué.

ჟანს თავს დაესხნენ.

ვინაიდან განუსაზღვრელი ნაცვალსახელი მრავალ სემანტიკურ პრობლემას წარმოშობს, ამიტომ შეკვეცილი პასივის მიმართ სიღრმის სტრუქტურაში უპირატესობა არასპეციფიურ სუბიექტს ენიჭება.

“არასპეციფიური” შეზღუდვა ნიშნავს, რომ ასეთი სუბიექტი არ უნდა ჩანდეს ზედაპირულ სტრუქტურაში, ე.ი. მისი ხმარება თავიდან უნდა იქნას აცილებული დერივაციის ყოველ საფეხურზე, რის შედეგადაც მიიღება სწორად აგებული სტრუქტურა. ასეთივეა ინფინიტივური წინადადებების სიღრმისეული სუბიექტი.

ფრანგული სუბიექტი ნაცვალსახელები, სინტაქსურ დონეზე NP-ს პოზიციაში დგანან. ფრანგულში ყოველთვის აუცილებელია უპირო il ელემენტის შეყვანა NP-ს მოძრაობამდე, რის შემდეგაც არცერთი ელემენტი აღარ შეიყვანება. Il ინვერსია დასაშვებია ყველა იმ კონსტრუქციაში, რომელშიც ფიგურირებს ცარიელი სუბიექტი; ეს ინვერსია გარდამავალ ზმნებთანაც შეიძლება გაჩნდეს. (ბურციო 1986: 135)

il-ის ინვერსია დასაშვებია პასივსა და se საშუალო კონსტრუქციებთანაც:

Il se construit beaucoup d'immeubles dans cette ville.

ბევრი შენობა შენდება ამ ქალაქში.

როგორც ვნახეთ, ფრანგულ ენაში ასიმეტრიულობა ხშირად იჩენს თავს ფრაზის წყობაში. როგორც წესი, ფრაზაში ქვემდებარე პირველ ადგილზე დგას, თუმცა იგი საკმაოდ ხშირად იცვლის მდებარეობას. იგივე შეიძლება ითქვას ფრაზის ობიექტზე, რომელიც ასევე არღვევს ფრაზის სიმეტრიულ წყობას.

ფრანგულ ზმნას შეიძლება ჰქონდეს ერთი სუბიექტი და ორი შიგა ობიექტი. ზოგიერთ შემთხვევაში ზმნას შეიძლება მხოლოდ ერთი პირდაპირი ობიექტი გააჩნდეს. ამ წესს NP-ს ყველა შემთხვევა ემორჩილება. პირდაპირი ობიექტი არ თხოულობს ხილულ წინდებულს და მანიფესტირდება უმახვილო ნაცვალსახელებით (კლიტიკებით). (კეინი 1977: 10-15)

კლიტიზაციის (განაცვალსახელების, პირის უმახვილო ნაცვალსახელთა განაწილების) საკითხი ერთ-ერთი მნიშვნელოვანია სინტაქსურ თეორიაში. ბოლოდროინდელი გამოკვლევების საფუძველზე მიჩნეულია, რომ რომანული ენების ობიექტური კლიტიკები ბაზისური წარმოშობის არიან.

დამატება-ობიექტები, ჩვეულებრივ, ზმნის შემდეგ არის მოთავსებული, თუმცა ზოგჯერ ირღვევა ლოგიკური და გრამატიკული რიგი. (გრევისი 1993: 147)

1. დამატება-ობიექტი ზმნის წინ თავსდება ზოგიერთ კითხვით თუ ძახილის წინადადებაში და მყარ გამოთქმებში:

À QUOI pensez-vous?

რაზე ფიქრობთ?

De quel AUTEUR parlez-vous?

რომელ ავტორზე ლაპარაკობთ?

Que de DÉBOIRES il a éprouvés!

რამდენი სიმწარე განიცადა!

QUE faites-vous dans cette ville ?

(Marguerite Yourcenar, *L'Oeuvre au Noir*, p. 138)

QUE voulez-vous que je vous dise ?

(Françoise Sagan, *Aimez-vous Brahms?*, p.16)

2. ზოგჯერ ზმნის შემდგომ მოთავსებული პირდაპირი დამატების ხაზგასმის მიზნით, ზმნის წინ თავსდება შესაბამისი პირის ნაცვალსახელი:

–Vous me LA promettez, VOTRE AMITIÉ?

– მპირდებით მეგობრობას?

. . . Je vous LE disais, qu' ILS SERAIENT ALLÉS du côté de Guermantes!

(Marcel Proust, *À la recherche du temps perdu*, tome I, p. 145)

— Je ne LE mangerai pas, VOTRE ENFANT!

(Emile Zola, *Au Bonheur des Dames*, p.202)

3. გაძლიერების მიზნით პირდაპირი დამატება თავსდება ფრაზის თავში და ზმნის გვერდით თავსდება შესაბამისი პირის ნაცვალსახელი:

Le bien, nous LE faisons.

ჩვენ სიკეთეს ვაკეთებთ.

Des yeux de statue, on EN avait vu par milliers.

(P. Loti, *La Mort de Philoe*, p. 5)

Et VOUS, je vous accuse de n'avoir pas fait votre devoir d'être humain.

(Françoise Sagan, *Aimez-vous Brahms?*, p.34)

4. ირიბი დამატება-ობიექტი ასევე შეიძლება მოთავსდეს ფრაზის დასაწყისში; ზოგჯერ იგი იცვლება en და y ნაცვალსახელებით:

À CELA non plus, on ne s'attendait pas.

არც ამას არ მოელოდნენ.

DE CEUX-LÀ, monsieur, nous n'EN parlerons pas.

(Musset, *Lett. de Dupuis et Cottonet*, 2 lett.)

დამატებათა მიმართ განიხილება ძირითადად წაშლის (effacement) და ამადლების (raising – montée) ტრანსფორმაციები. ორივე შემთხვევაში საქმე ეხება სხვადასხვა სახელადი ფრაზების (ეკვივალენტური, სუბიექტი, ობიექტი) გადაადგილებას.

დამატება წარმოადგენს s-ს ან უფრო ზუსტად que s-ს, რომელიც გრამატიკულ მიმართებაშია რომელიმე (VP-ს) სუბიექტთან და (PPNP ან NP) ობიექტებთან; “ობიექტი” ფართო მნიშვნელობით მოიცავს ჩართულ Ss-ს.

“კომპლემენტაიზერი” (complementizer) მარკერია, რომელსაც შემოჰყავს დამატება-კონსტიტუენტი [que, si]. დამატებათა სტატუსის შესახებ სიღრმის სტრუქტურაში განსხვავებული შეხედულებები არსებობს. მაგ.

1. ისინი არ იხმარება სიღრმის სტრუქტურაში, მაგრამ იქ ხვდება უფრო მაღალი S-ის პრედიკატული ელემენტის გავლენით.

2. ისინი იხმარება სიღრმის სტრუქტურაში დამატების პოზიციაში, ხოლო მათი სინონიმები (à, ant, de) ტრანსფორმაციის საშუალებით გადაადგილდებიან ზედაპირულ პოზიციაში, როგორც VP, V ან NP თანმხლებნი (adjuncts).

3. ისინი სიღრმის სტრუქტურაში იმავე პოზიციას იკავებს, როგორსაც ზედაპირულ სტრუქტურაში. მაგ: (à, როგორც VP-ს დამატება).

4. დასაშვებია სხვადასხვა თავისუფალი კომბინაციები.

შეკვეცილი დამატებანი [ant, à, de+Inf] ის დამატებანია, რომლებშიც უპირო VP-ს არამარტო უჭირავს სრული დამატებითი წინადადებების ადგილი, არამედ გააჩნია ისეთი ფორმა, როგორიც სრული დამატებითი წინადადების VP-ს.

Georges attend d'être nommé président.

ქორჟი ელოდება პრეზიდენტად დანიშვნას.

L'argent paraît être volé.

როგორც ჩანს, ფული მოიპარეს.

Anne se rejouit de lire des romans.

ანა ერთობა რომანების კითხვით.

შესაბამისად, მრავალი ლინგვისტი მიიჩნევს ასეთ VPs დამატების შეკვეცილ ფორმად, რომელიც მიიღება S-ის დამატების NP სუბიექტის წაშლით ან განკერძოებით.

ძირითადად, უპირო ზმნის ქვემდებარე მიუთითებს იმავე ერთეულზე, რომელზედაც მთავარი წინადადების ქვემდებარე. ეს ქვემდებარე ზოგჯერ გამოიხატება, ზოგჯერ — არა.

უპირო VPს შეიძლება განხილულ იქნას როგორც სიღრმის Ss-დან ნაწარმოები, თუკი დაშვებული იქნება სიღრმის სტრუქტურა, რომელსაც ამ VP-ს ადგილზე ექნება S (ეს უკანასკნელი შედგება ამ VP-სა და მასთან კომბინირებული ქვემდებარე NP-საგან, რომელიც შეესაბამება მთავარი წინადადების ქვემდებარეს); ამის შემდეგ დაშვებულ იქნება ტრანსფორმაცია, რომელიც წაშლის ჩართული წინადადების S-ის ქვემდებარეს. როგორი უნდა იყოს ეს წაშლილი NP? თუ სიღრმის სტრუქტურა შეეცდება სწორად წარმოადგინოს წინადადების მნიშვნელობა, მაშინ NP იქნება მთავარი ქვემდებარეს კორეფერენტული. ასეთ ტრანსფორმაციას ეწოდება [E qui-NP-deletion] [E qui NP éffacement].

სავარაუდო ჩართული წინადადების ნაკლულ NP-ს ძირითადად მიიჩნევენ პირის ნაცვალსახელად, რომლის ანტეცედენტს წარმოადგენს მთავარი წინადადების ქვემდებარე.

ასეთი NP-ს მიმართებები შემდეგი სახისაა:

a) შესაძლოა სავარაუდო ქვემდებარე ფორმითა და რეფერენციით მთავარ ქვემდებარეს ემთხვეოდეს.

b) შესაძლოა იგი წარმოადგენს (le) ან (que), რომელთაც მოსდევს შესაბამისი საზოგადო სახელი.

c) შესაძლოა იგი იყოს პირის ნაცვალსახელი (il)

თუ ჩართული S შეიცავს ისეთ NP-ს, რომელიც ემთხვევა მთავარი წინადადების სუბიექტს, მაშინ ასეთი სიტუაცია ვერ ახსნის მრავალ შესაძლო მაგალითს. უპირატესობა ენიჭება ისეთ ინტერპრეტაციას, როდესაც ჩართული S-ის NP სავარაუდოდ პირის ნაცვალსახელია, რომლის ანტეცედენტს მთავარი წინადადების ქვემდებარე წარმოდგენს (ანუ წაშლას მისი ანტეცედენტი აკონტროლებს. თუმცა ისეთი შემთხვევებიც არსებობს, როდესაც შედარებით ქვედა სუბიექტის წაშლას მთავარი წინადადების ქვემდებარესგან განსხვავებული რაღაც აკონტროლებს). რათა თავიდან ავიცილოთ ისეთი შემთხვევები, რომელთაგან ზოგი ემორჩილება, ხოლო ზოგი კი არ ემორჩილება ზემოთდასახელებულ ინტერპრეტაციას, – გასათვალისწინებელია, თუ როგორ არის წარმოდგენილი დამატებითი წინადადებების შემომყვანები დერივაციაში. ასეთ შემთხვევაში შეკვეცილ დამატებათა შემომყვანები გაიგივდება სრული დამატებების შემომყვან მაჩვენებლებთან.

წაშლის შეუძლებლობა მუდავნდება სხვადასხვა ტრანსფორმაციათა გამოყენებისას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამაღლების (raising-montée) ტრანსფორმაცია. იგი არღვევს ჩართულ S-ს, მის ქვემდებარეს აქცევს მთავარი ზმნის (paraître-sembler) წარმოებულ ქვემდებარედ, ხოლო დანარჩენ ნაწილს გადაიტანს VP-ში.

ამ ტრანსფორმაციას შეიძლება განსხვავებული ეფექტიც გააჩნდეს იმის მიხედვით, თუ რომელი ზმნაა მთავარი paraître თუ attendre.

I ზმნებს [forcer, persuader, presser]

და II ზმნებს [croire, attendre, montrer]

შორის განსხვავებანი იგივეა, რაც [paraître] და [attendre] -ს შორის.

I ჯგუფის ზმნების შემთხვევაში, სიღრმის სტრუქტურაში NP მთავარი წინადადების კონსტიტუენტია, იგი აკონტროლებს სუბიექტის წაშლას დამატება-წინადადებაში.

II ჯგუფის ზმნების შემთხვევაში შესაბამისი NP დამატებითი წინადადების სიღრმისეული კონსტიტუენტია და მთავარ წინადადებაში გადადის დამატებითი წინადადებიდან.

როგორც უკვე აღინიშნა, ასეთი დერივაციული საფეხურების შესაბამისი ტრანსფორმაციები ცნობილია Raising-ის (montée) და E qui-NP-deletion-ის (Equi NP éffacement) სახელწოდებით. მათ შორის განსხვავებანი ლინგვისტთა დავის

საგანს წარმოადგენს. კამათი ეხება მოცემულ ტრანსფორმაციათა იდენტური ბუნების არსებობას თუ არარსებობას. ყველაზე მართებულად მიჩნეულია ის დებულება, რომლის თანახმადაც S-ის დასახელებული ზმნები მართავს წაშლისა და ამადლების ტრანსფორმაციებს. ასეთ ტრანსფორმაციებს (ე. ი. ისეთებს, რომელთაც განაპირობებს პრედიკატის ლექსიკური მნიშვნელობა) მართული ტრანსფორმაციები ეწოდება.

არამართული ანუ თავისუფალი ტრანსფორმაციები ძირითადად პრედიკატის პოზიციაში მყოფი ნებისმიერი ზმნის პირობებში გამოიყენება.

კონტროლის პროცედურა გულისხმობს იმ NP-ს დადგენას, რომელიც აკონტროლებს (მართავს, განსაზღვრავს) E qui-NP-deletion-ის ტრანსფორმაციაში ეკვივალენტური სახელადი ჯგუფის (სუბიექტის ან ობიექტის) წაშლას. ეს წინასწარ უნდა განისაზღვროს პრედიკატის (V) მნიშვნელობაზე დაყრდნობით. მნიშვნელოვანია გავიგოთ თუ [NP[V(P)NPs] სტრუქტურიდან რომელი NP შეიძლება იქნას გამოყენებული, როგორც S-ის სუბიექტის წაშლის კონტროლიორი; ეს შეიძლება იყოს მთავარი წინადადებების სუბიექტი ან ობიექტი, იმყოფებოდეს მთავარ, დამოკიდებულ ან ზეთანწყობილ კონსტიტუენტში, ან სულაც არ ჩანდეს კონტროლის მმართველი (არაკონტროლირებადი წაშლა). მაგალითად:

[Recevoir un grade inférieur] n'ennuyait pas Jean.

[დაბალი ჩინის მიღება] უანს არ წყინდა.

[S'enfuir] était poltron de la part de Derek.

[გაქცევა] მხდალი ნაბიჯი იყო დერეკის მხრიდან.

[Conduire imprudemment] fait peur aux gens.

[დაუფიქრებელი მართვა] ხალხს აშინებს.

[Les coups assenés à Harry] entraînent l'asthénie de Suzanne.

[ჰარისთვის მიყენებული დარტყმები] სუზანს თრგუნავს.

ზოგჯერ “E qui NP deletion” ტრანსფორმაცია ფაკულტატიურია.

არაკონტროლირებადი წაშლა დამახასიათებელია უპირო ფორმაში მყოფი უქვემდებარე VPs-სთვის. ასეთ შემთხვევაში არასპეციფიკური უქვემდებარე უპირველეს ყოვლისა, ფრანგული ნაცვალსახელია «on» (il) ან მეორე პირის ნაცვალსახელი tu- vous — სალაპარაკო ენაში.

კონტროლის შედეგად შესაძლებელია ზოგიერთი ზმნიზედური გამოთქმის სუბიექტის წაშლა ძირითადად ქვემდებარეს კონტროლის ქვეშ; (მრავალმნიშვნელობა აქაც იჩენს ხოლმე თავს). მაგ:

[Avant Ø_i de quitter le bureau] Jean_i appela Marie.

[ვიდრე ოფისს დატოვებდა] ჟანმა მარის დაუძახა.

[Tu_i ne devrais pas écouter la radio] pendant Ø_i les études.

[არ უნდა მოგესმინა რადიოსთვის] მეცადინეობის დროს.

Jean_i portait le smoking [Ø_i pour impressionner Marie].

ჟანს სმოკინგი ეცვა [რათა მარიზე მოეხდინა შთაბეჭდილება].

თითქოს არაკონტროლებადი და ორაზროვანი ჩანს:

Marie a vu Paul en quittant la maison.

მარიმ პოლი დაინახა სახლიდან გამოსვლისას.

ამ წინადადებაში ცხადად არ ჩანს, რომ მთავარი წინადადების ზმნა აკონტროლებს E qui adverbial; სავარაუდოა, რომ ამ შემთხვევაში სწორედ სიღრმის სტრუქტურაში მოქმედი წინდებულები აკონტროლებენ E qui adverbial ტრანსფორმაციას.

ქვემდებარესა და დამატების მდებარეობის შემცვლელ ტრანსფორმაციათაგან აღსანიშნავია ექსტრაპოზიცია (extraposition). ექსტრაპოზიცია მოიცავს ისეთ გადაადგილებებს, როდესაც სუბიექტის (NPs) გრამატიკული როლი შეიძლება შეასრულოს S ჩართულმა წინადადებამ და დამატებამ, რომელიც que კავშირით შემოიყვანება.

ასეთი ტრანსფორმების ზუსტ სინონიმებს წარმოადგენს ის წინადადებები, სადაც გვაქვს complémentiseur + S; que + S წინადადების ბოლოში, ხოლო სუბიექტია [il, cela → Ø].

Que Jean quitte (abandonne) son travail, m'étonne.

მიკვირს, რომ ჟანი სამსახურს თავს ანებებს.

Il (cela) m'a étonné que Jean abandonne son travail.

ის გამიკვირდა, რომ ჟანი სამსახურს თავს ანებებს.

ან Pour Jean d'abandonner son travail est impensable.

ჟანის მიერ სამსახურის მიტოვება წარმოუდგენელია.

ექსტრაპოზიცია გამოიყენება კითხვითი ფორმის დამატებების მიმართ:

Si Jean peut nous joindre n'est pas clair.

Il (ce) n'est pas clair que Jean puisse nous joindre.

Il (ce) n'est pas clair si Jean peut nous joindre.

(არ არის ცნობილი, ჟანს შეუძლია თუ არა, რომ ჩვენ შემოგვიერთდეს.)

ზოგიერთ შემთხვევაში საქმე ეხება მარჯვნივ გადანაცვლებას (dislocation à droite), რომელიც არამხოლოდ დამატება S-ს, არამედ ნებისმიერ NP-ს გადაანაცვლებს ბოლოსკენ და მის ადგილზე დატოვებს შესაბამის ნაცვალსახელს.

ეს წინადადება არ განიხილება როგორც ექსტრაპოზიცია:

Il vient d'acheter une nouvelle voiture, mon oncle.

ბიძახემმა ახალი მანქანა იყიდა.

დასაშვებია ქვემდებარეს, პირდაპირი და ირიბი დამატებების, აგრეთვე მიმართებით დამოკიდებული წინადადების ექსტრაპონირება; საერთოდ, ექსტრაპოზიცია არ უნდა გამოვიყენოთ იმ შემთხვევებში, როდესაც მის შედეგად მიიღება გაუმართავი სტრუქტურები.

პირდაპირი დამატების ექსტრაპოზიცია:

Jean a chanté "Melancoly Baby".

C'était "Melancoly Baby" que Jean a chanté.

(ჟანმა "Melancoly Baby" იმღერა.)

პირდაპირი დამატება S-ის ექსტრაპოზიცია:

J'ai cru que Georges voudrait nous aider.

Ce que Georges voudrait nous aider je l'ai cru.

Que Georges voudrait nous aider, je l'ai cru.

(მე ვიფიქრე, რომ ჟორჟს ჩვენი დახმარება სურდა.)

ფრანგულ ენაში ასიმეტრიული მოვლენები თავს იჩენს გვარის გრამატიკული კატეგორიის წარმოების პროცესშიც: ერთი და იგივე მნიშვნელობა შეიძლება გადმოცემულ იქნეს სხვადასხვა გვარის ფორმით; და, პირიქით, ერთი და იგივე გვარის ფორმას შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა მნიშვნელობა. აქტიური, პასიური და უკუქცევითი კონსტრუქციები, განსხვავდება რა ერთმანეთისაგან ძირითადი მნიშვნელობებით, ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნას ერთიმეორის მნიშვნელობითაც. ამასთანავე, შესაძლებელია ნეიტრალიზაცია, როდესაც სულერთია, თუ რომელ ფორმას ავირჩევთ:

Le pâté a (s'est) moisi.

ღვეზელი დაობდა.

როგორც ცნობილია, ფრანგულ ენას არ შეუძლია მორფოლოგიურად აწარმოოს პასიური ფორმა. პასიური მნიშვნელობის გამოხატვის საშუალებებს შორის ძირითადად აღსანიშნავია être+participe passé კონსტრუქცია და ნაცვალსახელოვანი კონსტრუქცია. მაგ:

Ce journal est vendu dans chaque kiosque.

ეს გაზეთი ყველა ჯიხურში იყიდება.

Ce journal se vend dans chaque kiosque.

ეს გაზეთი ყველა ჯიხურში იყიდება.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ être+participe passé კონსტრუქცია მრავალმნიშვნელოვანია; მისთვის დამახასიათებელია გრამატიკული ომონიმია. მაგ. être+participe passé კონსტრუქცია აქტიურ ფორმაში გარდაუვალ ზმნებთან აწარმოებს რთულ დროებს:

Elle est venue.

ის მოვიდა.

უკუქცევით ზმნებთან ქმნის შედგენილ შემასმენელს:

Elle est évanouie.

იგი გულწასულია.

და მხოლოდ გარდამავალ ზმნებთან იძენს პასიურ მნიშვნელობას:

L'affaire est décidée en cinq minutes.

საქმე ხუთ წუთში გადაწყდა.

პასიური მნიშვნელობის არსებობის ძირითადი პირობაა პასიური კონსტრუქციის აქტიურ კონსტრუქციად ტრანსფორმაციის შესაძლებლობა.

ცნობილია, რომ სემანტიკური და სინტაქსური სტრუქტურების სრული თანხვედრისას სემანტიკური სუბიექტი ქვემდებარეს როლში გვევლინება, ხოლო სემანტიკური ობიექტი – დამატების როლში. მაგ:

Des ouvriers construisent une maison.

მუშები სახლს აშენებენ.

პასიური მნიშვნელობის გამოხატვისას თავს იჩენს სემანტიკური და სინტაქსური სტრუქტურების შეუსაბამობა, რაც გულისხმობს მოქმედების სუბიექტის სხვა ფორმით გამოხატვას:

La maison est construite par les ouvriers.

სახლი აშენებულია მუშების მიერ.

ე.ი. ერთსა და იმავე სემანტიკურ სტრუქტურას სინტაქსის დონეზე გამოხატვის სხვადასხვა ფორმა შეესაბამება, რაც გრამატიკულ ასიმეტრიაზე მიუთითებს.

პასიურ კონსტრუქციაში დამატება-აგენსი ძირითადად შემოდის par ან de წინდებულების საშუალებით:

La voiture sera conduite par Jean.

მანქანას ჟანი წაიყვანს.

Il est aimé de ses amis.

ის მეგობრებს უყვართ.

Être+participe passé კონსტრუქციაში აგენსის ყოფნა ყოველთვის მიუთითებს პასიური მნიშვნელობის არსებობაზე, თუმცა ხშირად პასიური კონსტრუქციები აგენსის გარეშე გვხვდება:

Les pneus seront réparés.

საბურავები შეკეთდება.

Ces voitures sont faites avec beaucoup de soins.

ეს მანქანები გულდასმითაა გაკეთებული.

მსგავს წინადადებებში არ ჩანს მოქმედების რეალური სუბიექტი; იგი ან განუსაზღვრელია (on, quelqu'un), ანდა მოცემულ სიტუაციაში წინასწარაა ცნობილი. მაგ:

Les devoirs sont terminés, les enfants peuvent aller se promener.

დავალებები შესრულებულია,

ბავშვებს შეუძლიათ სასეირნოდ წასვლა.

აქ არ არის აუცილებელი მოქმედების სუბიექტზე მითითება.

უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე ფრანგული ენა être+participe passé კონსტრუქციაში თავს არიდებს აგენსის გამოყენებას, თუმცა ვერც მთლიანად უგულვებელყოფს მას. ზოგიერთი ლინგვისტი პასიური კონსტრუქციის ძირითად ფუნქციას სწორედ სემანტიკური სუბიექტის არარსებობაში ხედავს.

Être+participe passé კონსტრუქცია გამოიყენება ყველა დროსა და კილოში. იგი გამოხატავს როგორც მოქმედებას, ასევე მოქმედების შედეგს:

A 10 heures la porte est fermée par la concierge. (მოქმედება)

10 საათზე კონსიერჟი კარს კეტავს.

Maintenant la porte est fermée. (შედეგი)

ახლა კარი დაკეტილია.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, être+participe passé კონსტრუქცია მხოლოდ გარდამავალ ზმნებთან (მცირე გამონაკლისის გარდა – avoir, pouvoir) იძენს პასიურ მნიშვნელობას, თუმცა შესაძლებელია, რომ ზოგიერთმა გარდაუვალმა ზმნამ და უპირო კონსტრუქციამაც გამოხატოს პასიური მნიშვნელობა. მაგ:

Vous serez pardonné.

გაპატიებთ.

Il sera mis fin à de tels agissements.

ბოლო მოეღება ამგვარ მაქინაციებს.

ზოგჯერ *rester, demeurer, sembler, paraître, passer pour + participe passé* გამოხატავს პასიურ მნიშვნელობას:

Tu resteras aimé de tous les enfants.

შენ ყოველთვის ეყვარები ბავშვებს.

Il semble aimé de tous.

როგორც ჩანს, ის ყველას უყვარს.

აღსანიშნავია, რომ თანამედროვე ფრანგული ენა პასიური მნიშვნელობის გამოსახატავად უპირატესობას ნაცვალსახელოვან კონსტრუქციებს ანიჭებს. იმისათვის, რომ ნაცვალსახელოვან კონსტრუქციას პასიური ღირებულება გააჩნდეს, აუცილებელია, რომ მისი ქვემდებარე იყოს III პირში (მხოლოდით ან მრავლობით რიცხვში) და ეკუთვნოდეს უსულოთა კლასს.

მაგ. წინადადებას:

A Rome on crucifiait les criminels.

რომში ბოროტმოქმედებს ჯვარზე აკრავდნენ.

პასიურ მნიშვნელობას ვერ მივანიჭებთ ნაცვალსახელოვანი კონსტრუქციის საშუალებით. თუკი ვიტყვით:

A Rome les criminels se crucifiaient.

ეს იმას ნიშნავს, რომ რომაელ ბოროტმოქმედებს ჰქონდათ საოცარი ჩვეულება თვითონვე გაკრულიყვნენ ჯვარს. ამ ფრაზას პასიური მნიშვნელობა რომ მივანიჭოთ, უნდა გამოვიყენოთ ანალიტიკური პასიური ფორმა:

A Rome les criminels étaient crucifiés.

რომში ბოროტმოქმედები ჯვარზე იყვნენ გაკრულნი.

ე.ი. ნაცვალსახელოვანი ფორმა პასიურ მოქმედებას გამოხატავს იმ შემთხვევაში, თუკი ქვემდებარე უსულო საგნით არის წარმოდგენილი და არ შეუძლია შეგნებულად წარმართოს მოქმედება:

Dans le Paris blessé, démuné de tout, l'argent sonnait

tout s'y vendait . . . tout s'y achetait

(Elsa Triolet, *Roses à crédit*, p. 34)

Les pièces américaines s'étaient mélangées avec des pièces françaises.

(Henri Troyat, *Les Eygletière*, p. 76)

A la mort de Jésus le voile du Temple se déchira, les sépulcres s'ouvrirent.

(Paul Guth, *Le Naïf aux quarante enfants*, p. 89)

თუმცა ხშირია ისეთი შემთხვევებიც, როდესაც სულიერი ქვემდებარეს მქონე ნაცვალსახელოვანი ფორმა პასიურ მნიშვნელობას გამოხატავს (მაგ. სულიერი ქვემდებარე გარკვეულ სიტუაციასა თუ სოციალურ კონტექსტში):

Un esclave bien portant se vendait jusqu'à vingt livres.

ჯანმრთელი ტყვე ოც გირვანქა სტერლინგად იყიდებოდა.

Les enfants ne se gouvernent pas facilement.

ბავშვები ადვილი სამართავი არ არის.

Les grands peintres s'imitent difficilement.

რთულია დიდი მხატვრების მიბადვა.

ან კიდევ:

Un ami d'enfance se retrouve toujours avec plaisir.

ბავშვობის მეგობრის შეხვედრა ყოველთვის სასიამოვნოა.

Les amis de jeunesse ne se remplacent pas.

ახალგაზრდობის მეგობრები შეუცვლელია.

აღსანიშნავია, რომ მსგავს შემთხვევებში ქვემდებარე ზოგადია (მხოლოდითი, მრავლობითი, ან კრებითი). როგორც ჩანს, რთულია, მაგრამ არა შეუძლებელი, ისეთი ქვემდებარეს პოვნა, რომელიც განსაზღვრული ინდივიდით არის წარმოდგენილი:

Cet écrivain (ou Chateaubriand) se reconnaît à son style.

ეს მწერალი (ან შატობრიანი) თავისი სტილით გამოირჩევა.

რაც შეეხება აგენსის გამოყენებას პასიურ ნაცვალსახელოვან კონსტრუქციასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ძველ ფრანგულ ენაში პასიურ ნაცვალსახელოვან ფორმას, ისევე როგორც être+participle passé კონსტრუქციას, თან ახლდა აგენსი:

Cette secte se fortifie par ses ennemis plus que par ses amis.

(Pascal « Pensées »)

თანამედროვე ფრანგულში კი ნაცვალსახელოვანი კონსტრუქციით პასიური მნიშვნელობის გამოხატვისას ძალზე იშვიათად გვხვდება აგენსი (complément d'agent).

აღსანიშნავია, რომ პასიური ნაცვალსახელოვანი კონსტრუქცია მრავალმნიშვნელოვანია. ის გამოხატავს:

ა) შესაძლებლობას:

Cette théorie se discute (peut se discuter).

ეს თეორია განიხილება (შეიძლება მისი განხილვა).

ბ) ჩვეულებას:

Le blé se sème en automne.

ხორბალს შემოდგომაზე თესავენ.

La truite se pêche dans les torrents.

კალმახს სწრაფი დინებისას იჭერენ.

გ) მიმდინარე მოქმედებას:

la porte se referme en claquant.

კარი გაჯახუნებით იკეტება.

Le silence s'établit entre eux.

მათ შორის სიჩუმემ დაისადგურა.

La porte s'ouvre.

კარი იღება.

პასიური ნაცვალსახელოვანი კონსტრუქცია გამოიყენება:

ა) თხრობის დროს:

En 1659, la paix se conclut...Le mariage avec l'infante se décide...

1659 წელს ზავი დაიდო (მშვიდობა დამყარდა), გადაწყდა ინფანტის დაქორწინება.

ბ) ვარაუდის დროს:

Si la maison se vend en bon prix, on pourra s'offrir une belle croisière.

სახლი თუ კარგ ფასში გაიყიდა, შეგვიძლია

სამოგზაუროდ წავიდეთ.

პასიური ნაცვალსახელოვანი კონსტრუქცია გვხვდება სხვადასხვა დროში:

Le dernier exemplaire de ce livre s'est vendu il y a une heure.

ამ წიგნის ბოლო ეგზემპლარი ერთი საათის წინ გაიყიდა.

Le projet se discutera demain après-midi.

პროექტი ხვალ ნაშუადღევს განიხილება.

Ce projet se discute en ce moment.

ეს პროექტი ახლა განიხილება.

ასევე აღსანიშნავია, რომ ზოგჯერ სასაუბრო ფრანგულ ენაში (განსაკუთრებით უარყოფით ფორმაში) გარდამავალი ზმნის აქტიური ფორმა, რომელსაც დამატება-ობიექტი არ გააჩნია, ღებულობს პასიურ მნიშვნელობას.

მაგ: Voilà des habits qui jamais ne brossent.

ეს ტანსაცმელი არასოდეს არ იწმინდება.

Cette étoffe ne lave pas.

ეს ქსოვილი არ ირეცხება.

ესენია ძირითადად ის ნაცვალსახელოვანი კონსტრუქციები, რომელთაც დაკარგეს უკუქცევითი ნაცვალსახელი, შეკვეცეს რა თავიანთი ფორმა ენის ეკონომიის პრინციპებიდან გამომდინარე.

ამრიგად, როგორც ვნახეთ, აქტიური კონსტრუქცია $SN_1 V SN_2$ პასიურ მნიშვნელობას ძირითადად ორი გზით იძენს:

1. être+participe passé კონსტრუქციის საშუალებით:

$SN_1 V SN_2 \rightarrow SN_2 \text{ être } V\acute{e} \text{ par } SN_1 \text{ ან } de SN_1$

Cette réponse irrite Pierre. \rightarrow Pierre est irrité par (de) cette réponse.

ეს პასუხი პიერს აღიზიანებს \rightarrow პიერი გაღიზიანებულია ამ პასუხით.

2. ნაცვალსახელოვანი ფორმის საშუალებით:

$SN_1 V SN_2 \rightarrow SN_2 \text{ Se } V$

On discute ce projet. \rightarrow Ce projet se discute.

ამ გეგმას განიხილავენ. \rightarrow ეს გეგმა განიხილება.

ცნობილია, რომ ნაცვალსახელოვანი ფორმა პოლისემიურია: პასიური მნიშვნელობის გარდა, მას გააჩნია უკუქცევითი და საურთიერთო მნიშვნელობა. უკუქცევითია ის ნაცვალსახელოვანი ფორმა, რომლის ქვემდებარე ასრულებს მოქმედებას, რომელიც მასვე უბრუნდება. მაგ. se vanter (ტრაბახი), s'accuser (დამნაშავედ თავის ცნობა), se tuer (თავის მოკვლა), se dénoncer (თავისი დანაშაულის აღიარება), se cacher (დამალვა), se croire (საკუთარი თავის მიჩნევა) და ა.შ.

«ზმნა, რომელიც ასახავს ქვემდებარეს მიერ შეგნებულად წარმართულ მოქმედებას, რომელიც მასვე უბრუნდება, მიეკუთვნება უკუქცევითი ზმნების კატეგორიას. ვინაიდან უკუქცევითი გვარი მოითხოვს, რომ ქვემდებარემ

შეგნებულად წარმართოს მოქმედება, ამიტომ მისი ქვემდებარე აუცილებლად სულიერი უნდა იყოს. უსულო ქვემდებარესთან უკუქცევითი მნიშვნელობის არსებობა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუკი ადგილი ექნება გაპიროვნებას (personnification) ე.ი. როდესაც უსულო საგანი თითქოსდა შეგნებულად მოქმედებს». (რეფეროვსკაია, ვასილევა 1973: 226)

მაშასადამე, უკუქცევითი მნიშვნელობის არსებობისათვის აუცილებელია, რომ მოქმედების სუბიექტი სულიერთა კლასს ეკუთვნოდეს:

Jean-Marc se eroyait blasé.

(Henri Troyat, *Les Eygletière*, p. 53)

Il s'efforce d'embrasser son père.

(Jules Renard, *Poil de Carotte*, p.32)

Je m'adosserai à ce tableau comme une armée en déroute s'adosse à la mer.

(Paul Guth, *Le Naïf aux quarante enfants*, p. 67)

უკუქცევითი ღირებულების არსებობის კიდევ ერთი აუცილებელი პირობაა ქვემდებარესა და დამატების იდენტურობა, ანუ დამატებაც სულიერთა კლასს უნდა ეკუთვნოდეს:

სულიერი ქვემდებარე (ადამიანი) – სულიერი დამატება (ადამიანი)

a) Jean regarde Pierre.

ჯანი უყურებს პიერს.

b) Jean regarde Jean. → Jean se regarde.

ჯანი უყურებს ჯანს. → ჯანი თავის თავს უყურებს.

სულიერი ქვემდებარე (არა ადამიანი) – სულიერი დამატება (არა ადამიანი)

a) Le singe gratte la guenon.

მაიმუნი ფხანს დედალ მაიმუნს.

b) Le singe gratte le singe.

მაიმუნი ფხანს მაიმუნს.

c) Le singe se gratte.

მაიმუნი იფხანს.

ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ პირდაპირ-უკუქცევითი და ირიბ-უკუქცევითი კონსტრუქციები. პირდაპირ-უკუქცევითი კონსტრუქციები გამოხატავს მოქმედებას, რომლის სუბიექტად და ობიექტად გვევლინება ერთი და იგივე პირი:

Je me vois dans la glace.

მე საკუთარ თავს სარკეში ვხედავ.

ირიბ-უკუქცევითი კონსტრუქციები გამოხატავს მოქმედებას, რომელსაც ობიექტი ასრულებს საკუთარი თავისათვის, საკუთარი ინტერესებისათვის:

Il s'est brûlé les mains.

მან ხელები დაიწვა.

ასევე აღსანიშნავია საშუალო-უკუქცევითი (ფსევდო-რეფლექსური) კონსტრუქციების არსებობაც (se rendre - წასვლა, დათმობა, se lever - ადგომა, s'avancer - წინ წასვლა), რაც სემანტიკურად ახლოს დგას აქტიური ფორმის გარდაუვალ ზმნებთან. საშუალო-უკუქცევითი კონსტრუქციების თავისებურებებია:

1. ქვემდებარე შეიძლება იყოს როგორც სულიერი, ასევე უსულო საგანი (როგორც ვიცით, უკუქცევითი მნიშვნელობა ხორციელდება მხოლოდ სულიერ ქვემდებარესთან, ხოლო პასიური მნიშვნელობა – უსულო ქვემდებარესთან):

Le brouillard se lève. (საშუალო-უკუქცევითი)

ნისლი ზემოდან ეშვება.

2. პასიური კონსტრუქციისაგან განსხვავებით, საშუალო-უკუქცევითი კონსტრუქცია არ გულისხმობს გამოტოვებულ სემანტიკურ სუბიექტს. მაგ:

L'équipe s'est réunie.

გუნდი შეიკრიბა.

არ არის იგივე, რაც:

On a réuni l'équipe. (გუნდი შეიკრიბეს).

საშუალო-უკუქცევითი კონსტრუქციები თავისი მნიშვნელობით ხშირად ემთხვევა გარდაუვალ აქტიურ კონსტრუქციებს; ჩნდება სინონიმები, რომლებიც ერთმანეთისაგან მცირე დეტალებით განსხვავდება:

La branche a cassé. – La branche s'est cassée.

ტოტი მოტყდა.

Le ballon gonfle. – Le ballon se gonfle.

ბურთი იბერება.

Se ნაცვალსახელი ხაზს უსვამს სუბიექტის აქტიურობას. შევ:

Le mur penche. – L'homme se penche.

კედელი იხრება. – კაცი იხრება.

განასხვავებს რა ზმნურ მნიშვნელობებს, ნაცვალსახელოვანი ფორმა ერთგვარ განმასხვავებელ ფუნქციას ასრულებს:

rendre (დაბრუნება, მიცემა) – se rendre(დათმობა, წასვლა);
rire (სიცილი) – se rire de (დაცინვა, არად ჩაგდება);
apercevoir (შემჩნევა, მიხვედრა) – s’apercevoir de (შემჩნევა, შენიშვნა);
douter (დაუფლება) –se douter de (გარაუდი, გუმანით მიხვედრა) და ა.შ.

აღსანიშნავია, რომ მრავლობით რიცხვში მდგომი უკუქცევითი ზმნები ხშირად საურთიერთო მნიშვნელობას იძენს.

საურთიერთო მნიშვნელობა გამოხატავს რთული პროცესის მონაწილეთა შორის სიმეტრიულ დამოკიდებულებას. რთული პროცესი გულისხმობს ერთდროულად მიმდინარე რამდენიმე პროცესს, რომლის მონაწილეები რიგ-რიგობით გვევლინებიან რაიმე მოქმედების სუბიექტებად და ობიექტებად. ამ შემთხვევაში მოქმედების აგენსა და პაციენს წარმოადგენს ერთი და იგივე პირი, უფრო ზუსტად, ერთდროულად წარმოიქმნება ორი აგენსი და ორი პაციენსი. ზოგიერთ ენაში საურთიერთო მნიშვნელობა სპეციალური მაჩვენებლებით გამოიხატება, ფრანგულ ენაში კი ეს მაჩვენებლები ძირითადად შერწყმულია უკუქცევით ზმნებთან (ზოგ შემთხვევაში გამოიყენება პრეფიქსი s’entre-). მაგ:

Le moment est venu de se séparer.

(Jules Renard, *Poils de Carotte*, p.75)

Nous nous entraïdons.

ჩვენ ერთმანეთს ვეხმარებით.

როგორც ვნახეთ, ფრანგულ ენაში გვარის წარმოების სისტემაში ფორმათა და მნიშვნელობათა შორის არსებული ასიმეტრია თვალნათელია. ხშირ შემთხვევაში ერთ გრამატიკულ ფორმას მრავალი მნიშვნელობა შეესაბამება და, პირიქით, ერთი მნიშვნელობა სხვადასხვა ფორმით გამოიხატება.

ჩვენ განვიხილეთ პასიური და უკუქცევითი ფორმების მნიშვნელობათა ცვლილებები. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ აქტიური ფორმაც არაერთმნიშვნელოვანია.

I. აქტიური კონსტრუქცია გამოხატავს:

1. აქტიურ მნიშვნელობას. აქ იგულისხმება გარდამავალ ზმნათა უმეტესობა, რომელთაც პირდაპირი ობიექტი გააჩნია:

Pierre lit le livre.

პიერი წიგნს კითხულობს.

2. საშუალო მნიშვნელობას:

Il traduit bien.

ის კარგად თარგმნის.

Pierre dort.

პიერს ძინავს.

3. პასიურ მნიშვნელობას:

Pierre reçoit des coups de Paul. (=Pierre est battu par Paul.)

პიერი პოლის დარტყმებს იღებს. (პიერს პოლი ცემს.)

II. პასიური კონსტრუქცია გამოხატავს:

1. პასიურ მნიშვნელობას:

Je suis doublé par un camion.

სატვირთო მანქანამ გადაამისწრო.

2. ფსევდო-პასიურ მნიშვნელობას:

La terre est couverte de neige.

მიწა თოვლითაა დაფარული.

3. ზოგად მნიშვნელობას:

La porte est ouverte.

კარი ღიაა.

III. უკუქცევითი კონსტრუქცია გამოხატავს:

1. პირდაპირ-უკუქცევით მნიშვნელობას:

Je me promets de bondir à leur cou.

(Jules Renard, *Poil de Carotte*, p.83)

2. ირიბ-უკუქცევით მნიშვნელობას:

En se rasant il se planta la lame dans le menton.

(Paul Guth, *Le Naïf aux quarante enfants*, p. 31)

3. საურთიერთო მნიშვნელობას:

Ils s'aiment.

მათ ერთმანეთი უყვართ.

4. საშუალო-უკუქცევით მნიშვნელობას:

Elle se retira dans sa chambre.

(Henri Troyat, *Les Eygletière*, p. 45)

5. პასიურ მნიშვნელობას:

Cette théorie se discute.

ეს თეორია განიხილება.

ამრიგად, პასიური და უკუქცევითი კონსტრუქციები მრავალმნიშვნელოვნებით გამოირჩევა. როგორც ვნახეთ, ფრანგულ ენაში ასიმეტრიულობა აგრეთვე ხშირად იჩენს თავს ფრაზის აგებისას. ჩვენ განვიხილეთ ქვემდებარესა და დამატების მდებარეობის შემცველი ტრანსფორმაციები: ინვერსია, პასივიზაცია, უპირო ტრანსფორმაცია, ექსტრაპოზიცია, წაშლისა და ამალღების ტრანსფორმაციები და მათ მიერ გამოწვეული ცვლილებები. იმისათვის, რათა თავიდან ავიცილოთ გრამატიკულად არასწორი ფრაზების წარმოქმნა და მივიღოთ სწორად აგებული სტრუქტურა, ვიყენებთ მარეგულირებელ წესებს, რომლებიც აწესრიგებს ენობრივი სისტემის კანონიკურ ფორმებსა და მათ სახეცვლილებებს შორის არსებულ ასიმეტრიულ მიმართებებს.

4. 2. სისტემის წარმომშობი წესები

წესების გამოყენების ორი ალტერნატიული გზა არსებობს:

1. მკაცრად დალაგებული თეორია

ყველა გრამატიკული წესი აღირიცხება დადგენილი რიგის მიხედვით. ყოველ შემდეგ საფეხურზე წესები განიხილება მათი რიგის შესაბამისად და გამოიყენება ან არჩევით ან აუცილებლად. დერივაცია დასრულებულია მთელი რაოდენობის ამოწურვის შემდეგ.

2. თავისუფლად გამოყენების თეორია


გრამატიკული წესები არ არის დალაგებული და გამოიყენება იქ, სადაც ამას მოითხოვს მათი სტრუქტურული აღწერილობა. ყოველი წესი გამოიყენება დერივაციის თითოეულ საფეხურზე, მიუხედავად იმისა, თუ რომელი წესი იქნა გამოყენებული მანამდე და მის შემდეგ.

მრავალი წინადადება ემორჩილება ორივე წესს, მაგ. პასიური ფორმის წარმოება:

Il y a eu un manifestant arrêté par la police.


დემონსტრანტი პოლიციამ დააკავა.

სიღრმის სტრუქტურა იქნება:



ამ სიღრმის სტრუქტურიდან მიიღება პასიური ფორმა, რომელსაც თან ახლავს il შემოყვანის ტრანსფორმაცია.

წესთა გამოყენების ორივე პრინციპის თანახმად, უმჯობესია ასეთი რიგი (I პრინციპი):




დასაშვებია, მაგრამ ნაკლებ სასურველი:



.
. .
. . .

პასიური ტრანსფორმაცია

შევეხეთ ბრძანებითი კილოს წარმოებას, რომლის სიღრმის სტრუქტურა შემდეგი სახისაა:



თუ მას მოსდევს უკუქცევითი ტრანსფორმაცია, მაშინ მიიღება *lave-toi*; მხოლოდ ამის შემდეგ გამოიყენება იმპერატივის სუბიექტის წაშლა.

ამ თვალსაზრისით, ტრანსფორმაციული გრამატიკა უპირატესობას ანიჭებს მკაცრად დალაგებულ თეორიას, რომელშიც რეფლექსივიზაცია (უკუქცევითი ტრანსფორმაციის გამოყენება) წინ უსწრებს იმპერატიულ წაშლას:

.
. .
. . .

რეფლექსივიზაცია

იმპერატიული წაშლა (Impérative délétion)

თანამედროვე ენათმეცნიერებაში სადაოა წესთა გამოყენების რიგის საკითხი. ორივე პრინციპს – მკაცრად დალაგებული თეორია და თავისუფლად

გამოყენების თეორია – ჰყავს როგორც მომხრეები, ასევე მოწინააღმდეგეები. ორივე მხარის მოსაზრებანი საკმაოდ არგუმენტირებულია, თუმცა ენობრივი რეალობა უჩვენებს, რომ ხშირად ძნელია განისაზღვროს, წესთა გამოყენების რომელი პრინციპია უფრო ეფექტური.

ციკლურობის თეორიის ძირითადი პრინციპის თანახმად, წესები გამოიყენება ძირიდან წვერამდე. შემდეგი სახის სტრუქტურის წინადადებაში:

$$S_1 \wedge S_2 \wedge S_3$$

წესები, უპირველეს ყოვლისა, გამოიყენება ყველაზე ღრმად ჩადებული S სტრუქტურის მიმართ.

პირველ ციკლში წესები გამოიყენება S₃-ის მიმართ და ისინი არ მოქმედებს S₁-ში და S₂-ში. მეორე ციკლში წესები გამოიყენება S₂ –ის მიმართ (რომელიც შეიცავს S₃ –ს), მაგრამ არ ცვლის არაფერს S₁ –ში. ბოლო ციკლში წესები გამოიყენება S₁–ში და აქ მთავრდება წესთა გამოყენება.

“სულერთია, სადაც” (The anywhere theory) თეორიის მიხედვით, წესები გამოიყენება ხის ნებისმიერ ნაწილში, სადაც წარმოიქმნება მათი გამოყენების საჭიროება და სადაც საკმარისია წესთა სტრუქტურული მონაცემები. ზოგიერთი დერივაციის შემთხვევაში წესები შეიძლება გამოყენებულ იქნას ძირიდან წვერამდე (როგორც ციკლურ თეორიაში); სხვა შემთხვევაში ისინი შეიძლება გამოყენებულ იქნას წვერიდან ძირისაკენ, ან შერეული რიგის მიხედვით.

ადრეული ტრანსფორმაციული გრამატიკა მკაცრად დალაგებულ წესთა თეორიას იყენებდა. მოგვიანებით, ხშირ შემთხვევაში არაადეკვატური დერივაციული შედეგების მიღების გამო, აუცილებელი გახდა ან ამ თეორიაზე უარის თქმა, ან ახალი ალტერნატივების ძიება. არსებულ ალტერნატივებს შემდეგი სახე აქვს:

1. მკაცრად დალაგებულ წესთა თეორია → თავისუფლად გამოყენების თეორიის საპირისპიროდ.
2. ციკლური თეორია → სულერთია, სადაც – გამოყენების თეორიის საპირისპიროდ.

ციკლური თეორიები მოიცავს თავისუფლად გამოყენების თეორიებს (A) და მკაცრად დალაგებულ თეორიებს (B).

ნებისმიერ ადგილას გამოყენების თეორიები მოიცავს C და D თეორიებს.

დერივაციამ ცხადყო, რომ C და D თეორიები არაადეკვატურია ემპირიული თვალსაზრისით. ისინი წარმოქმნიან გრამატიკულად არასწორ წინადადებებს. ამრიგად, ჩანს, რომ ციკლი ყველა შემთხვევაში უნდა იქნას გამოყენებული, იმის მიუხედავად, დალაგებულია თუ არა წესები. გრამატიკული ტიპური წინადადებები უმთავრესად უშუალოდ ციკლური თეორიის მიხედვითაა წარმოქმნილი. ასე რომ, ციკლური პრინციპის გამოყენება ხელს უწყობს ენაში სიმეტრიული ფორმების არსებობას.

სავალდებულო წესი გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც მისი სტრუქტურული აღწერილობის საჭიროება წარმოიქმნება.

არჩევითი წესი შეიძლება გამოყენებულ იქნას, როდესაც მისი სტრუქტურული აღწერილობა დამაკმაყოფილებელია, მაგრამ არა აუცილებელი.

დალაგებულ წესთა თეორიაში წესები წარმოდგენილია სიით. თითოეული წესი ამ სიაში მისი რიგის მიხედვით გამოიყენება.

ამრიგად, დალაგებულ წესთა თეორიაში აუცილებელი წესი შემდგენიარად შეიძლება ჩამოყალიბდეს:

თუ წესი აუცილებელია, იგი უნდა იქნას გამოყენებული იმ ხის მიმართ, რომელიც აკმაყოფილებს მის სტრუქტურულ აღწერილობას; ამასთანავე, დერივაციის იმ საფეხურზე, სადაც მისი რიგია წესთა სიის მიხედვით.

მიღებული შედეგების ანალიზისათვის (არასწორი და არაგრამატიკული დერივაციების გასარჩევად) მოცემული წესი ზუსტდება: დაულაგებელ წესთა თეორიაში თუ წესი აუცილებელია, იგი მაშინვე უნდა იქნას გამოყენებული დერივაციის ყოველ ხეზე, როგორც კი ეს ხე დააკმაყოფილებს მის სტრუქტურულ აღწერილობას.

თუ ხე აკმაყოფილებს როგორც აუცილებელ, ასევე არჩევით წესებს, უპირველეს ყოვლისა, გამოყენებულ უნდა იქნას აუცილებელი წესი.

ციკლურ თეორიაში ეს განსაზღვრება (უშუალო) შემდგენიარად ყალიბდება: თუ წესი აუცილებელია, იგი ყოველი ციკლის განმავლობაში უნდა იქნას გამოყენებული თითოეული სტრუქტურის მიმართ, რომელიც აკმაყოფილებს მის სტრუქტურულ აღწერილობას.

თუ წესი აუცილებელია, დერივაცია არ დასრულდება ისეთი ზედაპირული სტრუქტურით, რომელიც დააკმაყოფილებს მის სტრუქტურულ შემადგენლობას (აღწერილობას), ე.ი. დერივაცია არ შეიძლება დასრულდეს, თუ იგი თავის შემდეგ დატოვებს ჩაშლილ აუცილებელ წესს; ეს წესი არ იქნა გამოყენებული, თუმცა მისი სტრუქტურული აღწერილობა დაკმაყოფილებული რჩება.

ციკლურ თეორიაში ეს განსაზღვრება (ჩაშლილი) შემდეგნაირად ყალიბდება: კონკრეტულ ციკლში წესის გამოყენება არ შეიძლება შეწყდეს, თუ ამის შედეგად ჩაიშლება აუცილებელი წესი, – ეს უკანასკნელი არ იქნა გამოყენებული, თუმცა მისი სტრუქტურული აღწერილობა დაკმაყოფილებული რჩება.

ორივე სახის დახასიათება, უშუალო და ჩაშლილი, განსხვავებულ ემპირიულ წინასწართქმებს აკეთებს. ბუნებრივ ენებში ასეთი სახის პრობლემა გადაიჭრება იმის მიხედვით, თუ რომელი მათგანი წარმოქმნის გრამატიკულად სწორ ან მცდარ წინადადებებს. მაგ. თავისუფალი წესის გამოყენება აუცილებელის წინ, დაარღვევს სწორ წინადადებათა წარმოქმნას და, პირიქით, ჩაშლის შემთხვევაში აუცილებელი წესის გამოყენება არჩევითის ნაცვლად იმავე შედეგს მოგვცემს.

ორი ან მეტი აუცილებელი წესის შემთხვევაში წესთა გამოყენება ორივე განსაზღვრების მიხედვით ასევე განსხვავებული სახის შედეგებს ითვალისწინებს. შესაბამისად, ბუნებრივი ენების მონაცემები შედარებით დახვეწილ ანალიზს თხოულობს.

4. 3. სისტემის გლობალური წესები

კიპარსკის მიერ 1965 წელს შემოტანილ იქნა ტერმინები “feed” (nourrir) და “bleed” (saigner), რაც ნაწილია იმ ტერმინოლოგიისა, რომელიც აღნიშნავს მიმართებებს წესთა გამოყენებას შორის. იგი ეხება არამართო იმ წესებს, რომლებიც გამოიყენება მოცემულ დერივაციაში, არამედ იმ წესებსაც,

რომლებიც არ იქნა გამოყენებული ამ დერივაციაში. ასე, რომ ეს ტერმინოლოგია მიუთითებს, თუ როგორ ურთიერთმოქმედებს ტრანსფორმაციები დერივაციებში; იგი მიუთითებს იმ პრინციპებზე, რომლებიც განსაზღვრავენ თუ რომელი feeding (nourissant) თუ bleeding (saignant) მიმართებებია შესაძლებელი დერივაციაში. ეს ტერმინები წარმოადგენს მიმართებებს არა წესებს შორის, არამედ მიმართებებს წესთა გამოყენებას შორის მოცემულ დერივაციაში. ტერმინი “feed” (nourrir, alimenter) გამოიყენება არამარტო იმ შემთხვევაში, როცა ერთი წესის გამოყენებას მოქმედებაში მოჰყავს მეორე წესი, არამედ იმ შემთხვევაშიც, როდესაც ერთი წესის გამოყენება გავლენას ახდენს იმაზე, რასაც მეორე წესი იწვევს მოცემულ შემთხვევაში.

დერივაციის პროცესში წესთა ურთიერთმოქმედებას ციკლის პრინციპი განსაზღვრავს. ეს პრინციპი ნიშნავს, რომ როდესაც ერთი არე (სფერო) მოქცეულია მეორეში, წესები გამოიყენება ჯერ წინამავალი სფეროს და შემდეგ მომდევნო სფეროს მიმართ; მაგ. ურთიერთმოქმედება Passive-ს და E qui-NP-deletion-ს შორის; ციკლის ეს პრინციპი განსაზღვრავს S₁-ის მიმართ წესის გამოყენება როგორ იმოქმედებს S₀-ს მიმართ წესის გამოყენებაზე, მაგრამ ციკლის ეს პრინციპი ვერ განსაზღვრავს, თუ როგორ იმოქმედებს იგი S₁-ის მიმართ სხვა წესის გამოყენებაზე.

აქვე შეიძლება დასახედდეს ზოგიერთი ტრანსფორმაცია, რომლებიც გამოიყენება ერთი და იმავე სფეროს მიმართ და რომლებიც ერთმანეთის მიმართ ურთიერთშესაბამისობაში მოდიან.

1. მოცემული სფეროს მიმართ ტრანსფორმაციათა გამოყენების პირველი შესაძლებლობა გულისხმობს ტრანსფორმაციათა ერთდროულ გამოყენებას, ე.ი. მოცემული სტრუქტურა ერთბაშად გარდაიქმნება ისეთ სტრუქტურად, რომელიც პირველისაგან განსხვავდება ყველა მიმართებით. ამ განსხვავებას განაპირობებს ის ტრანსფორმაციები, რომელთა გამოყენების პირობები ჩადებულია პირველ სტრუქტურაში.

2. მოცემული სფეროს მიმართ ტრანსფორმაციათა გამოყენების მეორე შესაძლებლობა გულისხმობს გამოყენების შემთხვევით რიგს (თანმიმდევრულობას); ე.ი. ტრანსფორმაციები მოცემული სფეროს მიმართ წარმოადგენს საფეხურთა თანმიმდევრობას. თითოეული საფეხური არის ნებისმიერი ტრანსფორმაციის გამოყენება, რომლის ხმარების პირობები

სრულდება წინამავალი საფეხურის დასრულების შედეგად; ამგვარი გამოყენება საშუალებას იძლევა დერივაცია დაიწყოს ნებისმიერი ტრანსფორმაციით.

3. მესამე შესაძლებლობა (რომელიც ძირითადად დაშვებულია ტრანსფორმაციულ გრამატიკაში) აღგენს ტრანსფორმაციათა ხმარების განსაზღვრულ რიგს, რომელთაგან თითოეული ტრანსფორმაცია დაიშვება, როდესაც მისი “რიგი” დადგება.

ზემოაღნიშნული, რა თქმა უნდა, არ არის ყოვლისმომცველი; არსებობს სხვა სქემებიც, სადაც ეს შესაძლებლობები ურთიერთკომბინირებულია და შევსებულია სხვა პრინციპებით. მაგ: დასაშვებია წესთა ნაწილობრივი და არა მთლიანი შემთხვევითი თანმიმდევრობა (რიგი), რომელშიც ნაწილობრივი რიგი უნდა იქნას დაცული; ანდა დასაშვებია საფეხურთა თანმიმდევრობა, რომელთა ხმარების წესები სრულდება წინამავალი საფეხურის საფუძველზე და რომლებიც ერთდროულად გამოიყენება.

პრინციპს, რომელიც წარმოადგენს სამივე პრინციპის კომბინაციას, სხვაგან პრინციპი ეწოდება, რაც ნიშნავს, რომ ერთი წესის ხმარების პირობები მეორე წესის ხმარების სპეციალურ შემთხვევას წარმოადგენს.

მომდევნო (უფრო ზოგადი) წესი არ გამოიყენება იმ შემთხვევაში, რომლებშიც წინამავალი (უფრო სპეციფიკური) წესი სრულდება ე.ი. სპეციფიკური წესები წინ უსწრებს ზოგადი წესების შესრულებას; ყველაზე დამაკმაყოფილებელი ანალიზი გულისხმობს, რომ სფერო, რომლის მიმართაც ერთ-ერთი ტრანსფორმაცია გამოიყენება, არ არის იდენტური, მაგრამ მას შეიცავს ის სფერო, რომლის მიმართ სხვა ტრანსფორმაცია გამოიყენება; ხოლო ციკლის პრინციპი სწორად განსაზღვრავს თუ როგორ ურთიერთმოქმედებს ორი ტრანსფორმაცია.

ციკლური პრინციპი სწორად გამორიცხავს ზოგიერთ დერივაციას, რომელთაც ალტერნატიული სქემა დასაშვებად მიიჩნევს. ციკლური პრინციპის განსაზღვრა ძირითადად ორ არგუმენტს ასაბუთებს: 1) რომელია ის სფეროები, რომელთა მიმართაც ტრანსფორმაციები გამოიყენება და 2) ეს პრინციპი წარმართავს ყველა ტრანსფორმაციის გამოყენებას, თუ მხოლოდ ზოგიერთი სახის ტრანსფორმაციის გამოყენებას. პირველი არგუმენტის მიმართ შემდეგი კითხვები წამოიჭრება: სად გამოიყენება ტრანსფორმაციები, მხოლოდ Ss-ში, რომელიც წინადადების სიღრმის სტრუქტურაში ფიგურირებს, თუ NPs-ში ან

VPs-ში, ყველა კატეგორიის შემადგენელში? შეიძლება მოხდეს შეთანხმება იმის შესახებ, რომ ყველა სფერო გამოყენებისა “ციკლური სფეროა”.

რ. მონტეგიუს გრამატიკაც შეიძლება განხილული იქნას ისეთ გრამატიკად, რომელიც ყველა კონსტიტუენტს ციკლურ სფეროდ მიიჩნევს. ამრიგად, შეიძლება მივიჩნიოთ, რომ: 1) ყოველი სინტაქსური კონსტიტუენტი ციკლურ სფეროს წარმოადგენს; 2) სფერო, რომლის მიმართ გამოიყენება რომელიმე ტრანსფორმაცია, წარმოადგენს უმცირეს კონსტიტუენტს და იგი შეიცავს მისი გამოყენებისათვის მთელ რეკურენტურ მასალას (მაგ. ის სფერო, რომლის მიმართაც Dative-mouvement ან E qui-NP-deletion-ის ობიექტურად კონტროლირებადი ტრანსფორმაციები გამოიყენება, – VP იქნება; ხოლო ის სფერო, რომლის მიმართაც NP-მოძრაობა გამოიყენება, – NP იქნება). საკითხის ამგვარი დაყენება გადააწყვეტინებს ციკლურ პრინციპს ტრანსფორმაციათა ორი შესაძლო გამოყენებისაგან რომელი უსწრებს მეორეს.


როგორც მტკიცდება, ზოგიერთი ტრანსფორმაციის მიმართ არ შეიძლება გამოყენებულ იქნას ციკლური პრინციპი. მნიშვნელოვანია გაირკვეს რომელი ტრანსფორმაციაა პრე-ციკლური (pre-cyclic-précyclique), ე.ი. იგი იხმარება ყველა იმ ტრანსფორმაციის წინ, რომელიც შეესაბამება ციკლურ პრინციპს, და რომელი ტრანსფორმაციაა პოსტ-ციკლური (post-cyclic-postcyclique), ე.ი. იგი იხმარება ყველა იმ ტრანსფორმაციის შემდეგ, რომელიც შეესაბამება ციკლურ პრინციპს.

თუმცა ამ შემთხვევაშიც სადაოა პრე-ციკლური ტრანსფორმაციების საკითხი; ზოგიერთი ენათმეცნიერის აზრით, მათი დაშვება თავდაყირა აყენებს ციკლურ ტრანსფორმაციათა მოქმედების მთელ პროგრამას. რაც შეეხება პოსტ-ციკლურ ტრანსფორმაციებს, მათი დაშვება უფრო არგუმენტირებული ჩანს. მაგ. ტრანსფორმაცია “Tense hopping” (saut temporel) შეიძლება ორ ტრანსფორმაციად გაიყოს: პოსტ-ციკლურად, რომელიც დროს უკავშირებს მთავარ ზმნას (ეს არის ნამდვილი Tense hopping) და ციკლურად, რომელიც დროს უკავშირებს დამხმარე ზმნას (attraction to tense – attraction du temps). ასეთი სახის ტრანსფორმაციებად შეიძლება ჩაითვალოს do-support (faire-support), წინდებულთა წაშლა დამატება Ss-ის წინ, for-ის წაშლა to-ს წინ (pour – à-ს წინ) და for (pour) არარეგულარული წაშლა want (souhaiter, désirer, vouloir)-ის შემდეგ. ასეთ ტრანსფორმაციებს ზოგჯერ ლოკალურ (local) ტრანსფორმაციებსაც უწოდებენ; ისინი მოქმედებენ ორ გვერდიგვერდ მეოფ, სწორხაზოვან კონსტიტუენტზე, რომლებიც სტრუქტურით

დები, დეიდები ან დისშილები არიან. რაც უფრო მცირეა კონსტიტუენტი, მით უფრო ნაკლებია მათ შორის ურთიერთქმედების შესაძლებლობა; ასეთ შესაძლებლობას, ე.ი. ურთიერთმოქმედების შესაძლებლობას პოსტ-ციკლურ ტრანსფორმაციათა შორის უშვებს Tense-hopping (saut temporel) და Do-support (faire-support); მათი დაშვება-არ დაშვების (გამოყენება-არ გამოყენების) შესაძლებლობას Elsewhere principle (principe ailleurs) განსაზღვრავს.

ციკლური ტრანსფორმაციის სასრულ დონეს და პოსტ-ციკლური ტრანსფორმაციის საწყის დონეს ხშირად ნაკლებ-ღრმა (shallow-structure) (structure peu profonde, superficielle) სტრუქტურას უწოდებენ.

ტრანსფორმაციათა დონეები (ან ბადე-ქსელი)



ტერმინი «ფესვური ტრანსფორმაციები» (Root transformations – transformations radicales) ემონდსმა შემოიტანა (1970-76); ისინი აღნიშნავენ ისეთ ტრანსფორმაციებს, რომლებიც გამოიყენება მხოლოდ მთავარ წინადადებათა მიმართ; მაგ. ინვერსია.

თავისუფალი ტრანსფორმაცია ისეთი წესია, რომელიც იძლევა ორივე დერივაციის უფლებას: ისეთი დერივაციის უფლებას, რომელშიც მისი ხმარების წესები სახეზეა და გამოიყენება; ასევე ისეთი დერივაციის უფლებას, რომელშიც მისი გამოყენების წესი არის, მაგრამ იგი არ გამოიყენება. ორივე ალტერნატივის შესაძლო გამოყენება არაფრითაა მოტივირებული. ასეთი ტრანსფორმაცია ენის მატარებელს უბრალოდ სთავაზობს ორ ვარგის შესაძლებლობას.

აუცილებელი ტრანსფორმაცია სიტყვასიტყვით ნიშნავს “უნდა იქნას გამოყენებული, როდესაც სახეზეა მისი გამოყენების პირობები”. ე.ი. ყველა აუცილებელი ტრანსფორმაცია, რომლის გამოყენების პირობები სახეზეა მოცემულ სტრუქტურაში, შესრულდება ერთდროულად. ტრანსფორმაცია, რომლის დერივაციები არ სრულდება, არ არის აუცილებელი.

აუცილებელ და თავისუფალ ტრანსფორმაციათა შორის განსხვავება დამოკიდებულია იმაზე, თუ რას შეიცავს გრამატიკის დანარჩენი წესები და როგორაა ჩამოყალიბებული მათი ხმარების პირობები.

“ახალი სინტაქსის”-ის პრინციპები, თეორიები და პარამეტრები წარმოადგენს სიმეტრიული სისტემის შექმნის ერთ-ერთ ცდას.

“ბმისა და მართვის თეორია” იყენებს რამდენიმე ძირითად დებულებას, რომლებიც განვრცობილია ნ. ჩომსკის ნაშრომებში: “The Logical Structure of Linguistic Theory” (1955), “Aspects of the Theory of Syntax”(1965) და სტატიაში “Conditions on Transformations” (1973). ის შემდეგნაირადაა ჩამოყალიბებული:

1) “უნივერსალური გრამატიკის თეორია”: ენათმეცნიერების საგანია ააგოს ბუნებრივი ენების უნივერსალური თვისებების თეორია, ანუ განსაზღვროს “შესაძლებელი ბუნებრივი ენის” ცნება.

2) უნივერსალური გრამატიკა ენის უნარის ფლობის თეორიაა.

3) ბუნებრივი ენების გრამატიკა დონეებად დაყოფილ სისტემას წარმოადგენს.

4) ენა არაერთგვაროვანი რეალობაა.

ეს დებულებები გამოხატავს ნ. ჩომსკის ძირითად თეორიულ შეხედულებებს ენათა უნივერსალობის, ენათა ათვისების, ენათა შესაძლო სტრუქტურის, ენის წარმოქმნისა და ინტერპრეტაციის შესახებ.

მართვისა და ბმის თეორიის მოთავსება ჩომსკისეული კვლევის სფეროში სრულიად ბუნებრივად გამოიყურება. ნ. ჩომსკის მიერ წამოყენებული ახალი თეორია, ზემოთმოყვანილ დებულებებთან ერთად, ერთიან სისტემას ქმნის (რუფრე 1987: 14), თუმცა ნ. ჩომსკიმ მრავალი ახალი დებულებით გაამდიდრა საკუთარი კონცეფცია.

ახალი სინტაქსის მოდელი შემდეგნაირადაა აგებული:

ბაზისი – D-სტრუქტურა (სიღრმის სტრუქტურა, ქვე-კატეგორიზაციის და წმინდა ლექსიკური დამოკიდებულების ასახვა).

ამოძრავე α (Déplacer α) - α ცვლადია, მის არეს წარმოადგენს N და Qu (კითხვითი ან მიმართებითი კონსტიტუენტები) და ზოგჯერ V-ს ზოგიერთი კატეგორია.

S-სტრუქტურა გამოხატავს იერარქიულ და ლინეარულ მიმართებებს სხვადასხვა კონსტიტუენტებს შორის (კონსტიტუენტებს, მეთაურ სიტყვებს და დამატებით კატეგორიებს შორის);

ლოგიკური ფორმა FL გამოხატავს სისტემის ძირითად სემანტიკურ და ლოგიკურ მიმართებებს (ქვანტორთა გავრცელების არის, პრედიკაციის ოპერატორის მოქმედების და კითხვით ცვლადებს შორის მიმართებებს).

წაშლა	ლოგიკური ფორმის
ფილტრები	დერივაციის წესები
სტილისტიკის წესები	
ფონოლოგიური წესები	
ფონოლოგიური ფორმა [FP]	ლოგიკური ფორმა
(ანუ ზედაპირული სტრუქტურა)	

FP ფონოლოგიური ფორმაა (მას ზედაპირულ სტრუქტურასაც უწოდებენ).

ეს გრამატიკა შედგება რამდენიმე მოდულისაგან, რომლებიც მოიცავს განსაზღვრულ წესთა სიმრავლესა და მათი შექმნის პრინციპებს. წესები შემდეგ თეორიებს ქმნის: მართვის, ბრუნვის (საკუთრივ მართვის) და ბმის (კონინდექსირების მიმართება ანტეცედენტსა და ანაფორას შორის) თეორიებს, კონტროლის, თეგა-როლების (არგუმენტების სემანტიკური როლების) და ზღვართა (ქვე-მდებარეობის პრინციპი) თეორიებს, ცარიელი კატეგორიებისა და კვალთა პრინციპებს.

მოცემულ მოდულთა და თეორიათა სიმრავლე ასახავს ენის ფენომენისა და მოცემული გრამატიკის სირთულეს. ყველა მოდული ურთიერთმიმართებაშია; თითოეული წესი აისახება და რეალიზდება რამდენიმე მოდულში, რითაც ერთგვარი ზღვარი ედება მოდულის მოქმედების სფეროს. მოდულთა შორის ურთიერთმიმართების ერთ-ერთი მთავარი განსაზღვრული პრინციპია პროექციის პრინციპი, რომლის ორი ძირითადი კონსტიტუენტია მონაცემთა “აღდგენითობა” და “გადარჩენა”. ეს პრინციპი გულისხმობს, რომ ლექსიკური თვისებები განსაზღვრავს სინტაქსურ ფორმას; უფრო ზუსტად, შესაძლებელია ერთეულთა ლექსიკური თვისებებიდან წარმოიქმნას ლინგვისტურ სისტემათა სტრუქტურული მახასიათებლები. ამრიგად, პროექციის პრინციპზე დამოკიდებული სინტაქსური კონფიგურაციის ლექსიკურად განპირობებული ასპექტები და ლექსიკური თვისებების აუცილებელი პროეცირება. (რუფრე 1987: 45)

ლექსიკური სელექციისა და შტრიხთა თეორიის გამოყენების საფუძველზე პროექციის პრინციპი შეიძლება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს:

ლექსიკური სელექციის პირობები უნდა აისახოს კატეგორიების საშუალებით სინტაქსური ანალიზის ყველა დონეზე.

ახალი სინტაქსის ძირითად მიზანს წარმოადგენს სახელად ჯგუფთა რთული ტიპოლოგიის აგება, რაც ეფუძნება ამ სახელად ჯგუფთა დისტრიბუციულ, სინტაქსურ, საინტერპრეტაციო და ლოგიკურ-სემანტიკურ მახასიათებლებს.

ყოველი ქვე-სისტემა შეიძლება განხილულ იქნას, როგორც სახელადი გამონათქვამების კლასიფიკაციის მარტივი და დასაბუთებული თეორია. ერთ-ერთი ელემენტის იდენტიფიკაცია ყველა ქვე-სისტემაში რეალიზებულ მის იდენტიფიკაციათა ჯამს წარმოადგენს. სისტემის ფუნქციონირების საფუძველს ქვე-სისტემათა შორის არსებული ურთიერთმიმართებები ქმნის; ყოველი ენობრივი ცვლილება ლოკალიზებულია ქვე-სისტემებში, რაც იგივეა, რაც გრამატიკული მექანიზმი.

მოდულებზე აგებულ გრამატიკას შეიძლება პარამეტრული გრამატიკაც ვუწოდოთ, რაც გულისხმობს მცირე პარამეტრთა არსებობის პირობებში ბუნებრივ ენათა შორის დასაშვებ განსხვავებათა და იგივეობათა (ბირთვული გრამატიკის) ზღვარის განსაზღვრას.

ასეთი ბირთვული გრამატიკის ანუ “ღია” სისტემის დაშვება (რომელიც განსაზღვრავს პარამეტრულ თვისებათა რაოდენობას) მდგომარეობს იმაში, რომ იგი განიხილავს კონკრეტულ გრამატიკებს, როგორც ერთიანი ბირთვული გრამატიკის ნაწილს; ამასთანავე, მათ საფუძველად უდებს მათ შორის არსებულ შესაძლო განსხვავებებს. (რუვრე 1987: 64); ნ. ჩომსკის გრამატიკაში ენათა შორის შესაძლო ვარიაციების რაოდენობა შეზღუდულია, რაც უშვებს ფარდობით განსხვავებას აბსოლუტურ და განსხვავებულ უნივერსალიათა შორის.

რამდენად შესაძლებელია ასეთ სისტემას სიმეტრიული ხასიათი ჰქონდეს? ამაზე მიუთითებს შეზღუდვათა მთელი წესები, რომლებიც აქ მოქმედებს. ყველა მათგანი მნიშვნელოვანია; მათ შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პროექციის პრინციპი, რომელიც მოდულთა მთელ სისტემას აერთიანებს და მათ შორის ურთიერთმიმართების ერთ რომელიმე წესს ადგენს. ასეთი ფორმალიზებული სისტემა და მისი ეპისტემოლოგია ეფუძნება ძირითადად ხელოვნურ ენათა თეორიას. ბუნებრივი ენა არ არის არც სიმეტრიული და არც მონოტონური სისტემა, რასაც ცხადყოფს ახალი სინტაქსის ანალიზის შედეგები.

თავი V. სიმეტრია პრაგმატიკაში

5. 1. პრესუპოზიცია და სიმეტრია

ტერმინი “პრაგმატიკა” შემოიტანა ფილოსოფოსმა ჩარლზ მორისმა (1938), რომელმაც, ლოკისა და პირსის შემდეგ, ზოგადად ჩამოაყალიბა მეცნიერება ნიშანთა შესახებ ანუ სემიოტიკა. ეს თეორია, ჩ. მორისის თვალსაზრისით, შედგებოდა სამი განსხვავებული დარგისაგან: სინტაქსი, რომელიც შეისწავლის ნიშანთა შორის არსებულ ურთიერთმიმართებებს; სემანტიკა, რომელიც შეისწავლის ნიშანთა მიმართებებს იმ ობიექტებთან, რომელთაც ისინი შეესაბამებიან (მათ დესიგნატებს); და პრაგმატიკა, რომელიც შეისწავლის ნიშანთა მიმართებებს მათ ინტერპრეტატორებთან. თითოეული დარგი ფლობს მეტაენას, რომლის მეშვეობით აღიწერება ნიშანთა სპეციფიკა და მათი ხმარება. პრაგმატიკის წესის მოქმედების მაგალითად ჩ. მორისი ასახელებდა შორისდებულთა გამოყენებას და მრავალ სხვადასხვა პოეტიკურ და რიტორიკულ მახასიათებელს. ჩ. მორისს ფართოდ ესმოდა სემიოტიკა და მისი მიზნები; მისი თვალსაზრისი შეესაბამებოდა შეხედულებას სემიოტიკის ბიჰევიორისტული არსის თაობაზე.

“პრაგმატიკა უკავშირდება სემიოზისის ბიოასპექტებს და ეს ის ფსიქოლოგიური, ბიოლოგიური და სოციოლოგიური ფენომენებია, რომლებიც მოქმედებენ ნიშანთა ფუნქციონირების დროს”. (მორისი 1938: 108). ასეთი თვალსაზრისი ბევრად აღემატება პრაგმატიკის დღევანდელ გაგებას; მორისისეული გაგებით, პრაგმატიკა მოიცავს ფსიქოლინგვისტიკას, სოციოლინგვისტიკას, ნეიროლინგვისტიკას და ა.შ.

ჩ. მორისის მიერ პრაგმატიკის შემოტანის შემდეგ, ამ ტერმინის მნიშვნელობა ძლიერ გაფართოვდა ენათმეცნიერებაში და მის მომიჯნავე ისეთ მეცნიერებებში, რომლებიც ნიშანთა სისტემებს იყენებენ; მეორეს მხრივ,

შეიმჩნეოდა საპირისპირო ტენდენცია ფილოსოფიური და ლოგიკური ანალიზის მხრივ.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ანალიტიკური ფილოსოფიის ბურჟუის რ. კარნაპის შრომები, რომელმაც პრაგმატიკის ოთხი სრულიად განსხვავებული გააზრება მოახდინა. მათგან ყველაზე გავლენიანი შემდეგი განსაზღვრება აღმოჩნდა: “თუ გამოკვლევისას მიმართება (რეფერენცია) ექსპლიციტურად კეთდება მოლაპარაკის, ან უფრო ზოგადად, ენის გამოყენების მიმართ, მაშინ გამოკვლევას მივაწერთ პრაგმატიკის სფეროს. . . თუ ჩვენ თავს დავანებებთ ენის გამოყენებულს და გავაანალიზებთ მხოლოდ გამოთქმებსა და მათ აღსანიშნებს (დესიგნატებს), – ჩვენ სემანტიკის სფეროში ვიმყოფებით; ხოლო თუ მოვეშვებით დესიგნატებს და გავაანალიზებთ მხოლოდ მიმართებებს გამონათქვამთა შორის, – ჩვენ ვიმყოფებით (ლოგიკური) სინტაქსის სფეროში”. (კარნაპი 1938: 2)

ფილოსოფოსთა და ლოგიკოსთა განსაკუთრებულ დაინტერესებას იწვევდა დეიქტიკური სიტყვების ანუ ინდექსების შესწავლა. ეს დაინტერესება შემდეგ იმ მკვლევარებს მოედოთ, რომლებიც ენას აანალიზებდნენ ძირითადად ფორმალური ლოგიკის თვალსაზრისით (მონტეგიუ, გაზდარი, ბარჰილელი და სხვები). მნიშვნელობის ფართოდ გააზრებას მოჰყვა ამ სფეროში მოლაპარაკე სუბიექტების და მრავალი სხვა პარამეტრის ჩართვა, რაც აისახა გენერაციული სემანტიკის კონცეფციაში. პრაგმატიკის დღემდე არსებული განსაზღვრება ვერ მოიცავს ყველა იმ პარამეტრს, რომელიც მას სრულყოფდა ლინგვისტური თვალსაზრისით. ყოველი დეფინიცია შეიცავს სხვადასხვა ხილულ თუ ფარულ წინააღმდეგობებს, რაც მის მნიშვნელობას ამა თუ იმ ღირებულებას აკლებს. თუმცა, ერთი რამ ცხადია, – პრაგმატიკას სრულიად განსაზღვრული ადგილი უჭირავს ენის ერთიან თეორიაში, იგი კრებს ენის ყოველი დონიდან მომდინარე საჭირო ინფორმაციას კომუნიკაციის განხორციელების პროცესში; იგი იღებს და ერთმანეთთან აკავშირებს როგორც კომპეტენციიდან, ასევე პერფორმაციიდან (ქმედებიდან) მიღებულ ინფორმაციას, წინააღმდეგ შემთხვევაში, კომუნიკაცია ვერ შედგება, ან ნაკლები იქნება. პრაგმატიკა ვერ უზულვებელყოფს ვერც სოციალურ (სოციოლინგვისტიკა) და ვერც ფსიქოლოგიურ (ფსიქოლინგვისტიკა) პარამეტრებს, თუ ისინი მოქმედებაშია კომუნიკაციის პროცესში; ამდენად, პრაგმატული დონის კვლევისას, მხედველობაში მიიღება ის კონკრეტული მონაცემები, რომლებიც შეესაბამება კონკრეტული ანალიზის მოთხოვნებს.

პრაგმატიკა შეისწავლის დეიქსისს, იმპლიკატურებს, პრესუპოზიციას, მეტყველების აქტებსა და დისკურსის სტრუქტურის ასპექტებს. (ლევინსონი 1983: 10-37)

პრესუპოზიცია პრაგმატული დასკვნის განსხვავებულ ტიპს წარმოადგენს; იგი ემყარება იმ წინადადების ენობრივ სტრუქტურას, რომელზედაც თავად აღმოცენდება. პრესუპოზიციის კვლევას ვრცელი ნაშრომები მიეძღვნა ფილოსოფიაში, ლოგიკასა და ენათმეცნიერებაში. პირველი ფილოსოფოსი, ვინც პრესუპოზიციის პრობლემებით დაინტერესდა, გ. ფრეგე იყო. გ. ფრეგეს თეორიას ფილოსოფოსმა და მათემატიკოსმა ბ. რასელმა გარკვეული ნაკლი მოუძებნა და მის თავიდან ასაცილებლად შექმნა დესკრიფციათა თეორია. ფილოსოფოსმა პ. სტროსონმა პრესუპოზიციათა ანალიზის სრულიად განსხვავებული კონცეფცია ჩამოაყალიბა. პ. სტროსონის აზრით, მტკიცება (განსჯა) A გულისხმობს განსჯა (მტკიცება) B-ს მაშინ და მხოლოდ მაშინ, თუ B A-ს ჭეშმარიტების თუ სიყალბის წინაპირობაა; პ. სტროსონის კონცეფცია უფრო ახლოს დგას გ.ფრეგეს თეორიასთან, ვიდრე ბ. რასელის თვალსაზრისთან. პრობლემები, რომელთა გადაწყვეტაზე მოუხდათ მუშაობა ფილოსოფოსებს და რომლებიც ასახსნელი დარჩათ ლინგვისტებს, შემდეგია (ლევინსონი 1983: 195-219):

(i) განსხვავება ლოგიკურ იმპლიკაციას ანუ დასკვნასა და პრესუპოზიციას შორის;

(ii) განსხვავება განსჯასა და პრესუპოზიციას შორის;

(iii) პრესუპოზიცია როგორი სახის მიმართებაა? იგი არის მიმართება წინადადებათა (ფრეგე), განსჯათა (სტროსონი), თუ მოლაპარაკეთა არსებულ დაშვებებს შორის?

(iv) რას მიეწერება უარყოფით პრესუპოზიციასა და მტკიცებით პრესუპოზიციას შორის არსებული უარყოფის გარეგანი ორაზროვნება: მოცულობის განსხვავებას (სტრუქტურული ორაზროვნება) თუ ლექსიკურ ორაზროვნებას?

(v) დამატებითი (ფონისმიერი) დაშვებები ანუ პრესუპოზიციები შეიძლება განხილულ იქნას, როგორც დასკვნათა მტკიცება წინადადების მნიშვნელობის დანარჩენ ნაწილთან ერთად (რასელი).

სტროსონისეული თეორიის გაჩენამდე ენათმეცნიერები იყენებდნენ გამომდინარეობას ანუ ლოგიკურ შედეგს, რომელიც შემდეგნაირად ჩამოყალიბდება:

A-დან სემანტიკურად გამომდინარეობს $B (A || B)$, მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა ყოველი სიტუაცია, რომელშიც A ჭეშმარიტია, B-საც აქცევს ჭეშმარიტად (ყოველ სამყაროში, რომელშიც A ჭეშმარიტია, B-ც ჭეშმარიტია).

ეს დებულება სემანტიკის ძირითადი დებულებაა და იგი ფართოდ იქნა აღიარებული. მან განაპირობა სემანტიკური პრესუპოზიციის მრავალი თეორიის შექმნა, რომლებიც არსებული ნაკლის თუ ერთგვარი უკმარისობის გამო ივსებოდნენ და იცვლებოდნენ.

პ. სტროსონი მიმართებებს ამყარებდა მტკიცებით წინადადებებს (განსჯებს) შორის.

I. A მტკიცებითი წინადადებიდან A გამომდინარეობს (გულისხმობს) მეორე წინადადება B, მაშინ და მხოლოდ მაშინ

(i) თუ A ჭეშმარიტია, მაშინ B ჭეშმარიტია

(ii) თუ A ყალბია, მაშინ B ჭეშმარიტია

სემანტიკური პრესუპოზიცია კი შეიძლება ასე განისაზღვროს:

A წინადადებიდან A სემანტიკურად იგულისხმება (გამომდინარეობს) მეორე წინადადება B, მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც

(i) ყველა იმ სიტუაციაში, სადაც A ჭეშმარიტია, B ჭეშმარიტია

(ii) ყველა იმ სიტუაციაში, სადაც A ყალბია, B ჭეშმარიტია

უარყოფის განსაზღვრის მიხედვით, როდესაც წინადადება არც ყალბია და არც ჭეშმარიტი, უარყოფაში ინარჩუნებს იმავე ღირებულებას.

II. A წინადადება A სემანტიკურად გულისხმობს B-ს, მაშინ და მხოლოდ მაშინ (i) $A || - B$

(ii) $\sim A || - B$

მაგ. C'est Pierre qui regrette que Marie nous ait quitté.

პიერი წუხს, რომ მარიმ მიგვატოვა.

- Marie nous a quitté.

- მარიმ მიგვატოვა.

- Quelqu'un en éprouve du regret.

- ამის გამო ვიღაც წუხს

- Ce quelqu'un est Pierre.

- ეს ვიღაც არის პიერი.

Ce n'est pas Pierre qui regrette que Marie nous ait quitté.

პიერი ის არ არს, ვინც წუხს, რომ მარიმ მიგვატოვა.

- *Marie nous a quitté.*
- *მარიმ მიგვატოვა.*
- *Quelqu'un en éprouve du regret.*
- *ამის გამო ვიღაც წუხს.*
- *Ce quelqu'un n'est pas Pierre.*
- ეს ვიღაც არ არის პიერი.

ამ ორ დეფინიციას შორის ის განსხვავებაა, რომ პირველი მათგანი პრესუპოზიციის მიმართებას ამყარებს განსჯებს შორის, მეორე დეფინიცია კი იმავე მიმართებას ამყარებს წინადადებებს შორის.

მეორე დეფინიცია უნდა შეიცვალოს, რათა ის გამოყენებულ იქნას ბუნებრივ ენათა მიმართ. კლასიკური ლოგიკა აღიარებს მხოლოდ ორ ღირებულებას: ჭეშმარიტი და ყალბი. იმისათვის, რომ სემანტიკური პრესუპოზიცია შეესაბამებოდეს ლოგიკის პრინციპებს, სავარაუდოდ უარი უნდა ითქვას ბივალენტურ ღირებულებაზე; სანაცვლოდ დაშვებულ უნდა იქნას ჭეშმარიტების სამი ღირებულება: ჭეშმარიტი; ყალბი; არც ჭეშმარიტი, არც ყალბი; ასეთ სისტემებს წარმატებით იყენებს თანამედროვე ლოგიკური ანალიზი; ნაყოფიერად გამოიყენა ისინი გენერაციული სემანტიკის თეორიამაც. ამ თეორიის ავტორები ცდილობდნენ შეეცვალათ სემანტიკის მოდელები იმგვარად, რომ მაქსიმალურად შეეთავსებინათ ისინი ბუნებრივი ენების სისტემებისათვის. აქ სწრაფად იჩინა თავი ზოგიერთმა პრესუპოზიციის მსგავსმა მოვლენამ, რომელთა მოქმედება და ანალიზი არ თავსდება სემანტიკის საზღვრებში. ასეთი მოვლენები ცალკე კლასად გამოიყო და მათ ეწოდათ პრაგმატული პრესუპოზიციები; მათი აღწერა თხოულობდა მოლაპარაკესა და კონტექსტს (სიტუაციის შესაფერისი კონტექსტი) შორის არსებული მიმართების ანალიზს. ბუნებრივ ენებში აღიარებულ იქნა ორი სახის პრესუპოზიციის არსებობა: სემანტიკური და პრაგმატული პრესუპოზიციები. შემდგომი ანალიზის შედეგად აღმოჩნდა, რომ სემანტიკური პრესუპოზიციები ბევრ სადაო და ბუნდოვან პრობლემას წარმოქმნიდა და უმჯობესი იქნებოდა საერთოდ მათი ამოღება ლინგვისტური თეორიიდან. ლინგვისტებმა გამოყვეს დაახლოებით 31 კონსტრუქცია, რომლებიც იწვევენ პრესუპოზიციის წარმოქმნას ე.წ. presupposition-triggers (კარტუნენი); ისინი, ცხადია, აბსოლუტური არ არის და შეიძლება შეიცვალოს.

არსებული ნუსხის ანალიზმა ცხადყო, რომ პრესუპოზიციები უცვლელი რჩება, როგორც უარყოფით, ასევე პირობით კონტექსტებში. წინადადებას:

Jean regrette que la chatte obèse ait cessé d'allaiter ses trois chatons.

ჟანი წუხს, რომ მსუქანმა კატამ შეწყვიტა
თავისი სამი კნუტის გამოკვება.

აქვს შემდეგი პრესუპოზიციები:

- Il existe une entité qui s'appelle Jean.
- არსებობს ადამიანი, რომელსაც ჰქვია ჟანი.
- La chatte obèse a cessé d'allaiter ses chatons.
- მსუქანმა კატამ შეწყვიტა თავისი კნუტების გამოკვება.
- Il existe une chatte obèse.
- არსებობს მსუქანი კატა.
- La chatte obèse allaitait ses chatons.
- მსუქანი კატა კვებავდა თავის კნუტებს.
- Il existe trois chatons.
- არსებობს სამი კნუტი.

იგივე პრესუპოზიციებია შენარჩუნებული უარყოფით და კითხვით წინადადებებში:

a) Jean ne regrette pas que la chatte obèse ait cessé d'allaiter ses trois chatons.

ჟანი არ წუხს იმის გამო, რომ მსუქანმა კატამ შეწყვიტა
თავისი სამი კნუტის გამოკვება.

b) Est-ce que Jean regrette que la chatte obèse ait cessé d'allaiter ses trois chatons ?

წუხს ჟანი იმის გამო, რომ მსუქანმა კატამ შეწყვიტა
თავისი სამი კნუტის გამოკვება?

ასევე აღმოჩნდა, რომ პრესუპოზიციები შეიძლება დაირღვეს: ა) ზოგიერთ დისკურსის კონტექსტში ბ) ზოგიერთი წინადადების შიდა კონტექსტში. პრესუპოზიციის დარღვევა ნიშნავს მის გაქრობას უშუალო, ნაკლებ უშუალო ან საპირისპირო დაშვებათა კონტექსტში. მაგალითად:

(i) როდესაც არსებობს საერთო ცოდნა იმის შესახებ, რომ პრესუპოზიცია ყალბია, არ უნდა ვივარაუდოთ, რომ მოლაპარაკემ უნდა აღიაროს პრესუპოზიციის ჭეშმარიტება.

(ii) როდესაც ნათქვამი და დამატებითი ინფორმაცია არ შეესაბამება პრესუპოზიციას, ეს უკანასკნელი და მოლაპარაკე მას არ იღებს.

(iii) პრესუპოზიციები სისტემატურად ნადგურდება ზოგიერთ ისეთ კონტექსტში, რომელშიც ჭეშმარიტების არგუმენტები დაიყვანება რომელიმე ვარაუდის (დაშვების) წინააღმდეგობამდე. მაგ.

a) Marie a fêté avant de terminer sa thèse.

მარიმ იხეიმა დისერტაციის დასრულებამდე.

- *Elle a terminé sa thèse.*

- *მან დაასრულა დისერტაცია.*

b) Marie a trépassé avant de terminer sa thèse.

მარი გარდაიცვალა დისერტაციის დასრულებამდე.

აქ ვერ ვიტყვით:

Elle a terminé sa thèse.

მან დაასრულა დისერტაცია.

პირველ შემთხვევაში შეგვიძლია ვთქვათ:

Elle a fêté, puis elle a terminé sa thèse.

მან ჯერ იხეიმა, შემდეგ დაასრულა დისერტაცია.

თუმცა მეორე შემთხვევაში პრესუპოზიცია:

Elle a terminé sa thèse.

მან დაასრულა დისერტაცია.

ქრება, ვინაიდან ვერ ვიტყვით:

[*Elle a trépassé, puis elle a terminé sa thèse*].

[ის გარდაიცვალა, შემდეგ დაასრულა დისერტაცია].

შიდაპროპოზიციული ფაქტორების მიერ პრესუპოზიციის გაუქმება დაიყვანება რთული წინადადების კომპონენტების პრესუპოზიციათა ურთიერთმოქმედების საკითხამდე ე. ი. პროექციის საკითხამდე. პროექციის საკითხი შემდეგნაირად დაისმის: აერთიანებს თუ არა რთული წინადადების პრესუპოზიცია შემადგენელ წინადადებათა პრესუპოზიციებს. პროექციის მიმართ არსებული პრობლემები ორ ჯგუფად იყოფა: ერთის მხრივ, პრესუპოზიციები წარმოიქმნება და ძლებს ისეთ ლინგვისტურ კონტექსტში, რომლებშიც დასკვნები ქრება (უქმდება); მეორეს მხრივ, პრესუპოზიციები ქრება ისეთ კონტექსტებში, რომლებშიც ისინი თითქოს უნდა გადარჩეს და რომლებშიც დასკვნებიც გადარჩება.

როგორც წესი, პრესუპოზიციები უცვლელი რჩება უარყოფით, მოდალურ, თანწყობილ (დიზიუნქციურ) და პირობით წინადადებებში. მრავალი ზმნა + დამატება ანუ სენტენციური ოპერაციები (ანუ ხვრელები-holes – კარტუნენი) საშუალებას აძლევს დამოკიდებული ნაწილის პრესუპოზიციებს იქცნენ მთელი წინადადების პრესუპოზიციად.

a) Marie apprécie que tu aies une voiture.

მარიმ შენიშნა, რომ შენ მანქანა გაქვს.

- *tu as une voiture.*

- *შენ გაქვს მანქანა.*

b) Je déplore que Marie apprécie que tu aies une voiture.

ვწუხვარ, რომ მარიმ შენიშნა, შენ რომ მანქანა გაქვს.

- *tu as une voiture.*

- *შენ მანქანა გაქვს.*

პროპოზიციული განწყობის და თქმის ზმნები ე. წ. საცობები (plugs - კარტუნენი) არ აძლევს საშუალებას დამოკიდებული წინადადების პრესუპოზიციას, რომ მთელი წინადადების პრესუპოზიციად იქცეს.

a) Michel (ne) regrette (pas) que tu vives dans la jungle.

მიშელი (არ) წუხს, რომ შენ ჯუნგლში ცხოვრობ.

- *tu vis dans la jungle.*

- *შენ ჯუნგლში ცხოვრობ.*

b) Marie croit que Michel regrette que tu vives dans la jungle.

მარი ფიქრობს, რომ მიშელი წუხს, შენ რომ

ჯუნგლში ცხოვრობ.

პრესუპოზიციას: *tu vis dans la jungle.*

შენ ჯუნგლში ცხოვრობ.

არ არის სწორი.

ზოგიერთი კავშირი (მაპირისპირებელი, მაერთებელი, პირობითი), რომელთა მოქმედების სფეროში პრესუპოზიციები ერთ შემთხვევაში გადარჩება, ხოლო სხვა შემთხვევაში – არა, ორმაგი ბუნებისაა; ამიტომაც მიმართავენ მაკავშირებელ სიტყვათა ფილტრს, რომელიც ზოგიერთ პრესუპოზიციას ატარებს, ზოგიერთს კი – არა.

a) Jean (n') a (pas) honte que sa femme soit membre de PQ.

ჟანს (არ) რცხვნიას, რომ მისი ცოლი *კვებეკის პარტიის* წევრია.

- *Sa femme est membre de PQ.*

- მისი ცოლი კვებეკის პარტიის წევრია.

თუკი ამ ფრაზას დავეუკავშირებთ სხვა ფრაზას et კავშირის საშუალებით, მაშინ მთელი წინადადების პრესუპოზიცია იგივე დარჩება.

*Marie est membre de l'ADQ et Jean (n') a (pas) honte
que sa femme soit membre de PQ.*

მარი არის კვებეკის დემოკრატიული მოძრაობის წევრი და უანს
(არ) რცხვენია, რომ მისი ცოლი კვებეკის პარტიის წევრია.

- *Sa femme est membre de PQ.*

- მისი ცოლი კვებეკის პარტიის წევრია.

მაგრამ

b) *Les enfants de Marie souffriront de dyslexie.*

მარის შვილები დისლექსიით დაიტანჯებიან.

- *Marie a des enfants*

- *მარის პყავს შვილები.*

თუკი ეს ფრაზა სხვა ფრაზას შეუერთდება si კავშირის საშუალებით, მაგ.

Si Marie a des enfants, alors les enfants de Marie souffriront de dyslexie.

თუკი მარის ევოლება შვილები, ისინი დისლექსიით დაიტანჯებიან.

მაშინ მთელი წინადადების პრესუპოზიცია აღარ იქნება:

Marie a des enfants.

მარის პყავს შვილები.

ე.ი. ეს პრესუპოზიცია ქრება, იფილტრება.

(i) წინადადებაში, რომლის ფორმაა *si p alors q* (და წინადადება *p et q*), მთელის პრესუპოზიცია მიიღება ნაწილთა პრესუპოზიციიდან, თუ *q* არ გულისხმობს *r*-ს და *p* არ წარმოქმნის *r*-ს.

(ii) წინადადებაში, რომლის ფორმაა *p ou q*, მთელის პრესუპოზიცია მიიღება ნაწილთა პრესუპოზიციიდან, თუ *q* არ გულისხმობს *r*-ს და $\sim p$ არ მოჰყვება *r*-ს.

ის მოსაზრება, რომ პრესუპოზიცია და დასკვნა ერთმანეთს გამორიცხავს, გაუმართლებელია ენობრივი ანალიზის თვალსაზრისით; ზოგიერთ შემთხვევაში არ არის გამორიცხული, რომ პრესუპოზიციები განხილულ იქნას, როგორც გამომდინარე დასკვნები, მაგ. მარტივ წინადადებაში (მტკიცებობებში) დასაშვებია, რომ მისგან გამომდინარეობდეს ერთდროულად დასკვნა და პრესუპოზიცია.

პროექციის წესები საბოლოოდ ასეთ სახეს იღებს:

(i) პრესუპოზიციები შეიძლება უარყოფილ იქნას ყოველგვარი ანომალიის ან წინააღმდეგობის აღძვრის გარეშე; ისინი ასევე შეიძლება გაუქმდეს si წინადადებებში.

(ii) შესაძლებელია პრესუპოზიციების გაფილტვრა ისეთ სპეციფიკურ კონტექსტებში, როდესაც ისინი წარმოიქმნებიან რთული წინადადების შემადგენელი წინადადებებიდან კავშირების ou, si...alors და სხვათა საშუალებით.

(iii) პრესუპოზიციები შენარჩუნებულია ისეთ კონტექსტებში, რომლებშიც დასკვნები არ გამოიტანება, ასეთებია: მოდალური, პირობითი და მაპირისპირებელი (დიზიუნქციური) კონტექსტები. ეს განსაზღვრება შეესაბამება უკვე დასახელებულ ხერხებს (iii), ფილტრებს (ii) და საცობებს (თქმის წინადადებები – კარტუნენი).

პრესუპოზიციების არც ერთი სემანტიკური თეორია – არც ლოგიკურ პრინციპებზე და არც სემებზე აგებული – არ მოიცავს იმ საკითხებს, რომელთაც პრესუპოზიციათა ანალიზი გვაძლევს და რომლებიც ენათმეცნიერთა გამუდმებული დავისა და ორჭოფობის საფუძველს ქმნის. ასეთი მდგომარეობის მიზეზს წარმოადგენს ის გარემოება, რომ პრესუპოზიციები მიეკუთვნება პრაგმატიკას და არა სემანტიკას; სემანტიკა ემყარება სტაბილურ, განსაზღვრულ კონსტრუქციებზე დამაგრებულ მნიშვნელობებს; პრესუპოზიციები არ არის უცვლელი, სტაბილური და არ მიეკუთვნება მოწესრიგებულ სემანტიკას.

პრესუპოზიციის პრაგმატული თეორიის ძირითადი ერთეულია პრაგმატული პრესუპოზიცია, რომლის განსაზღვრაც ეყრდნობა ორ ცნებას: შესაბამისობას (ანუ წარმატებულობას) და საერთო ცოდნას (ანუ საერთო ნიადაგს, ან გაერთიანებულ ვარაუდი-დაშვებას).

გამონათქვამი A პრაგმატულად გულისხმობს (ვარაუდობს) პროპოზიცია B-ს, მაშინ და მხოლოდ მაშინ, თუ A არის შესაბამისი (შესაფერისი) და B იცნობს ყველა მონაწილეს.

აღსანიშნავია, რომ არსებობს წინადადებების პრაგმატული ხასიათის შეზღუდვებიც; სახელდობრ, წინადადებათა სათანადოდ გამოყენებისათვის პრესუპოზიციის ნიშნის მატარებელი წინადადებები კონტექსტში უნდა იყოს ჭეშმარიტი; ყალბი პრესუპოზიცია წარმოქმნის შეუფერებელ (მიუღებელ) წინადადებას. (აქ მხედველობაში არ მიიღება ჭეშმარიტების ღირებულების არმქონე წინადადება). წინადადებას:

Paul regrette que tu ne fasses pas de politique et tu regrettes
que lui ne fasse pas de sport.

პოლი წუხს, რომ შენ პოლიტიკურ კარიერას არ იწყებ
და შენ წუხარ, რომ ის სპორტს არ მისდევს.

აქვს შემდეგი პრესუპოზიციები:

- *Quelqu'un s'appelle Paul.*
- *ვიღაცას ჰქვია პოლი.*
- *tu ne fais pas de politique.*
- *შენ არ იწყებ პოლიტიკურ კარიერას.*
- *Paul ne fait pas de sport.*
- *პოლი არ მისდევს სპორტს.*

თუ რომელიმე პირობა ყალბია, მაშინ წინადადება მიუღებელი იქნება.

პრესუპოზიციათა თეორიებში თითქმის ყველა პრობლემის ირგვლივ არსებობს განსხვავებული თვალსაზრისი. აღინიშნება ამ თეორიების როგორც დადებითი, ასევე მანკიერი, არაადეკვატური მხარეები, რაც შეუძლებელს ხდის ერთიანი თვალსაზრისის არსებობას. განხილული თეორიები საკმაოდ რთულია, დაშვებული შეზღუდვები კი პრესუპოზიციათა ყველა პრობლემის გადაჭრას ვერ ახერხებს. (მაგ. გაზდარის, მონტეგიუს, კარტუნენის და პეტერსის თეორიები).

პრესუპოზიცია აერთიანებს სრულიად განსხვავებულ მოვლენებს, რომელთაგან ზოგი სემანტიკიდან, ხოლო ზოგი პრაგმატიკიდან მომდინარეობს. საჭიროა, რომ პრესუპოზიციები დაყვანილ იქნას დასკვნის გამოტანის სხვა სახეებზე, კერძოდ, ერთის მხრივ, სემანტიკურ გამომდინარეობაზე და ლოგიკურ ფორმაზე, მეორეს მხრივ კი – სამეტყველო და კონვენციურ იმპლიკატურებზე, წარმატების პირობებზე და სხვა მსგავსზე. აუხსნელი საკითხების გაჩენის შემთხვევაში ჩამოყალიბდება პრესუპოზიციის ისეთი თეორია, რომელიც ზუსტად არდაყვანილ შემთხვევებს განიხილავს. პრესუპოზიციის თეორიისადმი ასეთ მიდგომას მრავალი მიმდევარი გამოუჩნდა, თუმცა აქაც რედუქციონიზმის (დაყვანის) პრინციპი სხვადასხვაგვარად იქნა გაგებული; მაგალითად, ერთი თვალსაზრისის მიხედვით (ვილსონი და სპერბერი), სემანტიკური გამოხატულება (რეპრეზენტაცია) ისე უნდა გამდიდრდეს, რომ მან მარტივ პრაგმატულ პრინციპებთან ურთიერთმოქმედებით შეძლოს წინასწარ განსაზღვროს, თუ რა იქნება ნაგულისხმევი (რა იქნება პრესუპოზიცია).

ადეკვატური სემანტიკური რეპრეზენტაცია უნდა შედგებოდეს დასკვნათა (გამომდინარეობათა) მოწესრიგებული ორი სიმრავლისაგან: წინა პლანის დასკვნები და უკანა პლანის დასკვნები. ლოგიკური რიგის მიხედვით, თუ A-დან გამომდინარეობს B, მაშინ A მდებარეობს B-ზე წინ; გრამატიკა აწესრიგებს ასეთ მიმართებათა (გამომდინარეობათა) სიმრავლევებს. არსებობს მარტივი გრამატიკული წესი: წინადადების ბოლო დასკვნები არარელევანტურია კონტექსტში. რელევანტურობა თავს იჩენს, როცა ირკვევა, თუ როგორი ინფორმაცია უნდა დაემატოს უკანა პლანის ინფორმაციას, რათა მიღებულ იქნას წინა პლანის ინფორმაცია, სახელდობრ, უკანა პლანის ინფორმაციაზე დალაგებული დასკვნები; მხოლოდ წინა პლანის (მთავარი) ინფორმაციის უარყოფა ხდება ან დაესმის კითხვა, ხოლო უკანა პლანის (არაძირითადი, დამატებითი) ინფორმაცია – იგულისხმება; ე.წ. “პრესუპოზიციები” სწორედ უკანა პლანის (არაძირითად) დასკვნებს წარმოადგენს.

წინა პლანისა და უკანა პლანის ინფორმაციის პრაგმატული ეფექტი წინადადების შიგნით შეიძლება მიღწეულ იქნას სხვადასხვა არაპრესუპოზიციური ხასიათის (ვიწრო მნიშვნელობით) საშუალებებით: სიტყვათა წყობის ცვლით, სინტაქსური ქვეწყობით, პროსოდიული ემფაზით, ემფაზური ნაწილაკებით. პრესუპოზიციები აწესრიგებს კანონიკურ ფორმათა და მათ გარდაქმნათა შორის არსებულ მიმართებებს. ასეთია პრესუპოზიციის ჯერ კიდევ დაუსრულებელი და სადაო თეორია. (ლევინსონი 1983: 219-226)

5.2. იმპლიკაცია და სიმეტრია

იმპლიკატურების თეორია ჩამოაყალიბა ჰ. გრაისმა 1967 წ. ჰარვარდში უ.ჯეიმსის ლექციებში. ეს იყო მოკლე, ძირითადად მომავალი მუშაობისთვის გამიზნული თეზისები, კომუნიკაციის თეორიის მსგავსად აგებული. იგი განსაზღვრავს თუ როგორ ხდება კომუნიკაცია ისე, რომ არ გამოიყენება არანაირი პირობითად არსებული საშუალება განზრახული ინფორმაციის

გამოსახატავად. ეს თეორია გამოთვლის იმ მნიშვნელობას, რომელიც აღემატება ნათქვამის მიერ გადმოცემულ ვიწრო ინფორმაციას. კონკრეტულ გამონათქვამზე ყოველთვის აღმოცენდება დანასკვთა განსაზღვრული სიმრავლე, რომელთაგან ყველა როდია საკომუნიკაციო ე. ი. განზრახული. დანასკვთა ის ტიპი, რომელთაც იმპლიკატურები ეწოდება, ყოველთვის განსაზღვრული ტიპისაა. იმპლიკატურების თეორია გამოხატავს იმ მიმართულებას, რომლითაც გადაიცემა ეს არაპირობითი დანასკვებები.

ჰ. გრაისი იმპლიკატურას განსაზღვრავს ძირითადად ინდივიდთა მიერ ენის გამოყენების საფუძველზე. არსებობს ზემოდანმოქმედ დაშვებათა სიმრავლე, რომელიც წარმართავს საუბარს. ასეთი სიმრავლე ბაზისური დაშვებებიდან უნდა მომდინარეობდეს; იგი ეფექტურად და ნაყოფიერად წარმართავს საუბარში ენის გამოყენებას საბოლოო ურთიერთთანამშრომლობის მისაღწევად.

ეს დაშვებანი ოთხ ძირითად სასაუბრო მაქსიმად ყალიბდება. ეს ის ძირითადი ზოგადი პრინციპებია, რომლებიც საფუძველად უდევს ენის გამოყენებას. აქვე აღსანიშნავია კოოპერაციის ზოგადი პრინციპები. (ლევინსონი 1983: 100-118).

კოოპერაციის პრინციპი: ხელი შეუწყვეთ საუბარს იმ დიალოგის მიზნისა და მიმართულების შესაბამისად, რომელშიც თქვენ ჩაებით.

თვისების მაქსიმი: სცადეთ ჭეშმარიტი გახადოთ თქვენი მონაწილეობა. განსაკუთრებით:

- (i) არ თქვათ, რაც ყალბად მიგაჩნიათ.
- (ii) არ ილაპარაკოთ იმაზე, რაზეც სათანადო ინფორმაცია არ გაქვთ.

რაოდენობის მაქსიმი:

(i) გახადეთ თქვენი მონაწილეობა იმდენად ინფორმაციული, რამდენადაც ეს საჭიროა.

(ii) ნუ გახდით თქვენს მონაწილეობას იმაზე მეტად ინფორმაციულს, ვიდრე ეს საჭიროა.

რელევანტურობის მაქსიმი: გახადეთ თქვენი მონაწილეობა რელევანტური.

ვითარების მაქსიმი: ერიდეთ ბუნდოვანებას;

ერიდეთ ორაზროვნებას;

მოკლედ გამოხატეთ სათქმელი;

შეინარჩუნეთ თანმიმდევრულობა.

ეფექტური და რაციონალური თანამშრომლობა საუბრის მონაწილეებს ავალებს ილაპარაკონ გულწრფელად, რელევანტურად და მკაფიოდ, რათა გადმოსცენ საკმარისი ინფორმაცია.

მაქსიმთა ფორმულირებას აზრთა დიდი სხვადასხვაობა მოჰყვა, მაგრამ ყველა საწინააღმდეგო აზრის მიმართ ერთი პასუხი იყო: ეს მაქსიმები, რა თქმა უნდა, სიტყვა-სიტყვითი მნიშვნელობით არ უნდა იქნას გაგებულნი და გამოყენებულნი; ისინი ძირითადი, სიღრმისეული პრინციპებია, რომლებსაც მოლაპარაკე ინდივიდები კომუნიკაციის გარკვეულ დონეზე აუცილებლად მიმართავენ.

ეს მაქსიმები წარმოქმნის დასკვნებს გამონათქვამების სემანტიკური მნიშვნელობის მიღმა; ეს დასკვნები სამეტყველო იმპლიკატურებია და განსხვავდებიან ლოგიკური იმპლიკაციისაგან და შედეგიდან (implication, conséquence), რომლებიც აღნიშნავენ მხოლოდ ლოგიკური ან სემანტიკური მნიშვნელობიდან მომდინარე დასკვნებს; იმპლიკატურები არ წარმოადგენს სემანტიკურ დასკვნებს, ისინი ემყარება ნათქვამის მნიშვნელობას და ზოგიერთ სპეციფიკურ დაშვებას.

დეტალურმა ანალიზმა უჩვენა, რომ ვითარების გამომხატველი იმპლიკატურები შეიძლება განვიხილოთ სემანტიკური რეპრეზენტაციის დონეზე დაყრდნობით; ამასთანავე, მხედველობაში მიიღება ლოგიკური ფორმის ზოგიერთი პარამეტრი. ეს იმპლიკატურები არ აიგება არაინტერპრეტირებული ზედაპირული სტრუქტურების საფუძველზე და არც გამონათქვამის ჭეშმარიტების ღირებულებიდან. ზოგჯერ განსხვავებული ზედაპირული სტრუქტურის გამონათქვამები წარმოქმნის ერთნაირ იმპლიკატურებს. მაგ. მტკიცებითი წინადადებები P და პროპოზიცია P ინაწილებს (ii) იმპლიკატურას.

- (i) Peut-être P
Probablement P
Il est possible que P
Potentiellement P
- (ii) Il est possible que non P

რასაც მოჰყვება იმპლიკატურა:

Peut-être qu'il y a la vie sur le Mars.
შესაძლებელია არის სიცოცხლე მარსზე.

უარყოფითი პროპოზიცია საერთოა ზემოთმოყვანილი სინონიმური ზმნიზედებისათვის.

არაინტერპრეტირებულ ზედაპირზე აღმოცენებული იმპლიკატურები არღვევს ბაზისურ ზოგად წესს იმის შესახებ, რომ ერთნაირი სემანტიკური მნიშვნელობის ყველა გამოთქმას ერთნაირი იმპლიკატურა აქვს. იმპლიკატურები უნდა წარმოიქმნას კონკრეტულ ზედაპირულ სემანტიკურ სტრუქტურაზე. მხოლოდ ჭეშმარიტების ღირებულებაზე დაყრდნობით წარმოქმნილი იმპლიკატურების წინასწარ გამოთვლა არ ხდება. მაგ.

(i) P

(ii) P et si P alors P

ამ პროპოზიციებს გააჩნია ერთი და იგივე ჭეშმარიტების ღირებულება; თუ (i) ჭეშმარიტია, ჭეშმარიტია ასევე (ii). მათგან მიღებული გამონათქვამებია:

(i) C'est fait

(ii) C'est fait et si c'est fait, c'est fait

ბოლო გამონათქვამს მოჰყვება შემდეგი იმპლიკატურა: “რაც მოხდა, მოხდა – არ ღირს სინანული”.

რადენობის იმპლიკატურებიდან აღსანიშნავია შკალის იმპლიკატურა. შკალა წარმოადგენს ენობრივ ალტერნატივებს ანუ ერთი და იმავე კატეგორიის კონტრასტულ გამოთქმებს. ეს გამოთქმები წრფივი განლაგებისაა მათი ინფორმაციულობის ხარისხის ან სემანტიკური სიგრძის მიხედვით. ასეთ შკალაზე ენობრივი გამოთქმები ჩაირთვება წინადადების ჩარჩოში. მაგ.

Tous les garçons sont allés au concert.

ყველა ბიჭი კონცერტზე წავიდა.

Quelques garçons sont allés au concert.

რამდენიმე ბიჭი კონცერტზე წავიდა.

საიდანაც გამომდინარეობს შემდეგი იმპლიკატურა:

Quelques garçons sont allés au concert, en fait, tous.

რამდენიმე, ფაქტიურად ყველა ბიჭი კონცერტზე წავიდა.

იმპლიკატურათა ტიპებიდან აღსანიშნავია სტანდარტული, გაუქმებული, ზოგადი და კერძო იმპლიკატურები.

სტანდარტული იმპლიკატურები შეიძლება ეწოდოს იმ დასკვნებს, რომლებიც უშუალოდ მაქსიმუმის სიტყვა-სიტყვით ხმარებიდან გამომდინარეობს.

ზოგადი იმპლიკატურები აღნიშნავს იმ იმპლიკატურათა ქვესიმრავლეს, რომელიც არ თხოულობს განსაკუთრებულ კონტექსტუალურ პირობებს დასკვნის გამოტანის მიზნით.

კერძო იმპლიკატურები თხოულობენ სპეციფიკურ კონტექსტებს.

მაქსიმები იმ შემთხვევაშიც წარმოქმნის დასკვნებს, როდესაც მოლაპარაკე ინდივიდი ნებით და ცხადად არღვევს მათ. როგორი სახისაც არ უნდა იყოს მაქსიმოდან გადახვევა თუ მისი დარღვევა, ორივე მონაწილის ურთიერთთანამშრომლობის პრინციპი მაინც დაცულია. როდესაც ირღვევა თვისების პრინციპი, მიღებული ირონიული გამონათქვამები წარმატებით აიხსნება და ასეთ შემთხვევაში ხორციელდება თანამშრომლობის ბაზისური დაშვება; წინააღმდეგ შემთხვევაში ირონია გაუგებარი დარჩება და დასკვნები ჩაიშლება.

Quoi si la Russie bloque le Golfe et tout le pétrole?

რა მოხდება, თუკი რუსეთი ბლოკადაში მოაქცევს

ყურესა და მთელ ნავთობს?

Tiens, la Grande Bretagne gouverne (domine) les mers!

ოჰო, დიდი ბრიტანეთი ზღვებზე ბატონობს!

ცხადია, ორივე მონაწილეს ესმის, რომ ინგლისს არაფრის გაკეთება არ შეუძლია, ვინაიდან იგი ზღვებზე აღარ ბატონობს. გაუქმებული ან ბოროტადგამოყენებული მაქსიმების უმრავლესობა განკერძოებულ იმპლიკატურებს წარმოქმნის. მაგ. ირონიას სჭირდება კერძო, დამატებითი დაშვებები მისი ზუსტი მნიშვნელობის დასადგენად.

რაოდენობის მაქსიმის დარღვევას არ მოჰყვება მნიშვნელოვანი ინფორმაციის გადაცემა, თუმცა ყველგანმოქმედი კოოპერაციის პრინციპი გამოტანილი დასკვნების საფუძველია.

La guerre est la guerre.

საშინელი ამბები ხდება ომში, ასეთია ომი.

რთულია რელევანტურობის და ვითარების პრინციპების უგულვებელყოფა; ძნელია არარელევანტური პასუხების პოვნა. ეს ძირითადად სიტყვის ბანზე აგდების პასუხებია; მარტივი პერიფრაზა არ აღიქმება გამონათქვამის რელევანტურ დასკვნად.

A. Je pense que Mme Martin est une vieille bavarde, n'est-ce pas?

მგონი ქალბატონი მარტენი ბებერი ლაქლაქაა, არა?

B. Pouah, il fait beau pour le mois de mars, n'est-ce pas?

უჰ, მარტის თვისათვის კარგი ამინდია, არა?

პასუხი ალბათ უნდა ნიშნავდეს “შეხედე, მისი ძმისშვილი ზუსტად შენს უკან დგას”.

გარდა დასახელებული ძირითადი ტიპებისა, გამოიყოფა იმპლიკატურების სრულიად განსხვავებული ტიპი. ეს ე.წ. შეთანხმებითი, პირობითი, კონვენციური იმპლიკატურებია (გრაისი). ასეთი იმპლიკატურები არ წარმოადგენს ჭეშმარიტების ღირებულების მქონე დასკვნებს; ისინი არ აღმოცენდება ისეთი პრაგმატული პრინციპების გამოყენებით, როგორც მაქსიმებია. ეს იმპლიკატურები შეთანხმების საფუძველზე მიეწერება კონკრეტულ ლექსიკურ ერთეულებს ანუ გამოთქმებს; მაგ. mais –ს იგივე ჭეშმარიტების ღირებულება აქვს, რაც et-ს, მაგრამ იგი დამატებით შემადგენელთა შორის არსებულ კონკრეტულ მნიშვნელობას გამოხატავს. ასევეა donc, même, encore. ეს იმპლიკატურები არ ფლობს სამეტყველო იმპლიკატურებისათვის დამახასიათებელ თვისებებს. დისკურსის დეიქტიკები და მიმართვის ფორმები

Cependant, de plus, d'ailleurs, en tout cas, bien, encore, de plus, bien que, oh, ainsi,

Monsieur, Madame, compagnon, votre honneur, votre altesse და ა.შ.

კონვენციურ იმპლიკატურებად შეიძლება იქნას მიხნეული.

კომუნიკაციის პროცესი იმდენად მრავალფეროვანია, რომ თითქმის შეუძლებელი ხდება მისი ანალიზის მოქცევა რომელიმე პირობითი ფორმალური სისტემის ფარგლებში, სწორედ ამიტომ მიმართეს ლინგვისტებმა იმპლიკატურის ცნებას, ვინაიდან იგი მოქმედების ვრცელ თავისუფალ არეს ტოვებს. ამასთანავე, იმპლიკატურები ცდილობს თავიდან აიცილოს კანონიკურ ენობრივ ფორმათათვის დამახასიათებელი ასიმეტრია, გამონათქვამთა ორაზროვნება, მრავალმნიშვნელობა; ასევე მოაწესრიგოს წესებით დასაშვებ, სტანდარტულ ფორმათა და მათ შესაძლო მოდიფიკაციათა ურთიერთმიმართებები.

იმპლიკატურების უფრო კონკრეტული განსაზღვრა შემდეგი სახისაა:

L (locuteur- მოლაპარაკე) ამბობს, რომ P საუბარში გულისხმობს q, თუ:

(i) დასაშვებია, რომ L იცავს მაქსიმებს, ყოველ შემთხვევაში (დარღვევის შემთხვევაში) კოოპერაციის პრინციპს;

(ii) ამ დაშვების გასამყარებლად ივარაუდება, რომ L ფიქრობს, რომ q;

(iii) L ფიქრობს, რომ ორივემ, L და ადრესატმა A (auditeur – მსმენელი) იციან, – A ისე იმოქმედებს, რომ შენარჩუნებულ იქნას დაშვება (i), ფაქტიურად დგას A-ს საჭიროება (მოითხოვება q).

იმისათვის, რომ ადრესატმა A შეძლოს გამოიანგარიშოს q, მას უნდა სჯეროდეს, რომ იცის შემდეგი ფაქტები:

- (i) გამონათქვამის (P) შეთანხმებითი (აღიარებული) მნიშვნელობა;
- (ii) კოოპერაციის პრინციპები და მისი მაქსიმები;
- (iii) P –ს კონტექსტი (ე.ი. მისი რელევანტურობა);
- (iv) ფონური ინფორმაციის ზოგიერთი ულუფა (P თვალსაჩინოდ ყალბია);
- (v) (i-v) საერთო ცოდნა, რომელსაც იზიარებენ მოლაპარაკე და ადრესატი.

აღნიშნული დებულებები ჰ. გრაისმა ჩამოაყალიბა; მას მიაჩნია, რომ იმპლიკატურების ძირითადი თვისებები თავისუფლად აღრიცხვადია. იგი გამოყოფს ხუთ თვისებას, რომელთაგან უმთავრესია ის, რომ შესაძლებელია იმპლიკატურების გაუქმება ანუ მოხსნა. ეს უკანასკნელი პრინციპი პრაგმატიკის ერთ-ერთი ძირითადი დებულებაა. დასკვნა შესაძლებელია გაუქმდეს იმ შემთხვევაში, თუ გავაუქმებთ ამოსავალ წინამძღვრებს; დედუქციური ანუ ლოგიკური დასკვნები ამ გზით არ უქმდება. იმპლიკატურები უფრო ინდუქციურ დასკვნებს ჰგავს, ვიდრე დედუქციურს. იმპლიკატურა მაშინაც შეიძლება გაუქმდეს, თუ გამონათქვამის კონტექსტი ცხადყოფს, რომ გამონათქვამი არ იყო გამიზნული, როგორც სრული კომუნიკაციის შემადგენელი ნაწილი.

იმპლიკატურებისათვის მნიშვნელოვანია ისიც, რომ ისინი არ-მოშორებადნი არიან, ე.ი. მიბმულნი არიან გამონათქვამის სემანტიკურ მნიშვნელობაზე და არა მის ლინგვისტურ ფორმაზე; ამიტომაც დაუშვებელია იმპლიკატურების მოწვევა გამონათქვამიდან ამ უკანასკნელში სიტყვათა წყობის შეცვლით ან სინონიმური გამონათქვამის ხმარებით. იმპლიკატურა ამით განსხვავდება პრესუპოზიციისაგან, თუმცა ვითარების გამომხატველი მაქსიმი ხშირად გაშლილად უკავშირდება გამონათქვამის ფორმას.

იმპლიკატურებისათვის დამახასიათებელია ასევე მათი აღრიცხვის, გამოთვლის უნარი. იმპლიკატურები ცხადყოფს, რომ გამოთქმის სიტყვა-სიტყვითი მნიშვნელობიდან, კოოპერაციის პრინციპიდან და მაქსიმებიდან გამომდინარე, ადრესატს შეუძლია გამოიტანოს საპასუხო დასკვნა და ამით შეინარჩუნოს კოოპერაციის დაშვებული პრინციპი.

იმპლიკატურები არა-კონვენციური, არა-შეთანხმებითი დასკვნებია, ისინი არ წარმოადგენს ენობრივი კონსტრუქციების შეთანხმებითი მნიშვნელობის ნაწილს; ჯერ იქმნება გამონათქვამის მნიშვნელობა, მხოლოდ ამის შემდეგ გამოითვლება იმპლიკატურები კონტექსტში; დასაშვებია გამონათქვამი ჭეშმარიტი იყოს, ხოლო იმპლიკატურა ყალბი და პირიქით; გარდა ამისა, ერთმნიშვნელოვან გამონათქვამს შეუძლია წარმოქმნას იმპლიკატურების დიდი რაოდენობა, რაც ბუნებრივი ენის ასიმეტრიულობაზე მიუთითებს. იმპლიკატურების ზუსტი განსაზღვრა სიტუაციათა ნაირფერობის გამო შეუძლებელია; იმპლიკატურები ერთგვარად განუსაზღვრელია, ისინი არ შეესაბამება სემანტიკური თეორიების მოთხოვნას მყარი, განსაზღვრული მნიშვნელობის შესახებ. მაგ.

Jean est une machine.

ჯანი ადამიანი-მანქანაა.

ეს გამონათქვამი გულისხმობს, რომ ჯანი არის ცივი, მარჯვე, მუდმივად მომუშავე, აქლოშინებული, ჭკუანაკლები და ა.შ.

ჰ. გრაისის თითქმის ყველა პრინციპს შეეხო კრიტიკა. იმპლიკატურების თეორიის მიმართ ერთ-ერთი სერიოზული შენიშვნა ეხებოდა მაქსიმთა მრავალრიცხოვნებას. ისინი იმდენად ფართო მოცულობისაა, რომ შეუძლიათ ყოველი წინადადებიდან წარმოქმნან დასაშვები იმპლიკატურა და ამდენად ეს ცარიელი თეორიაა.

პრაგმატიკის ერთ-ერთი ძირითადი ცნებაა სამეტყველო (საუბრის) იმპლიკატურები, რომლებიც მრავალ ლინგვისტურ მოვლენას ფუნქციურად ხსნის. გარდა ამისა, იმპლიკატურა ხსნის, თუ როგორ მიიღწევა, რომ ნათქვამის მნიშვნელობა აღემატება იმას, რასაც ეს ნათქვამი სიტყვა-სიტყვით აღნიშნავს; იგი აღემატება სემანტიკური თეორიის შესაძლებლობებს, ვინაიდან ეს უკანასკნელი კომუნიკაციის დროს ენის ხმარების მხოლოდ მცირე ნაწილს ხსნის. იმპლიკატურა ავსებს ცარიელ ადგილს ჩართული ინფორმაციის დიდი ულუფების გადამუშავებით. ამასთანავე, იგი ამარტივებს როგორც სტრუქტურულ, ასევე სემანტიკურ აღწერას. იმპლიკატურის ცნების საშუალებით ბუნებრივი ენა ისწრაფვის გამოთქმებიდან განდევნოს მრავალმნიშვნელობა და დაამკვიდროს სიმეტრიულობა, სტაბილური ერთმნიშვნელობა, რომელსაც თან სდევს არასტაბილური, კოტექსტით განპირობებული პრაგმატული ზედნადები – იმპლიკატურების ბაღე. (ლევინსონი 1983: 132-135)

ამრიგად, იმპლიკატურები, ასრულებენ რა მთავარ როლს ენის ევოლუციაში, იწვევენ გარკვეულ სინტაქსურ და სემანტიკურ ცვლილებებს; კერძოდ, ლექსიკის, სინტაქსის და მორფოლოგიის დონეზე მრავალი მოვლენა მხოლოდ პრაგმატულ პარამეტრებზე, და კონკრეტულად, იმპლიკატურებზე დაყრდნობით აიხსნება.

5. 3. მეტყველების აქტები და სიმეტრიის ცნება

მეტყველების აქტები პრესუპოზიციებთან და იმპლიკატურებთან ერთად ლინგვისტური პრაგმატიკის ერთ-ერთ ძირითად ფენომენს წარმოადგენს. შესაბამისად, მეტყველების აქტების ანალიზს უზარმაზარი ლიტერატურა მიეძღვნა. ეს საკითხი ერთნაირად აინტერესებდა ფსიქოლოგებს, ლიტერატურულ კრიტიკოსებს, ანთროპოლოგებს, ფილოსოფოსებს, ლინგვისტებს. (ლევისონი 1983: 226-260)

ფილოსოფოსები და ლინგვისტები ყოველთვის ცდილობდნენ დაეძლიათ ბუნებრივი ენისათვის დამახასიათებელი მრავალმნიშვნელობა და აქედან გამომდინარე, განსჯის უზუსტობანი და წინააღმდეგობრიობანი, რასაც მოჰყვა ენობრივი ანალიზის ახალი, მკაცრი პრინციპების შექმნა გ. ფრეგეს, ლოგიკური პოზიტივისტების, ლ. ვიტგენშტეინისა და სხვათა მიერ.

ლ. ვიტგენშტეინის ცნობილი დებულება “მნიშვნელობა ხმარებაა” განხორციელდა ენობრივი თამაშების იდეის წარმოქმნით, ანუ იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ გამონათქვამის ხმარება თამაშის განსაზღვრულ წესებს ემორჩილება. დეიქსისების, პრესუპოზიციებისა და იმპლიკატურების ანალიზი ძირითადად ჭეშმარიტების ღირებულების პრინციპებზე დაყრდნობით წარიმართა. სწორედ ამ დროს გამოჩნდა ჯ. ოსტინის მეტყველების აქტების თეორია, რომელიც მნიშვნელოვნად ეხმაურებოდა ლ. ვიტგენშტეინის შეხედულებებს ენის ხმარებასა და ენობრივ თამაშობებზე. ჯ. ოსტინი არ მიიჩნევდა ჭეშმარიტების ღირებულებებს ენის გაგების ძირითად პრინციპად. მან მოახდინა მეტყველების აქტების პირველი კლასიფიკაცია და შემოიტანა პერფორმაციულობის ცნება.

ჯ. ოსტინმა გამოყო სამი სახის მეტყველების აქტი:

1. ლოკუციური აქტი – თქმის აქტი ან თქმის პროცესი, რომლის დროსაც გამოითქმის განსაზღვრული მნიშვნელობისა და რეფერენციის წინადადება.

2. ილოკუციური აქტი – თქმის ქმედება უპირისპირდება იმ ქმედებას, რომელიც ხორციელდება ლაპარაკის მომენტში. ილოკუციური აქტი გულისხმობს ისეთ გამონათქვამს, რომელშიც ხორციელდება ამ გამონათქვამის ძალა, მაგ. დაპირება, შეთავაზება, კონსტატირება და ა.შ.

3. პერლოკუციური აქტი – გამოხატავს იმ ზეგავლენას, რასაც ახდენს განსაზღვრულ გამონათქვამთა ხმარება მონაწილეთა გრძნობებზე, გონებასა და ქცევაზე. ზემოქმედება გამიზნული და გაანგარიშებული ხასიათისაა.

აღსანიშნავია, რომ მეტყველების აქტების თეორიაში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ილოკუციური აქტისა და მისი შესაბამისი ილოკუციური ფუნქციის (ძალის) ცნებას.

ილოკუციური აქტი ლოკუციური აქტისაგან განსხვავდება ინტენციონალობის ნიშნით ე.ი. კავშირით გარკვეულ განზრახვასთან, მიზანთან, ხოლო პერლოკუციურ აქტს იგი უპირისპირდება კონვენციურობის ნიშნით. ილოკუციის აქტი პირობითია, კონვენციური; მაგ. მოწიწების გამოხატვა კონვენციურია და საერთო შეთანხმებას ემყარება. პერლოკუციური აქტის შედეგად მიღებული შედეგი არ არის კონვენციური და შეიძლება იყოს არაგანზრახული, განუსაზღვრელი და ატარებდეს მოულოდნელობის ნებისმიერ ნიუანსს. ამრიგად:

1. ლოკუციის აქტს გააჩნია განსაზღვრული მნიშვნელობა და მოიცავს ფონეტიკურ, რეტიკულ და ფატიკურ აქტებს.

2. ილოკუციის აქტს გააჩნია განსაზღვრული ძალა, რომელიც ლაპარაკის დროს იჩენს თავს.

3. პერლოკუციის აქტი წარმოადგენს ლაპარაკის საშუალებით განსაზღვრული შედეგის მიღწევას.

ჯ. ოსტინმა შემოიღო ასევე პერფორმაციულობის ცნება. მან ერთმანეთისაგან განასხვავა კონსტატიური და პერფორმაციული გამონათქვამები. კონსტატიური გამონათქვამები არის მტკიცებები, განსჯები. მათი ფუნქციაა საგანთა მდგომარეობების, მოვლენებისა და პროცესების აღწერა და არიან ან ჭეშმარიტი ან მცდარი. პერფორმაციულ გამონათქვამებს კი, პირიქით, არ გააჩნიათ ჭეშმარიტების ღირებულება. ისინი კი არ აღწერენ საქმეთა

მდგომარეობას, ე.ი. კი არ ამბობენ რაიმეს, არამედ აქტიურად აკეთებენ რაიმეს. ფრაზები:

Je nomme ce bateau “Liberté”.

ამ გემს ვარქმევ “Liberté”.

ან Je vous conseille d’arrêter de fumer.

გირჩევთ, მოწევას თავი დაანებოთ.

ჩვეულებრივ გამოითქმის, რათა შევასრულოთ განსაკუთრებული აქტი, რომელიც, როგორც ჯ. ოსტინი აღნიშნავს, სხვაგვარად ვერ შესრულდება. განსხვავება კონსტატიურ და პერფორმაციულ გამონათქვამებს შორის ეფუძნება განსხვავებას რაღაცის თქმასა და რაღაცის გაკეთებას შორის.

პერფორმაციული გამონათქვამების ძირითად ლექსიკურ-სემანტიკურ სტრუქტურას წარმოადგენს ე.წ. ილოკუციური ზმნა ე.ი. ზმნა, რომელიც მიეკუთვნება თქმის, ლაპარაკის ზმნების კლასს. ეს უკანასკნელი მიუთითებენ ლაპარაკის მიზანზე და მეტყველების აქტის განხორციელების ამა თუ იმ პირობებზე, მაგ. თხოვნა, მილოცვა, დარწმუნება, დაპირება და ა.შ.

Je te préfère à lui; parce que j’ai pitié des malheureux

(Lautréamont, *Les chants de Maldoror*, p. 18)

Je te prends avec moi, je te prends complètement avec la pensée

(Philippe Sollers, *Le Secret*, p. 104)

თუ პერფორმატივის კლასის ზმნით გამოხატული მოქმედება არ შესრულდა, მაშინ შედეგი, ცხადია, “წარუმატებელია”. სწორედ მოქმედების აღსრულების შეფასების კრიტერიუმს წარმოადგენს “წარმატებულობის პირობები”. მაგ. როდესაც ქრისტიანი ეუბნება მეუღლეს:

Je divorce avec toi – გეყრები

ეს აქტი – გაყრა – რა თქმა უნდა, არ ხდება უმაღვე, თუმცა როდესაც მაჰმადიანი ამ წინადადებას სამჯერ ეუბნება მეუღლეს, გაყრა იქვე აღსრულდება.

წარმატების პირობების დარღვევას მოჰყვება “გამტყუნება” ან “ბოროტად გამოყენება”. პირველ მათგანს ადგილი აქვს, როდესაც მოქმედება არ შესრულდება, ხოლო მეორეს – როდესაც მოქმედება არაგულწრფელად ან წარუმატებლად შესრულდება.

პერფორმატივთა კლასში ჯ. ოსტინმა ერთმანეთისაგან განასხვავა ექსპლიციტური და იმპლიციტური (ფარული) პერფორმატივები. მაგ. ფრანგულ ენაში დაპირების აქტი შეგვიძლია ორგვარად წარმოვადგინოთ:

1. Je serai ici à deux heures.

ორ საათზე აქ ვიქნები.

2. Je promets d'être ici à deux heures.

გპირდებით, რომ ორ საათზე აქ ვიქნები.

პირველი გამონათქვამი არის იმპლიციტური პერფორმატივი. მეორე გამონათქვამი, რომელიც შეიცავს პერფორმაციულ ზმნას promettre (დაპირება), არის ექსპლიციტური პერფორმატივი; თუმცა ის ფაქტი, რომ ექსპლიციტური და იმპლიციტური პერფორმატივი შეგვიძლია გამოვიყენოთ მეტყველების ერთი და იმავე აქტის შესასრულებლად, არ ნიშნავს, რომ ორ ფრაზას აქვს ერთი და იგივე მნიშვნელობა. თუკი შესაბამის გარემოებებში ვინმე ამბობს:

Je promets d'être ici à deux heures.

გპირდებით, რომ ორ საათზე აქ ვიქნები.

იგი ვერ უარყოფს, რომ მისცა დაპირება. მაგრამ თუკი იგი იტყვის:

Je serai ici à deux heures.

ორ საათზე აქ ვიქნები.

მას შეუძლია გონივრულად ამტკიცოს, რომ საქმე ეხებოდა წინასწარმეტყველებას და არა დაპირებას და ამ წინასწარმეტყველების რეალიზაცია ექვემდებარება მისი სურვილისაგან დამოუკიდებელ ფაქტორებს.

პერფორმაციული ზმნა პასუხობს პრინციპს: “თქვი . . . ე.ი. გააკეთე” და ხორციელდება თხრობითი კილოს მტკიცებითი ფორმის აწმყო დროის მხოლოდობითი რიცხვის პირველი პირით. ამ ფორმასა და იმავე ზმნის სხვა პირებისა და სხვა დროის ფორმებს შორის სისტემატურად ვლინდება ასიმეტრია. ის ფაქტი, რომ არსებობს სწორედ ამგვარი ასიმეტრია, წარმოადგენს პერფორმაციული ზმნის ნამდვილ ნიშანს. პერფორმაციულ გამონათქვამს:

Je parie – დაგენაძლევა

[Je parie, dit Mme Lepic, qu'Honorine a encore oublié de fermer les poules.

(Jules renard, *Poil de Carotte*, p.86)]

უპირისპირდება სხვა გამონათქვამები, რომლებშიც ეს ზმნა სხვა პირსა და სხვა დროში გამოიყენება: J'ai parié ანდა Il parie. ესენი არ არის პერფორმაციული გამონათქვამები, ისინი აღწერენ მოქმედებას. როგორც წესი, ამგვარი ასიმეტრია არ წარმოიქმნება ისეთ ზმნებთან, რომლებიც არ წარმოადგენენ ექსპლიციტურ პერფორმატივებს. მაგ. Je cours და Il court გამონათქვამებს შორის ასეთი ასიმეტრია არ არსებობს.

ზოგიერთი სახის პერფორმაციის მიმართ შეიძლება გამოვიყენოთ შემდეგი შეფასებანი: კარგი ან ცუდი, სწორი ან მცდარი, მართალი ან ტყუილი, საფუძვლიანი ან უსაფუძვლო, სამართლიანი ან უსამართლო. გამონათქვამის რეფერენცია განისაზღვრება მოცემულ მომენტში არსებული ცოდნით.

კონსტატიური გამონათქვამის სისრულეში მოყვანის მიზნით ყურადღება არ ექცევა ილოკუციურ ასპექტს და მთელი გულისყური მიქცეულია მეტყველების აქტის ლოკუციური მხარისადმი.

პერფორმაციული ზმნა ნათელყოფს გამონათქვამის ილოკუციურ ძალას და აჩვენებს, რომელი ილოკუციური აქტი ხორციელდება მოცემული გამონათქვამის წარმოთქმისას.

პერფორმაციული ზმნის რეფერენტი თვით გამონათქვამია, რომელიც ამავე დროს მის ხმარებასაც წარმოადგენს. თუ პერფორმაციული ზმნა ამ მნიშვნელობით არ იხმარება, მაშინ ამგვარ ხმარებას აღწერთი, დესკრიფციული ხმარება ეწოდება და მსმენელს თვითონ უხდება ამოიცნოს, თუ რომელ ილოკუციურ აქტს შეიცავს გამონათქვამი. თუმცა ენობრივი რეალობა ამას ეწინააღმდეგება. მაგ. შესაძლებელია პერფორმაციულობის გამოხატვა ზმნის უპირო ფორმით, სახელის ჯგუფით შესაბამისი პროსოდული მონაცემების თანხლებით:

“ Défense de fumer”.

“ მოწვევა აკრძალულია”.

“salutations distinguées”

“განსაკუთრებული მოკითხვა” და ა.შ.

ასევე გვხვდება ისეთი ექსპლიციტური პერფორმაცივები, როგორიცაა:

Les passagers sont priés d'emprunter le souterrain pour
changer de quai.

მგ ზავრებს ვთხოვთ, ბაქანის შესაცვლელად ისარგებლონ
მიწისქვეშა გადასასვლელით.

სადაც პერფორმაციული ზმნა არის პასიურ ფორმაში. მეორეს მხრივ, ისეთი პერფორმაციული ზმნები, როგორიცაა promettre გამოყენებული I პირში, აწმყო დროში – გვხვდება კონსტატიურ გამონათქვამებში. ზოგიერთი გარემოებისას:

Je promets d'être ici à deux heures.

გპირდებით, რომ ორ საათზე აქ ვიქნები.

შეიძლება ინტერპრეტირდეს, როგორც მტკიცება.

ჯ. ოსტინი იძლევა მეტყველების აქტების შემდეგ კლასიფიკაციას:

1. ვერდიქტივები
2. ექსერსიტივები
3. კომისივები
4. ბეჰაბიტივები
5. ექსპოზიტივები

1) ვერდიქტივის სახელი მოდის განაჩენის (verdict) სახელიდან. ასეთი განაჩენი შეიძლება გამოიტანოს ნაფიცმა მსაჯულმა, მსაჯმა ან რეფერიმ. ვერდიქტი ყოველთვის როდია საბოლოო, იგი შეიძლება წარმოადგენდეს შეფასებას, აზრს რაიმეს შესახებ ან მოწონებას.

— Vous aurez le même sort que le Docteur Faustus des marionettes de la foire,
dit par gaité le capitaine.

(Marguerite Yourcenar, *L'Oeuvre au Noir*, p.165)

— Je suis devenue une imbécile

(Duras, *Hiroshima mon amour*, p. 93)

— Je te trouve sympathique

(Philippe Sollers, *Le Secret*, p. 233)

2) ექსერსიტივი წარმოადგენს ძალაუფლების ან გავლენის განხორციელებას. მაგ. თანამდებობაზე დანიშვნა, ხმის მიცემა, ბრძანება, იძულება, რჩევა, გაფროსილება.

— N'importe qui t'offrirait n'importe quoi, tu ne refuserais pas!

Tu ne serais même pas étonné!

(Françoise Sagan, *Un certain sourire*, p. 28)

— Je vous conseille, moi, de prendre cet époux.

(Molière, *Le Tartuffe*, p. 82)

— Ce n'est pas possible? Vous ne ferez pas ça?

(François Mauriac, *L'agneau*, p. 27)

—Il ira au collège en octobre !

(Marcel Aymé, *Gustalin*, p. 163)

3) კომისივები გამოხატავს დაპირებას ან სხვა ვაღდებულებას. ეს ზმნები ვაღდებულს გხდის რაღაც შეასრულო; აქვე შესაძლოა განვიხილოთ ზმნები, რომლებიც წარმოადგენს რაიმე განზრახვას, თანაგრძნობას, მხარდაჭერას.

— Tu vivras dans mon coeur plus longtemps que tu n'auras vécu

dans aucun coeur mortel !

(Simone de Beauvoir, *Tous les hommes sont mortels*, p. 294)

— Je promets de ne plus crier

(Duras, *Hiroshima mon amour*, p. 91)

— Je voudrais bien savoir s'il y a des provisions dans la chambre.

(Simone de Beauvoir, *Tous les hommes sont mortels*, p. 21)

4) ბეჭაბიტივების ჯგუფი ყველაზე არაერთგვაროვანია. იგი უკავშირდება ადამიანთა საზოგადოებრივ ქცევას და მათ ურთიერთდამოკიდებულებას. მაგ. ბოდიშის მოხდა, მილოცვა, ქება, თანაგრძნობა, ლანძღვა, გამოწვევა და ა.შ.

— Je vous demande pardon, dit-il, je ne vous avais pas vue.

(Françoise Sagan, *Aimez-vous Brahms ?*, p. 15)

— Tu feras comme tu voudras

(Marcel Aymé, *Gustalin*, p. 163)

— Je te permets de te mettre devant la fenêtre pour ce spectacle
qui est assez sublime.

(Lautréamont, *Les chants de Maldoror*, p. 21)

— Est-ce que vous lui permettiez de s'asseoir sur ce banc ?

(Jean-Paul Sartre, *L'âge de raison*, p. 37)

5) ექსპოზიტივების ჯგუფის განსაზღვრა შედარებით რთულია. ეს ზმნები მიუთითებს, თუ როგორი ადგილი უჭირავს გამონათქვამს კამათის ან საუბრის დროს, როგორ იხმარება ესა თუ ის სიტყვა; ისინი წარმოადგენენ გამონათქვამს. მაგ. “ვპასუხობ”, “ვადიარებ”, “ვამტკიცებ”, “მაგალითად”, “ეუშვებ”, “ვეარაუდობ”. არსებობს კიდევ მრავალი ისეთი ზმნა, რომელიც კლასიფიკაციას ძნელად ემორჩილება, ანდა შეიძლება გამოიყოს გარდამავალი ან ურთიერთმკვეთი შემთხვევა.

— Je suppose que vos petites amies ont des pantalons.

(Françoise Sagan, *Aimez-vous Brahms ?*, p. 31)

— Je suis sûre que la sienne serait de mon avis.

(Marcel Proust, *Du côté de chez Swann*, p. 48)

— Je suppose que ça doit arriver rarement.

(Philippe Sollers, *Le Secret*, p. 64)

ვერდიქტივი მსჯელობაა შეფასების შესახებ; ექსერსიტივი – გავლენის გამომჟღავნება ანუ ხელისუფლების რეალიზაცია; კომისივი – ვალდებულების

კისრება ან განზრახვის გამოძღავენება; ბეჭაბიტივი – ურთიერთობის გამოხატვა; ექსპოზიტივი – საფუძვლის, არგუმენტის ან ცნობების დასაბუთება. (ოსტინი 1986: 22-128)

გამონათქვამთა ხმარების წესები განსხვავდება ერთმანეთისაგან:

1) ერთი სახის წესები არეგულირებს ქმედებათა იმ ფორმებს, რომლებიც წინ უსწრებს ამ წესებს და მათ გარეშეც არსებობს. მაგ. ეტიკეტის წესები განსაზღვრავს ურთიერთობებს ადამიანთა შორის, მაგრამ ეს ურთიერთობები ამ წესების გარეშეც არსებობს.

2) მეორე სახის წესები არამარტო აწესრიგებს, არამედ ქმნის და განსაზღვრავს ქმედებათა ახალ ფორმებს. მაგ. ფეხბურთის წესები არეგულირებს და თანაც ქმნის ფეხბურთის თამაშის წესებს. ფეხბურთი ამ წესების გარეშე არ არსებობს. ასეთი სახის წესებს შეიძლება ეწოდოს კონსტიტუტიური წესები. ამგვარად, მარეგულირებელი წესები აწესრიგებს და წარმართავს იმ ქმედებას, რომელიც წინ უსწრებს ამ წესებს და ლოგიკურად დამოუკიდებელია მათგან; ხოლო კონსტიტუტიური წესები არამარტო წარმართავს, არამედ ქმნის კიდევ ამ ქმედებას, რომელიც ლოგიკურად ამ წესებზეა დამოკიდებული.

3) მარეგულირებელი წესები, ჩვეულებრივ, ბრძანებითი კილოს ან ბრძანების გამომხატველი პარაფრაზის სახით გვხვდება. მაგ. “გააკეთე X” ან “თუ Y, მაშინ გააკეთე X”.

4) მაკონსტიტუირებელ ან შემქმნელ წესებსაც შეიძლება ასეთივე ფორმა ჰქონდეს, თუმცა ზოგიერთი მათგანი გამოიხატება შემდეგნაირად: “X მიიხნევა Y-ად”.

5) შესაძლოა ითქვას, რომ ენის სემანტიკა წარმოადგენს მაკონსტიტუირებელ (შემქმნელ) წესთა რიგს და რომ ილოკუციის აქტები ხორციელდება ამ წესთა შესაბამისად.

ჯ. სერლი ცდილობს გამოასწოროს ყველა ის ნაკლი, რომელსაც იგი ოსტინისეულ კლასიფიკაციას ამჩნევდა. განსხვავება ილოკუციურ აქტსა და პროპოზიციულ მნიშვნელობას შორის ჯ.სერლის კონცეფციის მძლავრ დებულებას წარმოადგენს. ფუნქციის მაჩვენებელი მიუთითებს, თუ რომელ ილოკუციურ აქტს შეასრულებს მოლაპარაკე მოცემული პროპოზიციის წარმოთქმით. ფუნქციის მაჩვენებლებია: სიტყვათა რიგი, მახვილი, ინტონაციური კონტური, პუნქტუაცია, ზმნის კილო და პერფორმაციულ ზმნათა სიმრავლე.

პროპოზიციის მაჩვენებლები პრედიკაციისა და რეფერენციის წესებით გამოიხატება. წინადადების სტრუქტურაში ერთმანეთისაგან განსხვავდება ფუნქციისა და პროპოზიციული მნიშვნელობის მაჩვენებელი.

მეტყველების აქტების მნიშვნელობაში ერთმანეთს ეხამება როგორც კონვენციური, ასევე ინტენციური მომენტები. მნიშვნელობა ძირითადად დამოკიდებულია სასურველი შედეგის მიღებაზე.

მეტყველების აქტების კლასიფიკაციას წინ უსწრებს რამდენიმე პირობა: პროპოზიციული მნიშვნელობის პირობა, მოსამზადებელი პირობა, გულწრფელობის პირობა და არსებითი პირობები. ილოკუციური აქტების კლასიფიკაციას ჯ. სერლი 12 განზომილების მიხედვით აწარმოებს, რომელთაც თავად უწოდებს “ილოკუციურ აქტებს შორის განსხვავებების მიმართულებებს”. პირობების, წესებისა და განზომილებების საფუძველზე ჯ.სერლი შემდეგნაირად აჯგუფებს ილოკუციურ აქტებს:

1. რეპრეზენტაციები – შესაბამისობის მიმართულება “სიტყვა-რეალობა”. რეპრეზენტაციებს მიზნად აქვს ასახოს სამყაროში არსებული მდგომარეობა. ისინი ვარაუდობენ, რომ მოსაუბრეს აქვს შესაბამისი აზრი და მისი პროპოზიციული შინაარსი არაფრითაა შეზღუდული. რეპრეზენტაციების ნიმუშებია: შეტყობინება, განხილვა, პროგნოზირება, კვალიფიკაცია, აღიარება, აღწერა:

— L’occasion des batailles ne lui manquera pas, fit Madame Marguerite, dans ce malheureux siècle.

(Marguerite Yourcenar, *L’Oeuvre au Noir*, p.57)

— Je vous avoue, ma fille, lui dit-elle, que je suis extrêmement mortifiée de ce que vous venez de m’apprendre.

(Alain-René Lesage, *Le Diable Boiteux*, p. 38)

— Le grand plaisir que vous puissiez me faire, c’est d’aller plutôt voir Odette.

(Marcel Proust, *Du côté de chez Swann*, p. 312)

La place de Grève était un trapèze irrégulier bordé d’un côté par le quai, et des trois autres par une série de maisons hautes, étroites et sombres.

(Victor Hugo, *Notre-Dame de Paris*, p. 43)

2. დირექტივები – შესაბამისობის მიმართულება “რეალობა-სიტყვა”. დირექტივების მიზანია შეაგულიანონ ადრესატი განახორციელოს (არ განახორციელოს) რაიმე მოქმედება. ისინი ვარაუდობენ, რომ მოსაუბრეს აქვს

შესაბამისი სურვილი; მათი პროპოზიციული შინაარსი კი იმაში მდგომარეობს, რომ ადრესატი ჩაიდენს (არ ჩაიდენს) გარკვეულ მოქმედებას მომავალში. ამ კლასს ეკუთვნის: თხოვნა, აკრძალვა, რჩევა, ინსტრუქცია, მოწოდება და სხვა სახის წამაქეზებელი მეტყველების აქტები.

— Avec votre permission, vous ne paisez pas !

(Albert Camus, *La chute*, p. 15)

— Tu serais bien mignon d’aller me chercher une livre
de beurre au moulin.

(Jules Renard, *Poils de Carotte*, p. 154)

— Tu devrais laisser tomber.

(Philippe Sollers, *Le secret*, p. 33)

3. კომისიები – შესაბამისობის მიმართულება “რეალობა-სიტყვა”. კომისიებს მოსაუბრე იყენებს იმ მიზნით, რომ საკუთარ თავს დააკისროს ვალდებულება შეასრულოს ან არ შეასრულოს რაიმე მოქმედება. კომისიები ვარაუდობს, რომ მოსაუბრეს აქვს შესაბამისი განზრახვა. კომისიების მაგალითებია: შეპირება, ფიცი, გარანტია.

— Je vous jure que je suis innocent !

(Jean Sanitas, *Aimez-vous Wagner ?*, p. 14)

— Je vous assure que toute sa maison périrait pour vous !

(Molière, *Dom Juan*, p. 74)

— Je vous le promets, Monsieur !

(Alexandre Dumas, *Le Comte de Monte-Cristo*, p. 69)

— Je vous assure que ça m’est bien égal que vous aimiez Brahms ou pas.

(Françoise Sagan, *Aimez-vous Brahms ?*, p.44)

4. ექსპრესიებისათვის არაარსებითა შესაბამისობის მიმართულება გამონათქვამსა და სინამდვილეს შორის. ექსპრესიების მიზანია გამოხატოს გარკვეული ფსიქოლოგიური მდგომარეობა (მაღლიერების გრძნობა, სინანული, სისარული და ა.შ.) პროპოზიციით გამოხატულ საქმეთა მდგომარეობის მიმართ.

— S’il n’y avait pas de guerre ! S’il pouvait n’y avoir pas de guerre !

(Jean-Paul Sartre, *L’âge de raison*, p. 21)

— Que vous êtes gentille ! Sans vous, ils me jetaient dehors.

(Emile Zola, *Au Bonheur des Dames*, p. 370)

— Les pauvres bêtes, je ne voudrais pas être à leur place, entre ses griffes.

(Jules Renard, *Poil de Carotte*, p. 53)

— Que je suis malheureuse !

(Duras, *Hirosima mon amour*, p. 113)

— Si seulement vous aviez de l'amitié pour moi.

(Simone de Beauvoir, *Tous les hommes sont mortels*, p. 346)

5. დეკლარაციები – შესაბამისობის მიმართულება ორივე მხრივ – “სიტყვარეალობა” და “რეალობა-სიტყვა”. დეკლარაციებში გადმოცემულია ენის რეალობასთან « შერიგების » ცდა. აქ არ აღიწერება არსებულ გარემოებათა მდგომარეობა, არც მის მომავალ შესრულებაზეა ლაპარაკი. დეკლარაციების მაგალითებს წარმოადგენს თანამდებობაზე დანიშვნა, ომის გამოცხადება, ეკლესიისაგან განდგომა, წოდების მინიჭება ადამიანისათვის ან სახელის მინიჭება დაწესებულებისათვის და ა.შ.

— Nous avons songé à vous témoigner notre satisfaction . . .

Dès demain, vous la [Madame Frédéric] remplacerez comme seconde.

(Emile Zola, *Au Bonheur des Dames*, p. 278)

მოგვიანებით ჯ. სერლი მეტ ფორმალიზებას ახდენს მეტყველების აქტების ანალიზში და თითოეული დასახელებული კომპონენტის აღრიცხვა თითქმის მთლიანად ფორმალიზებულია. (სერლი 1986: 170-195)

პროპოზიციული განწყობის ზმნები გამოხატავს მოლაპარაკის ფსიქოლოგიურ მდგომარეობას და იხმარება მთავარ წინადადებაში; დამოკიდებულ წინადადებაში გადმოცემულია კონკრეტულ საქმეთა ვითარება და სწორედ მის მიმართ გამოიხატება მოლაპარაკის ფსიქოლოგიური განწყობა: რწმენები, სურვილები, მიზნები, სინანული და ა.შ.

ფსიქოლოგიური განწყობის ზმნები მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ილოკუციური ლოგიკისთვისაც, ვინაიდან ისინი გარკვეულ როლს თამაშობენ მეტყველების აქტების აგებისას. მუდმივები “Croyance”, “Intention”, “Désir” – “რწმენა”, “განზრახვა”, “სურვილი” გადმოიცემა შესაბამისი პროპოზიციული შინაარსით, რომლის ჭეშმარიტების ღირებულება განისაზღვრება პროპოზიციული განწყობის ლოგიკით. ასეთი პროპოზიციების მიმართ ძალაშია ილოკუციური ლოგიკის ყველა პირობა (პროპოზიციული მნიშვნელობა, წინასწარი პირობები, გულწრფელობა და ინტენსიურობა).

პროპოზიციული განწყობის ანალიზს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ენობრივი მოდალობების, განსაკუთრებით კი კავშირებითი კილოს ხმარების თვალსაზრისით.

ღირექტივების კლასი მოიცავს საკუთრივ ბრძანებითებს და ბრძანებითი მოდალობის არსებულ ნაირსახეობას. ბრძანებითი კილოს ფორმათა ანალიზი დაუკავშირდა დეონტიკურ მოდალობას, რომელიც მისი გააზრების ლოგიკური საფუძველი გახდა.

დეონტიკური ლოგიკა სხვადასხვა მიმართულებით ყალიბდებოდა. თანამედროვე დეონტიკური ლოგიკის ძირითადი დებულებები ფონ ვრიგტს (1951) ეკუთვნის. ძირითადი დეონტიკური ოპერატორებია P ნებართვა (permission) და O ვალდებულება (obligation). დეონტიკური ლოგიკა შეისწავლის ქმედებათა ვალდებულებების, ნებართვის, აკრძალვის და სხვა დეონტიკური მახასიათებლებისა და ჭეშმარიტების ფუნქციის გამომხატველ წინადადებებს. დეონტიკური წინადადებები ნორმებს გამოხატავს; მათ გადმოსაცემად რეგულარულად გამოიყენება ბრძანებითი კილო, რომელიც მიემართება მომავალ დროს და უკავშირდება განზრახვის, სურვილისა და ნების ცნებებს. ბრძანებითი კილო, როგორც ღირექტივი, თავის თავში შეიცავს კომპონენტს “დაე იყოს ასე!”

— Abonnez-le à des journaux, à des magazines!

(Philippe Sollers, *Le Secret*, p. 235)

მეტყველების აქტების თეორიაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ირიბი მეტყველების აქტებს. ეს ისეთი გამონათქვამებია, რომლებიც რამდენიმე ილოკუციურ ძალას ფლობს, რომელთაგან ერთი ძირითადია, ხოლო დანარჩენი პირველის საფუძველზე მიღებული. (ლევინსონი 1983: 265-277). ირიბი მეტყველების აქტი ისეთი ენობრივი გამონათქვამია, რომელიც ინარჩუნებს რა თავის ძირითად, პირდაპირ დანიშნულებას აჩვენოს X ილოკუციური ძალა, ამასთანავე რეგულარულად გამოიყენება Y ილოკუციური ძალის საჩვენებლად. ირიბი მეტყველების აქტების ნიმუშს წარმოადგენს თავაზიანი თხოვნები «შენიღებული» კითხვითი წინადადებების ფორმით:

– Vous ne pouvez pas me prêter ce livre encore une semaine?

– კიდევ ერთი კვირით ხომ ვერ მათხოვებდით ამ წიგნს?

ანდა მტკიცებები, რომელთაც ასევე შეკითხვის სახე აქვს (ე.წ. რიტორიკული კითხვები):

— N'est-ce pas, Jean, c'est bien votre femme ?

(Philippe Sollers, *Le Secret*, p. 167)

— On le saurait penser à tout, n'est-ce pas ?

(Marcel Aymé et Jean-Paul Le Chanois, *Papa, maman, la bonne et moi*, p. 58)

ირიბი მეტყველების აქტები მოიცავს: ა) მეტყველების აქტების თეორიას; ბ) საკომუნიკაციო კოოპერაციის ზოგად პრინციპებს; გ) მსმენელისა და მოლაპარაკის ენობრივ და ფონისმიერ ცოდნას; დ) მსმენელის მხრივ დასკვნების გამოტანის უნარს.

არაპირდაპირობის კატეგორიის საფუძველში ყოველთვის დევს გარკვეული წინააღმდეგობა. მეტყველების აქტების თეორიის ჩარჩოებში ეს წინააღმდეგობა გაგებულია, როგორც ორი განსხვავებული ილოკუციური ძალის დაპირისპირება, რომელიც დაკავშირებული არის გამონათქვამის სხვადასხვა ასპექტებთან – ბაზისურ ილოკუციასთან, რომელიც შეესაბამება ენობრივ სტრუქტურას და მეორად ილოკუციასთან, რომელიც შეესაბამება კომუნიკაციურ ფუნქციას. მათი თანხვედრა ქმნის პირდაპირი მეტყველების აქტს, მათი დაცილებისას კი წარმოიქმნება ირიბი მეტყველების აქტი. (სერლი 1986 ბ: 195-222)

ირიბი მეტყველების აქტები ფლობენ სხვადასხვა ირიბი რეპრეზენტაციების ფართო შესაძლებლობებს, მაგ.

– დაპატიჟების რეალიზაცია შეკითხვის სახით:

– Viendras-tu dîner chez moi demain?

– ხვალ მოხვალ ჩემთან სადილზე?

– თხოვნა, რეალიზებული როგორც შეტყობინება:

– Je veux que tu fermes la porte.

– იქნებ, კარი დაკეტო.

– შეტყობინება-შეურაცხყოფა

— Quel cretin!

(Philippe Sollers, *Le Secret*, p. 51)

— Vous savez, je crois que je suis un paltoquet

(Françoise Sagan, *Aimez-vous Brahms ?*, p. 27)

– შეტყობინება-გაკიცხვა:

Etes-vous fou, Dundas! Epouser Germaine ?

(A. Maurois, *Les Discours du Docteur O'Grady*, p. 12)

– შეტყობინება-ბრძანება:

— Je soignerai l'enfant malgré vous !

(Michel Bataille, *L'arbre de Noël*, p. 74)

— Ne me faites pas croire que la voix populaire a raison !

(Marguerite Yourcenar, *L'Oeuvre au Noir*, p. 185)

– მტკიცება-საყვედური:

— Arrête, tu vas leur faire peur !

(Nathalie Sarraute, *Le théâtre*, p. 109) და ა.შ.

არსებობს მოსაზრება, რომ ირიბი მეტყველების აქტები განვიხილოთ, როგორც ენობრივი პოლისემიის გამოვლინება. ასე მაგ. კითხვით-უარყოფითი კონსტრუქციები არის არამარტო შეკითხვის ილოკუციური ფუნქციის ფორმალური მაჩვენებელი, არამედ თავაზიანი თხოვნის ილოკუციური ფუნქციის მაჩვენებელიც:

Ne pourriez-vous pas me passer le sel?

მარილს ხომ ვერ მომაწოდებდით?

თუკი ამა თუ იმ მიზეზით მოსაუბრე საკუთარი მიზნის გამოსახატავად იყენებს ირიბ საშუალებას, იგი იმედს ამყარებს არამარტო თანამოსაუბრის ენობრივ ცოდნაზე, არამედ სხვადასხვაგვარ არაენობრივ ცოდნაზეც: გრაისის მაქსიმუმის ცოდნა, ურთიერთობის პრინციპების ცოდნა, მეტყველების აქტების წარმატების პირობების ცოდნა და «ენციკლოპედიური» ცოდნა ანუ ცოდნა სამყაროს შესახებ.

ირიბი მეტყველების აქტის ნიშნად შეგვიძლია განვიხილოთ კითხვითი გამონათქვამი. თანამედროვე თეორიის ძირითადი დებულების თანახმად, რომელიც აღიარებს, რომ მეტყველების ერთ აქტს შეიძლება რამდენიმე მნიშვნელობა ჰქონდეს, მიჩნეულია, რომ კითხვით წინადადებას უნარჩუნდება კითხვითი მნიშვნელობა, ხოლო ირიბი მნიშვნელობები განიხილება, როგორც დასკვნათა სიმრავლე. წინადადება:

Vous ne pouvez pas me prêter ce livre encore une semaine?

კიდევ ერთი კვირით ხომ ვერ მათხოვებდით ამ წიგნს?

შეიძლება გამოყენებულ იქნას თავისი პირდაპირი დანიშნულებით ე.ი. შეკითხვის ილოკუციური ფუნქციით (მაგ. იმ შესაძლებლობების გათვალისწინებით, რომელსაც ფლობს ბიბლიოთეკარი), მაგრამ ტიპიურ კომუნიკაციურ სიტუაციაში ამ შეკითხვას ადრესატი გაიგებს როგორც თხოვნას, ვინაიდან მან იცის, რომ მოსაუბრისათვის ამ მოქმედების განხორციელების შესაძლებლობა არის თხოვნის მეტყველების აქტის წარმატების აუცილებელი პირობა და რომ ამ

შეკითხვის დასმისას მოსაუბრე ფაქტიურად სწორედ შესაბამის თხოვნას გამოხატავს.

ირიბი მეტყველების აქტის შემთხვევაში ხდება ლოკუციური აქტის გამოტოვება და ყურადღება გადაინაცვლებს პოტენციურ, წარმოსახვით ან გამოტოვებულ აქტებზე. საერთოდ კონკრეტული მეტყველების აქტის ერთმნიშვნელოვანი ინტერპრეტაცია პრობლემატურია, შესაბამისად ბრძანებითი და კითხვითი გამონათქვამების ურთიერთგამიჯვნა უმეტეს შემთხვევაში ბუნდოვანია; ბრძანებითი (ვერდიქტივი) მეტყველების აქტების წარმატების პირობების ინტერპრეტაცია ზოგჯერ სემანტიკურია, ზოგჯერ პრაგმატული. ბრძანებითის ნაცვლად თხოვნის გამომხატველი წინადადებები მრავალრიცხოვანია ყველა ენაში, ქვემოთმოყვანილ წინადადებათა გამომხატველობითი საშუალებანი განუწყვეტლივ შეიძლება შეიცვალოს, მაგრამ ისინი ასე თუ ისე გამოხატავენ თხოვნას:

1. Je veux que tu fermes la porte!

დაკეტე რა კარი!

2. Peux-tu fermer la porte?

შეგიძლია, კარი დაკეტო?

3. Vous devez fermer la porte.

ან tu as à fermer la porte.

იქნებ კარი დაგეკეტათ.

4. Avez-vous oublié la porte, Chéri?

კარის დაკეტვა დაგავიწყდათ, ძვირფასო?

მთლიანობაში ირიბი მეტყველების აქტებისათვის მეტნაკლებად აქტუალურია შემდეგი საკითხები:

1. მეტყველების აქტის ძირითადი მნიშვნელობა შენარჩუნდება თუ არა ირიბი მეტყველების აქტის ინტერპრეტაციის შედეგად მიღებულ სემანტიკურ ვარიანტში;

2. რა განაპირობებს მეტყველების აქტის ინტერპრეტაციის ნაირგვარობას: გამონათქვამის სემანტიკა, მეტყველების აქტის მნიშვნელობა თუ საკომუნიკაციო პოსტულატების მონაცემები.

ასევე მნიშვნელოვანია მთელი რიგი პრესუპოზიციების, საკომუნიკაციო იმპლიკაციების, პოსტულატების გათვალისწინება (კომუნიკანტების

«ენციკლოპედიური» ცოდნის ჩართვა, მათი წარმოდგენები ურთიერთობის წესებზე და სხვა).

ენის ფუნქციონირების დონეზე მეტყველების აქტების თეორიის ჩარჩოებში ჩამოყალიბებული ირიბი მეტყველების აქტების კატეგორიის ტრადიციული გაგება წარმოადგენს ენობრივი ნიშნის ასიმეტრიის გამოვლინებას ანუ ენის ასისტემობის შედეგს.

მეტყველების აქტების ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი მოვლენა – ილოკუციური ძალა – მნიშვნელობის ნაირსახეობას წარმოადგენს, რომელიც არ დაიყვანება ჭეშმარიტების (ყალბი/ჭეშმარიტი) ღირებულებამდე და ამდენად, იგი ასეთი სახით არ გამოიყოფა სემანტიკაში.

ილოკუციური ძალა მიუთითებს, თუ როგორ გამოიყენება მოლაპარაკის მიერ საქმეთა მდგომარეობის აღმწერი კონკრეტული (ყალბი ან ჭეშმარიტი) პროპოზიცია; ილოკუციური ძალა მიეკუთვნება მოქმედების სფეროს და მისი ანალიზი მოქმედების სფეროში უნდა ჩატარდეს და არა სემანტიკის სფეროში. ამრიგად, ილოკუციური ძალა, ამ თეორიის მიხედვით, მთლიანად პრაგმატიკის საშუალებით განისაზღვრება.

მეტყველების აქტების თეორიის ზემოთხაზოვლილი დებულებები, ცხადია, მრავალრიცხოვანი კრიტიკის საგანი გახდა. საპირისპირო შეხედულებათა გაერთიანება შესაძლებელია რამდენიმე თეორიაში, როგორცაა: პერფორმაციული ჰიპოთეზა (PH); სიტყვა-სიტყვითი მნიშვნელობის ძალა (LFH), რომელიც, თავის მხრივ, მოიცავს იდიომურ და დასკვნათა თეორიას; კონტექსტის მიმართ მგრძობიარე ტრანსდერივაციული შეხედულებები (საუბრის პოსტულატები); ირიბი მეტყველების აქტების თეორია (ISA) და კონტექსტის ცვლის თეორია (როხი, გორდონი, ლაკოფი, გაზდარი და მრავალი სხვა). (ლევინსონი 1983: 264-273)

ყოველი დასახელებული თეორია ცდილობს გამოასწოროს და შეაგოს ანალიზის ის ნაკლოვანებები, რომლებიც განსხვავებული თეორიის თვალსაზრისიდან წამოიჭრება სინტაქსის, სემანტიკისა და პრაგმატიკის სფეროში.

პერფორმაციული ჰიპოთეზა PH ძირითადად გამოიყენება იმპლიციტური პერფორმატივების ანალიზისათვის; ამ ჰიპოთეზის თანახმად, ყოველ წინადადებას თავის ყველაზე ღრმა სტრუქტურაში აუცილებლად აქვს ისეთი ფორმის წინადადება, რომელიც შეესაბამება ექსპლიციტურ პერფორმატივს, იმის

მიუხედავად, არის თუ არა ექსპლიციტური პერფორმატივი ზედაპირულ სტრუქტურაში. მოცემულ ჰიპოთეზაში მნიშვნელოვანია შემდეგი პუნქტები:

1. ყოველ წინადადებას საფუძვლად უდევს პერფორმაციული წინადადება სიღრმის სტრუქტურაში;

2. ასეთი წინადადების სუბიექტი მხოლოდითი რიცხვის I პირია, ირიბი დამატება – მხოლოდითი რიცხვის II პირი, ზმნა კი მიიღება პერფორმაციული ზმნების შეხლუდული რაოდენობიდან და იუღლება მოქმედებითი გვარის თხრობითი კილოს აწმყო დროში (ანდა უკავშირდება მის ასეთ სიღრმისეულ წარმოდგენას);

3. ეს წინადადება ყველაზე მაღალია სიღრმის სტრუქტურაში;

4. ასეთი წინადადება ყოველთვის ერთია ფრაზაში;

5. პერფორმაციული წინადადება წაშლილია და ეს არ ცვლის მთლიანად წინადადების შინაარსს;

6. ილოკუციური ძალა სემანტიკურია (ჭეშმარიტების ღირებულების გაგებით) და მთლიანად დგინდება პერფორმაციული ფრაზის მნიშვნელობის ფარგლებში.

რა თქმა უნდა, ყოველი პუნქტი, მიუხედავად ძლიერი სინტაქსური ღირებულებისა, საკმაოდ მკაცრი კრიტიკის საგანი გახდა (ლაკოფი, სედოკი, ლიუისი, გაზდარი).

რაც შეეხება სიტყვა-სიტყვითი ძალის (პირდაპირი ძალის LFH) ჰიპოთეზას, იგი გულისხმობს, რომ პერფორმატივები უშუალოდ, პირდაპირ გამოხატავენ თავიანთ ილოკუციურ ძალას და რომ სამი ძირითადი ტიპი წინადადებისა წარმოადგენს ბრძანების, კითხვისა და მტკიცების ანარეკლს. (ჯ.სერლი ემხრობა ამ ჰიპოთეზას; როგორც ჩანს, ოსტინისეული ილოკუციური აქტის “კონვენციური” ბუნება და მისი მაჩვენებლებიც ამ ჰიპოთეზას ეპასუხება); წინადადებას, ფაქტიურად, წესის მიხედვით ენიჭება მისი ლიტერატურული ძალა და მისგან დამატებით გამომდინარეობს ირიბი ძალა;

პირდაპირი ძალის თეორია მისგან წამოჭრილ სიძნელეთა დასაძლევად შეივსო ე.წ. იდიომური და ინფერენციალური თეორიებით. იდიომური თეორიის მიხედვით, ყველა ირიბი ხმარება იდიომებზე დაიყვანება; უნდა აღინიშნოს, რომ ამ თეორიასაც აღმოაჩნდა გარკვეული ხარვეზები; საჭირო გახდა მისი შევსება ძლიერი პრაგმატული თეორიით, რომელიც დააკავშირებდა ერთმანეთთან იმას, რაც ითქვა და იმას, რაც იგულისხმება. ყველა ენას განსხვავებული იდიომები

გააჩნია, მათი მნიშვნელობა ძირითადად დამოკიდებულია ენის მიერ სამყაროს განსხვავებულ ხედვაზე. ისინი მნიშვნელობას არ გამოხატავენ შემადგენელ კომპონენტთა მნიშვნელობაზე დაყრდნობით და უმეტეს შემთხვევაში მათი მნიშვნელობები უცნაური, მოულოდნელი ხასიათისაა. ამასთანავე, ირიბი მეტყველების აქტების მნიშვნელობა ძნელად დაიყვანება და უფრო ხშირად არ დაიყვანება, იდიომატურ მნიშვნელობებზე, ამიტომ დამაჯერებლად არ გამოიყურება მისი ძირითად პრინციპად აღიარება ირიბი მეტყველების აქტების ანალიზისას.

დასკვნის გამოტანის თეორია გულისხმობს, რომ მეტყველების აქტს, გარდა პირდაპირი მნიშვნელობისა, შეიძლება ჰქონდეს დამატებითი მნიშვნელობაც; მაგ. კითხვას, გარდა იმისა, რომ მისი ძირითადი ილოკუციური ძალა კითხვაა, შეუძლია ირიბად (არაპირდაპირ) გამოხატოს თხოვნა, მოწოდება იმ დასკვნათა გამოტანის საფუძველზე, რის შესაძლებლობასაც კონტექსტი იძლევა; დასკვნის გამოტანის მრავალი თეორია არსებობს, მაგრამ ყველა მათგანი იზიარებს შემდეგ ძირითად მახასიათებლებს:

1. გამონათქვამის ძირითადი პირდაპირი მნიშვნელობა და ძირითადი პირდაპირი ძალა გამოითვლება და გამოიყენება მოლაპარაკეთა მიერ.

2. იმისათვის, რომ გამონათქვამი წარმოადგენდეს მეტყველების ირიბ აქტს, უნდა არსებობდეს დასკვნის მატარებელი, ე.ი. ერთგვარი მითითება იმაზე, რომ პირდაპირი მნიშვნელობა ან პირდაპირი ძალა სასაუბრო თვალსაზრისით არაადეკვატურია კონტექსტში და უნდა შესწორდეს რომელიმე დასკვნით.

3. უნდა არსებობდეს დასკვნის გამოტანის სპეციფიკური წესები და პრინციპები, რომელთა საშუალებით ძირითადი მნიშვნელობიდან, ძალიდან და კონტექსტიდან გამოიყვანება რელევანტური ირიბი ძალა.

4. უნდა არსებობდეს პრაგმატიკის მიმართ მგრძობიარე ლინგვისტური წესები ან შეზღუდვები, რომლებიც მართავენ ზმნისწინა, მაგ. *s'il vous plaît* (გეთაყვა) გამოთქმებს, როგორც პირდაპირ, ასევე ირიბ თხოვნებში.

— *Pourriez-vous s'il vous plaît faire la vaisselle?*

— ჭურჭელს ხომ არ დარეცხავდით, გეთაყვა?

მოთხოვნა (3) დაეყრდნო ძირითადად სასაუბრო პოსტულატებს, რომლებიც რ.კარნაპის მნიშვნელობის პოსტულატების მოდელზე აიგო. გარდა ამისა, ირიბი აქტის შემთხვევაში, წარმატების პირობის გათვალისწინებით, შეიძლება გამოიყოს მოლაპარაკე ინდივიდიდან მომდინარე ფოკუსი და მსმენელიდან

მომდინარე ფოკუსი. რაც შეეხება წესს (4), გამოყენებულ იქნა კონტექსტის მიმართ მგრძობიარე ტრანსდერივაციული შეზღუდვები. მათ უნდა ემართათ ზმნისწინა გამოთქმების (ისეთების, როგორცაა *s'il vous plaît*) ჩართვა ირიბ თხოვნებში, მიუთითებდნენ რა იმავე გამოთქმების ჩართვაზე ექსპლიციტურ პერფორმატივში ანუ პირდაპირ თხოვნაში (გორდონი, ლაკოფი); ორივე ეს შემავსებელი ვარიანტი წამოჭრიდა გარკვეულ სემანტიკურ და სინტაქსურ პრობლემებს, ამიტომ უპირატესობა მიანიჭეს დასკვნათა თეორიის სერლისეულ ვარიანტს. ამ უკანასკნელის მიხედვით, წესი (1) უნდა შესრულდეს მეტყველების აქტების მისეულ ვარიანტზე დაყრდნობით, ხოლო წესი (2) უნდა დაეყრდნოს კ. გრაისის სასაუბრო თანამშრომლობის თეორიას, ოღონდ იმ პირობით, რომ ძირითადი ძალა არ უნდა შეფერხდეს, იგი უნდა იქნას მიჩნეული უბრალოდ სასაუბროდ ადეკვატურად. წესი (3) ე.ი. დასკვნის გამოტანის პრინციპები, უნდა დაეყრდნოს გრაისისეულ სამეტყველო იმპლიკატურის ზოგად თეორიას. ვინაიდან ეს თეორია პრაგმატული დასკვნის ზოგადი თეორიაა, ამდენად იგი განიხილავს მეტყველების აქტების ფართო სპექტრს: ირონიას, მეტაფორას, მოლაპარაკის განზრახვას და მასთან დაკავშირებულ მთელ რიგ ვარიაციებს. მიუხედავად დიდი უპირატესობისა, ასეთი მიდგომაც ვერ ხსნის ზოგიერთ პრობლემას, მაგ. თუ რატომ ირღვევა კოოპერაციის პრინციპი, როდესაც მოლაპარაკეს ურჩევნია აირჩიოს გართულებული, გამრუდებული გამონათქვამი და არ მიანიჭოს უპირატესობა სწორ, მარტივად აგებულ გამონათქვამს:

S'il te plaît, prête-moi quelque argent.

გეთაყვა, იქნებ ცოტაოდენი ფული მასესხო.

*Je ne suppose pas que vous soyez par chance capable
de me prêter quelque argent.*

ვერც კი წარმომიდგენია, რომ შეგიძლიათ ცოტაოდენი
ფული მასესხოთ.

მეორე გამონათქვამი შეიძლება ჩაითვალოს ინტერაქციული პესიმიზმის ნიმუშად. აქაც ალბათ მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ზრდილობის პრინციპის მოსაზრებანი. (ლევინსონი 1983: 274-277)

მესამე მიდგომა ბევრად უფრო რადიკალურია, ვიდრე იდიომური ან დასკვნის გამოტანის თეორიები. ამ თეორიის თანახმად, არ არსებობს ირიბი მეტყველების აქტები და, შესაბამისად, არც მათი პრობლემა. საქმე ეხება იმას, თუ როგორ უნდა ჩაიდოს მეტყველების აქტის ძალა კონტექსტში. ამდენად,

ილოკუციური ძალა მთლიანად პრაგმატულია და არა აქვს უშუალო, პირდაპირი კორელაცია წინადადების ფორმასთან ან მნიშვნელობასთან. ასეთი თვალსაზრისის მიხედვით, სინტაქსი და სემანტიკა მინიმალურ როლს თამაშობს; უპასუხოდ რჩება მრავალი სინტაქსური და სემანტიკური პრობლემა: წინადადებათა ტიპები და მრავალრიცხოვანი ირიბი მნიშვნელობები. ამრიგად, არც ერთი დასახელებული თეორია სრულფასოვნად და საკმარისად არ ავსებს პირდაპირი ძალის თეორიას. ალბათ საჭირო იქნება მრავალი ლინგვისტური თეორიის თანაკვეთიდან მიღებული პრინციპებისა და თეორიების ძიება.

მეტყველების პრაგმატული თეორიის ერთ-ერთ ვარიანტს წარმოადგენს ე.წ. კონტექსტის ცვლის თეორია, რომელიც მეტყველების აქტებს განიხილავს, როგორც კონტექსტზე მიმდინარე ოპერაციებს ე.ი. როგორც ფუნქციებს კონტექსტიდან კონტექსტში. კონტექსტი გაიგება, როგორც წინადადებათა სიმრავლე, რომელიც აღწერს დისკურსის მონაწილეთა რწმენებს, ცოდნასა და ვალდებულებებს.

ძირითადი ინტუიცია მარტივია: როდესაც წინადადება წარმოითქმება, უფრო მეტი რამ ხდება, ვიდრე მხოლოდ მნიშვნელობის გამოსატყობა; დამატებით, ფონისმიერ დაშვებათა სიმრავლე იცვლება. კონტექსტის ასეთ ცვლილებას გამონათქვამი ახორციელებს თავისი მეტყველების აქტის ძალით ანუ პოტენციალით. ამრიგად, თუ მე ვამტკიცებ, რომ P, მე კონტექსტს ვუმატებ, რომ მე თავდებად ვუდგები, ანუ ჩემს თავზე ვიდებ P-ს.

ამრიგად, მეტყველების აქტების უმრავლესობა რამდენიმე წინადადებას ამატებს კონტექსტს: ასე მოქმედებს მტკიცებები, დაპირებები და ბრძანებები. ფუნქცია კონტექსტიდან კონტექსტში დაახლოებით შემდეგნაირად ყალიბდება:

1. მტკიცება, რომ P წარმოადგენს ფუნქციას კონტექსტიდან, რომელშიც L არ იღებს თავის თავზე P-ს (A მსმენელმა არ იცის, რომ P) — კონტექსტში, რომელშიც L თავის თავზე იღებს ჭეშმარიტ რწმენას, რომ P (A იცის, რომ P).

2. დაპირება, რომ P წარმოადგენს ფუნქციას კონტექსტიდან, სადაც L არ იღებს თავის თავზე P-ში აღწერილ საქმეთა მდგომარეობას — კონტექსტში, სადაც L ასეთ პასუხისმგებლობას იღებს.

3. ბრძანება, რომ P წარმოადგენს ფუნქციას კონტექსტიდან, რომელშიც L არ მოითხოვს A-მ შეასრულოს P-ში აღწერილი საქმეთა მდგომარეობა, — კონტექსტში, რომელშიც A-ს ასეთი რამ მოეთხოვება.

თუ ზოგიერთი აქტი კონტექსტს წინადადებებს უმატებს, ისეთებიც არსებობს, რომლებიც წინადადებებს შლის. მაგ. ნების დართვა, აკრძალვები, უარის თქმა, დეზავუირება.

4. ნების დართვა, რომ P წარმოადგენს ფუნქციას კონტექსტიდან, რომელშიც P-ში აღწერილი საქმეთა მდგომარეობა აკრძალულია, – კონტექსტში, რომელშიც საქმეთა მდგომარეობა აკრძალული არ არის (ჰემბლინი, ბელმერი, სტოლნიკერი, გაზდარი), ე.ი. დაშვებულია, რაც არ არის აკრძალული (ჰილპინენი; დეონტიკური ლოგიკა).

ამ თეორიის უპირატესობა მის ფართო ფორმალიზაციაში მდგომარეობს; თუმცა მასაც, ისევე როგორც სხვა თეორიებს, მრავალი სადაო საკითხის გადაჭრა უწევს.

სადისერტაციო ნაშრომში დასმული პრობლემატიკის კვლევის შედეგად მიღებულია შემდეგი დასკვნები:

1. ენა მოძრაობს არამართო სიმეტრიის დადგენის მიმართულებით, არამედ ასიმეტრიის მიმართულებითაც. ასიმეტრია მუდმივი და ამავედროულად უნივერსალური მოვლენაა. იგი განხილულ უნდა იქნეს როგორც ენობრივი სისტემის უმნიშვნელოვანესი კომპონენტი, რომელიც დაკავშირებულია ენის აგებულებასა და ფუნქციონირებასთან. ამიტომაც განსაკუთრებული ყურადღების ღირსია სიმეტრია თავად ასიმეტრიაში. ყოველ ცოცხალ ენაში არსებობს სიმეტრიულ ფორმათა არარსებობის კომპენსაციის გარკვეული საშუალება. სწორედ ასიმეტრიულობის უკუგდების ტენდენციებში მუდმივდება სიმეტრიულობის ანუ ენის სისტემურობის შენარჩუნების სურვილი. სიმეტრიისა და ასიმეტრიის ზოგადფილოსოფიური კატეგორიები დიალექტიკურ ერთიანობაშია, რაც ენათმეცნიერებაში ურთიერთკავშირში შეისწავლება.

2. ბუნებრივი ენის ძირითადი პრინციპებია: გამონათქვამთა სწორად აგება, გააზრება და მნიშვნელობის ცალსახოვნება, რაც უაზრო წინადადებათა უკუგდებას გულისხმობს. ამასთან, ბუნებრივ ენას ახასიათებს გამოთქმათა ორაზროვნება, მრავალმნიშვნელობა. ენისმიერი სწორად აგების, გააზრებისა და ერთმნიშვნელობის პრინციპები უკავშირდება ჭეშმარიტების ღირებულების, აღსრულებადობისა და შედეგობრიობის პრინციპებს. ნებისმიერ შემთხვევაში ენისმიერ პრინციპთა დაცვას საფუძვლად უდევს კონკრეტულ ენაზე მოლაპარაკეთა ენობრივი კომპეტენცია, მეტყველების აქტის განხორციელება, სემანტიკა (მნიშვნელობა, შინაარსი და რეფერენცია) და მოლაპარაკეთა ცოდნა.

ენობრივი ანალიზი ფართო მასშტაბური პროცესია, რომელიც მთლიანად მოიცავს ადამიანის მეტყველების, აზროვნებისა და ქცევის პროცესებს. იგი უპირატესობას ანიჭებს იმ სტრუქტურებსა თუ მოდელებს, რომლებიც მოიცავს სხვადასხვა მოვლენებს და მართავს მათ ნაგულისხმევი ერთიანობის საფუძველზე. ბუნებრივ ენაში ლოგიკური ანალიზის პრინციპები გამოიყენება, რომელიც არ ხასიათდება ლოგიკურ პრინციპთა დაცვის სიმკაცრით. ყველა ის პრობლემა, რომელიც ლოგიკაში ერთმნიშვნელოვან პასუხს მოითხოვს, ბუნებრივ ენაში “შერბილებულია” ენის მოთხოვნილებათა და ფუნქციონირების

შესაბამისად. ამ შემთხვევაში ლოგიკური პრინციპების დაცვისა და ანალიზის პარალელურად, სხვა მრავალი ფაქტორი მოქმედებს, რაც, თავის მხრივ, განსაზღვრავს ბუნებრივი ენის არსსა და დანიშნულებას. ენაში მუდმივად წარმოებს ბრძოლა სისტემის სიმეტრიულობის ძიების მიმართულებით (რაც განსაკუთრებით შესამჩნევია ენობრივი პროგრამირების პროცესში).

3. გენერაციული გრამატიკის კონცეფციის თანახმად, გამონათქვამის მთელი მნიშვნელობა სიღრმის სტრუქტურაშია მოქცეული, ამიტომ ტრანსფორმაციები ინარჩუნებს იმავე მნიშვნელობას, რაც გააჩნია ამოსავალ წინადადებას, რამდენადაც მათ ერთი და იგივე სიღრმის სტრუქტურა უდევს საფუძვლად. ასევე აიხსნება ის მოვლენაც, რომ ზოგჯერ არაერთმნიშვნელოვან იდენტურ ზედაპირულ სტრუქტურებს სხვადასხვა სიღრმის სტრუქტურა გააჩნია. ტრანსფორმაციული და გენერაციული გრამატიკის წესები მიზნად ისახავს გამონათქვამთა მრავალმნიშვნელობის დეკოდირებასა და კომპაქტური და სავსე სინტაქსური სისტემების ჩამოყალიბებას. ეს გრამატიკა ერთგვარი ცდაა იმისა, რომ სისტემური, სიმეტრიული სახე მისცეს ენის ასიმეტრიულ განზომილებას.

4. ფრანგული ენის სინტაქსი, მიუხედავად წესებით მოწესრიგებული ხასიათისა, არ შეიძლება ჩაითვალოს სრულიად მოწესრიგებულად ე.ი. სიმეტრიულად; მთელი რიგი წესები ისწრაფვის დაამყაროს ურთიერთმიმართება კანონიკურ და ტრანსფორმირებულ ფორმებს შორის. თუმცა უნდა აღინიშნოს ურთიერთმიდევნადობის დამოკიდებულება მათ შორის. ახალი სინტაქსური პარადიგმის გაჩენამ, რომელსაც დღეს სულ უფრო ხშირად უწოდებენ ახალ სინტაქსს, შესაძლებელი გახდა სისტემების შემადგენელ ნაწილთა გაერთიანება და ვრცელ სისტემათა აგება-ანალიზი. წინადადების სინტაქსური ანალიზისათვის ძლიერ ეფექტური აღმოჩნდა ახალი სინტაქსური თეორია, რომელიც მიმართებათა ქსელს სისტემის შემადგენელ ნაწილთა, მოდულთა ურთიერთმიმართებაში ასახავს. ბუნებრივი ენა არ არის არც სიმეტრიული და არც მონოტონური სისტემა, რასაც ცხადყოფს ახალი სინტაქსის ანალიზის შედეგები.

5. ფრანგულ ენაში ზოგიერთი მორფოლოგიური და სინტაქსური თავისებურების საფუძველზე წარმოიქმნება ლექსიკური თუ გრამატიკული ომონიმები. იმ შემთხვევაში, როდესაც ერთი ლექსემის ცალკეული ლექსები ერთმანეთს ემთხვევა გამოხატულების პლანში (ფონეტიკურად), შესაძლებელია გრამატიკულ ომონიმიაზე ლაპარაკი, სადაც იგულისხმება:

ა) განსხვავებული ფორმებით წარმოდგენილ გრამატიკულ სიტყვათა ლექსიკური ომონიმია.

ბ) გრამატიკულ ფორმათა ომონიმია. უნდა აღინიშნოს, რომ ხშირად გრამატიკულ კატეგორიათა დიფერენცირებაში გადამწყვეტ როლს ორთოგრაფია ასრულებს.

გ) მეტყველების ნაწილთა ომონიმია. ფრანგულ ენაში ხშირად ესა თუ ის სიტყვა უცვლელი ფორმით გადადის მეტყველების ერთი ნაწილიდან მეორეში; ამ სიტყვის ფუნქცია და მნიშვნელობა კი მიუთითებს, თუ რომელ მეტყველების ნაწილს მიეკუთვნება იგი კონკრეტულ შემთხვევაში.

დ) სეგმენტაციის შემდეგ წარმოქმნილი ომონიმები. ბევრი გრამატიკული ომონიმის წარმოქმნას ის ფაქტი განაპირობებს, რომ ზოგჯერ ბეგრათა ერთი და იგივე კომპლექსი ორი სხვადასხვა ფორმით გვხვდება; ერთი არის შეერთებული ფორმა (soudée), ხოლო მეორე – ელიდირებული, განცალკევებული ფორმა (disjointe).

კვლევის შედეგად მიჩნეულია, რომ ომონიმები ფრთხილად მიდგომას საჭიროებს, რათა თავიდან იქნეს აცილებული გამონათქვამთა ორაზროვნება და გრამატიკულად არასწორი ფრაზების წარმოქმნა.

6. ფრანგულ ენაში ასიმეტრიული მოვლენები გამოვლინდა გვარის გრამატიკული კატეგორიის წარმოების პროცესშიც:

I. აქტიური კონსტრუქცია გამოხატავს:

1. აქტიურ მნიშვნელობას.
2. საშუალო მნიშვნელობას.
3. პასიურ მნიშვნელობას.

II. პასიური კონსტრუქცია გამოხატავს:

1. პასიურ მნიშვნელობას.
2. ფსევდო-პასიურ მნიშვნელობას.
3. ზოგად მნიშვნელობას.

III. უკუქცევითი კონსტრუქცია გამოხატავს:

1. პირდაპირ-უკუქცევით მნიშვნელობას.
2. ირიბ-უკუქცევით მნიშვნელობას.
3. საურთიერთო მნიშვნელობას.
4. საშუალო-უკუქცევით მნიშვნელობას.
5. პასიურ მნიშვნელობას.

7. სამეტყველო იმპლიკატურები პრაგმატიკის ერთ-ერთი ძირითადი ცნებაა; რომელიც მრავალ ლინგვისტურ მოვლენას ფუნქციურად ხსნის. გარდა ამისა, იმპლიკატურა ხსნის, თუ როგორ მიიღწევა, რომ ნათქვამის მნიშვნელობა აღმატება იმას, რასაც ეს ნათქვამი სიტყვა-სიტყვით აღნიშნავს. იგი ავსებს ცარიელ ადგილს ჩართული ინფორმაციის დიდი ულუფების გადამუშავებით. იმპლიკატურის ცნების საშუალებით ბუნებრივი ენა ისწრაფვის გამოთქმებიდან განდევნოს მრავალმნიშვნელობა და დაამკვიდროს სტაბილური ერთმნიშვნელობა, რომელსაც თან სდევს არასტაბილური, კონტექსტით განპირობებული პრაგმატული ზედნადები – იმპლიკატურების ბადე. ამრიგად, იმპლიკატურები, ასრულებენ რა მთავარ როლს ენის ევოლუციაში, იწვევენ გარკვეულ სინტაქსურ და სემანტიკურ ცვლილებებს.

8. ენის ფუნქციონირების დონეზე სწორედ მეტყველების აქტების თეორიის ჩარჩოებში ჩამოყალიბებული ირიბი მეტყველების აქტების კატეგორიის ტრადიციული გაგება წარმოადგენს ენობრივი ნიშნის ასიმეტრიის გამოვლინებას ანუ ენის ასისტემობის შედეგს. ირიბი მეტყველების აქტები რამდენიმე ილოკუციურ ძალას ფლობს, რომელთაგან ერთი ძირითადია, ხოლო დანარჩენი პირველის საფუძველზე მიღებული. ირიბი მეტყველების აქტი ინარჩუნებს რა თავის ძირითად, პირდაპირ დანიშნულებას აჩვენოს X ილოკუციური ძალა, ამასთანავე რეგულარულად გამოიყენება Y ილოკუციური ძალის საჩვენებლად.

ირიბი მეტყველების აქტები ფლობენ სხვადასხვა ირიბი რეპრეზენტაციების ფართო შესაძლებლობებს: დაპატიუების რეალიზაცია შეკითხვის სახით; თხოვნა, რეალიზებული როგორც შეტყობინება; შეტყობინება-შეურაცხყოფა; შეტყობინება-გაკიცხვა; შეტყობინება-ბრძანება; მტკიცება-საყვედური. ირიბი მეტყველების აქტები ენობრივი პოლისემიის გამოვლინებას წარმოადგენს.

9. ცნობილია, რომ ენათა კლასიფიკაციის ერთი ტიპი მორფემათა ტიპების მიხედვით წარმოებს და ადგენს ენათა სამ ტიპს: 1. ანალიზური ანუ იზოლირებადი (მაიზოლირებადი) 2. სინთეზურ-ფლექსიური 3. აგლუტინაციური. დასახელებული ტიპებიდან რომელია ყველაზე სიმეტრიული? – ამ კითხვაზე ერთმნიშვნელოვანი პასუხის გაცემა ძნელია. რა თქმა უნდა, აბსოლუტურად სიმეტრიული ენა არ არსებობს; თუმცა ენათა დასახელებული მორფოლოგიური ტიპებიდან შედარებით სიმეტრიულად ანალიზური ენები უნდა მივიჩნიოთ, ვინაიდან აქ ყველაზე უკეთ ჩანს ურთიერთმიმართება ერთ ფორმასა და ერთ მნიშვნელობას შორის; თითოეული იზოლირებადი სიტყვა გრამატიკული მნიშვნელობის მატარებელი აფიქსია.

10. ენის სისტემის ასიმეტრიულობა უნივერსალური მახასიათებელია. სავარაუდოა, რომ სიმეტრიული მხოლოდ ბაზისური კომპონენტია, ვინაიდან აქ კომპონენტები სწორხაზოვნადაა განლაგებული და მოქმედებს მართვის წესები, მაგრამ ამოსავალი მონაცემები და მიღებული შედეგები ურთიერთშექცევადია და სისტემა არ ქმნის იერარქიულად დალაგებულ ქვესისტემათა სიმრავლეს. სიმეტრიული ენების შექმნას ცდილობს მრავალი კომპიუტერული პროგრამა და ხელოვნური გონის სფეროში მომუშავე პროგრამისტები. ბუნებრივი ენის მიმართ შემდეგი უნივერსალური პრინციპი ყალიბდება: ბუნებრივი ენა თავისი ბუნებით ასიმეტრიულია, მიუხედავად მისი ტიპოლოგიური მახასიათებლებისა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აბიეი 1993: Abeillé A. *Les nouvelles syntaxes*. Paris: « Armand Colin », 1993.
2. ავტონომოვა 1977: Автономова И. С. *Философские проблемы структурного анализа в гуманитарных науках*. Москва: «Наука», 1977.
3. ალენი . . . 1986: Аллен Дж. Ф., Перро Р. *Выявление коммуникативного намерения, содержащегося в высказывании*. Новое в зарубежной лингвистике, вып. XVII, Москва: «Прогресс», 1986.
4. აპრესიანი 1967: Апресян Ю. Д. *Экспериментальное исследование, Семантика Русского глагола*. Москва: «Наука», 1967.
5. არუტიხოვა 1982: Арютинова Н. Д. *Лингвистические проблемы референци*. Новое в зарубежной лингвистике, вып. XIII, Москва: «Радуга», 1982.
6. ბარხუდაროვი 1966: Бархударов Л.С. *К вопросу о бинарности оппозиций и симметрии грамматических систем*. Вопросы языкознания, № 4, 1966.
7. ბგაშევი 1990: Бгашев В. *Симметрия и асимметрия языковой системы*. Совершенствование обучения в условиях перестройки высшей школы (Материалы семинар-совещания по иностранным языкам вузов Средней Азии и Казахстана), Душанбе, 1990.
8. ბეიკერი 1985: Бейкер А. *Пресуппозиции и типы предложений*. Новое в зарубежной лингвистике, вып. XVI, Москва: «Прогресс», 1985.
9. ბეინანი . . . 1981: Беинан И., Стин Т. *Логика вопросов и ответов*. Москва: «Прогресс», 1981.
10. ბენვენისტი 1956: Benveniste E. *La nature des pronoms*. For Roman Jakobson, La Haye, 1956.
11. ბიანკი 1985: Бианки В.Л. *Асимметрия мозга животных*. Л., 1985.
12. ბირვიში 1981: Бирвиш М. *Семантика*. Новое в зарубежной лингвистике, вып. X, Москва: «Прогресс», 1981.

13. ბოლინჯერი 1981: Болинджер Д. *Атомизация значения*. Новое в зарубежной лингвистике, вып. X, Москва: «Прогресс», 1981.
14. ბრაგინა. . . 1988: Брагина Н.Н., Доброхотова Т.А. *Функциональные асимметрии человек*. Москва, 1988.
15. ბრემონი 1983: Бремон К. *Структурное изучение повествовательных текстов после В. Проппа*. Семиотика. Москва, 1983.
16. ბულიგინა 1968: Булыгина Т.В. *Грамматические оппозиции / к постановке вопроса/* В сб. «Исследования по общей теории грамматики», Москва, 1968.
17. ბურციო 1986: Burzio L. *Italian Syntax*. Dordrecht / Boston / Lancaster / Tokyo: « D.Reidel Publishing Company », 1986.
18. გაბაშვილი 1974: გაბაშვილი კ. *სემანტიკური კვლევის ზოგიერთი საკითხი*. «მაცნე». ენისა და ლიტერატურის სერია, №4, 1974.
19. გაკი 1980: Гак В. Г. *Об использование идеи симметрии в языкознании, в книге лексическая и грамматическая семантика романских языков*. Калининград, 1980.
20. გაკი 1998: Гак В.Г. *Теория языковых преобразований*. Москва: «Языки Русской Культуры», 1998.
21. გალმიში 1975: Galmiche M. *Sémantique générative*. Paris: « Larousse », 1975.
22. გამყრელიძე. . . 1984: Гамкрелидзе Т. В., Иванов Вяч. Вс. *Индоевропейский язык и Индоевропейцы*. Тбилиси: Из-во ТГУ, т. I, 1984.
23. გამყრელიძე 2000: გამყრელიძე თ. *რჩეული ქართველოლოგიური შრომები*. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2000.
24. გიომი 1968: Guillaume G. *Temps et Verbes*. Paris: « Ed. Honoré Champion », 1968.
25. გორდონი. . . 1985: Гордон Д., Лакофф Дж. *Постулаты речевого общения*. Новое в зарубежной лингвистике, вып. XVI, Москва: «Прогресс», 1985 .

26. გოტი. . . 1962: Готт В.С., Депенчук Н.П. *Симметрия и асимметрия на грани перехода от неживого к живому*. Философские вопросы современной биологии. Киев, 1962.
27. გოტი 1965: Готт В.С. *Симметрия и асимметрия*. стенограмма публ. лекции, прочитанной в Центр. лектории общества «Знание». Москва, 1965.
28. გოტი 1972: Готт В.С. *Философские вопросы современной физики*. Москва: «Высшая школа», 1972.
29. გოტი 1978: Готт В.С. *Принцип симметрии*. Москва: «Наука», 1978.
30. გრისი 1981: Grice H.P. *Presupposition and Conversational Implicature*. 1981.
31. გრისი 1985: Грайс Г. П. *Логика и речевое общение*. Новое в зарубежной лингвистике, вып. XVI, Москва: «Прогресс», 1985.
32. გრევისი 1993: Grevisse M. *Le bon usage : grammaire française*. Paris, 1993.
33. გრემასი 1972: Greimas A. J. *Essais de sémiotique poétique*. Paris: « Larousse », 1972.
34. გრემასი. . . 1983: Греймас А.Ж., Курте Ж.. *Семиотика*. Объяснительный словарь теории языка. Москва, 1983.
35. გროსი. . . 1971: Гросс М., Лантен А. *Теория формальных грамматик*. Москва: «Мир», 1971.
36. გროსი 1975: Gross M. *Methodes en syntaxe*. Paris: « Hermann », 1975.
37. გროსი 1986: Gross M. *Grammaire transformationnelle du français. I: Syntaxe du verbe*. Paris: « Cantilène », 1986.
38. გროფი 1992: Гроф С. *За пределами мозга: Рождение, смерть и трансценденция в психоанализе*. Москва, 1992.
39. დავითიანი 1973: დავითიანი ა. *ქართული ენის სინტაქსი, I. სინტაქსის ზოგადი საკითხები. მარტივი წინადადება*. თბილისი: « განათლება », 1973.
40. დევიდსონი 1986: Дэвидсон Д. *Истина и значение*. Новое в зарубежной лингвистике, вып. XVIII, Москва: «Прогресс», 1986.

41. დიუბუა 1965: Dubois J. *grammaire structurale de français I; Nom et pronom.* Paris : « Larousse », 1965.
42. დიუბუა 1967: Dubois J. *grammaire structurale de français II ; Le verbe.* Paris: « Larousse », 1967.
43. დიუბუა 1969: Dubois J. *Grammaire structurale de français III; La phrase et les transformations.* Paris: « Larousse », 1969.
44. დიუკრო 1982: Дюкро О. *Неопределенные выражения и высказывания.* Новое в зарубежной лингвистике, вып. XIII, Москва: «Радуга», 1982.
45. დიურონი 1963: Duron J. *Langue française, langue humaine.* Paris: « Larousse », 1963.
46. დონელანი 1982: Доннелан К. С. *Референция и определенные дескрипции.* Новое в зарубежной лингвистике, вып. XIII, Москва: «Радуга», 1982.
47. ემპსონი 1979: Empson W. *Assertions dans les mots. Sémantique de la poésie.* Paris: « éd. du seuil », 1979.
48. ენუქიძე 1987: ენუქიძე ლ. *ძირითადი სინტაქსური თეორიები თანამედროვე საზღვარგარეთულ ენათმეცნიერებაში.* თბილისი: «მეცნიერება», 1987.
49. ვან დეიკი 1989: Ван Дейк Т.А. *Язык, познание, коммуникация (Перевод с английского).* Москва: «Прогресс», 1989.
50. ვანდრიესი 1921: Vendryès Y. *Le langage.* Paris: « Renaissance du Livre », 1921.
51. ვან ვალინი . . .1982: Ван Валин Р., Фови У. *Референциально - ролевая грамматика.* Новое в зарубежной лингвистике, вып. XI, Москва: «Прогресс», 1982.
52. ვარშავსკაია 1988: Варшавская А.И. *Неконгруэнтность в языке.* Спорные вопросы английской грамматики, Л.1988.
53. ვეინრეიხი 1970: Вейнრეих У.О. *О семантической структуре языка.* В кн.: Новое в лингвистике, вып. V, Москва: «Прогресс», 1970.
54. ვეინრეიხი 1981: Вейнრეих У. *Опыт семантической теории.* Новое в зарубежной лингвистике, вып. X, Москва: «Прогресс», 1981.

55. ვეჟბიცკა 1986: Вежбицка А. *Восприятие: семантика абстрактного словаря*. Новое в зарубежной лингвистике, вып. XVIII, Москва: «Прогресс», 1986.
56. ვეჟბიცკა 1980: Wierzbicka A. *Lingua mentalis*. Sydney, N. Y. L., Toronto, S. Francisco: Academie Press, 1980.
57. ვერნადსკი 1965: Вернадский В. И. *Химическое строение биосферы Земли и её окружения*. Москва, 1965.
58. ვინოგრადი 1979: Виноград Т. 1979 *Машина, понимающая естественный язык*. Москва: «Мир», 1979.
59. ვინოგრადი 1983: Виноград Т. *К процессуальному пониманию семантики*. Новое в зарубежной лингвистике, вып. XII, Москва: «Прогресс», 1983.
60. ვიტგენშტეინი 1953: Wittgenstein L. *Philosophical Investigations*. New York: «Basil Blackwell and Mott, Ltd.», 1953.
61. ვიტგენშტეინი 1985: Витгенштейн Л. *Философские исследования*. Новое в зарубежной лингвистике, вып. XVI, Москва: «Прогресс», 1985.
62. ვრიგტი 1951: Wright G. H. von. *Essay in Modal Logic*. Amsterdam, 1951.
63. ვრიგტი 1986: Бригт Г. Фон. *Логико – философские исследования*. Москва, 1986.
64. ზინოვიევი 1960: Зиновьев А. А. *Философские проблемы многозначной логики*. Москва, 1960.
65. თამარაშვილი. . 1987: თამარაშვილი ლ., მარგველანი ლ., ჩიკოძე გ. *ბუნებრივი ენა და გამოთვლითი მანქანა*. თბილისი: « მეცნიერება », 1987.
66. თოდოროვი 1983ა: Тодоров Ц. *Понятие литературы. Семиотика*. Москва, 1983.
67. თოდოროვი 1983ბ: Тодоров Ц. *Семиотика литературы. Семиотика*. Москва, 1983.
68. თეორია. . . 1979: *Théories du langage. Théories de l'apprentissage*. Centre Royaumont pour une science de l'homme, Le débat entre Jean Piaget et Noam Chomsky organisé et recueilli par Massimo Piattelli-Palmarini. « Editions du Seuil », 1979.

69. იაკობსონი 1983ა: Якобсон Р. *В поисках сущности языка. Семиотика.* Москва, 1983.
70. იაკობსონი 1983ბ: Якобсон Р. *В поисках сущности языка. Семиотика.* Москва, 1983.
71. ივანიშვილი . . . 2002: ივანიშვილი მ., სოსელია ე. *ქართული პასიური კონსტრუქციის ზოგიერთი მორფო-სინტაქსური და სემანტიკური თავისებურება* («ენათმეცნიერების საკითხები» №4. ეძღვნება გივი მაჭავარიანის დაბადების 75 წლისთავს). «თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი», 2002.
72. ივანიძე 1978: Иванидзе И. М. *Семантика пропозиционального деонтического языка. Логика, семантика, методология.* Тбилиси: «Мецниереба», 1978.
73. ივანოვი 1978: Иванов Вяч. Вс. *Чет и нечет: асимметрия мозга и знаковых систем.* Москва: «Советское Радио», 1978.
74. ივანოვი 1982: Иванов Вяч. Вс. *Семантика возможных миров и филология. Проблемы структурной лингвистики.* Москва: «Наука», 1982.
75. იობაშვილი 2003: იობაშვილი-მუხაძე ჯ. *ილოკუციური ძალისა და პროპოზიციული მნიშვნელობის ურთიერთმიმართების ზღვარი ბრძანებით გამონათქვამებში (დირექტივებში) თანამედროვე ფრანგულ ენაში* (ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის ავტორეფერატი). თბილისი, 2003.
76. კაკაბაძე 1985: Какабадзе З. М. *Проблема «экзистенциального кризиса» и трансцендентальная феноменология Эдмунда Гуссерля* (на грузинском языке). Тбилиси: «Мецниереба», 1985.
77. კაპანაძე 2003. კაპანაძე ო. *კომპიუტერული ლინგვისტიკის შესავალი* (ლექციების კურსი). თბილისი: «გამომცემლობა “ენა და კულტურა”», 2003.

78. კაპლანი 1978: Kaplan D. *Logic of Demonstratives*. In: *Journal of Philosophical Logic*, N 8, 1978.
79. კარნაპი 1936: Carnap R. *The Logical syntax of language*. L. 1936.
80. კარპოვი 2003: Карпов В.А. *Язык как система*. Изд. 2-е, испр. Москва, 2003.
81. კარტუნენი 1985: Карттунен Л. *Логика английских конструкций с синтаксическим дополнением*. Новое в зарубежной лингвистике, вып. XVI, Москва: «Прогресс», 1985.
82. კარცევსკი 1929: Karcevski S. *Du dualisme asymétrique du signe linguistique*. Cahiers Ferdinand de Saussure №14. 1929 [1956].
83. კატცი 1981: Катц Дж. *Семантическая теория*. Новое в зарубежной лингвистике, вып. X, Москва: «Прогресс», 1981.
84. კაინი 1977: Kayne R. *Syntaxe du français*. Paris: « Editions du Seuil », 1977.
85. კვაჭაძე 1996: კვაჭაძე ლ. *თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი*. თბილისი: «რუბიკონი», 1996.
86. კლარკი . . . 1986: Кларк Г.Г., Карлсон Т. Б. *Слушающий и речевой акт*. Новое в зарубежной лингвистике, вып. XVII, Москва: «Прогресс», 1986.
87. კოენი 1979: Cohen J. *Théory de la figure. Sémantique de la poésie*. Paris: « éd. du seuil », 1979.
88. კრიპკე 1981: Крипке С. А. *Семантическое рассмотрение модальной логики. Семантика модальных и интенциональных логик*. Москва, 1981.
89. ლაიონზი 1978ა: Лайонз Дж. *Введение в теоретическую лингвистику* (Перевод с английского). Москва: «Прогресс», 1978.
90. ლაიონზი 1978ბ: Lyons J. *Semantics*. London: «Cambridge University Press», vol. I, II, 1978.
91. ლაკოფი 1981: Лакофф Дж. *О порождающей семантике*. Новое в зарубежной лингвистике, вып. X. Москва: «Прогресс», 1981.

92. ლაკოფი 1985: ლაკოფი ჯ. *Прагматика в естественной логике*. Новое в зарубежной лингвистике, вып. XVI, Москва: «Прогресс», 1985.
93. ლაკოფი 1988: ლაკოფი ჯ. *Мышление в зеркале классификаторов*. Новое в зарубежной лингвистике, вып. XXIII, Москва: «Прогресс», 1988.
94. ლეკიაშვილი 2000: ლეკიაშვილი ვ. *სინონიმის ფორმალური განსაზღვრის საკითხი*. («მაცნე». ენისა და ლიტერატურის სერია, № 1-4:), 2000.
95. ლევისონი 1983: Levinson S.C. *Pragmatics*. «Cambridge University Press», 1983.
96. ლენერტი 1988: Ленерт У. *Проблемы вопросно-ответного диалога*. Новое в зарубежной лингвистике, вып. XXIII, Москва: «Прогресс», 1988.
97. ლინგვისტიკა . . . 1979: *Лингвистика и поэтика*. Москва: «Наука», 1979.
98. ლინსკი 1952: Linsky L. *Two Concepts of Quantification. Semantics and the Philosophy of Language*. The University of Illinois Press et Urbana, 1952.
99. ლინსკი 1982: Линский Л. *Референция и референты*. Новое в зарубежной лингвистике, вып. XIII, Москва: «Радуга», 1982.
100. ლიუსი 1952: Lewis C. I. *The modes of Meaning. Semantics and the Philosophy of Language*. The University of Illinois Press et Urbana, 1952.
101. ლიუსი 1973: Lewis D. *Counterfactuals*. Oxford, 1973.
102. ლიუტკინა 1992: Люткина Ю.Н. *Формально-содержательная асимметрия некоторых типов отрицательных предложений. Асимметрические связи в языке*. Владикавказ, 1992.
103. ლოსევი 1976: Лосев А. Ф. *Проблема символа и реалистическое искусство*. Москва, 1976.
104. ლოტმანი 1972: Лотман Ю.М. *Анализ поэтического текста*. Л.: «Просвещение», 1972.

105. ლოჩმელე . . . 1992: Лочмеле Г.Д., Тонкова Н.И. *Компрессия информации в рекламном заголовке и асимметрия знака. Асимметрические связи в языке.* Владикавказ, 1992.
106. მაკკოლი 1988: McCawley J. D. *The Syntactic Phenomena of English.* V1, V2, Chicago and London: «The University of Chicago Press», 1988.
107. მარტინი 1978: Martin R.M. *Semiotics and Linguistic Structures.* Albany: «State University on New-York Press», 1978.
108. მარტინე 1960: Martinet A. *Eléments de linguistique générale.* Paris: « Armand Colin », 1960.
109. მაულერი 1987: Маулер Ф.И. *Виды асимметрий между сторонами языкового знака. Асимметрические связи в языке.* Орджоникидзе, 1987.
110. მეღვილი 1968: Мельвилль Ю. К. *Чарлз Пирс и его прагматизм.* Москва: Изд-во МГУ, 1968.
111. მეტყველების . . . 1986: *Теория речевых актов.* Новое в зарубежной лингвистике, вып. XVII, Москва: «Прогресс», 1986.
112. მონტეგოუ 1970: Montague R. *Universal Grammer. Theoria.* vol. 36, N 2, 1970.
113. მონტეგოუ 1974: Montague R. *Formal philosophy: Selected papers of Richard Montague.* New Haven: Yaly Univ. Press, 1974.
114. მორისი 1964: Morris Ch. *Signification and Significance. A Study of the Relations of Signs and Values.* Cambridge, Mass.: «The M.I.T. Press», 1964.
115. მორისი 1983: Моррис Ч. У. *Основания теории знаков. Семиотика.* Москва, 1983.
116. მუნენი 1975: Mounin G. *Linguistic et philosophie.* Paris, 1975.
117. ნიკი 1970: Nique Ch. *Initiation méthodique à la grammaire générale* 1970.
118. ოსტინი 1963: Austin J. *How To Do Things With Words.* Oxford: «Claredon press», 1963.

119. ოსტინი 1986: Остин Дж. Л. *Слово как действие*. Новое в зарубежной лингвистике, вып. XVII, Москва: «Прогресс», 1986.
120. პადუჩევა . . . 1985: Падучева Е. В., Арютинова И. Л. *Истоки, проблемы и категории прагматики*. Новое в зарубежной лингвистике, вып. XVI, Москва: «Прогресс», 1985.
121. პავილიენისი 1981: Павлиенис Р. И. *Язык. Логика. Философия*. Вильнюс, 1981.
122. პარტი 1983: Парти Б. Х. *Грамматика Монтегю, мысленные представления и реальность. Семиотика*. Москва, 1983.
123. პატნემი 1982: Патნэм Х. *Значение и референция*. Новое в зарубежной лингвистике, вып. XIII, Москва: «Радуга», 1982.
124. პელცი 1983: Пельц Е. *Семиотика и логика. Семиотика*. Москва, 1983.
125. პერლმუტერი 1978: Perlmutter D. *Impersonal Passives and the Unaccusative Hypothesis*. Berkley Linguistic Society IV, University on California, 1978.
126. პერლმუტერი . . . 1979: Perlmutter D.M., Scott S. *Syntactic Argumentation and the Structure of English*. Berkley, Los Angeles, London: «University of California Press», 1979.
127. პერლმუტერი . . . 1982: Перлмуттер Д. М., Постал П. М. *Закон единственности продвижения именных групп в позицию подлежащего*. Новое в зарубежной лингвистике, вып. XI, Москва: «Прогресс», 1982.
128. პეტროვი 1982: Петров В. В. *Философские аспекты референции*. Новое в зарубежной лингвистике, вып. XIII, Москва: «Радуга», 1982.
129. პეტროვი 1986: Петров В. В. *Язык и логическая теория*. Новое в зарубежной лингвистике, вып. XVIII, Москва: «Прогресс», 1986.
130. პენშონი 1972: Pinchon J. *Les pronoms adverbiaux En et Y*. Genève: «Librairie Drot», 1972.
131. პენშონი 1986: Pinchon J. *Morphosyntaxe du français*. Paris: «Hachette», 1986.
132. პირსი 1983: Пирс Ч. С. *Элементы логики. Семиотика*. Москва, 1983.

133. პლტკინი 1966: Плоткин В.Я. *О принципе бинарности в строении видо-временной системы*. Филологические науки № 2, 1966.
134. პრიეტო 1983: Прието А. *Морфология романа. Семиотика*. Москва, 1983.
135. პრიორი 1957: Prior A. N. *Time and Modality*. Oxford, 1957.
136. პრიორი 1967: Prior A. N. *Past, present and future*. Oxford, 1967.
137. რიგოლო 1979: Rigolot Fr. *La poétique et l'analogique. Sémantique de la poésie*. Paris, 1979.
138. რიუვე 1972: Ruwet N. *Théorie syntaxique et syntaxe du français*. Paris: «Edition du Seuil», 1972.
139. რუვერე 1987: Rouveret AL. *Présentation et Commentaire de la Nouvelle Syntaxe de N. Chomsky*. In : *La Nouvelle Syntaxe*. Paris: «Ed. du Seuil», 1987.
140. საარინენი 1986: Сааринен Э. *О метатеории и методологии семантики*. Новое в зарубежной лингвистике, вып. XVIII, Москва: «Прогресс», 1986.
141. სანდფელდი 1965: Sandfeld K. *Syntaxe du français contemporain* I, II, III. Paris: Droz, 1965.
142. სემანტიკა. . . 1952: . *Semantics and the Philosophy of Language*. The University of Illinois Press et Urbana, 1952.
143. სემანტიკა. . . 1981: *Семантика модальных и интенциональных логик*. Москва, 1981.
144. სერლი 1980: Searle J. *The Backgroun of Meaning, Speech Act Theory and Pragmatics (ed. J. Searle et al.)*. Dordrecht, 1980.
145. სერლი 1982: Серль Дж. Р. *Референция как речевой акт*. Новое в зарубежной лингвистике, вып. XIII, Москва: «Радуга», 1982.
146. სერლი 1986ა: Серль Дж. Р. *Что такое речевой акт?* Новое в зарубежной лингвистике, вып. XVII, Москва: «Прогресс», 1986.
147. სერლი 1986ბ: Серль Дж. Р. *Косвенны речевые акты*. Новое в зарубежной лингвистике, вып. XVII, Москва: «Прогресс», 1986.

148. სერლი. . . 1986გ: Серль Дж. и Вандервенен Д. *Основные понятия исчисления речевых актов*. Новое в зарубежной лингвистике, вып. XVIII, Москва: «Прогресс», 1986.
149. სერლი 1986დ: Серль Дж. Р. *Классификация иллокутивных актов*. Новое в зарубежной лингвистике, вып. XVIII, Москва: «Прогресс», 1986.
150. სკალიჩკა 1967: Скаличка В. *Асимметрический дуализм языковых единиц*. Пражский лингвистический кружок. Сб. статей. Отв. ред. Н.А. Кондрашов, Москва, 1967.
151. სკრეგი 1983: Скрэгг Г. *Семантические сети как модели памяти*. Новое в зарубежной лингвистике, вып. XII, Москва: «Прогресс», 1983.
152. სოსიური 1977: Соссюр Ф. Де. *Труды по Языкознанию (Перевод с французского)*. Москва: «Прогресс», 1977.
153. სტეპანოვი 1981: Степанов Ю. С. *Имена, Предикаты, Предложения*. Москва: «Наука», 1981.
154. სტეპანოვი 1983: Степанов Ю. С. *В мире семиотики. Семиотика*. Москва, 1983.
155. სტეპანოვი 1985: Степанов Ю. С. *В трехмерном пространстве языка*. Москва: «Наука», 1985.
156. სტეფანიანი 1962: Stéfanini J. *La voix pronominale en ancien et en moyen français*. Annales de la Faculté des lettres, Aix-en Provence, 1962.
157. სტივენსონი 1985: Стивенсон Ч. *Некоторые прагматические аспекты значения*. Новое в зарубежной лингвистике, вып. XVI, Москва: «Прогресс», 1985.
158. სტოლნეიკერი 1972: Stalnaker R. C. *Pragmatics. In: Semantics of natural language, (ed. D. Davidson, R. Harman)*. Dordrecht: Reidel, 1972.
159. სტოლნეიკერი 1974: Stalnaker R. C. *Pragmatic presupposition. In: Semantics and philosophy, (ed. M. K. Munitz, P. K. Unger)*, N. Y. «University Press», 1974.

160. სტოლნეიკერი 1981: Stallnaker R. C. *Indexical Belief. In: Synthese*. vol. 49, N 2, 1981.
161. სტოლნეიკერი 1985: Столнейкер Р. С. *Прагматика*. Новое в зарубежной лингвистике, вып. XVI, Москва: «Прогресс», 1985.
162. სტროსონი 1982ა: Стросон П. Ф. *О референции*. Новое в зарубежной лингвистике, вып. XIII, Москва: «Радуга», 1982.
163. სტროსონი 1982ბ: Стросон П. Ф. *Идентифицирующая референция и истинностное значение*. Новое в зарубежной лингвистике, вып. XIII, Москва: «Радуга», 1982.
164. სტროსონი 1986ა: Стросон П. Ф. *Грамматика и философия*. Новое в зарубежной лингвистике, вып. XVIII, Москва: «Прогресс», 1986.
165. სტროსონი 1986ბ: Стросон П. Ф. *Намерение и конвенция в речевых актах*. Новое в зарубежной лингвистике, вып. XVII, Москва: «Прогресс», 1986.
166. სტურუა 1975: სტურუა ბ. *სიტყვა, როგორც ენობრივი ერთეული*. თბილისი: «მეცნიერება», 1975.
167. ტენიერი 1966: Tesnière L. *Éléments de syntaxe structurale*. Paris: «Librairie C. Klincksieck », 1966.
168. უინსტონი 1980: Уинстон П. *Искусственный интеллект*. Москва: «Мир», 1980.
169. ურმანცევი 1974: Урманцев Ю.А. *Симметрия природы и природа симметрии* (философский и естественнонаучный аспекты). Москва: «Мысль», 1974.
170. ურმანცევი 1986: Урманцев Ю.А. *Симметрия системы и система симметрии*. Москва, 1986.
171. ურმანცევი 1988: Урманцев Ю.А. *Симметрия и асимметрия как категории ОТС: их природа и соотношение. Система. Симметрия. Гармония*. Москва, 1988.
172. ფილმორი 1983: Филлмор Ч. *Основные проблемы лексической семантики*. Новое в зарубежной лингвистике, вып. XII, Москва: «Прогресс», 1983.

173. ფრეგე 1997: ფრეგე Г. *Смысл и значение*. Фреге Г. Избранные работы. Москва, 1997.
174. ფხაკაძე 1991: Пхакадзе И. Г. *Недостижимые достижимые миры. Семантика возможного и языковая относительность*. Тбилиси: «Издательство Тбилисского Университета», 1991.
175. ქათამაძე 2006: ქათამაძე ნ. *პრესუპოზიციის პრაგმატული და სემანტიკური მახასიათებლები (ინგლისური ენის მაგალითზე)*. (ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის ავტორეფერატი). თბილისი, 2006.
176. ქაცანაშვილი 2005: ქაცანაშვილი თ. *პრედიკატის სივრცე თანამედროვე ფრანგულ ენაში*. (ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის ავტორეფერატი). თბილისი, 2005.
177. ქუაინი 1959: Quine W. *Meaning and Translation*. On Translation (Ed. R. Brower). Harward, 1959.
178. ქუაინი 1970: Quine W. *On the Reasons for Indeterminacy of Translation*. Journal of Philosophy, vol. 67, 1970.
179. შაპკინი 1967: Шапкин А.П. *Об одной категории формально-содержательной асимметрии в языке*. Исследования по синтаксису современного английского языка. Уч. зап. МГПИ им. В.И. Ленина, № 285, Москва, 1967.
180. შენდელსი 1970: Шендельс Е.И. *Многозначность и синонимия в грамматике*. Москва, 1970.
181. შერბა 1974: Щерба Л.В. *Языковая система и речевая деятельность*. Ленинград: «Наука», 1974.
182. შპერბერი . . . 1988: Шпербер Д., Уилсон Д. *Релевантность*. Новое в зарубежной лингвистике, вып. XXIII, Москва: «Прогресс», 1988.

183. შრეიდერი 1974: Шрейдер Ю.А. *Логика знаковых систем*. Москва: «Наука», 1974.
184. შრომები . . . 1966: Travaux linguistiques de Prague. v 2. *Les problèmes de centre et de la périphérie du système de la langue*. Prague, 1966.
185. შუბნიკოვი 1940: Шубников А.В. *Симметрия*. Москва, 1940.
186. შუბნიკოვი 1946: Шубников А.В. *Диссимметрия. Вопросы минералогии, геохимии и петрографии*. Москва, 1946.
187. ჩარნიაკი 1983: Чарняк Ю. *Умозаключения и знания. Новое в зарубежной лингвистике*, вып. XII, Москва: «Прогресс», 1983.
188. ჩეიფი 1983: Чейф У. *Память и вербализация прошлого опыта*. Новое в зарубежной лингвистике, вып. XII, Москва: «Радуга», 1983.
189. ჩერჩი 1960: Черч А. *Введение в математическую логику*. I. Москва: ИЛ, 1960.
190. ჩომსკი 1971: Chomsky N. *Aspects de la théorie syntaxique*. Paris: «Edition du Seuil », 1971.
191. ჩომსკი 1975: Chomsky N. *Questions de sémantique*. Paris: « Edition du Seuil », 1975.
192. ჩომსკი 1981: Chomsky N. *Réflexion sur le langage*. Paris: «Flammarion», 1981.
193. ჩომსკი 1987: Chomsky N. *La nouvelle syntaxe*. Paris: « Edition du Seuil », 1987.
194. ხლებნიკოვა 1969: Хлебникова И.Б. *Оппозиция в морфологии*. Москва, 1969.
195. ჰარისი 1986: Harris Z. *On a Theory of language*. The Journal of Philosophy, vol. LXXIII, 1986.
196. ჰარტმანი 1979: Hartman G. *La voix de la navette. Sémantique de la poésie*. Paris: « éd. du seuil », 1979.
197. ჰინტიკა 1969: Hintikka J. *Deontic Logic and Its Philosophical Morals. Models for Modalities*. Dordrecht-Holland, 1969.
198. ჰინტიკა 1980: Хинтиikka Я. *Логико-эпистемологические исследования*. Москва: «Прогресс», 1980.

გამოყენებული მხატვრული ნაწარმოებების სია:

1. Aymé M. “Gustalin”, Gallimard, Paris 1957.
2. Aymé M. et Chanois J.P. «Papa, maman, la bonne et moi», Leningrad 1977.
3. Bataille M. «L’arbre de Noël», Leningrad 1974.
4. Beauvoir S. «Tous les hommes sont mortels», Gallimard, Paris 1964.
5. Camus A. «La Chute», Gallimard, Paris 1956.
6. Dumas A. «Le Comte de Monte-Cristo», Éditions en langues étrangères, Moscou 1963.
7. Duras «Hiroshima mon amour», Gallimard 1960.
8. Flaubert G. «Salammbô», Garnier Flammarion, Paris 1964.
9. Guth P. «Le Naïf aux quarante enfants», Albin Michel 1955.
10. Hugo V. «Notre-Dame de Paris», Hachette, Paris 1990.
11. Lautréamont «Les chants de Maldoror», Bookking International, Paris 1995.
12. Lesage A.R. «Le Diable Boiteux», Leningrad 1973.
13. Mauriac F. «L’agneau», Crassat, Paris 1954.
14. Maurois A. «Les Discours du Docteur O’Grady», Moscou 1970.
15. Molière «Dom Juan», Hachette, 1976.
16. Molière «Le Tartuffe», Hachette, 1976.
17. Proust M. «A l’ombre des jeunes filles en fleurs», Bookking International, Paris 1995.
18. Proust M. «Du côté de chez Swann», Éditions du Progrès, Moscou, 1976.
19. Renard J. «Poil de Carotte», Éditions en langues étrangères, Moscou 1954.
20. Sagan F. «Aimez-vous Brahms?», Tsitadel, Moscou 2000.
21. Sagan F. «Un certain sourire», Paris 1956.
22. Sanitas J. «Aimez-vous Wagner?», Leningrad 1967.
23. Sarraute N. «Le théâtre», Paris 1996.
24. Sartre J.P. «L’âge de raison», Gallimard, Paris 1945.
25. Sollers Ph. «Le secret», Gallimard, 1993.
26. Triolet E. «Roses à crédit», Gallimard, 1959.
27. Troyat H. «Les Eygletière», Flammarion 1965.
28. Yourcenar M. «L’Oeuvre au Noir», Gallimard, 1968.
29. Zola E. «Au Bonheur des Dames», Pocket, 1990.

ს ა რ ჩ ე ვ ი

1. შესავალი	1
2. თავი I. სიმეტრიისა და ასიმეტრიის კატეგორიები თანამედროვე საენათმეცნიერო დონეზე	13
3. 1.1 გრამატიკული ომონიმია	29
4. თავი II. სიმეტრია და ლოგიკური ენები	38
5. 2.1. ენათა იერარქიზაცია	38
6. 2.2 ენობრივი ნიშნის მნიშვნელობა	42
7. 2.3. ენის ლოგიკური ანალიზი და სიმეტრიის ცნება	51
8. თავი III. სიმეტრია გენერაციულ თეორიაში	57
9. 3.1. სიმეტრია მორფოლოგიაში	57
10. 3.2. სინტაქსი გენერაციულ გრამატიკაში	63
11. 3.3 სიმეტრია და მნიშვნელობა	73
12. თავი IV. სიმეტრია სინტაქსში	79
13. 4.1. სისტემის მარეგულირებელი წესები	79
14. 4.2 სისტემის წარმომშობი წესები	100
15. 4.3. სისტემის გლობალური წესები	105
16. თავი V. სიმეტრია პრაგმატიკაში	113
17. 5.1. პრესუპოზიცია და სიმეტრია	113
18. 5.2. იმპლიკაცია და სიმეტრია	124
19. 5.3. მეტყველების აქტები და სიმეტრიის ცნება	132
20. დასკვნები	153
21. გამოყენებული ლიტერატურა	158
22. გამოყენებული მხატვრული ნაწარმოებების სია	173